# კვირის პალიტრა

№ 6 (418) ◆ 10 – 16 თებერვალი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



ჩემი ინფორმაციით, რუსული სპეცსამსახურები საქართველოსკენ ბოევიკთა ახალ ჯგუფებს გადმოდევნიან, შემდეგ კი გამორიცხული არ არის დევნის დროს „გადმოყოლის“ პრინციპით ისარგებლონ და ამერიკას ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს ტერიტორიაზე „დაეხმარონ“.

პუტინი ლამის პირდაპირ ამბობს, რომ ქართველი ხალხისადმი ძალიან კარგად არის განწყობილი და არსებული ყველა პრობლემის სათავე საქართველოს პრეზიდენტია, ლოგიკური დასკვნები მკითხველმა გააკეთოს.

მემარჯვენეების ოფისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: თუ შეიარაღებულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. გვ.3

## „თბილისი გვეუბნება, ასე გააკეთეთო და ჩვენ რა, სულელები ხომ არ ვართ, ლუკმა პირიდან გამოვიგდოთ“

გვ.6,13



ოპერატიულმა ჯგუფმა ბანდიტებს ვერ მიუსწრო — ისინი უკვე მეორე ნაპირზე იყვნენ და პოლიციელებს ტყვიამფრქვევით, ყუმბარმტყორცნითა და სნაიპერული შაშხანებით ცეცხლი გაუხსნეს. პოლიციელებმაც ცეცხლით უპასუხეს. ორმხრივი სროლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ტყვია თავის არეში მოხვდა კრიმინალური პოლიციის უფროსს, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

*— ამბობთ, ზუგდიდელი ჩინოვნიკები მფარველობენ კონტრაბანდისტებსო. გინახავთ ზუგდიდში თუნდაც ერთი ისეთი სახლი, უფრო სწორად, სასახლე, როგორიც თბილისში, მაგალითად, საირმის გორაზეა წამოჭიმული? ვერც ნახავდით. რისი თქმაც მინდა, კარგად მიმიხვდებით...*

## „ყოველივე ამან შესაძლოა ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიგვიყვანოს“

გვ.7



— ეს პირველად კანცელარიაში თქვეს და საშიშია, როცა ამ საკითხზე ის ხალხი იწყებს ლაპარაკს, რომლებიც შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობენ.

„ლეიბორისტებს ჩვენს დასაბალანსებლად იყენებენ...“

## საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თელასს უჩივის...

მოსამართლეს, რომელმაც ლეიბორისტების ცნობილ სარჩელზე გადაწყვეტილება გამოიტანა, თელასმა დენის მიწოდება შეუწყვიტა. — მე გადახდილი არ მქონდა დახარჯული ელენერგიის საფასური და 1-ელ მარტამდე არც გადავიხდი. რატომ წოვენ სისხლს წურბლებივით თბილისს, რა ნახეს ამ ქალაქში... გვ.4

## სტეფანია კრიმინალების შიშით საქართველოში ვერ ჩამოდის...

გვ.32



„ვოვას თბილისში ისეთი რამ შეემთხვა, რაც სამწუხაროდ, ძალიან გახშირდა საქართველოში, ამიტომაც გვესმის მისი ჩამოუსვლელობის მიზეზი. მისი დაყაჩაღებიდან ორი წელი გავიდა. თუ მივაღწევთ კალათბურთელთან შეთანხმებას და ნაკრებში თამაშს დაგვთანხმდება, ვთხოვთ ყველას, უშიშროებიდან დაწყებული, დაცვის სამსახურით დამთავრებული, ამ ბიჭს დაცვა გამოუყონ.

## „ვფიქრობ და მეშინია“

**რომ დავინახე, კვდებოდა ბებერი, ავტომატი მივუშვირე ბიჭებს: დაანებეთ თავი, თორემ დაგხოცავთ-მეთქი!**

ციხეში მეტსახელად „ნემოი“ შემარქვეს ბიჭებმა, არ მიყვარს ლაპარაკი. ვზივარ და ვფიქრობ გაუთავებლად. ბიჭები დღეებს იმიტომ ითვლიან თითებზე, ციხიდან გასვლა ეჩქარებათ, მე კი, პირიქით, მეშინია — არ ვიცი, როგორ შეიძლება ასეთ ქვეყანაში ცხოვრება...

...ზოგჯერ მშურს იმ ადამიანებისა, პრობლემად რომ მიაჩნიათ შეყვარებულის გათხოვება ან უპასუხო სიყვარული... მაშინ ჩემმა მსგავსებმა რაღა ქნან — ზედმეტმა ადამიანებმა... გვ.16

## ცერცვაძეები ახალ ბინაში გადავლენ

ტექნიკური მიზეზების გამო ფილმი შეჩერდა, მაგრამ უკვე გადაღებებს ვიწყებთ. ცერცვაძეების ოჯახი ახალ, ძალიან ლამაზ ბინაში გადადის.

ახალი პერსონაჟების გამოჩენაც არის გათვალისწინებული. გვ.18



## ვაჟა ლორთქიფანიძე აფხაზეთში ომის დაწყებას არ გამორიცხავს

გვ. 26

## „გაგრა მთლიანად ყარაბაღელი სომხების ხელშია“

**„ქართველებს ერთმანეთის ღალატს ვერავინ გვასწრებს“**



რუსეთის აგენტი ქართველები აფხაზებს აშინებენ, აი, კოდორიდან თქვენზე თავდასხმა მზადდებაო და აფხაზებიც კონტაქტზე არ მოდიან. ჩვენ ამ პრობლემის მოხსნა გვინდა. რუსებს განვდევნით, ქართველებს და აფხაზებს ერთად დავაყენებთ და ასე, თანდათან დაახლოებით ისინი მიხვდებიან, რომ ჩვენ მათი მტრები არ ვართ. გვ.11

## დიდი თამაში და „პატარა ფიგურები“ სამეგრელოში

გვ.5,8




რას ჰპირდებოდა ხელისუფლება ესებუას ჩაბარების შემთხვევაში? სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, მას წამოიყვანდნენ ზუგდიდში, აჩვენებდნენ ოჯახს, შემდეგ წაიყვანდნენ ძმის სასაფლაოზე, ხოლო შემდგომ დასაკითხად თბილისში ჩამოიყვანდნენ. გოჩა ესებუა ჩაბარების წინააღმდეგი იყო. „მე რომ პირი გავაღო, მომკლავენ“, — თქვა ერთ-ერთი საუბრისას. ხელისუფლება იძულებული გახდა, მისთვის დამატებითი გარანტიები მიეცა.

## ვერსია: როგორ ცდილობა ციხე შიგნიდან

ციხის თანამშრომლები გამომყვნენ, ჩავედით პირველ სართულზე, რამდენიმე საკანი ღია იყო, მაშინვე მძევლებად აგვიყვანეს, ჩემს გამცილებლებს გასაღების აცმა წაართვეს და კორიდორიდან გაცვივდნენ. გვ.10

მოგვიანებით წინ გაგვიგდეს და გზადაგზა აყვანილ ციხის სხვა თანამშრომლებთან ერთად (სულ თექვსმეტი კაცი შეგვაგროვეს) ეზოში გამოგვიყვანეს, წინ დაგვაყენეს, თქვენ არ გესვრიანო და ალაყაფის კარის გახსნას შეეცადნენ.

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## თურმე ვისი ბრალი ყოფილა...

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართ სასტიკი უკმაყოფილება გამოთქვა. საინტერესოა, რომ პრეზიდენტის განცხადებით, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაზე პასუხისმგებლობა არა იმდენად შუამავალ მხარეს — რუსეთს, არამედ უპირველესად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეკისრება, რომელიც არაფერს აკეთებს კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მოლაპარაკებების დასაჩქარებლად. საქართველოს პრეზიდენტი უფრო შორს წავიდა — მისი თქმით, თუ გაეროს უშიშროების საბჭო მუშაობის არსებულ პრაქტიკას არ შეცვლის, იგი სერიოზულ უსიამოვნებას წააწყდება. პრეზიდენტის აზრით, გაუგებარია, რატომ ეგუება გაეროს უშიშროების საბჭო რუსეთის მიერ ბოდენისეული დოკუმენტის შეუწყნარებლად იგნორირებას. გაეროს დატუქსვის პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებას. თავისი თანხმობა ედუარდ შევარდნაძემ ჯორჯ ბუშისადმი საგანგებოდ გაგზავნილ წერილში დაადასტურა.

## შეთქმულება „ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ?

ამერიკული ენერგოკომპანიის მომავალთან დაკავშირებით ერთმანეთზე ურთიერთ საწინააღმდეგო ხმები ვრცელდება. კანცელარიის კულუარებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკული ენერგოკომპანიის ფინანსური მენეჯერი უკვე მოსკოვში იმყოფება და აქციების გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს ერთ-ერთ უმსხვილეს რუსულ ენერგოკომპანიასთან, „რაოეს"-თან აწარმოებს. დაეჭვების საბაბს ისიც იძლევა, რომ რამდენიმე თვის წინ რუსი და ამერიკელი ენერგეტიკოსების მოლაპარაკების შედეგად, „ეი-ი-ეს"-ის უკრაინის ფილიალის აქციები სწორედ „რაოეს"-მა შეიძინა. „ეი-ი-ეს"-ის ლობისტის, ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ეს ინფორმაცია შეგნებულად ვრცელდება და მიზნად ამერიკული ენერგოკომპანიის დისკრედიტაციას ისახავს. როგორც მელაშვილი ამტკიცებს, „ეი-ი-ეს"-ის ხელში ჩაგდება გადამდგარმა ქართველმა მინისტრებმა და ჩრდილოვანი ბიზნესით დაკავებულმა პირებმა მოინდომეს. ფული მათი იქნება, სახელი კი — რუსების. რაც შეეხება „ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს, იგნასიო ირიბარენს, იგი შვილის დაბადებას ელოდება და ამჟამად ლონდონში იმყოფება. მოგვიანებით, „ეი-ი-ეს თელასის" საქმიანობა საქართველოს პრეზიდენტმაც შეაფასა. ედუარდ შევარდნაძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ ენერგოგამანაწილებელ კომპანიაში ვითარება საკმაოდ რთულია, რეალურად საქართველოდან წასვლაზე ლაპარაკი არ არის და ეს ქვეყნისთვის საზიანო იქნება.

## ნავთობის სანაცვლოდ მიწის დაკარგვის ეშინიათ

მიუხედავად იმისა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ლამის ეროვნული ხსნის ერთადერთ საშუალებად გამოცხადდა, მისი რეალურად განხორციელების პირველსავე ეტაპზე პროექტის ავტორები სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებიან. გარდაბანის რაიონის სოფელ კრწანისის მოსახლეობამ „ბრითიშ პეტროლიუმის" ოფისის წინ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი სოფლის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გატარებას აპროტესტებდნენ. ეკოლოგიური საფრთხის გარდა, კრწანისელებს იმისიც ეშინიათ, რომ ძირითადი საარსებო წყაროს, ანუ მიწების გარეშე დარჩებიან. „ბრითიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლებს მოსახლეობა კონკრეტულ პასუხს სთხოვს ექვსი თვის წინ გაგზავნილ წერილზე, რომელიც უყურადღებოდ დარჩა. აქციის წარმომადგენლებს „ბიპის" თბილისის ფილიალის ერთ-ერთი მენეჯერი, ირაკლი ქელბაქიანი შეხვდა. მისი დაპირებით, სოფელში ნავთობსადენი არ გაივლის. მოსახლეობამ ამისი წერილობითი დადასტურება მოითხოვა.

## უკვე დაიწყო?

ავტომატებით შეიარაღებულმა 20-კაციანმა ჯგუფმა „ახალი მემარჯვენეების" ცენტრალური ოფისი დაარბია. დაცვის სამსახურის წინააღმდეგობის მიუხედავად, თავდამსხმელებმა ოფისის ინვენტარი დაანგრიეს. თბილისის საკრებულოში „მემარჯვენეთა" ფრაქციის თავმჯდომარის, მამუკა კაციტაძის განცხადებით, ჯგუფი საკმაოდ მომზადებული იყო და დარბევისას გაისმოდა ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა. თავდამსხმელები სახეს არ მალავდნენ და აცხადებდნენ, რომ ირაკლი ბათიაშვილის მომხრეები არიან. „მემარჯვენეები" უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ბათიაშვილმა მათ საწინააღმდეგოდ მხარი დაუჭირა 2003 წლის ბიუჯეტს. ამის გამო დეპუტატთან ურთიერთობა დაიძაბა. შემთხვევის ადგილზე ბათიაშვილის მისვლისთანავე, შეიარაღებული პირები იქაურობას გაეცალნენ. მომხდარი, ტრადიციულად, მორიგი კომისიის შექმნისა და პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზად იქცა. „მოქალაქეთა კავშირის" განცხადებით, მომხდარი კონფლიქტი შიდაპარტიული დაპირისპირების შედეგია და „ახალი მემარჯვენეები" მის გამოყენებას პოპულისტური მიზნებისთვის ცდილობენ.

## იდეისთვის თავდადებული...

პარლამენტარი გურამ შარაძე „მრეწველთა" საპარლამენტო ფრაქციას ტოვებს. დეპუტატის უკმაყოფილება იმით არის გამოწვეული, რომ თანაფრაქციელები მხარს არ უჭერენ ხუთჯვრიანი დროშის ირგვლივ წარმოქმნილ დაპირისპირებაში. შარაძის განცხადებით, თბილისის საკრებულოში გასული „მრეწველები" „ნაციონალების" მიერ მერიის შენობის თავზე დროშის აღმართვას არ აპროტესტებენ. „მრეწველები" აცხადებენ, რომ შარაძის ძალით დაკავებას არ აპირებენ. მათი თქმით, პარლამენტარი ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებულ დავაში ხშირად „მრეწველებისთვის" მიუღებელი ბრძოლის ფორმებს მიმართავს. ფრაქციიდან გასვლის შემთხვევაში, შარაძე დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩენას აპირებს. მოგვიანებით, გურამ შარაძე ზვიად ძიძიგურსა და ეროვნულ ძალთა გაერთიანებასაც დაუპირისპირდა და მას „ფსევდონაციონალური" უწოდა. შარაძისთვის მიუღებელია ძიძიგურისა და პარლამენტარ კოტე კემულარიას ურთიერთთანამშრომლობაც. მისი თქმით, კემულარია იმ მთავრობის ყოფილი წევრია, რომელმაც გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო.

## გამოძიებამ ძველი ვერსია გაიხსენა?

გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის განხილვა განახლდა. სანაიას მეუღლემ გენერალური პროკურატურა საქმის გამოძიების განზრახ მცდარ წარმართვაში დაადანაშაულა და სარჩელი უზენაეს სასამართლოში შეიტანა. პროკურატურაში ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ. გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავას ადვოკატის განცხადებით, თუ უზენაესი სასამართლო ხათუნა ჩხაიძის სარჩელს დააკმაყოფილებს, საქმე წინასწარი გამოძიების სტადიაში დაბრუნდება. დაზარალებული მხარე პროცესზე არ გამოცხადებულა. სასამართლოში ერთ-ერთი მოწმის — გრიგოლ ხურცილავას მეგობრის დაკითხვისას თავის დროზე ანგაჟირებული ვერსია წამოტივტივდა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მოგვიანებით, სასამართლოდან გამოსული ხურცილავას მეგობარი მალხაზ ხვედელიანი „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტს, თიკო ფეიქრიშვილს „ვაჟკაცურად" მუშტებით გაუსწორდა, რის შემდეგაც ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა სასამართლოს წინაშე პროცესში დაზარალებულ მხარედ ჩართვის შუამდგომლობა დააყენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლოს მოთხოვნით ყველა მოწმის ჩვენება პირდაპირ ეთერში უნდა გადაიცეს, წინ საკმაოდ საინტერესო, ტყუილმართლის კასკადი გველის.

## ვისია „თბილგაზი"?

„თბილგაზის" გასხვისების საკითხი კვლავ პოლიტიკური დაპირისპირების საგანი ხდება. ამჯერად თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის პრივატიზებასთან დაკავშირებით ბრალდებები ჯონდი ბაღათურიამ და ცოტნე ბაკურიამ წამოაყენეს. „აღორძინების კავშირი" „თბილგაზის" ტენდერს სააკაშვილი-შევარდნაძე-ზოდელავას ალიანსს უკავშირებს. მათი განცხადებით, კომპანიის წილების გადანაწილება უკვე დაიწყო სააკაშვილი-ბეჟუაშვილის ჯგუფსა და ალეკო გოცირიძეს შორის. „აღორძინების" წევრები ამტკიცებენ, რომ „თბილგაზის" პრივატიზაციით ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 12 მილიონი ლარი გამოთავისუფლდება, რასაც ხელისუფლების წევრები საპარლამენტო არჩევნებისთვის მოიხმარენ.

## ნადარეიშვილი რუსეთის ელჩს შეხვდა

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ერთ საათს გაგრძელდა. მოლაპარაკებათა მთავარი თემა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ახალი ვარიანტები იყო. ნადარეიშვილის განცხადებით, მან ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანაზე ან მათთვის მანდატის შეცვლაზე ისაუბრა და აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის დამამტკიცებელი მასალები გადასცა. რუსეთის ელჩის თქმით, მან აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ დღემდე უცნობი დეტალები შეიტყო.

## ჭორის შემსწავლელი კომისია

საქართველოს პრეზიდენტმა მის წინააღმდეგ შეთქმულების მზადების შესახებ ჭორის გავრცელების საქმეზე გამოძიება მოითხოვა. გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის საცხოვრებელ სახლში შეკრებილი ქვეყნის პასუხისმგებელი პირები პრეზიდენტის გადაყენების გეგმას აწყობდნენ. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ქვეყანაში ხელისუფლების უმაღლესი პირების წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს.

## ანტიკრიმინალური ოპერაციის მორიგი ეტაპი?

პოლიციის ქვედანაყოფებმა გორის ყველა გასასვლელი გადაკეტეს. მობილური ჯგუფები რეგიონში შემოვლით გზებსაც აკონტროლებენ. ბლოკპოსტების აქტიურად ამოქმედების მიზეზი შიდა ქართლში კრიმინალური ვითარების გართულება გახდა. ქართული მხარე ამაში ცხინვალის ხელისუფლებას ადანაშაულებს. რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, არჩილ იმერლიშვილის განცხადებით, რუსეთიდან ცხინვალში დიდი ოდენობით იარაღი შედის. შემდეგ იგი ადგილობრივი კრიმინალების ხელში ხვდება. ამასთან, ქართველი ძალოვნები მათ მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დამნაშავეების წინააღმდეგ ვერანაირ ოპერაციას ვერ ატარებენ. ქართულმა პოლიციამ ამის გამო კონფლიქტის ზონაში მიმოსვლის კონტროლი გაამკაცრა.

## საარჩევნო კოდექსის მორიგი ვარიანტი

პარლამენტარებმა — გიორგი თარგამაძემ და ვალერი გელბახიანმა, „აღორძინების" ბლოკისგან დამოუკიდებლად, ახალი საარჩევნო კოდექსის ვარიანტი წარმოადგინეს. 150-გვერდიანი დოკუმენტის მიხედვით, საერთოდ უნდა შეიცვალოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, კომისიების შემადგენლობა და ამომრჩეველთა სიების შედგენის პრინციპი. სიებზე პასუხისმგებლობა ერთდროულად პოლიციას, იუსტიციის სამინისტროს, სამხედრო სამსახურებს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და პენიტენციარულ სისტემას დაეკისრება. გელბახიანის პროექტის თანახმად, უნდა განხორციელდეს ამომრჩეველთა მარკირება, რაც გაყალბების შანსებს ნულამდე შეამცირებს. იმ შეთხვევაში, თუ ვინმე არჩევნებზე მისვლას თავს აარიდებს, მასზე ცენზი დაწესდება. ეს მაშინ, როცა პოლიტიკურ პარტიას ბოიკოტის გამოცხადების უფლება რჩება. ამჟამად კოდექსში ცვლილებების შეტანაზე პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფიც მუშაობს. კოდექსის ავტორები აცხადებენ, რომ მათი მომზადებული პროექტი ინტერფრაქციული ჯგუფის სამუშაო დოკუმენტი უნდა გახდეს.

## ისევ გრაფიკი

„ეი-ი-ეს თელასი" თბილისში ელექტროენერგიის მიწოდებაზე მკაცრი გრაფიკის დაწესების შესახებ ალაპარაკდა. ამერიკული კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ამის მიზეზი ლეიბორისტების განცხადება გახდა, რომლის საფუძველზეც მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახადზე უარს აცხადებს. როგორც „ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, კომპანიამ უდიდესი ზარალი განიცადა და ელექტროენერგიის იმპორტს ველარ ახორციელებს. ამასთანავე, თბოსადგურ „ეი-ი-ეს მტკვარს" ბუნებრივი აირის მარაგი ამოეწურა. „ეი-ი-ეს"-მა ახალი ტარიფის შესახებ სემეკის მიერ წარმოდგენილი განაცხადიც გააპროტესტა, რომლის მიხედვითაც ამერიკულ კომპანიას ტარიფში საკუთარი წილიდან ათი პროცენტი აკლდება.

## ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი

ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე სხვათა შორის აღნიშნა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით მოძიებული მასალები ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს და რომ ანზორ ბალუაშვილი თურმე პროკურატურიდან გასაშვები კაცი არ ყოფილა. როგორც ცნობილია, სწორედ ანზორ ბალუაშვილი ხელმძღვანელობდა აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შემსწავლელ საგამოძიებო კომისიას. აღნიშნულთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურაში 150-ტომიანი საქმე ინახება. თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ კვირაში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ სასტიკი დანაშაულობების გამოძიების საჭიროებაზე ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის კომისარმა, ვანესა დეროამაც ისაუბრა, გამორიცხული არ არის, საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზი სეპარატისტების საქმე ჰააგაშიც გაირჩეს. რაც შეეხება სეპარატისტებს, ისინი უკან დახევას არ აპირებენ — ვალერი შამბას განცხადებით, აფხაზურ მხარეს არანაკლებ არგუმენტირებული დოკუმენტაცია გააჩნია, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ ვინ წამოიწყო აფხაზეთის ომი.

## ხულიგნობა თუ პოლიტიკური ტერორი?

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიცია ერთს ამტკიცებს, სააკაშვილის მომხრეები მეორეს, ხოლო გაზეთ „ახალი თაობის" კორესპონდენტი გიორგი უძილაური კი მესამეს. საკრებულოს ვერსიით, უძილაური მერიასთან ნასვამ მდგომარეობაში მივიდა და ხმამაღალი გინებით საკრებულოს თავმჯდომარეს მოუხმობდა, რის შემდეგაც იგი პოლიციამ დააკავა. თავად კორესპონდენტის განცხადებით, იგი საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნის შემდეგ სამსახურებრივი მიზნით სააკაშვილთან შეხვედრას გეგმავდა და იმის გამო, რომ მიხეილ სააკაშვილთან დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებს, თავს უფლება მისცა, მისთვის სახელით მოეხმო. ამით ისარგებლა სააკაშვილმა და ანგარიშსწორების მიზნით, პირად დაცვას უძილაურის შეპყრობა უბრძანა. პოლიციამ უძილაური ნარკოლოგიურ ცენტრში წაიყვანა, სადაც ჟურნალისტს მსუბუქი ხარისხის ნასვამობა დაუდგინდა.

## ქართველმა მეზღვაურებმა ტყვეობას თავი დააღწიეს

მიუხედავად იმისა, რომ გემ „ჟენლილის" მფლობელმა ბერძნულმა კომპანიამ სომალელ მეკობრეებს მოთხოვნილი 100 ათასი დოლარი გადაუხადა, 6 ქართველი მეზღვაური კვლავაც ტყვეობაში რჩებოდა, რადგან მეკობრეებმა კიდევ 15 ათასი დოლარის დამატება მოითხოვეს (100 ათასი დოლარი სომალიში არაბმა შუამავალმა ჩაიტანა, რისთვისაც მან სწორედ 15 ათასი დოლარი აიღო. როგორც ჩანს, მეკობრეებმა დანაკლისის შევსება მოინდომეს). მოგვიანებით, ბერძნებმა მოთხოვნილი თანხაც გადაიხადეს და ქართველი მეზღვაურები ტყვეობიდან დაიხსნეს. გასული წლის 20 ივლისიდან ტყვეობაში მყოფი 6 ქართველი მეზღვაური სამშობლოში დაახლოებით 10 დღეში დაბრუნდება.

## „კვირის პალიტრის" რედაქციას

რუბრიკით „ანიდან ჰოემდე" გამოქვეყნებული იქნა ჩვენი პასუხი მოქალაქის შეკითხვაზე წყლის დავალიანების ჩამოწერის შესახებ. ჟურნალისტთან სატელეფონო საუბრის გამო პასუხი ამომწურავი ვერ აღმოჩნდა და მოსახლეობის პრეტენზიები გამოიწვია. შპს „თბილწყალკანალი" აზუსტებს, რომ 2001 წლის დავალიანება იმ შემთხვევაში ჩამოიწერება, თუ მოქალაქე აიღებს ვალდებულებას, 2002 წლის დავალიანება 6 თვის მანძილზე სრულად დაფაროს. გარდა ამისა, მან უნდა წარმოადგინოს მიმდინარე წლის სრულად გადახდილი ქვითრებიც.

**შპს „თბილწყალკანალის" საინფორმაციო ცენტრი**

## პაუელის არგუმენტაციაში საქართველოც აღმოჩნდა...




გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა სადამ ჰუსეინზე ვაშინგტონის მიერ შეგროვებული მასალები გამოაქვეყნა. სახელმწიფო მდივანმა დამსწრეთ რამდენიმე სატელეფონო საუბარი მოასმენინა, რომლებიც ამერიკის დაზვერვის სამსახურმა საწარმოების ინსპექტირებისას გააკეთა. სატელეფონო ჩანაწერების გარდა, პაუელმა ფოტოებიც წარმოადგინა. საათნახევრიანი გამოსვლით სახელმწიფო მდივანი კიდევ ერთხელ შეეცადა სტრატეგიულ პარტნიორთა სიის გაზრდას. კოლინ პაუელმა ერაყი „ალ-ქაიდას" ლიდერებთან აქტიურ კავშირში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, პანკისის ხეობაში მყოფი „ალ-ქაიდას" გავლენიანი პირები ტერორისტებს ინსტრუქტაჟს უტარებდნენ. მოგვიანებით, იგივე გაიმეორა თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც.

## ზაკაევს „თავისუფლების პასპორტი" მისცეს...

ევროპარლამენტის დელეგაციამ ლონდონში ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერს აჰმედ ზაკაევს ევროპის „თავისუფლების პასპორტი" გადასცა. დეპუტატების თქმით, ევროპის პარლამენტს უნდოდა მიენიშნებინა, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთი გზა — მოლაპარაკებაა. ზაკაევის განცხადებით, „თავისუფლების პასპორტის" გადაცემამ მას იმის იმედი ჩაუსახა, რომ ევროპამ შეიგრძნო თავისი პასუხისმგებლობა ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

## რუსები ერაყის მხარეს იბრძოლებენ?

ერაყის ოფიციალური და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში, აბას ხალაფი აცხადებს, რომ რუსეთის 2500-მა მოქალაქემ ოფიციალური განცხადების საშუალებით ერაყში, ჰუსეინის ჯარების მხარეზე ბრძოლის სურვილი გამოთქვა. აბას ხალაფმა განცხადებები ერაყში გადააგზავნა. მისი თქმით, თუ სადამ ჰუსეინი რუსი ხალხის მიერ დახმარების გაწევაზე დათანხმდება, იგი დაუყოვნებლივ გასცემს ვიზებს ერაყში ბრძოლის მსურველთათვის.

## ტერაქტები გრძელდება

ნიგერიაში აფეთქებული სავაჭრო ცენტრის ნანგრევებში სამაშველო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ლაგოსში სავაჭრო ცენტრის აფეთქებას სულ მცირე 30 ადამიანი ემსხვერპლა, ახლოს მდებარე სამი საცხოვრებელი სახლი კი მიწასთან გასწორდა. 40-მდე ადამიანი საავადმყოფოში მოათავსეს. წითელი ჯვრის წარმომადგენელთა ინფორმაციით, მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს, რადგან ნანგრევებში ადამიანები კიდევ შეიძლება იყვნენ...

20 ადამიანი ემსხვერპლა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მომხდარ ტერაქტს. ასზე მეტი დაიჭრა. აფეთქება ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღამის კლუბში მოხდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

# ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გავუყავით ძლიერ სახელმწიფოებს და ჩვენსავე ტერიტორიაზე „ვაჭიდავებთ“...

***...იმ ქვეყნებში, რომლებიც საერთაშორისო დახმარებას ითხოვენ, უნდა იყოს ბრძნული მმართველი ძალა, რომელიც არ დაუშვებს ამ დახმარების არამიზნობრივ გამოყენებას...***

***...სიღარიბე, როგორც ასეთი, ღარიბი ხალხისგან ტერორისტებს და მკვლელებს ვერ შექმნის, მაგრამ სიღარიბეს და კორუფციას შეუძლია სუსტი სახელმწიფოები ხელმისაწვდომი გახადონ ტერორისტული ქსელებისა და ნარკოტიკების კარტელების შესაქმნელად მათი საზღვრების ფარგლებში...***

*ამონარიდი „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგიიდან“. თეთრი სახლი, 2002 წელი*

ევროპელი ანალიტიკოსები დაუფარავად აფიქსირებენ, რომ მასობრივი განადგურების, ბიოქიმიური თუ ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის მიღმა სპარსეთის ყურეში მდგომარეობის ესკალაციის მთავარი მიზეზი ნავთობი და, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო პოლიტიკური გავლენის განმტკიცებაა, რომელიც მდიდარ ევროპას, რუსეთს, ჩინეთს და „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებსაც ერთნაირად შეეხებათ. გასული საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, მდიდარი ევროპა შინაეკონომიკურ სტაბილურობაზეა ორიენტირებული და გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის რესურსებს არ გაიმეტებს — ყოველ შემთხვევაში, იმ რაოდენობით, რაც საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად სჭირდება. რუსეთს ასეთი რესურსები, ცხადია, არ გააჩნია; ასეც რომ არ იყოს, უახლოესი წარსული მოწმობს, რომ კავკასიაში, საქართველოს სახით, სრულფასოვანი სახელმწიფოს არსებობა ჩრდილოელი მეზობლის გეგმებში არ შედის. ბოლო ხანს ჩინეთი საქართველოს მიმართ გარკვეულ ინტერესს იჩენს, მაგრამ ეს უფრო ზესახელმწიფოს ამბიციით არის გამოწვეული და რეალურ საჭიროებაში ისე მოიქცევა, როგორც 1921 წელს ევროპა მოგვექცა. სპარსეთის ყურეში მომწიფებულ საომარ ვითარებას ბევრი მესამე მსოფლიო ომის დასაწყისად მიიჩნევს და აპოკალიფსის ზმანებით შეპყრობილი — მისი სასტიკი წინააღმდეგია. ზოგიერთი ქვეყანა კი მოვლენებს უფრო პრაგმატულად აფასებს და ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულ ომში თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს, მსოფლიოში უალტერნატივოდ დარჩენილ ზესახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს — გვერდით დაუდგეს. საქართველოს პრეზიდენტმა მეორე პოზიცია

> **თუ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებაში მარიონეტულად განწყობილი ხალხის მოყვანა მოახერხა, მერე რაღა იქნება... რასაც უნდა, იმას დააკანონებინებს და აჩუქებინებს. ხოლო კრემლს რომ ბევრი რამ უნდა, მგონი, სადავო არ უნდა იყოს.**

აირჩია. თანამედროვე მსოფლიოში გეოპოლიტიკური გადანაწილების პროცესი საკმაოდ მოურიდებლად და უცერემონიოდ მიმდინარეობს. საერთაშორისო შეხვედრებზე ძლიერ სახელმწიფოთა მეთაურები თავის პოზიციას და სურვილს ყოველგვარი დიპლომატიური შენიღბვის გარეშე გამოთქვამენ. ასეთ ვითარებაში პატარა ქვეყნებს განსაკუთრებული პოლიტიკური ალღოს და მოქნილი დიპლომატიის გამოჩენა მართებთ, რადგან ვეშაპების გვერდიგვერდ ცურვა ლიფსიტისთვის არც ისე უხიფათოა; მით უმეტეს, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის მიერ ერაყთან ომის აუცილებლობაში მსოფლიოს დასარწმუნებლად მოყვანილ არგუმენტებს შორის საქართველოც აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ საქართველოში არათუ პოლიტიკური ალღო და დიპლომატია, თვით პოლიტიკოსებიც კი ჩამოყალიბების პროცესში არიან. ალბათ ეს ლოგიკურიც არის — შეუძლებელია, თავისუფლება „ხონჩით მოგართვან“ და მომდევნო ათი წლის მანძილზე პირადი ქონების დაგროვებას, ქვეყნის ეკონომიკა-თავდაცვის განმტკიცებას და სტრატეგიის განსაზღვრას ჯერ რიგითობა მიუჩინო, შემდეგ კი განახორციელო. ქართულმა პოლიტიკურ-ჩინოვნიკურმა ელიტამ ზემოაღნიშნულ საკითხთა რიგითობაში არჩევანი არა მარტო ქვეყნის, საკუთარი თავის წინააღმდეგაც გააკეთა — ის ჯერ კიდევ პირად ქონებას აგროვებს. როდესაც რაიმეს ჰქმნი, თუნდაც საკუთარ დოვლათს, ლოგიკური იქნება, ჯერ უნდა მოიფიქრო, ამ სიმდიდრეს სად შეინახავ და როგორ გამოიყენებ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საკუთარ საშოვარზე გადაგებულებს ერთხელაც იქნება, ეს ქვეყანა თავზე დაგვექცევა და სახელმწიფოს ხარჯზე მოხვეჭილ მილიონებს თუ ბაზრობაზე წვალებით მოგროვილ კაპიკებსაც ქვეშ ერთნაირად მოიყოლებს. „კვირის პალიტრის“ პუბლიკაციებში არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა გადამწყვეტ ეტაპზე იმყოფება, რომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში რუსეთი ყველანაირად ეცდება, დრო თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. შეუძლებელია, საქართველოში ვინმეს მშვიდად მოესმინა ტელევიზიით გადმოცემული, ტრადიციულად, არყით გალეშილი და ეგზალტირებული ჟირინოვსკის მოწოდება ამერიკისადმი — ჯორჯ, თავი გაანებე ერაყს, სჯობს ბაქოს და თბილისს ერთად დავარტყათო... ალბათ ზოგიერთები კვლავაც იტყვიან, ჟირინოვსკი მთელი რუსეთი არ არისო. ჟირინოვსკი მართლაც არ არის რუსეთი. ის, უბრალოდ, რუსეთის ინფექციური გამონაყარია. თავად ინფექცია კი, რომლითაც რუსეთია დაავადებული, არ იკურნება და მას ველიკოდერჟავიზმი ეწოდება.

საქართველოსთან დაკავშირებით საერთაშორისო და შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე საუბარი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ირაკლი ბათიაშვილთან გადავწყვიტეთ, რადგან შექმნილი საერთაშორისო ვითარება ჩვენი ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებასთან პირდაპირ კავშირშია. რაც შეეხება საშინაო ვითარებას, უფრო სწორედ კი, ბაქქანალიას — გასულ კვირაში **ირაკლი ბათიაშვილი** პოლიტიკური პერიპეტიების მთავარი ფიგურა იყო.

— **საქართველოს პრეზიდენტის მიერ ანტიკრიმინალური ოპერაციის მონაწილეთა დაჯილდოებას და დადებით შეფასებას კოლინ პაუელის მოხსენება დაემთხვა, სადაც პანკისის ხეობა ტერორიზმის ერთ-ერთ ბუდედ იყო მოხსენიებული. როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელი დიპლომატის გამოსვლა რუსებმა აიტაცეს და სერგეი ივანოვმა პანკისში არსებულ „ბინ ლადენის სახელობის ტერორისტულ აკადემიაზე“ მორიგი ოდიოზური განცხადება გააკეთა...**



— ტერორისტების მიერ რუსეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ცინიზმისგან ნამდვილად შორს ვიქნები, მაგრამ ფაქტია, რამდენადაც რუსი მაღალჩინოსნები პანკისის ხეობასთან დაკავშირებით მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ და იქ ტერორისტების ყოფნას აპროტესტებენ, რეალურად იმდენადვე სურთ პანკისში დაძაბულობის შენარჩუნება და ყველაფერს აკეთებენ, რომ ხეობა ტერორისტულ და კრიმინალურ ანკლავად დარჩეს. რუსეთს ხელს არ აძლევს ტერორიზმის არსებობა თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ტერორისტების პანკისში ყოფნას მისთვის სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება კოლინ პაუელის განცხადებას — კრემლისგან განსხვავებით, თეთრი სახლის ადმინისტრაცია განცხადებებს ფანტაზიაზე არ აგებს. იგი ამერიკული სპეცსამსახურების მიერ მოპოვებულ, რეალურ ცნობებს ეყრდნობა, რომლებთანაც, სხვათა შორის, საქართველოს უშიშროება აქტიურად თანამშრომლობს. თავის დროზე ჩეჩნეთის ომისა და მისი მდევარეობის გამო, პირველ რიგში კი რუსეთის მონდომებით, პანკისის ხეობაში მართლაც ტერორისტულ-კრიმინალური ანკლავი იყო შექმნილი. იქ რამდენიმე კატეგორიის პირები იმყოფებოდნენ — ჩეჩენი „ბოევიკები“ და მათი საკმაოდ გავლენიანი საველე მეთაურები, ჩეჩნეთიდან ომს გამორიდებული ნარკობიზნესით და ყაჩაღობით დაკავებული წვრილფეხობა, საერთაშორისო ტერორიზმში ცნობილი რამდენიმე ოდიოზური ფიგურა აღმოსავლური სამყაროდან (არაბები, ავღანელები, თურქები...), საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული კრიმინალები და ადგილობრივი ქისტი „ნარკობარონები“. რასაკვირველია, ეს „ფენები“ არა მკაცრად დიფერენცირებული, არამედ ერთმანეთში აზელილი იყო. ჯერ კიდევ ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყებამდე ქართული სპეცსამსახურების მიერ სხვადასხვა სახის ფარული, ოპერატიული ღონისძიებები ჩატარდა. დეტალებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, მათი შედეგი კი ის იყო, რომ ხეობაში მყოფი საველე მეთაურების და ტერორისტების დიდმა ნაწილმა, ერთმანეთთან შეიარაღებული დაპირისპირების და ქართველ ძალოვანთა მხრიდან რეალური საფრთხის დანახვის გამო, გაცლა ამჯობინეს. ამის შემდეგ ხეობაში შინაგანი ჯარი განთავსდა და მისი მხარდაჭერის ფონზე დარჩენილი ჯგუფების მიმართ წმინდა სამართალდაცვითი ხასიათის ღონისძიებები გატარდა — მუშაობდა უშიშროება, სპეცდანიშნულების ჯგუფები, პოლიცია... ნაწილი ხალხისა დააპატიმრეს, ზოგიერთი ჯგუფი კი ლიკვიდირებულ იქნა. ამდენად, ანტიკრიმინალურ ოპერაციას საკმაოდ წარმატებული შედეგი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით პანკისში მაინც რჩება ძალიან მცირე ნაწილი ზემოთ ნახსენები ელემენტებისა, ფაქტია, რომ ხეობაში თავისუფალი გადაადგილება შესაძლებელია. მაგრამ დათბობამდე ცოტა დრო რჩება და ხეობაში დარჩენილი ჯგუფების მიმართ სასწრაფო, გადამწყვეტი ღონისძიებები უნდა ჩატარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ბაზაზე ჩეჩნეთიდან გადმოსული ახალი ჯგუფები დაფუძნდება და მეტასტაზების პრინციპით გავრცელდება. საქართველოს ახლა ყველაზე კრიტიკული პერიოდი უდგას. რუსეთი ყველანაირად ისარგებლებს მომენტით, სანამ ამერიკა სპარსეთის ყურის კონფლიქტით იქნება დაკავებული. მისი სტრატეგია ამ დროის განმავლობაში რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება. ერთ-ერთი მათგანი კი პანკისია. ჩემი ინფორმაციით, რუსული სპეცსამსახურები საქართველოსკენ ჯერ „ბოევიკთა“ ახალ ჯგუფებს გადმოდევნიან, შემდეგ კი, გამორიცხული არ არის ისარგებლონ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული დევნის დროს „გადმოყოლის“ პრინციპით და ამერიკას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს ტერიტორიაზე „დაეხმარონ“... მით უმეტეს, რომ რუსული გენერალიტეტი, ოდიოზური განცხადებებით, საამისო ფონის შექმნას უკვე ცდილობს.

— **თქვენ მიერ ნახსენებ კრიტიკულ პერიოდში რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზემოქმედების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მიმართულებად აფხაზეთი რჩება. შეიძლება ითქვას, რომ არსებულ საერთაშორისო ვითარებაში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველო რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩა. ქართული მხარე უშედეგოდ ცდილობს, რუსეთთან დაკავშირებით სხვადასხვა დონეზე გამართულ მოლაპარაკებებში სასურველ შედეგს მიაღწიოს... როგორც ჩანს, სოხუმთან დაკავშირებით კრემლი სერიოზულ პროვოკაციებს გეგმავს...**

— უნდა გითხრათ, რომ სოხუმთან მიმართებაში მოსკოვი ამჟამად არაფერს გეგმავს, რადგან აფხაზეთის ანექსია უკვე დაგეგმილიც არის და ხორციელდება კიდეც. ამ გეგმის შედეგად რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში მოგებული დარჩება — თუ საქართველოზე გავლენას მოიპოვებს, აფხაზეთის სახით კვლავაც ისტორიული ნაღმი ექნება. თუ რუსულ გავლენას თავი დავაღწიეთ, აფხაზეთის ექსპანსია რუსეთს მით უმეტეს გამოადგება. რკინიგზა და პასპორტიზაცია მხოლოდ მომდევნო რგოლია იმ თანამიმდევრული პოლიტიკისა, რასაც რუსეთი ახორციელებს. მოსკოვიდან სოხუმში ჩადიან ოფიციალური დელეგაციები, აფორმებენ ე.წ. სავაჭრო და ეკონომიკურ ხელშეკრულებებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს აფხაზეთის ინვესტირება მომგებიანი ვერ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ქონების სამინისტრომ გაუქმებულად გამოაცხადა უცხოელების მიერ აფხაზეთში შეძენილი უძრავი ქონება, ყოველივე აფხაზეთის რუსეთში ინტეგრირებას ემსახურება და საკმაო წარმატებითაც.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ესკალაციაზე ცხინვალში მიმდინარე მოვლენებიც მეტყველებს. მაგრამ სამაჩაბლოში სამხედრო ძალების კონცენტრაციას კრემლი თბილისზე გავლენისთვის ვერ გამოიყენებს. სოხუმთან მიმართებაში კი საქმე გაცილებით რთულადაა. ხატოვნად რომ ვთქვათ, რუსეთმა ტორი დაადო აფხაზეთს და მისი „დაყოლიება“ ძალიან ძნელი იქნება. საქართველომ რუსეთთან ურთიერთობაში თავიდანვე მცდარი გზა აირჩია. დააკვირდით, რა ხდება — სტაბილურობა პანკისის ხეობაში, აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და ახალქალაქში კრემლის „ხუშტურზეა“ დამოკიდებული და, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, მის კონტროლზეა. საქართველოს დანარჩენ ნაწილში კი გამალებული ამერიკანიზაცია მიმდინარეობს. გამოდის, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გავუყავით ძლიერ სახელმწიფოებს და ჩვენსავე ტერიტორიაზე „ვაჭიდავებთ“. ამ პრინციპით არის დაყოფილი ქართული პოლიტიკური საზოგადოებაც — პროამერიკულად და პრორუსულად. საკუთარ ოჯახში ხალხი რომ შემოიყვანო და აჩხუბო, იგივეა — თან, ოჯახის წევრთა ნაწილი ერთ მხარეს გულშემატკივრობდეს, მეორე კი — მეორე მხარეს. რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ საბოლოოდ, ჩხუბის შედეგად ყველაზე მეტად სახლი დაზიანდება... რაც მთავარია, ამერიკის ინტერესებში არანაირად არ შედის, თბილისმა რუსეთს ომი გამოუცხადოს. ჩვენ უნიკალური შანსი გვაქვს — მსოფლიოში აღიარებული ჰეგემონის, ამერიკის სახით. ვაშინგტონი ხვდება, რომ საქართველოს სახით მოუწესრიგებელი და უპასუხისმგებლო პარტნიორი ჰყავს, რომ ქართველი ჩინოვნიკები მის მიერ გადახდილ ფულს იჯიბავენ. მიუხედავად ამისა, მაინც მხარდაჭერას გვიცხადებს. ალბათ სამმხრივი მოლაპარაკების გამართვა ყველაზე გონივრული იქნებოდა, რის შედეგადაც, ამერიკული ორიენტაციის აღების შემთხვევაში, რუსეთი საქართველოსგან თავის გარანტიებს მიიღებდა.

— **მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან გარანტიის მისაცემად აუცილებელი ერთიანობა საქართველოში არ არსებობს. პოლიტიკური პარტიები საქმის კეთებას სახელის კეთებას ამჯობინებენ და ვერ აცნობიერებენ, რომ ეს ცნებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ალბათ ამიტომაც, რუსეთი ცდილობს, პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნიკური ბერკეტების ამოქმედებით საქართველოსთან უფრო მეტს მიაღწიოს, ვიდრე გარანტიებზე დაყრდნობილი თანამშრომლობაა.**

— პუტინი ლამის პირდაპირ ამბობს, რომ ქართველი ხალხისადმი ძალიან კარგად არის განწყობილი და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ყველა პრობლემის სათავე საქართველოს ხელისუფლება და პრეზიდენტია. აქედან გამომდინარე, ლოგიკური დასკვნები მკითხველმა გააკეთოს... ჩვენ არ ვართ ისეთი ქვეყანა, რომ დღევანდელი სიღატაკე უსასრულოდ გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ, უსინათლობა, სიცივე და უფულობა მომავალ თაობებს აღარ ემახსოვრებათ. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მომავალ თაობებს აღარც დაკარგული ტერიტორიები ემახსოვრებათ და ყველაზე დიდი საშიშროებაც ეს არის. დღეს ხომ ვხედავთ, რასაც აკეთებს და, თუ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებაში მარიონეტულად განწყობილი ხალხის მოყვანა მოახერხა, მერე რაღა იქნება... რასაც უნდა, იმას დააკანონებინებს და აჩუქებინებს. ხოლო კრემლს რომ ბევრი რამ უნდა, მგონი, სადავო არ უნდა იყოს. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენები გარანტიის თავდებას, ამ მხრივ საქმე საკმაოდ რთულადაა. განა შეიძლება დაუსრულებლად ვიმსჯელოთ ამერიკაზე, რუსეთზე, ერაყზე?.. რატომღაც გვგონია, რომ ბუში რაღაცას ეტყვის პუტინს ყურში, მერე პუტინი კრემლში არძინბას დაიბარებს და ყველაფერი კარგად იქნება... ამხელა ომი წავაგეთ და ამდენი სისხლი დაიღვარა, ბავშვის უმაღლესში მოწყობაზე ხომ არ არის ლაპარაკი... საერთაშორისო პოლიტიკაში კი არა, აქ, საქართველოში, თბილისშია მთავარი პრობლემა გადასაწყვეტი. როდესაც წლების განმავლობაში აფხაზეთთან მიმართებაში ხელი არ გაგინძრევია, რუსეთს როგორ გინდა, ელაპარაკო? მხოლოდ იდეის ანაბარა? — ისტორიულად საქართველოს კუთვნილი ტერიტორია იყო და უნდა დამიბრუნოო?! არ აინტერესებს ამ ხალხს შენი ისტორია, წართმევაზე და წაგლეჯაზეა გადასული. ისე უნდა გაგვეხადა საქმე, რომ აფხაზეთი რუსეთისთვის ზედმეტ ტვირთად ქცეულიყო და სურვილი გასჩენოდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან. დღეს კი, მოსკოვში ჩასულ დელეგაციებს რა კოზირი უჭირავთ ხელში — ქურდბაცაცებად და კონტრაბანდისტებად ქცეული ვითომ პარტიზანები? თუ დახლეჩილი და გათითოკაცებული პოლიტიკური პარტიები, ამ ქვეყანას ყველა თავისკენ რომ ექაჩება?

— **კრიტიკულ პერიოდს საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებაც დაერთო. ქართულ პოლიტიკაში ყურადღების მიპყრობას ყველა თავისებურად ცდილობს — ზოგი ჯორბენაძესთან დაგეგმილ შეთქმულებაზე ლაპარაკობს, ზოგი სხვა პარტიებში მიმდინარე შეიარაღებული რაზმების გამალებულ წვრთნაზე. „ახალი მემარჯვენეებისგან“ თქვენი წამოსვლის შემდეგ პარტიის ოფისში მომხდარი ინციდენტი კი ხელისუფლებას მიაწერეს...**

— „მემარჯვენეების“ ოფისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ჩემი პოზიცია ცხადზე ცხადია — მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მხრიდან და პარტიიდან, თუ შეიარაღებულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. მაგრამ შიდაპარტიული შეკამათება და ამ დროს თუნდაც მაგიდის ამობრუნება, ან მინის ჩამსხვრევა, ჩემი აზრით, საყოველთაო აჟიოტაჟის საგანი არ უნდა გამხდარიყო — ხომ ყველამ კარგად იცის, რომ კობა კვაჭანტირაძე მემარ-

> **ისე უნდა გაგვეხადა საქმე, რომ აფხაზეთი რუსეთისთვის ზედმეტ ტვირთად ქცეულიყო და სურვილი გასჩენოდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან. დღეს კი, მოსკოვში ჩასულ დელეგაციებს რა კოზირი უჭირავთ ხელში — ქურდბაცაცებად და კონტრაბანდისტებად ქცეული ვითომ პარტიზანები? თუ დახლეჩილი და გათითოკაცებული პოლიტიკური პარტიები, ამ ქვეყანას ყველა თავისკენ რომ ექაჩება?**

ჯვენეთა აქტივისტია და ვის სჭირდება მისი ტერორისტად შერაცხვა, ან ციხეში ჩასმა, არ მესმის... აუცილებელია, მომხდარის დეტალური შესწავლა, შემდეგ კი პროვოკატორთა და უდანაშაულოთა დიფერენციაცია. რაც შეეხება შეთქმულებებს და პარტიათა შორის გამალებულ შეიარაღებას: კანცელარიის კარის ინტრიგების გარჩევას არ დავიწყებ, პარტიების მიერ შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა კი მართლაც საშიში ტენდენციაა. როგორც ვთქვით, მოახლოებული არჩევნები ბევრ რამეს გადაწყვეტს და ჩვენი მეზობელი სახელმწიფოც ეცდება, შედეგებში სათავისოდ სასარგებლო წვლილი შეიტანოს. თავის დროზე, ეროვნული მოძრაობის ლიბანიზაციასა და შეიარაღებაში რუსეთმა გადამწყვეტი როლი შეასრულა და მიზანსაც მიაღწია. დღეს, ასე თუ ისე, საკანონმდებლო ბაზა და საზოგადოებრივი აზრი მაინც არსებობს საიმისოდ, რომ პირად დაცვას თუ კერძო დეტექტივის შირმას ამოფარებული შეიარაღებულ-გაწვრთნილი რაზმები ნეიტრალიზებულ იქნეს.

*დაჩი გრძელიშვილი*

CMYK

# საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თელასს უჩივის...

*შესაძლოა სულ მალე თბილისი მსოფლიოში ყველაზე კურიოზული დედაქალაქის სტატუსით გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდეს. უკვე საყოველთაოდ ცნობილი თბილისური არაორდინარული მოვლენების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ და პირდაპირ მოგახსენებთ: დედაქალაქში განთავსებულ სასამართლოებში შეიძლება საჩივრების „ეპიდემია“ დაიწყოს, რასაც ალბათ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიერ „ეი-ი-ეს თელასის“ წინააღმდეგ სასამართლოში წარდგენილი სარჩელი დაუდებს სათავეს.*

ლეიბორისტების ცნობილ სარჩელზე „ეი-ი-ეს თელასის“ წინააღმდეგ გადაწყვეტილება მოსამართლე ავთანდილ აბაშიძემ გამოიტანა, რომელსაც თელასმა დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო დენის მიწოდება შეუწყვიტა. მოსამართლემ თავი დაზარალებულად გამოაცხადა და სასამართლოში ჩივილი გადაწყვიტა. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად **ავთანდილ აბაშიძეს** ვესაუბრეთ:

**— ბატონო ავთანდილ, ნამდვილად აპირებთ „ეი-ი-ეს თელასის“ წინააღმდეგ ჩივილს?**

— დიახ. ორშაბათიდან მივხედავ ამ საქმეს!

**— რა მიზეზით გამოგირთეს ელექტროენერგია, ლეიბორისტების სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოოო განჩინების გამო თუ ურჩი გადამხდელი ბრძანდებით?**

— ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც მაგ სასამართლო გადაწყვეტილების გამო გამითიშა დენი თელასმა. შესაძლოა, არც იცოდნენ, ვინ იყო აბონენტი. მე გადახდილი არ მქონდა დახარჯული ელენერგიის საფასური და 1-ელ მარტამდე არც გადავიხდი.

**— თქვენი პროტესტის მოტივი რა არის?**

— ის, რომ 1-ელი მარტის შემდეგ შესაძლოა, დაზარალებული აღმოვჩნდე და ტარიფით განსაზღვრულზე მეტი მქონდეს ენერგოკომპანიისთვის გადახდილი. 30 დეკემბერს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ გაზრდილი ტარიფის გამო ელექტროენერგიის ღირებულების შესახებ ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურია და შესაბამისად, ძალადაკარგულად ითვლება 2003 წლის 1-ელ მარტამდე. ეს არის ბოლო ვადა, რომელიც სასამართლომ სემეკსა და „ეი-ი-ეს თელასს“ მისცა ელექტროენერგიის ახალი ტარიფის დასადგენად. ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ ორ კვირაში და ახალი ტარიფის პროცესი მარტამდე არ გაეჭიანურებინათ.

**— თუ ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად ითვლება, გამოდის, რომ 1-ელ მარტამდე არავინ არ უნდა გადაიხადოს ელენერგიის საფასური?**

— ეს თითოეული მოქალაქის სურვილის შესაბამისად შეიძლება მოხდეს. ვისაც უნდა, გადაიხდის და თელასს არა აქვს უფლება, 1-ელ მარტამდე ვინმეს დენი გამოურთოს. თუ მაინც გამორთავს, დაზარალებულს შეუძლია სასამართლოში იჩივლოს და პასუხი მოსთხოვოს მისი უფლებების დამრღვევ ენერგოკომპანიას. ჩემი აზრით, კანონით და სამართლით ელექტროენერგიის ტარიფი 6 თეთრზე მეტი არ უნდა იყოს. თბილისის მოსახლეობას უსამართლოდ ახდევინებენ 14 თეთრს, მთელი საქართველოს მოსახლეობა კი 8 თეთრს იხდის. თბილისს რატომ სწოვენ სისხლს წურბლებივით, რა ნახეს ამ ქალაქში, გაუგებარია!..

**— ოდესმე კიდევ შეიძლება 6 თეთრი გახდეს ელენერგიის საფასური?**

— ეს თბილისის და საქართველოს მოსახლეობაზეა დამოკიდებული და არა ჩემზე.

P.S. როგორც ჩანს, გაზაფხულის იმედად ყოფნის ტრადიცია ჩვენში კვლავაც გრძელდება. 1-ელ მარტამდე 18 დღე დარჩა. ძნელი სათქმელია, რა განაჩენს გამოგვიტანენ სემეკისა და „ეი-ი-ეს თელასის“ მესვეურები. როგორც ზოგიერთი თბილისელი ვარაუდობს, შესაძლოა, მალე მუდმივად სანატრელი ელექტროენერგია ყელამდე გვქონდეს, მაგრამ მისი დანახვის სურვილიც კი გაუქრეს ბევრს, უბრალოდ, მისი სიძვირის გამო... ამით ისევ ჩვენ დავზარალდებით და არა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა, სადაც ელექტროენერგიის ტარიფი თურმე 3-დან 5 თეთრამდე მერყეობს და თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, იმასაც საქართველოს ბიუჯეტიდან იხდის ჩვენი ხელისუფლება.

***ეკა ლომიძე***

# „იმ მეხანძრეს გაუმარჯოს, ვინც ცეცხლს გაექცევა და წყალში დაიხრჩობა!..“

თურმე არაჩვეულებრივი რეჟისორის — გურამ პატარაიას მიმართ წყენა ჯერაც არ განელებიათ ქართველ მეხანძრეებს. საქმე ისაა, რომ კეთილი იუმორით აღსავსე ფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ ცეცხლთან მებრძოლებმა „დაიწუნეს“ და პროტესტის ნიშნად მისი დაწყებისთანავე სხვა არხზე რთავენ ტელევიზორს.

— ეგ ფილმი არ მიხსენოთ, თორემ... — ისეთი ბრაზი გაერია ხმაში პროფესიონალ მეხანძრეს, რომ, ცოტა არ იყოს, შემეშინდა...

— რატომ გადაწყვიტეთ მეხანძრეობა?

— პატარაობიდან ვიცნობდი რამდენიმე მეხანძრეს და ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი მათ ვაჟკაცობას, 16 წლისამ მეც მეხანძრეობა გადავწყვიტე.

— ამას მომზადება და სპეციალური კურსების გავლა არ უნდა?

— დავამთავრე შინაგან საქმეთა სამინის-



ტროს აკადემია, გვქონდა პრაქტიკული მეცადინეობები...

— მაინც, ალბათ, ძნელია წინასწარ განსაზღვრო, რა დროს როგორ მოიქცევი...

— რა თქმა უნდა... სრულიად უცხო გარემოში ხვდები და ზოგჯერ წარმოდგენა არა გაქვს, რამ გამოიწვია ხანძარი...

— ხშირად ჩაგიგდიათ საფრთხეში თავი?

— ნებისმიერი ხანძარი ჩვენთვის საფრთხეა. როცა ცეცხლმოკიდებულ შენობაში შედიხარ, არ იცი, იქიდან ცოცხალი გამოხვალ თუ არა. შეიძლება ჭერი ჩამოინგრეს და შენც ჩაგიტანოს ან მაღალი ძაბვის კაბელთან მოხვდე და დენმა დაგარტყას.

— ბოლოს როდის გქონდათ ასეთი შემთხვევა?

— გუშინ. გამოვედი თუ არა, ნახევარ წუთში ჩამოინგრა ჭერი.

— ხშირად სპეციალური კიბით ჩამოგვყავთ ხალხი, არასოდეს არავინ გადმოვარდნილა?

— არა!.. 1996 წელს, როცა სასტუმრო „აფხაზეთი“ დაიწვა, ლეიტენანტმა ალეკო ამბროსიშვილმა ბავშვს ხელი დასტაცა, მეხუთე სართულიდან გადმოხტა და ხეზე დაეკიდა. ბავშვი რომ გაგვარდნოდა, რას იზამდიო, — ჰკითხეს, მეც ხელს გავუშვებდი ტოტსო, — უპასუხა. როგორც გემის კაპიტანი იღუპება მგზავრებთან ერთად, ასევე მეხანძრეც — თუ კაცი გადაუვარდა, თვითონაც გადაჰყვება...

— შიშის გრძნობა არ გეუფლებათ?

— ხანძრისას ყველანაირი შიშის გრძნობა მოხსნილი მაქვს.

— თქვენ თუ დართავთ მეხანძრეობის ნებას თქვენს შვილს?

— თუ მოინდომა, ყველანაირად ვეცდები, ხელი შევუშალო... ძალიან ძნელია და ყველა ვერ შეძლებს მეხანძრეობას.

— როგორი უნდა იყოს მეხანძრე?

— ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი.

— რატომ ქართველი, სხვა ერებსაც ხომ ჰყავთ მეხანძრეები... მაშინ იაპონელი იტყვის, მეხანძრე ნამდვილი იაპონელი ვაჟკაცი უნდა იყოსო.

— მანდ სხვაგვარად არის საქმე — იაპონელებს, გერმანელებს, ფრანგებს და ა.შ. ისეთი ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ, რომ ყოველმხრივ დაცულები არიან. ისინი XX საუკუნის დასაწყისშიც კი არ მუშაობდნენ ისეთ მძიმე პირობებში, ჩვენ რომ ახლა ვართ. ელემენტარული შეიარაღებაც არ გაგვაჩნია.

— რითი აქრობთ ხანძარს?

— წყლით, ქაფ-სითხით, ფხვნილით, გაზით, კომბინირებული საქრობით. სხვადასხვა კატეგორიის ხანძრის დროს სხვადასხვა მასა გამოიყენება — გააჩნია, რას აქრობ. მაგალითად, მაღალი ძაბვის დროს ფხვნილი უნდა გამოიყენო.

— დენის დარტყმისგანაც არ ხართ დაცული?

— არანაირად... ეს ყველაზე საშიში მომენტია.

— მუდმივად რა უნდა ჰქონდეს თან მეხანძრეს?

— კარაბინი, ცული და ლულა...

— თუ გქონიათ შემთხვევა, რომ ვერ გადაგირჩენიათ ადამიანი?

— გვქონია, მაგრამ ჩვენი ბრალი არ ყოფილა. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობა ჯერ თვითონ ცდილობს ხანძრის ჩაქრობას და ჩვენ მერე გვატყობინებენ. ამიტომ გვიანდება ჩაქრობის პროცესი.

— ყველაზე ხშირად რა იწვევს ხანძარს?

— ჩვენს სინამდვილეში, ძირითადად, დენი და გაზი.

— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა მარტო ბავშვები იყვნენ სახლში?

— ერთხელ სამმა პატარამ შუა ოთახში ქაღალდებს წაუკიდა ცეცხლი, ჭიაკოკონობააო. ცეცხლი გადავიდა ფარდებზე... საბედნიეროდ, სამივე გადავარჩინეთ.

— თბილისში ყოველდღეა ხანძრის შემთხვევა?

— სამწუხაროდ, დღე არ გავა, ერთი ხანძარი მაინც არ დაფიქსირდეს.

— თითო რაიონს რამდენი სახანძრო მანქანა ჰყავს?

— საშუალოდ ორი... თუ სხვა რაიონს გაუჭირდება, აუცილებლად ვეხმარებით მუშახელითაც და მანქანითაც. სამი კატეგორიის ხანძარი არსებობს. პირველ კატეგორიაზე გადის ორი სახანძრო მანქანა იმ რაიონიდან, სადაც ცეცხლი გაჩნდა... მეორე კატეგორიაზე ამ მეხანძრეებს სხვა რომელიმე რაიონის კოლეგები ეხმარებიან, ღმერთმა დაიფაროს და, მესამე კატეგორიის ხანძარზე, მთელი თბილისის მეხანძრეები გავლენ შემთხვევის ადგილზე...

— თუ არსებობს მეხანძრე, რომელსაც გინდათ მიბაძოთ...

— ალბათ, დავით გელაშვილი — რესპუბლიკის სახანძრო სამსახურის უფროსი, რომელიც უბადლოა ხანძრის ჩაქრობაში.

— იბნევით ხოლმე ხანძრის დროს?

— თავიდან ვიბნეოდი — მინდოდა ყველაფერი ჩქარა გამეკეთებინა. ახლა უკვე დიდი გამოცდილება მაქვს და დაბნევა აღარ შემფერის.

— ხანძრის ჩაქრობა ფასიანია?

— არც ერთ შემთხვევაში.

— რას ურჩევდით მოსახლეობას ხანძრის შემთხვევაში?

— უმნიშვნელო ხანძრის დროსაც კი აიღონ ტელეფონი და დარეკონ 01-ზე. თუ ჩვენ მოსვლამდე შეძლებენ ჩაქრობას, ხომ კარგი, თუ არადა, დროს მაინც არ დაგვაკარგვინებენ.

— და მაინც, რატომ არ გიყვართ ფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“?

— არ შეიძლება მეხანძრის გამასხარავება, თუნდაც კეთილად. ის ხომ ნებისმიერის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს იგდებს საფრთხეში...

მაინც ვერ გადავიტანე ჩემი საყვარელი ფილმის და რეჟისორის ასეთი იგნორირება და მათი ადვოკატობა ვცადე... კეთილ ხუმრობას კი ზიანი და წყენა არავისთვის მიუყენებია. თუ საქმე საქმეზე მიდგა, თვითონ მეხანძრეები ხუმრობენ ხოლმე საკუთარ თავზე. ისიც შევიტყვე, რომ მეხანძრეების სპეციალური სადღეგრძელოც არსებობს. ისინი კოლეგებს ხუმრობით ასე ლოცავენ: „იმ მეხანძრეს გაუმარჯოს, რომელიც ცეცხლს გაექცევა და წყალში დაიხრჩობა!“

***ეკა მახარაშვილი***

# [illegible]

დილმის მასივის ბავშვთა სახლს მაშინ ვეწვიეთ, როცა პატარებს სადილად დაუძახეს. ხმაურით ჩამირბინეს გვერდით... აღმზრდელის შენიშვნა, წყნარად, წყნარადო, — გზაში დაეწიათ, მალე მიეფარნენ კიდეც თვალს.

...აქ ისინი თამაშობენ, სწავლობენ სიყვარულს, ერთმანეთის გატანას. მაგრამ მაინც სხვანაირად დარდიანები არიან ეს თვალმერცხალა გოგო-ბიჭები. სხვანაირი მომლოდინე, ზოგჯერ უნდობლობაშეპარული თვალითაც კი გიყურებენ. ისინი ჩვეულებრივ სკოლაში დადიან, მაგრამ მაინც გამორჩეულები არიან თავიანთი სევდით... „სახლელები“, — ასე ეძახიან მათ სკოლაში მეგობრები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ნაკლებად გრძნობენ, რა განცდა დგას ამის უკან.

ამჯერად, მინდა „სახლელების“ სიხარულზე მოგითხროთ.

ნასადილევს საშუალო ზომის ოთახში შეიკრიბნენ. დერეფანში აჩქარებით მიმავალნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ცეკვის მასწავლებელი მოვიდაო. ოთახი შეძლებისდაგვარად მოეწყოთ. კედლებზე მოცეკვავეების სურათები, ანსამბლ „ნარიყალას“ აფიშები და ფოტოები ეკიდა. ჯერ პატარებს უნდა ევარჯიშათ, მერე უფროსკლასელებს. ვიდრე პატარები კედელთან მოეწყვნენ, უფროსი ბავშვები სკამებზე ჩამოსხდნენ. როგორც ჩანს, მოუთმენლად ელოდნენ თავიანთი ჯერის დადგომას. ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ხალისით შემომეხვივნენ:

თამრიკო ლაფანაშვილი: ჯერ ფორმა არ გვაქვს, არც ჩუსტები... მაგრამ ყველა ცეკვა მომწონს...

შავლეგო რთველიაშვილი: მიხარია, ცეკვას რომ მასწავლიან...

ერთმანეთს ეცილებიან პატარები. ყველას უნდა, სიხარული გამიზიაროს. მათთან უკვე რამდენიმე თვეა თავიანთი სურვილით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დადიან ქორეოგრაფები, მამა-შვილი ეკა და კუკური რაზმაძეები (როგორც ბავშვთა სახლში გავიგე, აქ ასევე უანგაროდ მოდის ფეხბურთის მწვრთნელი და მუსიკის მასწავლებელი).

... როგორც მითხრეს, მათ ჯერ ფორმები არ აქვთ. ზოგი რეზინის ქოშებით ცეკვავს, ზოგი ბოტასებით... ზოგს ფეხზეც კი გაეხადა და გაყინულ იატაკზე ფეხშიშველი ვარჯიშობდა, იმდენად უნდოდათ, რომ ილეთი კარგად შეესრულებინათ, უხეში ფეხსაცმელი კი ამის საშუალებას არ აძლევდათ. ოთახი, სადაც მეცადინეობდნენ, ადრე საძინებელი ყოფილა. ბავშვებს თავად გაუტანიათ ლოგინები. თავისი ხელით მოუმზადებიათ აქაურობა საცეკვაოდ.

აღტაცებული დავრჩი ბატონი კუკურის თბილი იუმორით და სიყვარულით: გაიღიმეთ, ბავშვებო, გაიღიმეთ, ვისაც გინდათ, კანფეტები რომ მოგიტანოთ, — ხუმრობს ქორეოგრაფი და ბავშვებიც იღიმებიან. თვალებში ჩამდგარი სევდა წამით უქარწყლდებათ.

*— ბატონო კუკური, ვხედავ ძალიან გიყვართ პატარები, ისინიც თვალებში შემოგციცინებენ...*

— ერთ ამბავს გიამბობთ: 15 იანვარს სწავლა იწყებოდა, ერთი დღე დამაგვიანდა მოსვლა. რომ მოვედი, მითხრეს: კუკური მასწავლებელო, ვისაც გვქონდა ჩუსტები, უნდა გადაგვეყარა, ვიფიქრეთ, აღარ მოხვიდოდითო... ამათი მოტყუება როგორ შეიძლება. ამათ რომ დაჰპირდები, უნდა შეუსრულო. წარმოიდგინეთ, გაკვეთილი მთავრდება და ბავშვი მეუბნება: გმადლობთ, მასწავლებელოო. ეს ჩემი საუკეთესო გასამრჯელოა... აქ ხომ ხედავთ, ვისაც ჩუსტები არა აქვს, ფეხშიშველიც კი ცეკვავს, ოღონდ იცეკვოს. როგორ შემიძლია, მათი დაღალატება! ჯერჯერობით, კვირაში ორჯერ დავდივარ, ვფიქრობ, ყოველდღეც ვიარო... თანდათან იქნებ ჩუსტებიც შევუძინოთ... საცეკვაო ფორმას რაც შეეხება, ამაზე არანაირი პრობლემა არ გვაქვს. მე მოვუტან საკონცერტოდ.

*— მითხრეს, რომ პარალელურად ანსამბლ „ნარიყალას“ ქორეოგრაფი ბრძანდებით, გაქვთ ცეკვის სტუდიაც.*



— 25 წელიწადია, რაც ანსამბლი „ნარიყალა“ არსებობს. თაობები იცვლებიან. ვცდილობ, ქუჩას მოვწყვიტო, კარგ ადამიანებად ჩამოვაყალიბო ბავშვები. ძალიან ნიჭიერებიც არიან. მინდა, ქართული სული არ დაკარგონ. ეს პატარებიც დროთა განმავლობაში საკონცერტო ჯგუფში ჩაირიცხებიან და ანსამბლ „ნარიყალას“ წევრები იქნებიან.

*— როგორც ვხედავ, აქ ძალიან პატარა ოთახში გიწევთ ვარჯიში.*

— დირექტორი დაგვპირდა, იქნებ რაღაც მოვახერხოთ, აშენდეს ცალკე დარბაზიო... ჯერჯერობით, სხვა საშუალება არ გვაქვს. ამ პირობებშიც ვიმუშავებთ...

ბავშვებს დავემშვიდობე... ალალი ღიმილით გამომაცილეს. შებრუნდნენ თავიანთ პატარა ოთახში... ზოგი ჩუსტებით, ზოგი ბოტასებით, ზოგიც ფეხშიშველი და ცეკვა განაგრძეს. ვიცი, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ყველას საცეკვაო ჩუსტებს ჩააცვამენ, დარბაზსაც დაუთმობენ ან სულაც ახალს აუშენებენ „სახლელებს“...

გამოჩნდებიან, რადგან დედამიწა ასეთი ადამიანების კეთილშობილებას ეყრდნობა.

***ლელა ჯიყაშვილი***

C M Y K

# დამნაშავემ ქრთამი შემომთავაზა...

## „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის დაჭრის ფაქტი ისევ გაუხსნელია(?!)

მას შემდეგ, რაც 28 ნოემბერს „კვირის პალიტრის“ რედაქციაში ჟურნალისტი ვაჟა გავაშელი დანით დაჭრეს, საკმაო დრო გავიდა, თუმცა გამოძიება დღემდე აჭიანურებს დამნაშავის დაკითხვას. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში აღიძრა, დაახლოებით ორ კვირაში ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა. დღეს კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ვაჟა აროზელიძე ეჭვმიტანილ თენგო მანელიძის დაუკითხაობას იმით ხსნის, რომ დამნაშავე ლვოვშია გადახვეწილი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თენგო მანელიძემ საქართველო 7 დეკემბერს დატოვა, არადა, დანაშაული 28 ნოემბერს მოხდა. როგორც ჩანს, ათი დღის მანძილზე ჩვენს სამართალდამცავებს „არ ეცალათ“ და დამნაშავეს ქვეყნის დატოვების საშუალება მიეცა.

ამ საქმეში ცოტა სასაცილოა ის ფაქტი, რომ გამოძიება უფრო დაზარალებული ვაჟა გავაშელის დაკითხვით არის გართული. ჩვენი დარეკვის შემდეგ გამომძიებელმა გაგვანდო, რომ მიმდინარე კვირას დაიწყებს ვაჟა გავაშელისა და ინციდენტის დროს რედაქციაში მანელიძის თანმხლები მამიდისა და ძმის დაპირისპირებას, ხოლო მთავარ ეჭვმიტანილზე სასამართლოს გაუგზავნის მოთხოვნას, მისი იძულებითი წარმოდგენის შესახებ. უცნაურია, ორი თვის განმავლობაში რატომ ვერ შეძლო გამოძიებამ სამ კაცზე მეტის დაკითხვა?!

უნდა ითქვას, რომ თავის დროზე, თენგო მანელიძის ასეთი თავხედური ნაბიჯი სწორედ რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებულმა დაუსჯელობის სინდრომმა განაპირობა. დღევანდელი ძიებაც ჯერჯერობით დამნაშავის წისქვილზე ასხამს წყალს და ზერელედ ეკიდება იმ ფაქტს, რომ დღისით, მზისით, რედაქციაში მომხდურმა, რედაქციის რამდენიმე თანამშრომლის თვალწინ, 62 წლის ჟურნალისტი დანით დაჭრა კისრისა და მუცლის არეში. საბედნიეროდ, დაზიანებები მძიმე და სასიკვდილო არ აღმოჩნდა, მაგრამ ის, რომ ვიღაცას სტატია არ მოეწონა და ამისთვის ჟურნალისტი სასიკვდილოდ გაიმეტა, ხომ ფაქტია?!

**ვაჟა აროზელიძე:**

— თქვენთვის ცნობილია, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, დავკითხეთ გავაშელი, აგრეთვე, ეჭვმიტანილის ერთ-ერთი ძმა, ასევე მამიდა, რომელიც რედაქციაში მათთან ერთად იმყოფებოდა. ამ კვირას კი უკვე დაპირისპირებები უნდა დავიწყოთ. განსხვავებული ჩვენებებია.

— **რედაქციიდან თუ დაჰკითხეთ მოწმე ჟურნალისტები?**

— ჟურნალისტები დაკითხულები არიან, ოღონდ ისინი პროკურატურამ დაჰკითხა.

— **თქვენ, ალბათ, რედაქციაში აღებულ ახსნა-განმარტებებზე საუბრობთ, რაზეც თავის დროზე განმიცხადეთ, რომ არასაკმარისი იყო და ხელახლა უნდა ჩამოგერთვათ ჩვენებები...**

— პროკურატურამ უკვე შეასრულა ეს სამუშაო.

— **გასაგებია, მაგრამ თავად ის პიროვნება, რომელმაც დანა დაარტყა ჩვენს ჟურნალისტს, რატომ აქამდე არ დაიკითხა?**

— როგორც დედამისი ამბობს, იგი იმყოფება ლვოვში და როგორც კი ჩამოვა, დავკითხავთ.

— **რა თქვეს, როდის წავიდა ეს პიროვნება ლვოვში და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ის მიიმალა?**

— დაბეჯითებით ხმამაღლა თქმა არ შემიძლია, თუმცა ვფიქრობ, რომ იმალება. პრინციპში ლვოვში წასვლა დამალვას ნიშნავს.

— **წასვლამდე რატომ ვერ მოხერხდა მისი დაკითხვა?**

— ამაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან რაიონის პროკურატურას ჰქონდა საქმე, ჩვენ ეს საქმე 9 დეკემბერს მივიღეთ. ამ კვირას გადაწყვეტილი მაქვს, სასამართლოს მივმართო თხოვნით, წარმოადგინონ დამნაშავე იძულებით. თუ ესეც ვერ მოხერხდა, მაშინ უკვე ძებნა გამოცხადდება.

— **საინტერესოა, რა ჩვენება მოგცათ ეჭვმიტანილის ძმამ, შოთა მანელიძემ?**

— ის ამბობს, რომ სტატიით შეურაცხყოფილები ვიყავით და საკითხის გასარკვევად მივედითო, ეს გარკვევა კი კამათში გადაიზარდაო.

— **აღიარა, რომ მისმა ძმამ დანა დაარტყა ჟურნალისტს?**

— კი. მაგას ამბობს, არ უარყოფს.

— **ბატონო ვაჟა, მეტისმეტად ხომ არ ჭიანურდება საქმის გამოძიება?**

— არა, ლოგიკურ შედეგამდე მივალთ.

დაზარალებული ჟურნალისტის აზრით, თუ გამოძიება ამ ტემპით გაგრძელდება, მის დამთავრებას წლები დასჭირდება და ლოგიკურ დასასრულზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

**ვაჟა გავაშელი:**

მე აროზლიძეს არ ვადებ ხელს, მაგრამ მიმაჩნია, რომ დამნაშავეს მისცეს საშუალება მიმალულიყო. სხვათა შორის, ეს ხშირად კეთდება ორგანოს თანამშრომლების კარნახით. როცა სურთ საქმის გაჭიანურება, დამნაშავეს ურჩევენ მიიმალოს, რათა გაიჭიმოს დრო. დროთა განმავლობაში ვნებები ცხრება და ჩნდება პატიების სინდრომი, რაც ჩემს შემთხვევაში, გამორიცხულია. ველოდები, რომ გამოძიება კიდევ უფრო გააჭიანურებს საქმეს. ვიცი, რაც არის „იძულებით წარმოდგენა“. ეს არის ფორმალობა. არავინ არის ლვოვში მის ჩამოსაყვანად წამსვლელი, რადგან პოლიციას არ აქვს სახსრები და ა.შ. ლვოვის პოლიციის განყოფილებაში ერთი-ორ წერილს გააგზავნიან, ისინი მოიწერებიან, რომ იქ არ ცხოვრობს და ამით დამთავრდება ყველაფერი. მერე გამოაცხადებენ ძებნას, რაზეც არც ქართველები მოიკლავენ თავს და მით უმეტეს, არც ლვოველები, ასე გაგრძელდება წლობით. საჭირო იქნება ისევ ჩემი პირადი ჩარევა, რათა დამნაშავე მოვძებნო და წარვუდგინო გამოძიებას, თუკი ამას საერთოდ ექნება აზრი.

— **რა გაძლევთ საფუძველს ივარაუდოთ, რომ მართლაც ასე გაიჭიმება საქმე?**

— ის, რომ პირველ დღეებში ძალიან აწრიალებული იყო მანელიძეების ოჯახი. ჩემთან მოვიდა მათი ნათესავი და თანხა შემომთავაზეს. მე სახლის სასწრაფოდ დატოვება მოვთხოვე და დარწმუნებული ვარ, ახლა სამართალდამცავებს შესთავაზეს და იმათაც დაარიგეს, მიმალულიყო. სწორედ ეს მაძლევს ამ ვარაუდის საფუძველს.

— **რამდენი შემოგთავაზეს?**

— შემოთავაზებაზე ისე აღვშფოთდი, რომ ძლივს გამასწრო კარებში. როგორც გავარკვიე, ბიძამისი იყო. ეს იყო დეკემბრის პირველ დღეებში. იმის მერე აღარ გამოჩენილან.

**მარინა მამისაშვილი**

# დიდი თამაში და „პატარა ფიგურები“ სამეგრელოში

## კიდევ ერთხელ ჯიხაშკარზე




დღეს, როცა მთელი მსოფლიო ტერორიზმის საშიშროებაზე ლაპარაკობს და პრობლემის მოგვარებას ძალისმიერი მეთოდითაც ცდილობს, საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ ხუთიოდე წლის წინ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს (რომლის ეპიცენტრშიც თვითონ გახლდით. — ნ. ბ.). კერძოდ, 1998 წლის 14 თებერვალს ზუგდიდის ცენტრიდან გაეროს მისიონერების გატაცების ფაქტს, რაც ქართული ტერორიზმის ისტორიაში პირველი პრეცედენტი იყო. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ჯიხაშკარის ეპოპეის გახსენება.

1998 წლის 9 თებერვალს პრეზიდენტზე განხორციელებული მორიგი ტერაქტი კვლავ უშედეგოდ მთავრდება. ნირწამხდარი ძალოვნები პრეზიდენტის წინაშე თავს ამაოდ იმართლებენ და საქმის გახსნას რამდენიმე დღეში ჰპირდებიან. რამდენიმე დღეში ტერაქტში მონაწილეთა ვინაობა გარკვეულია. გოჩა ესებუას დაკავება თბილისში ვერ მოხერხდა. იგი 10 თებერვალს უკვე ზუგდიდში ჩადის, სადაც მას მისი მეგობარი ზურა შონია, იგივე „პუშკინა“ უნდა დახვედროდა 30-კაციანი მობილური ჯგუფით. თუმცა „პუშკინამ“ მხოლოდ 11 კაცის შეგროვება მოასწრო, რამაც გოჩა ესებუას გულისწყრომა გამოიწვია. ვინაიდან ტერაქტში მონაწილეები გამსახურდიას მომხრე მეგრელები არიან, ხელისუფლებამ სამეგრელოს რეგიონში ე. წ. „ზვიადისტთა“ დიდი წმენდის კამპანია წამოიწყო.

ყოველივე ამით შეშფოთებული გოჩა ესებუა ზუგდიდის ცენტრიდან გაეროს მისიონერებს გაიტაცებს და ჯიხაშკარში მეგონა მარღიას (სოფლის გამგებელი) სახლში გამაგრდება.

ჯიხაშკარი მალე მსოფლიოს ყურადღების ქვეშ მოექცა. საზოგადოება გაოგნებული იყო ქართველი ტერორისტების ჰუმანურობით და მოთხოვნების პრიმიტიულობით. ესებუა არ ითხოვდა მილიონებსა და თვითმფრინავს საზღვარგარეთ წასასვლელად. მისი მოთხოვნები ხელისუფლებისადმი მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ოფიციალურ თბილისს იგი „კანონიერ ხელისუფლებთან“ მოლაპარაკებაზე წასვლას სთხოვდა. პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით, ძალოვნები ინციდენტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე მუშაობდნენ, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში ძალისმიერი ოპერაციის ჩატარებაც გათვალისწინებული იყო. სწორედ ამ მიზნით, სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგას“ წევრები, რომ იტყვიან, „ქუჩაში“ სასწრაფოდ მოძებნეს და ჯიხაშკარში ჩამოიყვანეს.

ევროპა მისიონერების სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვდა. დრო აღარ ითმენდა. პრეზიდენტის დიდი ფიქრის შედეგი „შემორიგების პროცესი“ აღმოჩნდა, რომელმაც მიუხედავად იდეის კეთილშობილებისა, ძალზე ნეგატიური როლი შეასრულა შემდგომში. გადაწყდა — ჯიხაშკარის მოვლენების მონაწილეთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოეხსნათ, გარდა 9 თებერვლის ტერაქტში მონაწილეებისა. ძალოვნები გოჩა ესებუაზე მუშაობდნენ.

რას ჰპირდებოდა ხელისუფლება ესებუას ჩაბარების შემთხვევაში? სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, მას წამოიყვანდნენ ზუგდიდში, აჩვენებდნენ ოჯახს, შემდეგ წაიყვანდნენ ძმის სასაფლაოზე, ხოლო შემდგომ დასაკითხად თბილისში ჩამოიყვანდნენ. გოჩა ესებუა ჩაბარების წინააღმდეგი იყო. „მე რომ პირი გავაღო, მომკლავენ“, — თქვა ერთ-ერთი საუბრისას. ხელისუფლება იძულებული გახდა, მისთვის დამატებითი გარანტიები მიეცა. იმავე წყაროს ინფორმაციით, თბილისში ჩამოყვანის შემდგომ მას მოათავსებდნენ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში, შეუქმნიდნენ სათანადო პირობებს. შემდგომ მას სასამართლო მიუსჯიდა 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, ერთ-ორ წელიწადში მისი დედა პრეზიდენტის სახელზე დაწერდა წერილს — როგორც შვილმკვდარი (გოჩას ძმა — თბილისის ომის პირველი მსხვერპლი იყო) და ოჯახის მარჩენლის გარეშე დარჩენილი — და პრეზიდენტი ესებუას შეიწყალებდა.

საბოლოოდ, ესებუა ჩაბარებაზე დაითანხმეს. მანამდე ესებუა სახალხო დამცველმა, დავით სალარიძემ ინახულა, საუბარი სამუდამო პატიმრობაზე იყო, ესებუა დაეჭვდა...

მეორე დღეს ჯიხაშკარში ჩასულ ძალოვნებს შოუ ჩაეშალათ, — გოჩა ესებუა, გვაზავასა და გია მესხიასთან, მეტსახელად „კინგ-კონგი“, ერთად ჯიხაშკარიდან გაუჩინარდა.

მომხდარი ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის. სანამ ესებუა და მისი თანამოაზრენი ლებარდეს ხეობაში კარვებში ათევდნენ ღამეებს, რათა გაზაფხულისთვის, სვანეთის გავლით ჩეჩნეთში გადასულიყვნენ, ხელისუფლებამ სამეგრელოს რეგიონში „შემორიგების“ პროცესი დაიწყო. მაგრამ ხელისუფლებასთან შერიგებას ე. წ. ზვიადისტური ფრთა არც აპირებდა, სამაგიეროდ, პროცესი კრიმინალებმა გამოიყენეს სათავისოდ.

ჯიხაშკარის ეპოპეის მონაწილეებს პირობით „შემორიგებულები“ დაარქვეს და ხელისუფლებამ მათთვის განსაკუთრებულად იზრუნა. შემორიგებულებისა და უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა იდილია იმდენად თვალში საცემი გახდა, ხალხში ზურა შონიას მოღალატის იმიჯი შეექმნა. რა თქმა უნდა, გოჩა ესებუა ამ ამბის საქმის კურსში იყო.

მარტის ბოლოს ესებუა, ურთის მთაზე მიმავალი, გზად ონარიაში გაჩერდება, ვაშაკიძეების ოჯახში. მეორე დღეს, როგორც ამბობენ, ესებუამ — „იკარუსის“ მარკის ავტობუსი შენიშნა, რომელშიც პოლიციის თანამშრომლები ისხდნენ. კითხვაზე: სად მიდიოდა ავტობუსი — მასპინძელმა მიუგო, სოფელში მიცვალებულიაო. მეორე დღეს ვაშაკიძეების სახლს პოლიციამ ალყა შემოარტყა და ესებუას დანებება სთხოვა. შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ესებუა მოკლეს. ესებუას თან მხოლოდ გვაზავა ახლდა, რომელმაც ძალზე საეჭვო ვითარებაში მოახერხა გაქცევა.

ცოცხლად დარჩენილი გვაზავა, ცხადია, გია მესხიას, „კინგ-კონგს“ მიაკითხავდა ტყეში და ონარიაში მომხდარის შესახებაც უამბობდა. ესებუას სიკვდილში ისევ „პუშკინა“ დაადანაშაულეს, რადგან მან ესებუა მკვლელობამდე რამდენიმე დღის წინ ნახა.

შონიამ მას ტერაქტის ჰონორარი გადასცა (სავარაუდოდ, 100.000 აშშ დოლარი), რაზეც ესებუამ რატომღაც უარი განაცხადა. როგორც ამბობენ, ფული შონიამ ესებუას ოჯახში მაინც მიიტანა — უკვე მისი სიკვდილის შემდეგ.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)



# „თბილისი გვეუბნება, ასე გააკეთეთო და ჩვენ რა, სულელები ხომ არ ვართ, ლუკმა პირიდან გამოვიგდოთ“

*რამდენიმე დღის წინ, როცა ოპერატიული ჯგუფი ბანდიტების შეპყრობას ცდილობდა, დაიღუპა ჯგუფის ხელმძღვანელი, ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსი ბეგლარ ფონია.*

*ბანდიტები გატაცებული „ჟიგული-06“ მარკის ავტომანქანის გადაყვანას აფხაზეთში, სოფელ შამგონიდან, მდინარე ენგურის ფონით ცდილობდნენ. მოულოდნელად, ბანდიტების ავტომობილი ენგურის ჭაობიან ჭალაში ჩაეფლო და ამიტომ დროზე ვერ მოახერხეს მისი გადაყვანა აფხაზეთში. ამასობაში აგენტმა პოლიციას შეატყობინა, თუ რა ხდებოდა ენგურის პირას. ოპერატიულმა ჯგუფმა ბანდიტებს ვერ მიუსწრო — ისინი უკვე მეორე ნაპირზე იყვნენ და პოლიციელებს ტყვიამფრქვევით, ყუმბარმტყორცნითა და სნაიპერული შაშხანებით ცეცხლი გაუხსნეს. პოლიციელებმაც ცეცხლით უპასუხეს. ორმხრივი სროლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. სნაიპერული შაშხანის ტყვია თავის არეში მოხვდა კრიმინალური პოლიციის უფროსს, ბეგლარ ფონიას, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.*

*იქვე დისლოცირებული რუსი სამშვიდობოების ნაწილიდან გარეთ არავინ გამოსულა და სეირს შორიდან უყურებდნენ.*

ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე კი უშიშროების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაცია მიიღეს — სოფელ შამგონის ტყეში აფხაზეთიდან გადმოტანილი ბენზინმზიდია დამალულიო. დიდხანს არ უძებნიათ — ტყის პირას კონტრაბანდული ბენზინით სავსე „მაზ“-ის მარკის ავტომანქანა იდგა. უშიშროების ერთ-ერთი თანამშრომელი საჭეს მიუჯდა და მანქანის რეგიონის უშიშროების სამმართველოში წამოსაყვანად მოემზადა. მოულოდნელად, ოპერატიული ჯგუფის წევრები შეიარაღებული ჯგუფის ალყაში აღმოჩნდნენ — სამართალდამცველებს ბენზინმზიდის ადგილზე დატოვება უბრძანეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქიდან ცოცხალი ვერავინ გააღწევდა. თავდამსხმელთა მუქარა აბსოლუტურად სერიოზული იყო, — თხუთმეტი კბილებამდე შეიარაღებული კაცი ბენზინმზიდის უშიშროების ხალხისთვის დათმობას არ აპირებდა. ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი სასწრაფოდ დაუკავშირდა ზუგდიდში თავის უფროსობას და შექმნილი ვითარების შესახებ მოახსენა. რეგიონალური უშიშროების უფროსმა, მაიორმა გოგი ნაჭყებიამ მათ მოლაპარაკების გახანგრძლივება სთხოვა, ამასობაში კი სხვა ოპერატიული ჯგუფი შეიქმნა, რომელიც გამოცდილი თანამშრომლებით დააკომპლექტეს და სასწრაფოდ გააგზავნეს შემთხვევის ადგილზე. დახმარება დროული და შედეგიანი გამოდგა. ის იყო, ბანდიტებს ცეცხლი უნდა გაეხსნათ, რომ თვითონ აღმოჩნდნენ ალყაში. წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა და კონტრაბანდისტებმა იარაღი დაყარეს. როგორც შემდეგ გაირკვა, კონტრაბანდული საწვავით გავსებულ ბენზინმზიდს მდინარე ენგურის ფონი სოფელ შამგონასთან ჯერ კიდევ გვიან ღამით გადმოულახავს, მაგრამ ავტომანქანა დაზიანებულა. სანამ მძღოლსა და კონტრაბანდისტებს ბენზინმზიდი შეუკეთებიათ, თავზე დასთენებიათ კიდეც — გადაუწყვეტიათ, არ გაერისკათ და მეორე ღამემდე მანქანა ტყეში გადაემალათ. ამასობაში კი აგენტმა ინფორმაცია ამის შესახებ უშიშროების სამმართველოს მიაწოდა. თავდამსხმელები ერთ-ერთი პარტიზანული დაჯგუფების წევრები აღმოჩნდნენ. რაზმი წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში ყოფილა დაბანაკებული და მათ ვინმე იური კვარაცხელია მეთაურობდა. ერთი სიტყვით, ეს შარშანდელი შემთხვევა ალბათ ერთადერთია, როცა სამართალდამცველებმა აფხაზეთიდან კონტრაბანდული საქონლის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს. უფრო საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ამ ოპერაციის შემდეგ კონტრაბანდისტმა პარტიზანებმა საგადასახადო ინსპექციაში ჯარიმად 1.500 ლარი გადაიხადეს და სავსე ბენზინმზიდიც დანიშნულების ადგილას ჩაიყვანეს. თურმე კანონი აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ ასეთ სანქციას — ჯარიმას ითვალისწინებს. ამიტომაც ახლა თავს ხიფათში არავინ იგდებს და ვისაც როგორც უნდა და რამდენიც უნდა, იმდენი კონტრაბანდული საქონელი გადმოაქვს აფხაზეთიდან სამეგრელოში. ეგ არის მხოლოდ, რომ კონტრაბანდისტები ამ საქმიანობას, ჯერჯერობით, ღამით ეწევიან. თუმცა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დღისითაც რომ გადმოიტანოს ვინმემ ენგურზე კონტრაბანდული სიგარეტი ან საწვავი, ზუგდიდში ვერავინ ვერაფერს შეამჩნევს...

ქუთაისიდან ზუგდიდისკენ გამგზავრება გვიან ღამით მომიხდა. დაახლოებით ღამის ორ საათზე, როდესაც ზუგდიდამდე რამდენიმე კილომეტრი რჩებოდა, უამრავი სხვადასხვა მარკის მძიმეწონიანი სატვირთო ავტომანქანა შემოგვხვდა გზად. მათ (ზოგს წინ, ზოგს კი უკან) ავტოინსპექციის ან პოლიციის მანქანა მიაცილებდა. ყველა ზუგდიდელი დაგიმოწმებთ, რომ ტრასაზე მთელი ღამე ტრაილერების ინტენსიური მოძრაობაა. თითქმის ყველა აფხაზეთიდან გადმოტანილი სხვადასხვა კონტრაბანდული საქონლით არის დატვირთული. გზაზე რამდენიმე ავტოსაგუშაგოა, მაგრამ ისინი ვერაფერს „ამჩნევენ“.



რეპორტაჟი მდინარე ენგურის ერთ-ერთი ფონიდან, საიდანაც ღამით აფხაზეთიდან კონტრაბანდული საქონელი შემოდის

**— ამბობთ, ზუგდიდელი ჩინოვნიკები მფარველობენ კონტრაბანდისტებსო. გინახავთ ზუგდიდში თუნდაც ერთი ისეთი სახლი, უფრო სწორად, სასახლე როგორიც თბილისში, მაგალითად, საირმის გორაზეა წამოჭიმული? ვერც ნახავდით. რისი თქმაც მინდა, კარგად მიმიხვდებით...**

მეორე დღეს ზუგდიდის ცენტრში ტაქსი დავიქირავე და მძღოლს პირდაპირ ვუთხარი, — იქ წამიყვანე, საიდანაც ღამე კონტრაბანდისტებს მანქანები გადმოჰყავთ-მეთქი.

— სოფელ შამგონაში უნდა ჩახვიდე, მაგრამ დღისით არავის გადმოჰყავს ენგურზე მანქანები. ღამეს უნდა დაელოდო...

ათიოდე კილომეტრი გავიარეთ და სოფელ შამგონაში ჩავედით. ორიოდე კილომეტრის შემდეგ კი იმ ადგილს მივადექით, სადაც მდინარე ენგურის ფონია. მდინარეზე დაკიდებულ საცალფეხო ხიდს აფხაზეთში გადავყავართ. მდინარის პირას რუსი სამშვიდობო ძალების ერთ-ერთი რაზმია განლაგებული (და არა პოსტი). რუსი ოფიცრები თვითონვე ვერ მიმხვდარან აქ თავიანთი დისლოკაციის მიზანს. ერთ-ერთ პრაპორშჩიკს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებთან მეგობრობს, არც დაუმალავს: — ერთ დროს აქ სამშვიდობო ძალების პოსტი იდგა და მასთან ახლოს ჩვენი რაზმის დისლოკაციაც გამართლებული იყო. მერე პოსტი მოშალეს და ვის რა გააქვს და გამოაქვს, ჩვენ აღარ გვეკითხება. ხალხიც უკონტროლოდ, ყოველგვარი შემოწმების გარეშე გადადის და გადმოდის. მოპარული მანქანებიც ამ გზით გადაჰყავთ აფხაზეთში. იქიდან კი ნარკოტიკები თუ იარაღი შემოაქვთ, შეიარაღებული ხალხიც შემოდის, მაგრამ ჩვენ მათი შემოწმება არ გვევალება...

**— ე. ი. მეც რომ გადავიდე, არაფერს მეტყვით?**

— რაც გინდა, ის ქენი. გინდა ტანკი მოიყვანე და იმით გადადი. მაგრამ თუ მართლა გადასვლას აპირებ, ხიდით ნუ გადახვალ. გუშინ იქ შეიარაღებული აფხაზები შევნიშნე — თუ იქაური საბუთი არ გაქვს, დაგაპატიმრებენ...

300-მეტრიან ხიდზე ფეხი მაინც შევდგი და დაახლოებით შუამდე მივედი. ენგური დამშრალ ღელესავით მიედინებოდა და მძიმეწონიანი მანქანების კვალი აშკარად ეტყობოდა მის ქვიან ფსკერს. მეორე ნაპირზე გასვლას აზრი არ ჰქონდა, ცოტა შემეშინდა კიდეც და გამოვბრუნდი. ნაპირთან მისულმა შორს გაჩერებული სატვირთო ავტომანქანა შევნიშნე. უცებ მძღოლმა მანქანა უკან მიაბრუნა. ჩემმა მძღოლმა ამიხსნა: „ალბათ გუშინ ღამე კონტრაბანდა გადმოიტანა. დღეს აფხაზეთში ბრუნდებოდა მეორე პარტიისთვის. ვიღაცა მობილური ტელეფონით გააფრთხილებდა, სანაპიროზე ჟურნალისტია მოსულიო და ისიც დაიმალა.“

ცოტა ხანს კიდევ ვიტრიალე მდინარე ენგურის ფონთან. მართლაც, ხიდზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო და ამას არავინ აკონტროლებდა. სოფელ შამგონის ახალგაზრდებს იქვე, მდინარესთან ჰქონიათ „ბირჟა“. რომ გაიგეს „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვიყავი, აღარ გამომიშვეს და მალე სუფრაზე ამოვყავი თავი. ერთი სადღეგრძელოთი ფრონტისპირა სოფლის მკვიდრნი დავლოცე და საპასუხო სადღეგრძელოში მასპინძელმა მითხრა: — რა აზრი აქვს, სამშვიდობო ძალებს რომ ჩაკეტილი აქვთ სოფელ რუხთან აფხაზეთში ენგურზე გადასასვლელი ცენტრალური ხიდი. თქვენი თვალით ხომ ნახეთ, როგორი დაუცველია ხიდიც და მდინარის ფონიც. აფხაზებმა რომ მოინდომონ, ისე შემოვლენ სამეგრელოში, გზად ერთი თოფიანი კაციც არ დახვდებათ. როგორ შეიძლება საზღვრის ასე უყურადღებოდ დატოვება?! რატომ არ ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს აგრესორს შეიძლება ზუგდიდში შემოსვლაც მოუნდეს?! მერე დავიწყებთ გაეროში სირბილს და საპროტესტო წერილების ჯღაბნას. შედეგი რა იქნება, არაფერი. ნებისმიერ დროს, ღამით გადმოვა ჩვენს სოფელში აფხაზების ათკაციანი შეიარაღებული ჯგუფი და ვინც უნდა, იმას მოიტაცებს, ვინ არის ხმის გამცემი? თბილისში რა უნდა სამხედრო ნაწილებს? აქ ჩამოვიდნენ — იმედი მაინც ექნება კაცს. თუმცა

**— აფხაზებმა რომ მოინდომონ, ისე შემოვლენ სამეგრელოში, გზად ერთი თოფიანი კაციც არ დახვდებათ. როგორ შეიძლება საზღვრის ასე უყურადღებოდ დატოვება?! რატომ არ ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს აგრესორს შეიძლება ზუგდიდში შემოსვლაც მოუნდეს?!**

ჩვენი მშიერი ჯარისკაცებიც ვერაფერს გახდებიან, მაგრამ საფრთხობელას როლს ხომ მაინც შეასრულებენ.

**— ამბობენ, შამგონელებიც კონტრაბანდულ ბიზნესში არიან ჩართულები. ხშირად აფხაზებს კონტრაბანდული საქონლის ღირებულებას არ აძლევენ და ისინიც იძულებულნი არიან, ურჩი გადამხდელები მოიტაცონო.**

— სოფლის ხალხს ვინ ჩართავს კონტრაბანდაში? დიდი-დიდი, ერთი-ორი ყუთი სიგარეტი გადმოვიტანოთ. ამასაც ჯიბის ფულისთვის ვაკეთებთ, თორემ ტრაილერებს ჩვენ ვინ მოგვცემს? ამ ბიზნესს თბილისი აკონტროლებს, ზუგდიდში კი სამხარეო და ქალაქის პოლიცია, საგანგებო ლეგიონი, პროკურატურა და პარტიზანული შენაერთები. ყველას თავისი ხალხი და მანქანები ჰყავთ. შეხმატკბილებულად მუშაობენ და ერთმანეთს ხელს არ უშლიან. მათ ხელშია ნარკოტიკების შემოტანის საქმეც. ზუგდიდის ბულვარი ერთჯერადი შპრიცებითაა სავსე. ნარკოტიკის ყიდვა ყველაზე იაფად ზუგდიდში შეიძლება...

სოფელ შამგონიდან ორი საათის შემდეგ გამოვემგზავრეთ. ქალაქის ცენტრში მდებარე ბაზარი და ბაზრობები სავსე იყო კონტრაბანდული საქონლით. განსაკუთრებით კი თამბაქოს ნაწარმით, რომელსაც მხოლოდ რუსული სააქციზო მარკა ჰქონდა დაკრული. იქვე პოლიციის ნაცნობი მაღალჩინოსანი შემხვდა, რომელმაც შინ მიმიპატიჟა. მასთან ჩემთვის საინტერესო თემაზე ჩამოვაგდე საუბარი. შეჭიკჭიკებულმა სამართალდამცველმა პირდაპირ მითხრა: „აბა, რა უნდა ქნას კაცმა, რამდენი წელი ვიქნები კიდევ ამ პოლიციაში? ხომ დავრჩები პენსიის ამარა და რითი შევინახო ამხელა ოჯახი? არ იფიქრო, რაც კონტრაბანდიდან ფული შემოდის, ყველას მე ვხვეტდე. ჩემნაირი მაიორი სამხარეო პოლიციაში თავზე საყრელია. ფულის დიდი ნაწილი თბილისში მიდის, ჩვენს სამინისტროში, ლეგიონსაც თავის წილი მიაქვს. უშიშროებასაც ხომ უნდა და რაღა რჩება?! ახლა აფხაზეთის ქართული მთავრობის მადაც გაითვალისწინე, ზედ პარტიზანებიც დაამატე და რაღა რჩება? არც იმდენი, შენ რომ ფიქრობ. კი, ბატონო, ყველას შემოაქვს და ძალოვნები თვალს ვხუჭავთ, მაგრამ თბილისი გვეუბნება, ასე გააკეთეთო და ჩვენ რა, სულელები ხომ არ ვართ, ლუკმა პირიდან გამოვიგდოთ. ცენტრალურ ხელისუფლებას რომ უნდოდეს, აფხაზეთიდან კონტრაბანდული საქონელი არ შემოვა, მაგრამ არ უნდა და ღმერთმა ქნას, ამ ჭკუაზე იყოს დიდხანს. ამასობაში პენსიაზეც გავალ და მერე... ჩემმა მასპინძელმა ერთი საიდუმლოც გამიმხილა: — თუ გინდა ნახო, სად ინახება აფხაზეთიდან გადმოტანილი სიგარეტი, დილაადრიან ბაზარში გადი, იქვე მოტოროლერები დგანან. სწორედ მათ მიაქვთ კონტრაბანდისტების საწყობიდან სიგარეტი ბაზარში. გაჰყევი რომელიმეს და საწყობთან მიგიყვანს. მართლა საწყობი არ გეგონოს, ჩვეულებრივი სახლი იქნება...

**— მერე ის სიგარეტი პოლიციის, ანუ თქვენი ხალხის რომ იყოს, ხომ მისაყვედურებ?**

— შენ მე მთვრალი ხომ არ გგონივარ, ის წყარო აგამღვრევინო, საიდანაც წყალს ვსვამ. ეგ ჩვენი საქმე არ არის. სიგარეტით მამაძაღლობას შევეშვით. სიგარეტი იქაც გაძვირდა და ხუთი-ათი თეთრის გულისთვის თავის შეწუხება არ ღირს...

დილაადრიან ბაზარში მოტოროლერების სადგომს მივადექი. ყველას უკან თვითნაკეთი პატარა თუნუქის ფურგონები აქვს. მოტოროლერები ზედიზედ გადიოდნენ საწყობებიდან საქონლის მოსატანად. ერთ-ერთ მათგანს მანქანით მივყევით და ორიოდ წუთში ბაზრიდან არცთუ ისე შორს, ორსართულიანი სახლის წინ შევჩერდით. სახლიდან ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა, ჭიშკარი გააღო და მოტოროლერიც უკანა სვლით ეზოში შევიდა. მანქანიდან ვუთვალთვალებდით, როგორ დაიტვირთა თვითნაკეთი ფურგონი სიგარეტის ყუთებით. ძირითადად, რუსული „ასტრა“ და „LD“ მარკის უაქციზო სიგარეტები აღმოჩნდა. შემდეგ სხვებსაც ავედევნე — აღმოჩნდა, რომ ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის ირგვლივ მდებარე სახლების უმეტესობა საწყობებადაა ქცეული. უმრავლესობა კონტრაბანდისტებს აქვთ დაქირავებული. ე. წ. საწყობების ამბავი, როგორც გავიგე, უშიშროებასაც სცოდნია და პოლიციასაც, მაგრამ რატომღაც ხმას არავინ იღებს, მათ შორის, არც ქალაქის ხელისუფლება. ქალაქის მერის პირველმა მოადგილემ **დავით დავითულიანმა** გვითხრა: „ქალაქის ახალმა ხელმძღვანელობამ ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის მოწესრიგება გადაწყვიტა. ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიებიდან ავიღებთ სავაჭრო ფარდულებს, რომლებიც ხშირად აღურიცხავი საქონლით ვაჭრობენ და ქალაქის ბიუჯეტს გვარიან შემოსავალს უმალავენ. ამ ამბავს არ ვახმაურებთ. მართალი გითხრათ, დიდ რისკზე მივდივართ... კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ახლა რამე რომ ვთქვა, აქედან უნდა გადავსახლდე. ვერც იმ უწყებებსა და სახელმწიფო ჩინოვნიკებს დაგისახელებთ, ამ საქმიანობას რომ მფარველობენ“. დაახლოებით იგივე განაცხადა ზუგდიდის მერმა ტარიელ ქანთარიამ. როგორც ჩანს, ზუგდიდის ხელისუფლება კონტრაბანდისტების მფარველებს გვარიანად დაშინებული ჰყავთ, რასაც ისიც ადასტურებს, რომ კონტრაბანდისტების მფარველები საკმაოდ სოლიდურ თანამდებობებზე არიან წამოსკუპებულები და მათი გადამტერება ქალაქის ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.

იმ იმედით, იქნებ კონტრაბანდისტების მფარველი ჩინოვნიკების გვარები გავიგო-მეთქი, სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამმართველოს უფროსს, **გოგი ნაჭყებიას** ვესტუმრეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— ბატონო გოგი, ზუგდიდში ყველამ იცის, ვინ მფარველობს აფხაზეთიდან გადმოტანილ კონტრაბანდას, მაგრამ ხმამაღლა ამას არავინ ამბობს. თქვენც გეშინიათ?**

— რამეს თუ იტყვი, ბოლომდე უნდა თქვა, თორემ ნახევრად ნათქვამი სიმართლე სიცრუეზე უარესია. ჯერ ის განვსაზღვროთ, რასაც თქვენ კონტრაბანდას უწოდებთ. კანონით მას აფხაზეთიდან შემოსული აღურიცხავი საქონლის გადაადგილება ჰქვია, რადგან აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქიდან შემოსულ საქონელს კონტრაბანდას ვერ ვუწოდებთ. თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს კონტრაბანდული საქმიანობაა... რეგიონში ერთი წლის მანძილზე 48 თვითმკვლელობა და 16 თვითმკვლელობის მცდელობა დაფიქსირდა. ეს მაჩვენებელი მეტად დამაფიქრებელია და სერიოზულ ანალიზს მოითხოვს. ხალხს უჭირს. უამრავი ლტოლვილი ცხოვრობს ზუგდიდში, რომლებსაც სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ აფხაზეთიდან რამდენიმე შეკვრა სიგარეტი ან ცოტაოდენი საწვავი შემოიტანონ.

**— ჩვენ ის გვაინტერესებს, ტრაილერებით გადმოზიდულ კონტრაბანდას თუ აღურიცხავ საქონელს ვინ მფარველობს?**

— პიროვნულად მე ზუგდიდში საწინააღმდეგო არავისთან არაფერი მაქვს, მაგრამ რომ ვთქვა, ამაღამ ტყვიას უნდა შევხედო თვალებში და ხალხი უნდა მოვიმდუროო. ამით კი არაფერი გაკეთდება. ბენზინი და სიგარეტი მაინც გადმოვა უკანონოდ საზღვარზე, თანაც კანონი დასახვეწია. კანონით, როდესაც აღურიცხავ საქონელს აკავებ, იგი საგადასახადო ინსპექციაში უნდა წარადგინო და მფლობელს (თუ ეს პირველი შემთხვევაა) 400 ლარით დააჯარიმებენ. მეორე შემთხვევაც ჯარიმას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ კონტრაბანდის შემთხვევაში აღიძვრება. ახლა კი აფხაზეთიდან შემოსული საქონელი, როგორც გითხარით, აღურიცხავ საქონლად არის მონათლული. რაც შეეხება იმას, პოლიციის ხელი ურევია თუ არა ამ საქმეში, არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში სისტემა და კონკრეტული პირები. ჩვენთან იოლია პოლიციის დადანაშაულება. სხვა კუთხით მივუდგეთ ამას. რატომ მფარველობს პოლიციელი კონტრაბანდას და რამ აიძულა ეს საქმიანობა გაეხადა შემოსავლის წყაროდ? პირველი მიზეზი საზღვრის დაუცველობა გახლავთ, მეორე — პოლიციელის მიზერული ხელფასი. ხელს ვერც ერთ მაღალჩინოსან პოლიციელს ან ძალოვანი სტრუქტურის სხვა ხელმძღვანელს ვერ დავადებ. რაც შეეხება რიგითებს, ანუ საშუალო რგოლს — კი, ბატონო. იცით, ეს როგორ ხდება? ამაღამ ორ საათზე გადმოვა აღურიცხავი საქონლით დატვირთული მანქანა ენგურზე. გზაში ვინც შეხვდება, ყველას ფულს მისცემს და დაუბრკოლებლად მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე. ღამით ქუჩებში მაღალჩინოსნები ხომ არ პატრულირებენ.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# „სააკაშვილმა მოღალატეებს თანამდებობები უბოძა“

ფაქტია, ლეიბორისტები და ნაციონალები ერთმანეთს ვეღარ ეწყობიან. ხანმოკლე სიამტკბილობის შემდეგ მათ შორის განხეთქილების ვაშლი ისევ ვანო ზოდელავამ ჩააგდო. „თავისმა გაყვანილმა“ საკრებულოს თავმჯდომარემ ნათელაშვილს იმედები არ გაუმართლა. რადიკალი ნაციონალი გამგებლების საკითხში მოულოდნელ ლოიალობას იჩენს და ფიგურების მოხსნის ნაცვლად, მათი ადგილმონაცვლეობით კმაყოფილდება. ცხადია, სააკაშვილი პაიკებს თავისი პოზიციების გასამაგრებლად ალაგებს და ქიშისთვის ემზადება, მაგრამ სააკაშვილის „მომაგრება“ ლეიბორისტებს არ არგიათ. **შალვა ნათელაშვილი** მშვენივრად ხვდება, რომ ამ პოზიციაში სარგებელი ნაკლებად ექნება — მისთვის შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება და ამიტომაც უკმაყოფილებას ვერ მალავს. მთავარი ლეიბორისტი სააკაშვილზე მეტად მწყრალი ჩანს:

— შესაძლოა გარეგნულად არ ჩანდა, მაგრამ ჩვენსა და ნაციონალებს შორის დაპირისპირება კარგა ხნის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბ-ნმა სააკაშვილმა უკუაგდო წინასაარჩევნო დაპირება — „თბილისი შევარდნაძის გარეშე“ და „შევარდნაძის სისტემის დემონტაჟი“. საკრებულოს თავმჯდომარედ სააკაშვილს რომ ვირჩევდით, გვსურდა დაგვეჯერებინა — ყორნის გათეთრება შეიძლებაო. მაგრამ ბ-ნმა მიხეილმა როგორც კი თანამდებობა გაინაღდა, ჯორბენაძის თანხმობით მაშინვე შექმნა ალიანსი პრეზიდენტის დანიშნულ ქალაქის მაფიოზ მერთან. მათი კავშირი იურიდიულად მაშინ გაფორმდა, როცა სამსახურიდან გასაგდებ, უნდობლობაგამოცხადებულ ზოდელავას ბ-ნმა მიშამ ქალაქის მთავრობა დაუმტკიცა. ამ მთავრობის ნახევარი ზოდელავას ხალხია, ნახევარი — სააკაშვილის. თბილისელებს ამისთვის



გიჟები არიან ნაციონალები ყველაფერი ზოდელავას დაუთმონ?

არ უბრძოლიათ და არჩევნებზე იმიტომ არ მისულან, რომ ზოდელავა-სააკაშვილის კოალიციური მთავრობა ეხილათ. ხალხს ეგონა ქალაქი კორუმპირებული ხელისუფლებისგან გაიწმინდებოდა, ბიუჯეტზე დაწესებული წილები (მილიონობით ლარი) ქალაქის გამგებლობაში დაბრუნდებოდა. მაგრამ...

ამის შემდეგ უარი ვთქვით სააკაშვილთან თანამშრომლობაზეც. შედეგად კი ვიხილეთ ისევ გაერთიანებული „მოქკავშირი“ და ძველი პოლიტიკა, რომელიც შევარდნაძის სისტემის შეცვლას კი არა, მის ჩანაცვლებას ემსახურება. ამას მოჰყვა „ვიზუალური ღონისძიებები“, რომელთაგან ყველაზე ამაღელვებელი იყო ქუჩაში გაყინული ორი ბავშვი, რომელიც სააკაშვილმა იპოვა. შემდეგ ვიხილეთ, როგორ მიადგა დასანგრევად ტრაქტორზე ამხედრებული სააკაშვილი ვიღაც გასვიანის სახლს, მერე კი სანაგვეზე, ღრუტუნებთან ჩაატარა მიტინგი.

საკრებულო უფასო სამედიცინო მომსახურებაზე კი დავიყოლიეთ, მაგრამ რეალურად ვერ განვახორციელებინეთ — შეეშინდათ, ჩვენ არ აგვწეოდა რეიტინგი. ხუთი წუთი სჭირდებოდა წყლის ტარიფის განახევრებას, მაგრამ ესეც ვერ მოახერხა საკრებულომ. სამაგიეროდ, საკრებულოს თავმჯდომარეს კაბინეტების მოწყობა, აპარტამენტებში გათბობა-გაგრილების სისტემის დამონტაჟება და კორუმპირებული ხალხის წინ წამოწევა უადვილდება.

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში ენერგოოკუპანტებს ვებრძოდით, ნაციონალები გვერდით არ დაგვდგომიან, სწორედ მათი წევრის მომზადებულია „თელასის“ გაყიდვის კონტრაქტი, რაშიც გასამრჯელოდ 300 ათასი დოლარი აიღო.

საკრებულოს თავმჯდომარედ გაყვანისთვის მადლობა იმით გადამიხადა, რომ მოღალატეები, რომლებიც პარტიიდან იმიტომ გაიქცნენ — საკრებულოს თავმჯდომარედ სააკაშვილს რატომ ირჩევო, შეიფარა, პარტიაში მიიღო და თანამდებობები უბოძა. ეს ზნეობისა და კაცობის ფარგლებში აღარ ჯდება. მეც მეხვეწებოდნენ მისი თანაპარტიელი დეპუტატები — მიგვიღეო. უარი ვუთხარი, — პარტიების რღვევას ხომ არ დავიწყებ-მეთქი.

სააკაშვილს დედაქალაქში უკვე თავისი თანამდებობის პირები და თავისი სტრუქტურები აქვს. ის ფული, რაც ტრანსპორტიდან, მშენებლობიდან, ბაზრებიდან იკრიბება, ძნელი გამოსაცნობია სადაც წავა? გიჟები არიან ნაციონალები, რომ ყველაფერი ზოდელავას დაუთმონ?! მით უმეტეს, ფულის ათვისების ისეთი გამოცდილება აქვთ, სოროსი და როკფელერიც ვერ შეეჯიბრებიან.

**— ნაციონალების და ლეიბორისტების ბოლო დაპირისპირების მიზეზი ვაკე-საბურთალოს გამგებელი დავით სულაძე გახდა. თუმცა ცხადია, ეს საბაბი იყო...**

— რატომ დასვეს მხოლოდ ვაკე-საბურთალოს გამგებლის უნდობლობის საკითხი, მინდა ამ ხალხს ვკითხო — უნდობლობაგამოცხადებულ მერს, მთავარ მაფიოზს რომ უმეგობრდებით, რომელთანაც ყველა გამგეობიდან მიდის წილები, დანარჩენ 4 გამგებელს რომ ბუზს არ აუფრენთ (მხოლოდ დიდუბეში ბაზრობებიდან მილიონები იკრიბება), რას ჰგავს ეს?

**— ლეიბორისტებს ჯორბენაძესთან ალიანსში გადანაშაულებენ...**

— როგორ არ რცხვენიათ ასეთი რამის დაბრალება, როცა ჯორბენაძე და სააკაშვილის მამა მეგობრები, თანაჯგუფელ-თანაკურსელები არიან. როდესაც ჯორბენაძე ჯანდაცვის მინისტრი იყო, მისი მარჯვენა ხელი სააკაშვილის მამა გახლდათ, რომელიც კადრებს და სარევიზიო-საკონტროლო სამმართველოს განაგებდა, მერე მას ბალნეოლოგიური კურორტი აჩუქა ჯორბენაძემ. რამდენადაც ვიცი, ბ-ნი მიხეილის მამა კანცელარიაში კვირაში სამჯერ მაინც დადის შვილის საქმეების მოსაგვარებლად და ჩასაწყობად.

„ნაციონალმა“ რომან გოცირიძემ, რომელიც პუტჩისტურ მთავრობაში ვიცე-პრემიერი იყო, თავისთვის 4-ოთახიანი ბინის გამოყოფაზე პრემიერ-მინისტრის ნაცვლად მოაწერა ხელი და პირველი პარლამენტის დროს ამის გამო კინაღამ დაიჭირეს. მერე კუპონები შემოიღო და მთელი საქართველო დაღუპა. ამ კაცს ახლა ბაზარი ჰქონია ვარკეთილში და ყოველდღიურად თურმე 2 ათასი ლარი აქვს შემოსავალი. წარმოგიდგინიათ, სააკაშვილს ასეთი ადამიანი ჰყავს გვერდით და კიდევ გამოდის და ჭკუას მასწავლის. ჩემთან რომ გოცირიძისნაირი ყოფილიყო ვინმე, აქამდე შეჭამდნენ.

**— ინჯიას გამო ხომ გჭამენ?**

— პროკურატურამ ამ კაცს დანაშაული ვერ დაუმტკიცა, თორემ გიჟი ვიყავი, კორუმპირებული ადამიანი პარტიაში მიმეღო? ინჯიამ თავის მოადგილედ არ დანიშნა კაცი, რომელსაც პოლიტიკოსებისა და ხელისუფლებისთვის საინტერესო პირების სატელეფონო საუბრები უნდა მოესმინა. და ამიტომ დაისაჯა. თორემ სხვა მინისტრებმა: ზუბიტაშვილმა, ონოფრიშვილმა, ჭკუასელმა მილიონები წაიღეს, ამოიღო ვინმემ ხმა? იმიტომ, რომ მათ ეს მილიონები მიჰქონდათ იქ, სადაც „საჭირო იყო“ — და ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდნენ. ზოდელავამ სააკაშვილს დაავალა, საკრებულოს მდივნობიდან გადააყენოს ჩემი პარტიის წევრები, მათ შორის საკრებულოს მდივანი ზურაბ ჟვანია. გადააყენონ, მეტი საქმე არ მაქვს, ამის გამო პანაშვიდები გავმართო.

**გიორგი გუგავა,** საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის“ თავმჯდომარე:

— სააკაშვილმა თბილისის გამგეობებში მე-2 და მე-3 კაცებად გაუშვა თავისი ხალხი, სულაძე ვერ დაიყოლიეს, არ დანიშნა მათი კადრი თანამდებობაზე და ამიტომ მიუგზავნეს სარევიზიო კომისია. კარზე არჩევნებია მომდგარი და სააკაშვილს ფინანსები სჭირდება. მას ამავდროულად საზღვარგარეთული ვოიაჟებისთვისაც უნდა ფული, რადგან ძირითადად ძვირად ღირებულ სასტუმროებში ბინავდება თურმე. როდესაც 2002 წლის ბიუჯეტს გადავხედეთ, გავოგნდით, ისეთ რამეებშია ფული დახარჯული. მაგ. „პროგრამების მონიტორინგის პროგრამაში“ (ვერ გავიგეთ ეს რა არის) 200 ათასი დოლარია დახარჯული. ეს ხომ ის თანხაა, რომელიც ჩინოვნიკთა ჯიბეებში წავიდა, მაგრამ სააკაშვილი რატომღაც კორუფციას სანაგვეზე ეძებს და არა — მერიაში.

სააკაშვილმა პოლიტიკაში დონ-კიხოტის სინდრომი შექმნა. შექმნის წარმოსახვით მტერს, ამხედრდება როსინანტზე და უტევს მოწინააღმდეგეს, მხოლოდ პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად. საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ერთ დროს ვაკის პარკში ებრძოდა უკანონო მშენებლობას. იმ 9-სართულიანი სახლის პროექტი დღეს 16-სართულიანი გახდა. გვაქვს ინფორმაცია, რომ დაკმაყოფილდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა ინტერესები (საცხოვრებელი ფართის გამოყოფით) და ამიტომ აღარ იბრძვის სააკაშვილი.

თბილისში პრივატიზაცია გენგეგმის თანახმად უნდა ხორციელდებოდეს, სინამდვილეში არავის აინტერესებს ეს გეგმა. მაგ. მეტროსადგურებს სატრანსპორტო ფუნქციის გარდა (მოსახლეობის ევაკუაციისთვის) — სამხედრო დანიშნულებაც აქვს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ შეიძლება ზედმეტი ობიექტების განთავსება. ამის მიუხედავად, ყველა მეტროსადგურთან საფუნთუშე, რესტორანი ან კაფეა. ის, ვინც თბილისის ცალკეულ ობიექტებს ყიდდა, იცოდა — კანონი მესაკუთრის უფლებებს დაიცავდა და გასხვისებულზე არავინ მიედავებოდა. კომისიაში, რომელმაც მინიმალურ ფასად გაყიდა მიწები და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, ქალაქის ამჟამინდელი მთავარი არქიტექტორი როსტომაშვილი და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელი ღვინიაშვილიც იყვნენ. ისინი ჩადენილი დანაშაულისთვის მხოლოდ სამსახურის ადგილის შეცვლით „დაისაჯნენ“...

# „ლეიბორისტებს ჩვენს დასაბალანსებლად იყენებენ“



„ამ საკითხზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ“

*გასულ კვირას „ახალ მემარჯვენეებში“ გამართულ შეხლა-შემოხლასა და იარაღის ტრიალს მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა — ოპოზიცია ხელისუფლების შეცვლის საიდუმლო სქემებზე ალაპარაკდა.*

*რაკი ეჭვმიტანილები პრეზიდენტთან ყველაზე მეტად დაახლოებული ადამიანები აღმოჩნდნენ, გაჩნდა ეჭვი, რომ ოპოზიცია განგებ ახმაურდა შევარდნაძისთვის ერთგული გარემოცვის ჩამოცილების მიზნით. თვითონ პრეზიდენტს შეთქმულების ამბავი სერიოზულად არ მიუღია (საჯაროდ ასე გამოჩნდა), მაგრამ არც პრევენციულ ღონისძიებაზე უთქვამს უარი და ღალატში შეუნიშნავ გენერალურ პროკურორს საქმის გამოძიება დაავალა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შევარდნაძე თავს იზღვევს, ანუ მას აქვს ეჭვის საფუძველი. თუ გავიხსენებთ შეთქმულების სავარაუდო მონაწილეთა შეშფოთებულ-შეფიქრიანებულ სახეებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ გასულ კვირას მარჯვე პოლიტიკური ინტრიგა გათამაშდა, მაგრამ ვინ ვის სასარგებლოდ ითამაშა, ამას მომავალი გვიჩვენებს.*

*ყოველივე ამის პარალელურად ბათიაშვილის გარემოცვიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ „ახლების“ ოფისში მომხდარი სკანდალის სულისჩამდგმელი ექსშინაგან საქმეთა მინისტრი იყო. კახა თარგამაძე ძველ მტრებზე შურისძიებას იწყებს. ჯერ დაბეჯითებით ვერავინ ამბობს, თუმცა ქარაგმულად მიანიშნებენ საბოლოო სამიზნეს — თარგამაძე ძველ ბატონზე ძალზე ნაწყენიაო...*

*ყველაზე გამბედავი, რომელმაც მოსალოდნელ შეთქმულებაზე ლაპარაკი დაიწყო, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი* ***მიხეილ სააკაშვილი*** *აღმოჩნდა:*

— საჭიროდ ჩავთვალე გამეხმაურებინა ის ინფორმაცია, რომელიც ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან მოგვდიოდა. პრეზიდენტის გარემოცვა უკვე სერიოზულად განიხილავს პრეზიდენტის ჩანაცვლების თავისეულ გეგმას, რომელიც გულისხმობს ამ კლანის პოზიციების შენარჩუნებას და არაპოპულარული პრეზიდენტის ჩამოშორებას, ამასთან, მისივე ნებით. ამავე გეგმაში შედის არჩევნების ჩაშლაც. ეს ინფორმაცია სხვადასხვა დამოუკიდებელი არხითაც დადასტურდა. ადრეც მსმენია ათასგვარი ვერსია, მაგრამ მათ რეაგირება არ მოჰყოლია, ახლა კი პრეზიდენტმა საქმის გამოძიება მოითხოვა.

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე არაფერი მითქვამს, უბრალოდ, ვილაპარაკე გეგმაზე, რომლის განსახორციელებლად არც არის აუცილებელი სახელმწიფო გადატრიალება. ეს პირველად კანცელარიაში თქვეს და საშიშია, როცა ამ საკითხზე ის ხალხი იწყებს ლაპარაკს, რომლებიც შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობენ.

საზოგადოების ერთ ნაწილს საკონსტიტუციო რეფორმა იმისთვის სჭირდება, რათა შევარდნაძეს სიმბოლური პრეზიდენტობა შეუნარჩუნოს, ან პრემიერ-მინისტრად გადაიყვანოს და თვითონ ჩაიგდოს ხელში მართვის სადავეები. მეორე ნაწილს შევარდნაძის „გვერდზე ჩაჩოჩება“ და მის ნაცვლად თავიანთი სტრუქტურების ჩანაცვლება სურს. ორივე სქემა ძალიან საშიშია. ყოველივე ამან შესაძლოა ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიგვიყვანოს.

**— ყოველივე ამის შესახებ თქვენ „ახლების“ ოფისში მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ ალაპარაკდით. ეს ფაქტები რამით ხომ არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული?**

— არა მგონია... „ახლებთან“ მომხდარი შეტაკება შინაპარტიული კონფლიქტის გაგრძელება იყო. სოლიდარობა „ახლებს“ იმიტომ გამოვუცხადე, რომ ჩემთვის ყველა სახის ძალადობა მიუღებელია (რაც შეეხება „ახალი თაობის“ ჟურნალისტთან მომხდარ ინციდენტს, მე თვითონ მერიის დაცვის თანამშრომლებისგან შევიტყვე, რომ რაღაც აურზაური ყოფილა და შემდეგ მათვე წაუყვანიათ პოლიციაში. ამ საკითხზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ).

სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს არ ჰყავს ისეთი ლიდერები, რომლებსაც ხალისით გაჰყვება ხალხი არჩევნებში. რეალური საარჩევნო შანსები „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ლეიბორისტებს“ აქვთ (სხვა საკითხია, როგორ მოიპოვეს ეს „შესაძლებლობები“ და ვის როგორ უწყობს მთავრობა ხელს), ამიტომ დანარჩენი პარტიები ცდილობენ როგორმე ჩაძირონ ამ ორი პარტიის ლიდერი ან საერთოდ უხელისუფლებო სიტუაცია შექმნან, ან სულაც გაუქმდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და შემოიღონ პრემიერ-მინისტრის პოსტი, რომელზეც ამა თუ იმ პირს სხვადასხვა ჯგუფს შორის გარიგებების შედეგად დანიშნავენ... ყველა სახელმწიფო თამაში აქეთკენ არის მიმართული. ჩვენ და „ლეიბორისტები“ რომ გავერთიანებულიყავით, საკითხავი აღარც იქნებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ... როგორც ჩანს, ხელისუფლება იმაზეა გაფაციცებული, „ლეიბორისტები“ ჩვენს დასაბალანსებლად გამოიყენოს. მათი ამოცანაა, — ჯერ ჩაძირონ „ნაციონალური მოძრაობა“, შემდეგ კი ლეიბორისტული პარტია დაშალონ. ამ სქემაზე ლაპარაკობენ როგორც ოლიგარქიულ წრეებში, ისე სამთავრობო კორიდორებში.

იმასაც ამბობენ, თითქოს ზოდელავასთან ვიყო შეკრული და მთავრობაც ამიტომ დავუმტკიცე. ეს მტკნარი სიცრუეა. მინდა დღევანდელ პირობებშიც კი როგორმე შევცვალო რამე. შემეძლო მხოლოდ ძალლივით მეყეფა და ყველაფერზე „ცუდია“ მეძახა, მაგრამ ამით რამე გამოვიდოდა? მთავრობა რომ არ დამემტკიცებინა, ყველა ძველი თანამშრომელი თავის კაბინეტში დარჩებოდა და სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. ჩვენ მიერ წარდგენილმა სამმა ვიცე-პრემიერმა თანამდებობაზე მისვლისთანავე განაცხადა, რომ გაემიჯნებოდა შევარდნაძის კორუმპირებულ რეჟიმს. იგივე რატომ არ თქვა თავის დროზე ლეიბორისტების ვიცე-პრემიერმა?

საკრებულო ყველაფერს გააკეთებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. მაგ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ელექტროენერგიის ტარიფი არ მოიკლებდა, სემეკმა მართლაც სიმბოლური გადაწყვეტილება მიიღო. ლეიბორისტებს შევთავაზეთ, შევიტანოთ პარლამენტში კანონპროექტი დღგ-ის მოხსნის თაობაზე. რამდენიც უნდა ვიძახოთ, „ეი-ი-ეს თელასი“ ცუდია და მასთან ხელშეკრულება ნაჩქარევად გაფორმდაო, დღეს მისი გაგდება და რუსებით შეცვლა თბილისის ჩაბნელებას ნიშნავს.

**— ბოლო დროს ლეიბორისტების მხრიდან გარკვეული ბრალდებებიც ისმის თქვენი მისამართით.**

— შესაძლოა ვიღაცას აღიზიანებს, რომ საზღვარგარეთიდან მიწვევები მაქვს და ბევრ გავლენიან პირს ვიცნობ. ვისაც ეს არ მოსწონს, მათ გამო უცხოეთში სიარულს ვერ შევწყვეტ და თალიბი ვერ გავხდები, რომელსაც თავი იმით მოაქვს, რომ უცხოეთთან კონტაქტი არ აქვს. ეს არის ავლანური სინდრომი და არ ვურჩევდი ლეიბორისტებს მათ დამგვანებოდნენ.

ლეიბორისტებიდან ხალხის წასვლა, ჩემი კი არა ამ პარტიის პრობლემაა. ყველაფერი გავაკეთე, რომ საკრებულოში არ ყოფილიყო კონფრონტაცია და ლეიბორისტების შინაპრობლემა მის მუშაობაზე არ ასახულიყო. ამას წინათ მოითხოვეს, ზურაბ ჟვანია საკრებულოს მდივნობიდან გადავაყენოთო, მაგრამ ამას წინ აღვუდექი.

**— ითქვა, რომ მოსალოდნელ შეთქმულებაზე თქვენი განცხადება ჯორბენაძის ჩამოსაცილებლად გაკეთდა.**

— პირიქით, მინდა ჯორბენაძე დიდხანს დარჩეს პრეზიდენტთან. ის ჩვენთვის ყველაზე მისაღები ფიგურაა. სულაც არ მინდა, პრეზიდენტს ჰყავდეს უნიჭიერესი სახელმწიფო მინისტრი, რომელიც სხვანაირად წაიყვანს საქმეს. კიდევ ერთი რამისთვის მინდა ჯორბენაძე შევარდნაძის გვერდით იყოს — მისი მოხსნის შემთხვევაში, პრეზიდენტი ისევ დროის მოგების ტაქტიკას მოიშველიებს და სახელისუფლებო ვადის გახანგრძლივებას შეეცდება. ამიტომ ჯორბენაძის შეცვლა არც ამ ეტაპზე მიმაჩნია მისაღებად და არც მომავალში.

**— საფრთხეზე ლაპარაკი ზოგმა წინასაარჩევნო ტრიუკად მონათლა.**

— სულ მალე ჩვენი ხალხი მიხვდება, რომ ასეთი საშიშროება მართლაც არსებობდა და ამ სქემების განხორციელების მცდელობის მოწმეც შეიქნება. კარგად ვიცი, შევარდნაძის გარემოცვის უზნეობა და არც მისი „შორსმჭვრეტელობის“ დანახვა მიჭირს. ისინი აუცილებლად შეეცდებიან ალოგიკური ქმედებებით აგვირიონ თავგზა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ გამოუვათ. ამიტომ გავხდი იძულებული, ისინი გამეფრთხილებინა, ამაზე არც იფიქროთ-მეთქი.

**— ანუ ჯორბენაძე-ნარჩემაშვილი-ხაზარაძის „სამკუთხედის“ მმართველობის დამყარებაც იყო შესაძლებელი?**

— არ ვიცნობ ლევან გაჩეჩილაძის წყაროს, მაგრამ ის ხალხი, რომლებმაც მე მომაწოდეს ინფორმაცია, კარგად იყო ინფორმირებული. როცა რამდენიმე სხვადასხვა სახელისუფლებო წყაროდან წამოსული ფაქტები ერთმანეთს ემთხვევა, ამის შესახებ საჯაროდ განცხადება ყველას ვალია.

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

CMYK

# დიდი თამაში და „პატარა ფიგურები“ სამეგრელოში

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ტყეში გავარდნილი გია მესხია მეგობარზე შურისძიებისთვის მარჯვე დროს ელოდა და ეს დრო ესებუას დაკრძალვა აღმოჩნდა. იგი სამგლოვიარო პროცესიას მოულოდნელად შეუერთდა და ზურა შონია, „პუშკინა“ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილა. როდესაც მისი დაკავება სცადეს, მან ხელყუმბარა გახსნა და ხალხში გადააგდო, რასაც 5 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. თვითმხილველები ირწმუნებოდნენ, რომ მესხია მარტო არ ყოფილა და მას თან გვაზავაც ახლდა, თუმცა გამოძიებისას რატომღაც მხოლოდ მესხია ფიგურირებდა.

გოჩა ესებუა აღარავის გახსენებია. საეჭვო გახდა პროკურატურის დუმილი 9 თებერვლის ტერაქტის საქმეში — მას ხომ ესებუა ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან იგი ერთადერთი იყო, ვისაც ტერაქტის ორგანიზატორის დასახელება შეეძლო. მეტ-ნაკლებად ინფორმირებული გახლდათ ზურა შონიაც, რომელიც იმ დროისთვის უკვე მკვდარი იყო. ასე რომ, 9 თებერვლის ტერაქტის საქმეში თეთრი ლაქები კვლავ ბლომად ჩნდებოდა.

1998 წლის მარტში დააკავეს ვალიკო ზარანდიას ვაჟიშვილი (ეს ის ზარანდიაა, რომლის ოჯახშიც მიაბარეს მიწას ზვიად გამსახურდია) ვახტანგ ზარანდია, მაგრამ რამდენიმე თვეში იგი გაათავისუფლეს. პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებებიდან ერთი საინტერესო ეპიზოდი დარჩა უყურადღებოდ. იგი ჰყვება, რომ ჯიხაშკარის მოვლენების დროს იგი ხშირად ხვდებოდა ესებუას და მისი ნდობით აღჭურვილ პირადაც ითვლებოდა. როგორც თვითონ ამბობს, იმ დღეს, როცა ძალოვნებმა ესებუა ჩაბარებაზე დაითანხმეს, მასთან ღამით მივიდნენ — მისი ნათესავი და უშიშროების თანამშრომელი თენგიზ თოდუა. საუბრისას თოდუამ ზარანდიას სთხოვა, მისივე მანქანით იმ ღამესვე ესებუა ჯიხაშკარიდან გაეყვანა. ზარანდიას, რა თქმა უნდა, გაუკვირდა, რადგან მეორე დილით ესებუა ძალოვნებთან ჩაბარებას აპირებდა. თოდუამ მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა, ყოველივე ხელმძღვანელობასთან არის შეთანხმებულიო, თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვისთან. ზარანდიამ, შეთანხმებისამებრ, ესებუა და მისი ორი თანმხლები პირი (გვაზავა და გია მესხია) სოფლიდან გაიყვანა. მეორე დღეს თენგიზ თოდუა კვლავ მისულა ზარანდიების ოჯახში. ზარანდიას უთქვამს, რომ მისი დავალება შესრულებული იყო, რაზეც თოდუას რეაქცია არ ჰქონია. ვფიქრობთ, ამ ეპიზოდს პროკურატურის ყურადღება უნდა გამოეწვია. მით უმეტეს, რომ გამოძიების დროს ვახტანგ ზარანდია თოდუასთან შეხვედრასა და დაპირისპირებას ითხოვდა, რაზეც უარი მიიღო.

ვის აძლევდა ხელს ესებუას ჯიხაშკარიდან წასვლა? თუ პრეზიდენტისა და უშიშროების მაშინდელი მინისტრის ჯემალ გახოკიძის რეაქციებს გავიხსენებთ, მათთვის მართლაც მოულოდნელი იყო ესებუას წასვლა. კითხვა: ვისთან იყო შეთანხმებული ეს ყველაფერი? — დღემდე პასუხგაუცემელი რჩება. ერთი კი ფაქტია, ესებუას ალაპარაკება მავანს ხელს არ აძლევდა — მისი ფიზიკური განადგურება კი უშიშროების სამინისტროში გართულდებოდა და რეზონანსს გამოიწვევდა (ხელისუფლებას ჩაბარებული პირის ლიკვიდაცია ძლიერ ეჭვს გააჩენდა. — ნ. ბ.). ამიტომ იყო საჭირო ესებუას ჯიხაშკარიდან გაპარება, რათა მისი სიკვდილი უფრო ბუნებრივი გამოჩენილიყო. ესებუას შემდეგ ყოვლისმცოდნე „პუშკინა“ რჩებოდა. არ არის გამორიცხული, მისთვის მოღალატის იარლიყის მიკერება გააზრებული ნაბიჯიც ყოფილიყო. ამ შემთხვევაში იარაღად გია მესხია გამოიყენეს, რომელსაც საკმაოდ იმპულსური ხასიათის აქვს. ესებუას დასაფლავების დღეს მას კიდევ ერთხელ შეახსენეს (შეიძლება, შეგნებულადაც), რომ გოჩას სიკვდილში „პუშკინა“ იყო დამნაშავე. ნასვამი მესხია აფექტში ჩავარდა და შედეგიც მივიღეთ. „პუშკინას“ სიკვდილი „კინგ-კონგის“ მხრივ, როგორც მეგობარზე შურისძიება, ისე გამოჩნდა და არც საზოგადოებაში გაჩენილა ეჭვი. არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი.

მარტში — ზარანდიას სთხოვეს, გოჩა ესებუა უშიშროების თანამშრომლებთან შეეხვედრებინა, რაზეც მან გოჩასგან თანხმობა მიიღო. შეხვედრა ურთის მთაზე უნდა მომხდარიყო და სწორედ ამ შეხვედრაზე მიდიოდა ესებუა, როდესაც იგი ონარიაში გაჩერდა ღამის გასათევად.

მიუხედავად პოლიციის დიდი მცდელობისა, მაინც გაჟონა ინფორმაციამ. სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, ონარიის ოპერაციის დროს — არანაირი შეთავაზება დანებებაზე პოლიციის მხრიდან არ ყოფილა. სავარაუდოდ, ოპერაციის ძირითად მიზანს გოჩა ესებუას აყვანა კი არა, მისი განადგურება წარმოადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ გვაზავას გაქცევა ვაშაკიძეების სახლიდან საგანგებოდ ყოფილიყო ინსცენირებული. თუმცა, ვინ იცის...

*ნინო ბურჭულაძე*

ვის აძლევდა ხელს ესებუას ჯიხაშკარიდან წასვლა? თუ პრეზიდენტისა და უშიშროების მაშინდელი მინისტრის ჯემალ გახოკიძის რეაქციებს გავიხსენებთ, მათთვის მართლაც მოულოდნელი იყო ესებუას წასვლა. კითხვა: ვისთან იყო შეთანხმებული ეს ყველაფერი? — დღემდე პასუხგაუცემელი რჩება.

# საქართველოს მოსახლეობას „მიძინებული“ საფრთხე ემუქრება

საბჭოთა კავშირის დაშლის მე-11 წელს კიდევ ერთი ახალი საშიშროების წინაშე დადგა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი — ბევრგან, საცხოვრებელი უბნებისა თუ სოფლების ახლოს მდებარე საბრძოლო საჭურვლის საწყობების უმეტეს ნაწილში, უკვე ვადაგასული და საშიში ჭურვები და ბომბები ინახება.

მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება უკვე შეუძლებელია, რადგან ნაწილი თავიდანვე, საბჭოთა თუ რუსული არმიის დანაყოფების გასვლისთანავე იქნა მწყობრიდან გამოყვანილი, ნაწილი კი, ზოგიერთი ბედოვლათი ქართველი მაღალჩინოსანი ოფიცრის ხელშეწყობით, დროთა განმავლობაში გამოუსადეგარი გახდა, რადგან დაცული არ იქნა შენახვის წესები.



ასეთ საშინელ პირობებში „ინახება“ ვადაგასული ჭურვები

ეს უვარგისი საჭურველი შეიძლება აფეთქდეს, ათასი ჯურის ტერორისტი ან უბრალოდ, ჯართის შემგროვებელი დაინტერესდეს მისით. მეტ-ნაკლებად დაცული სამხედრო საწყობებიდან ამ არსენალის მოსახლეობის ხელში მოხვედრა კი ახალ უბედურებას მოიტანს.

სწორედ ამის გამო სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“, რამდენიმე ინსტიტუტთან ერთად, მოამზადა პროექტი სახელწოდებით „საარტილერიო საბრძოლო მასალებისა და ავიაბომბების უტილიზაცია, ტერიტორიების ეკოლოგიური მონიტორინგი“. პროექტი ეუთომ რამდენიმე ხნის წინ დააფინანსა, რადგან ევროპაშიც ხვდებიან, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ შესწევს ძალა, თვითონვე გააუვნებელყოს საკუთარი, უვარგისი საბრძოლო მასალები. გვესაუბრება პროექტის კოორდინატორი, „დელტას“ გენერალური დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **დავით ფირცხალავა:**

— ბოლო 12 წლის განმავლობაში საბრძოლო მასალების შენახვის ბაზებზე არანაირი აუცილებელი სარეგლამენტო სამუშაოები არ ჩატარებია ათიათასობით საარტილერიო ჭურვსა და საავიაციო ბომბს. გამოსავალი მხოლოდ მათ განადგურებასა ან უტილიზაციაშია. ჩვენი ცენტრის პროექტით ეუთოს დაინტერესებაში ძალიან დაგვეხმარა საგარეო საქმეთა სამინისტროს შეიარაღებაზე კონტროლის დეპარტამენტი. სამუშაოების პირველი ეტაპი სამთვიანი იქნება და იგი 100 ათასი დოლარით დაფინანსდება.

3 თვე დასჭირდება საზენიტო-საარტილერიო ქვემეხების KC-19-ის 5 ათასამდე 100 მმ კალიბრის ჭურვის, 17 ათასზე მეტი კაფსულა-დეტონატორის და ამდენივე ამფეთქის გაუვნებელყოფას. რიგში კიდევ 20 ათასამდე ჭურვია.

ერთი მხრივ, გულსატკენია, როდესაც საბრძოლო საჭურვლის ისედაც მწირ მარაგს ანადგურებ, მაგრამ ყველა უკვე ყავლგასულია და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ცუდი შენახვის გამო საშინელ მდგომარეობაშია, ხოლო მათი სასროლო KC-19 ტიპის ქვემეხები თავდაცვის სამინისტრომ, მგონი, მთლიანად ამოიღო შეიარაღებიდან. გენერალიტეტის ეს ნაბიჯი გაუგებრობას იწვევს — მართალია, ნახევარსაუკუნოვანი ქვემეხების დივიზიონს ერთი 15 კგ-იანი „სტრელა“ შეცვლის, მაგრამ 8 კმ სიმაღლეს, სანამდეც KC-19-ის ჭურვი უწევს, ვერც „სტრელა“ შესწვდება, ვერც „იგლა“ და ვერც „სტინგერი“.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ათასობით ჭურვს სასწრაფო უტილიზაცია სჭირდება, რაც საკმაოდ სახიფათო პროცესია და გარკვეულწილად უტოლდება მენაღმეთა ძალზე სახიფათო საქმიანობას. ამ რისკის მოსასპობად შეიძლებოდა უვარგისი ჭურვები ერთად მოეგროვებინათ და აეფეთქებინათ, მაგრამ ეს პროცესი ძალზე უარყოფითად იმოქმედებდა ჩვენი ქვეყნის ბუნებაზე.

საუტილიზაციოდ გამზადებულ ჭურვს ჯერ კაფსულა-დეტონატორს მოხსნიან, შემდეგ ამფეთქს, საბრძოლო ქობინს და ბოლოს დენთს ამოიღებენ ჰილზიდან. ჰილზა შეიძლება ჯართად ჩაბარდეს იგი 5 კგ-მდე იწონის და მეტი ფასი აქვს, თუკი თითბრისგანაა დამზადებული. ჰილზიდან ამოღებული დენთი სპეციალურ სამქროში გადამუშავდება და შემდგომში შეიძლება მისი სამოქალაქო დანიშნულებით (სამთო აფეთქებები) გამოყენება. კაფსულა-დეტონატორი და ამფეთქი ისე საშიშია, რომ მათი ნაწილებად დაშლა აკრძალულია. ისინი პოლიგონზე ფეთქდება, მაგრამ მცირე ზომების გამო, ბუნებას დიდად ვერ დააზიანებს. საბრძოლო ქობინებიც ან უნდა აფეთქდეს (რაც ეკოლოგიური თვალსაზრისით არასასურველია), ან სპეციალურ დანადგარში მისგან ტროტილი გამოდნეს.

როგორც ვხედავთ, არ კმარა მარტო ყვირილი — დაგვიტოვეთ, რუსო სამხედროებო, იარაღიო. საბჭოთა არმიისგან დარჩენილი უვარგისი საბრძოლო მასალების დიდი მარაგი ახალ დავიდარაბად გვექცა.

# უცნობი ვირუსი ამერიკაში ქათმებს ანადგურებს

## რა გავლენას მოახდენს იგი საქართველოს ბაზარზე

მსოფლიოს წამყვანი კომპანიები, რომლებიც ცოცხალი ფრინველისა და ფრინველის პროდუქციის იმპორტით არიან დაკავებულნი, სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ მოსალოდნელი ზარალის გამო. გასული წლის სექტემბერში, აშშ-ის ქალაქ ლოს-ანჯელესში ქათმის ახალი ეგზოტიკური ეპიდემია აღმოცენდა. ვირუსი ისე სწრაფად გავრცელდა რომ უკვე ამ წლის დასაწყისში, აშშ-ის მეზობელმა ქვეყნებმა კანადამ და მექსიკამ აკრძალეს ფრინველის იმპორტი კალიფორნიის შტატიდან, იუწყება „გარდიანი“ (03.01.2003.)



კალიფორნიის მეფრინველეობის ფედერაცია, აერთიანებს 160 ფერმას, რომელთა საერთო წლიური ბრუნვა 3 მილიარდ დოლარს შეადგენს. კალიფორნია საერთაშორისო ბაზარზე ფრინველის პროდუქციის წარმოებაში დღეისათვის მესამე ადგილზე იმყოფება. ამჟამად კი მთელ შტატში 12 მილიონი კვერცხის მდებელი ქათმიდან 9 მილიონი ეპიდემიის გამო შექმნილ საკარანტინო ზონაშია მოთავსებული. კარანტინი კრძალავს ცოცხალი ფრინველისა და ფრინველის პროდუქციის ტრანსპორტირებას. აშშ-ის სოფლის მეურნეობის ადმინისტრაციამ უკვე გასცა ბრძანება მილიონზე მეტი ქათმის განადგურების შესახებ. მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა დაავადების ახალი შემთხვევები, რისკიან ზონას შეუერთდნენ ქალაქები: რივერსაიდი, სან-ბერნანდინო, სან-დიეგო და ორანჟი. მთავრობის განცხადებით, ქათმის ვირუსი არ არის საშიში ადამიანებისთვის, თუმცა იგი იწვევს ფრინველის სიკვდილს.

ქათმის პროდუქტების იმპორტიორთა ცნობით, როდესაც ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა, ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს შეეჩერებინათ ქათმის პროდუქციის შეტანა ევროპაში, რათა იქაც არ გავრცელებულიყო ეს საშიში დაავადება. რასაკვირველია, ქათმის ხორცის იმპორტიორებმა დიდი ზარალი განიცადეს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ფრინველთა დაავადება გავრცელდა 1970 წელს. მაშინ მთავრობა იძულებული გახდა გაეცა ბრძანება 12 მილიონი ქათმის განადგურების შესახებ. დაავადების აღმოფხვრა 56 მილიონი დოლარი დაჯდა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მოახდენს თუ არა გავლენას აღნიშნული ფაქტორი საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე და გაგვაჩნია თუ არა დაცვის რაიმე მექანიზმები.

1 წლის წინ საქართველოში ჩატარებული მარკეტინგული კვლევის მიხედვით, ფრინველის ხორცის დიდი ნაწილი, რომელიც ბაზარზე იყიდება, უცხოეთიდან შემოდის. ძირითადად ეს არის გაყინული ქათმის ხორცის პროდუქცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმპორტირებული ხორცის დიდი ნაწილი ამერიკის კონტინენტიდან შემოდის, ხოლო დანარჩენი კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ასეთ შემთხვევაში, დაგვეთანხმებით, რისკის გარკვეული ფაქტორი ნამდვილად არსებობს, ვინაიდან კონტროლის მექანიზმები საქართველოში, რბილად რომ ვთქვათ, სუსტად მუშაობს. იმპორტიორები კი უფრო თავიანთი საქონლის გაყიდვით არიან დაინტერესებულები და ისედაც დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით ცდილობენ ადგილობრივი მეწარმეების შევიწროებას და ბაზარზე მონოპოლისტური პოზიციის განმტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ქალაქის ვეტერინარულმა სამსახურმა 7 ტონა სწორედ აშშ-დან შემოტანილი ქათმის ხორცის პროდუქცია გაანადგურა. თუმცა, ეს სულ სხვა მიზეზით მოხდა — პროდუქტი საკვებად აბსოლუტურად უვარგისი იყო, რაც დაადასტურა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ. საქმე იმაშია, რომ ბაზრობებისა და ოფიციალურად რეგისტრირებულ სავაჭრო დაწესებულებებში კანონის მიხედვით იკრძალება ვეტერინარული ინსპექციის ჩატარება, თუ სასამართლოს შესაბამისი ბრძანება არ იქნება ამა თუ იმ ობიექტის შემოწმების შესახებ. სასამართლოები კი არცთუ იშვიათად აცხადებენ უარს ამგვარი ბრძანების გაცემაზე. აქედან გამომდინარე, უხარისხო პროდუქცია ხშირად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ვინმე იწამლება.

ზემოთ აღნიშნული გლობალური საერთაშორისო პრობლემის გარდა, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარს როგორც ჩანს, ბევრი ლოკალური პრობლემაც აქვს, რამაც შორს მიმავალ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ცნობილია, რომ გაყინული ქათმის ხორცის პროდუქციის შენახვას ძალზე მკაცრი ტემპერატურული რეჟიმი გააჩნია. ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ ერთ-ერთი ბაზრობის შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ არანაირი ტემპერატურული რეჟიმი არ არსებობს იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში, მაცივრების ჩართვა დენის უქონლობის გამო შეუძლებელია. გარე ვაჭრობები კი, სადაც იმპორტული გაყინული ფრინველის ხორცი ღია ცის ქვეშ იყიდება, მოწამვლის რისკის ზონაში იმყოფება. სპეციალისტების ცნობით, როდესაც ქათმის ხორცი რამდენჯერმე ლღვება და იყინება, მასში განსაკუთრებით მატულობს ბაქტერიების რაოდენობა. განსაკუთრებით საფრთხილოა იმპორტირებული გაყინული ქათმის ხორცი, ვინაიდან ცნობილი არ არის, როგორ მოხდა მისი წარმოება, რამდენი ხანი დაყო გზაში და დაიცვეს თუ არა ტრანსპორტირების დროს ტემპერატურული რეჟიმი. ასეთ შემთხვევაში, ხორცის საკვებად ვარგისიანობა სათუო ხდება, რასაც ადასტურებს ორი დღის წინ ვეტერინარული სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმება. შემოწმდა აბასთუმნის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან ერთ-ერთი. ამ სარდაფებს მეპატრონეები ხორცის და სხვა პროდუქტების შემნახველ საკნებად იყენებენ, სადაც მაცივრები ძირითადად ბუტაფორიულ მოვალეობას ასრულებს. საკნების მეპატრონეები 1 კგ ხორცს ღამეში 1 თეთრად ინახავენ, რაც სიიაფის გამო გარე მოვაჭრეებს იზიდავს. ოღონდ ამ შემთხვევაში ეკონომია ძირითადად მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება.

ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული პროდუქციით უხვად გაჯერებული საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი სულ უფრო მეტად იწვევს საზოგადოების გულისწყრომას. ვინაიდან, კვების პროდუქტებში ერთი შეხედვით გადახდილი იაფი ფასი შეიძლება საბოლოოდ უფრო ძვირი დაგვიჯდეს.

*ფრიდონ ასლიშვილი*



# ამერიკული „ქორი“ ნავთობსადენს არავის გააკარებს

გასულ კვირას ცნობილი ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“ იუწყებოდა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებარე ნავთობსადენის უსაფრთხოებასა და კონტროლს ჰაერიდან ამერიკული უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავები Global Hawk-ები დაიცავენო.

თავის დროზე „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში არც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია მალავდა იმას, რომ ნავთობსადენის კონტროლი ციდანაც განხორციელდებოდა.

როგორც ამჟამად ირკვევა, მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები უმსხვილეს ამერიკულ ავიაკოსმოსურ კომპანია „ნორტროპ გრუმანთან“ (სწორედ ამ კომპანიის მიერ არის შექმნილი „უხილავი“ ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი B-2 Spirit-ი) Global Hawk-ის ქართულ ცაში „გამოსაგზავნად“.

**ჩვენი დოსიე: ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი RQ-4 Global Hawk-ი ოფიციალურად მხოლოდ წელს მიიღეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში. იგი დაზვერვისა და თვალთვალის ულტრათანამედროვე საშუალებას წარმოადგენს, მისი ფასი 50 მლნ აშშ დოლარია, იწონის 11,2 ტონას, აქედან 950 კგ სადაზვერვო აპარატურაზე მოდის. ამერიკულ „ქორს“ უყენია ძლიერი სატელევიზიო კამერა, ინფრაწითელ დიაპაზონში მოქმედი სადაზვერვო მოწყობილობა და კომპაქტური რადიოლოკატორი. მას „მარაოების“ შეკვრა 20 კმ-ის სიმაღლეზეც შეუძლია. მისი ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 640 კმ/სთ-ს აღწევს, კრეისერული სიჩქარე კი მხოლოდ 10 კმ/სთ-ითაა ნაკლები. ამერიკულ „ქორს“ „გლობალური“ იმიტომაც ეწოდება, რომ შეუძლია 8 ათას კმ-ზე ძირს დაუშვებლად გადაფრენა და ჰაერშიც 24 სთ-ზე მეტხანს იმყოფება. ნავთობსადენის მაგისტრალთან წარმოქმნილ საეჭვო სიტუაციას დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში იგი ზემოდან დააფიქსირებს და განგაშის სიგნალს (სატელევიზიო გამოსახულებით) მიწაზე, ცენტრს გადასცემს.**

„გლობალური ქორების“ საქართველოს ცაში შესაძლო გამოჩენა მარტო მშენებარე ნავთობსადენის უსაფრთხოებას როდი უზრუნველყოფს, მისი საშუალებით (მით უმეტეს, 20 კმ სიმაღლიდან) შესაძლებელი იქნება მიწაზე სულ მცირე დეტალის (მაგალითად, ადამიანს რა ფერის კოსტიუმი აცვია და როგორი საათი უკეთია) შემჩნევა, მათ შორის ჩვენი ქვეყნის იმ ნაწილებში, სადაც ოფიციალური თბილისი ცხვირს დღემდე ვერ ჰყოფს. სხვა საქმეა, მოინდომებს თუ არა დასავლეთი ნავთობსადენის გარდა, ჩაერიოს საქართველოს შიდაპრობლემებში, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ეს „თეთრი ლაქებია“ ის ტერიტორიები, სადაც საერთაშორისო ტერორისტები თავს აფარებენ, ასე რომ, ამერიკელთა სასიცოცხლო ინტერესებშიც შედის იმის გაგება, თუ რა ხდება აფხაზეთში, ცხინვალსა თუ პანკისის ხეობის ჩრდილოეთით.

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „კვირის პალიტრა“ ქართული მასმედიის პირველი (და შეიძლება დღემდე ერთადერთიც) წარმომადგენელი იყო, რომელმაც 2001 წლის ივლისში, საფრანგეთში, ლე ბურჟეს საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაზე, დაათვალიერა იმ მომენტისთვის პირველად საჯაროდ გამოტანილი ამერიკული Global Hawk-ი. რამდენიმე თვეში Global Hawk-ის ერთ-ერთი საცდელი ნიმუში გადასროლილ იქნა ავღანეთისკენ, უსამა ბინ ლადენის ორმეტრიანი ფიგურის ჰაერიდან მთებში მოსაძებნად.

ჩვენი ინფორმაციით, Global Hawk-ებს პენტაგონი ფარულად იყენებს ერაყთან ომის დაწყების წინ საჭირო სადაზვერვო ინფორმაციების მოსაპოვებლად. ერთი ასეთი უპილოტო თვითმფრინავი ამერიკელებმა უკვე დაკარგეს ტექნიკური მიზეზების გამო ან ერაყელმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს.

სხვათა შორის, იგივე „გარდიანი“ ამტკიცებდა, Global Hawk-ი ბევრად სჯობს მეორე ამერიკულ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავს Predator-ს და ეს უკანასკნელი ნაკლებად გამოდგება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გასაკონტროლებლადო. მართალია, „მტაცებელი“ მართლაც ჩამოუვარდება „ქორს“ გარკვეული საფრენოსნო მონაცემებით (ფრენის სიჩქარე 240 კმ/სთ, სიმაღლე — 7,6 მ, სიშორე — 4 ათასი კმ), მაგრამ, სამაგიეროდ, სადაზვერვო ფრენას ძირს დაუშვებლად ორი დღე-ღამის (48 სთ) განმავლობაში ასრულებს, უფრო ადვილი შესანახია და ბევრად იაფიც ღირს; ანუ Predator-იც კარგი იქნებოდა მშენებარე ნავთობსადენის ჰაერიდან გასაკონტროლებლად.

მაგრამ სწორედ სტრატეგიული დანიშნულების Global Hawk-ზე ძირითადი აქცენტის გაკეთება შეიძლება იმითაც იყოს ნაკარნახევი, რომ მასზე შემდგომში მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების სასტარტო პოზიციების აღმომჩენი სადაზვერვო აპარატურაც უნდა დამონტაჟდეს, რაც „ქორების“ მეპატრონეებს საშუალებას მისცემს, ქართული ციდან შეუფერხებლად დაზვერონ ჩრდილოეთით — რუსეთის სამხრეთი საზღვრები და ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები, ხოლო სამხრეთით — სომხეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო შენაერთები, უფრო შორეულ პერსპექტივას კი, ალბათ ირანის ჩრდილოეთში „შეჭვრეტაც“ წარმოადგენს.

# ყაზარმიდან გაქცეულებს უკვე ესვრიან?!

წინა ნომერში მკითხველს გავაცანით ახალი წლის შემდეგ სამხედრო ძალებში მომხდარი უბედური შემთხვევები, სამწუხაროდ, 3 თებერვალს ახალი ტრაგედია დატრიალდა...

თავდაცვის სამინისტროს ახალციხის 22-ე ბრიგადა მიატოვა და სამხედრო ნაწილის ტერიტორიიდან გაიქცა 11 ჯარისკაცი. ერთი შეხედვით, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ქართული არმიიდან ჯარისკაცების უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფებიც გაქცეულან, მაგრამ ამჯერად უბედურება მოხდა — ახალციხის რაიონის სოფელ წნისში ორი გაქცეული ჯარისკაცი დააფიქსირეს და მათ დასაკავებლად ოფიცერთა ჯგუფი გაიგზავნა. ჯარისკაცების დაკავებისას ერთ-ერთმა ოფიცერმა, მაიორმა შალვა გოგოლაძემ იარაღი ისროლა, დაიღუპა გაქცეულთაგან ერთ-ერთი, 20 წლის რიგითი გიორგი გაგოშაშვილი. ოფიცერმა დაკითხვაზე მისცა ჩვენება, რომ მის მიერ ჰაერში ნასროლი ტყვია რიკოშეტით მოხვდა ჯარისკაცს. საბოლოო სიტყვას ბალისტიკური ექსპერტიზა და გამოძიება იტყვის, მაგრამ იბადება კითხვა — ნუთუ სავალდებულო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდების ყაზარმებში დაკავებას უკვე სროლით ვაპირებთ?

ვის რად უნდა ისეთი ჯარი, სადაც ახალგაზრდებს თავი შრომა-გასწორების კოლონიაში ჰგონიათ? არაერთხელ დაგვიწერია, რომ მეტროში დაჭერილი თუ შინიდან გამოყვანილი და ჯარში ძალით გამწესებული ჯარისკაცი წესიერად არასოდეს იმსახურებს და ბრძოლის დაწყების შემთხვევაში მათი გამოყენება ზიანის მეტს არაფერს მოიტანს — ელემენტარული სამხედრო დისციპლინის უქონელი ნებისმიერი საბრძოლო დანაყოფი ელვისუსწრაფესად მიატოვებს მიჩენილ საბრძოლო პოზიციას და მეზობელ დანაყოფებსაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან მოწინააღმდეგე ზურგიდან მოუვლის მათ. მსგავსი მეტად სამწუხარო ფაქტები აფხაზეთის ომშიც ხშირად ხდებოდა.

საგულისხმოა ერთი რამ: ახალციხიდან გაქცეული ჯარისკაცების ნაწილი არ მალავს, რომ მათი მარათონული სირბილის ფინიში შინ კი არა, ვაზიანის მე-11 ბრიგადაში იყო, საიდანაც ისინი გაქცევამდე ორი დღით ადრე გაამწესეს ახალციხეში. ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ერთი და იმავე თავდაცვის სამინისტროს ორ გეოგრაფიულად დაშორებულ სამხედრო ნაწილში ძალზე განსხვავებული პირობებია, რამაც ჯარისკაცები (სხვათა შორის, ისინი ახალგაწვეულები არ ყოფილან, დაღუპულ რიგით გიორგი გაგოშაშვილს 8 თებერვალს ჯარში სამსახურის ერთი წელი შეუსრულდებოდა) აიძულა, საკუთარი თავისთვის ძველ ნაწილში დაბრუნებით ეშველათ.

ყოვლად გაუმართლებელია იარაღის გამოყენება თუნდაც სამხედრო ნაწილის თვითნებურად დამტოვებელთა დასაკავებლად, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი, გამოძიების თანახმად, უიარაღონი იყვნენ. იარაღს არათუ ჯარისკაცების, უიარაღო რეციდივისტების დასაკავებლადაც თითქმის არ იყენებენ.

ვფიქრობთ, სამხედრო პროკურატურა შესაბამის დასკვნებს გააკეთებს და დამნაშავე საკადრისად დაისჯება.

# შეიძლებოდა თუ არა „კოლუმბიის“ ჩამოგდება?!

## 19 წლის წინ მოსკოვმა ეს თითქმის შეძლო

ნახევარი ამერიკა კვლავ დაღუპული „კოლუმბიის“ ნარჩენებს აგროვებს, რადგან სტრატოსფეროში აფეთქებული „კოლუმბიის“ ფიუზელაჟისა და შიგთავსის ნაწილები რამდენიმე შტატის ტერიტორიაზე მიმოიფანტა. ამ გზით ამერიკელი კონსტრუქტორები და გამომძიებლები ცდილობენ დაადგინონ, სინამდვილეში რა გახდა ამერიკული კოსმოსური სიამაყის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი.

ამჟამად მონდომებით ერთ ხელსაწყოს ეძებენ, მასზე ასეთი წარწერაა: — „მთავრობის საიდუმლო საკუთრება“. ეს ხელსაწყო ის დამშიფრავი მოწყობილობა უნდა იყოს, რომლის საშუალებითაც ამერიკელ ასტრონავტებს დახურული რადიოკავშირი ჰქონდათ NASA-ს ცენტრთან.

შეიძლება ამიტომაცაა, რომ ვრცელდება ხმები, თითქოსდა „კოლუმბიის“ ეკიპაჟი, გარდა წმინდა სამეცნიერო სამუშაოებისა, კოსმოსიდან ერაყის ტერიტორიის დაზვერვასაც ახორციელებდა, რათა ახალი საომარი კამპანიის დაწყების წინ პენტაგონისთვის მასალები გადაეცა.

„კოლუმბიის“ სპეციალურად ჩამოგდების ვერსია ფანტასტიკურად ითვლება, რადგან არც ერაყს და არც სხვა ქვეყნებს არ გააჩნიათ ისეთი საზენიტო-სარაკეტო სისტემები, რომლებიც 60-70 კმ სიმაღლიდან ჩამოაგდებენ მფრინავ ობიექტს. თუმცა საქმე მთლად ასეც არ არის. „კვირის პალიტრას“ მოეპოვება ინფორმაცია (რომელიც თავის დროზე სამხედრო კოსმოსის ერთმა რუსმა სპეციალისტმა მოგვაწოდა), რომ 1984 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირმა კინაღამ ჩამოაგდო დედამიწის კოსმოსურ ორბიტაზე მფრენი მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერი“. შუა აზიაში, სარი-შაგანის სრულიად საიდუმლო პოლიგონზე, იცდებოდა ექსპერიმენტული ლაზერული კომპლექსი. ამ ცდებს გენერალური კონსტრუქტორი ნიკოლაი უსტინოვი — მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, მარშალ დმიტრი უსტინოვის ვაჟი ხელმძღვანელობდა. ორი დღით ადრე ამერიკელებმა ორბიტაზე „ჩელენჯერი“ გაიყვანეს. მისი ფრენის ტრაექტორიის დასადგენად მამის ბრძანებით შვილმა — უსტინოვმა ლაზერული დანადგარის სხივი ორბიტისკენ მაშინ მიმართა, როდესაც „ჩელენჯერი“ 365 კმ სიმაღლეზე, საბჭოთა კავშირის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების სახელმწიფო პოლიგონის თავზე იმყოფებოდა.

როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, ბალხაშის რაიონთან „ჩელენჯერს“ მთლიანად გაუწყდა რადიოკავშირი, ელექტრონული აპარატურა მწყობრიდან გამოვიდა, ხოლო ეკიპაჟი ცუდად გახდა. არადა მაშინ უსტინოვებმა ლაზერული დანადგარი მხოლოდ მცირე სიმძლავრით და ისიც მფრინავი ობიექტის აღმოჩენის რეჟიმში ჩართეს. ლაზერული დანადგარი მთელი სიმძლავრით რომ აემოქმედებინათ, „ჩელენჯერი“ ორბიტაზევე აფეთქდებოდა და ვერავინ გაიგებდა კატასტროფის ნამდვილ მიზეზებს.

თუკი 1984 წელს საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ასეთი ფანტასტიკური იარაღის თუნდაც ექსპერიმენტული ნიმუში, რატომ არის შეუძლებელი, რომ 19 წლის შემდეგ იმავე ან უფრო თანამედროვე პრინციპით მოქმედი „იარაღი-საოცრება“ სხვა ქვეყნების ან სულაც რომელიმე მსოფლიო ოლიგარქიული ჯგუფის ხელში აღმოჩენილიყო? მით უმეტეს, რომ თავად პენტაგონი უკვე წარმატებით ცდის სამგზავრო თვითმფრინავში დამონტაჟებულ ლაზერულ ქვემეხს, რომელსაც ასეული კმ სიშორიდან ბალისტიკური რაკეტის კორპუსის გამოწვა შეუძლია. მით უმეტეს, რომ „კოლუმბიის“ აფეთქებაც, სავარაუდოდ, მის მარცხენა ფრთაზე გარე ტემპერატურის მოულოდნელმა სწრაფმა აწევამ გამოიწვია. კორპუსის დამცველი ტეფლონის ფირფიტები „შატლებს“ ადრეც დაუკარგავთ, მაგრამ



ამას კატასტროფა არ მოჰყოლია.

„კოლუმბიის“ კატასტროფა, ეტყობა, ერთიორი წლით მაინც შეაჩერებს „შატლების“ ფრენას საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ. ამ უკანასკნელის მომსახურებას მოსკოვი კისრულობს, რომელსაც არ სურს ხელიდან გაუშვას ასე მოულოდნელად გამოჩენილი შანსი და ამერიკელებს სთავაზობს დააფინანსონ რუსული რაკეტა-მატარებლების მოდერნიზაცია და სერიული წარმოება.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## მობილური ტელეფონებიც ისვრიან



გასულ კვირას საფრანგეთის პოლიციამ საეჭვო პირებს ორი, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მობილური ტელეფონი ჩამოართვა. ტელეფონებში ჩამონტაჟებული იყო სასროლი მექანიზმი, რომელიც ოთხ 22-კალიბრიან (5,6 მმ) ტყვიას ისროდა. სროლა ტელეფონის კლავიატურაზე თითის დაჭერით ხორციელდება. ეფექტიანი სროლის მანძილი 10 მ-მდეა.

ეს ტელეფონები აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაშია დამზადებული და სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ბელგიასა და ჰოლანდიაში ამოიღეს.

სავარაუდოა, ამგვარი სახიფათო „მობილური“ ტელეფონები ჩეხეთიდან და რუმინეთიდან საქართველოშიც მოხვდეს, რადგან ისინი ნამდვილზე ბევრად ძვირი არ ღირს.

## ამერიკული ზეწოლა პიკს აღწევს

თეთრი სახლი რაც უფრო აჭიანურებს ომის დაწყებას ერაყთან, მით მეტად უპირისპირდება საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. დღემდე ვაშინგტონმა ვერაფრით დაიყოლია არა მარტო ბებერი ევროპა (გარდა მუდმივი მოკავ-



შირის — დიდი ბრიტანეთისა, რომელსაც დაყოლიება არ სჭირდება), არამედ თვით მის ტერიტორიაზე მოქმედი გაეროც, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთსა და ჩინეთზე.

კოლინ პაუელის ცნობილი გამოსვლა ერაყელებმა ძალიან მარტივად გააქარწყლეს — ჟურნალისტები მიიყვანეს იმ პოლიგონზე, რომელსაც ამერიკული დაზვერვა შორსმსროლელი რაკეტების ასაწყობ ცენტრად მოიხსენიებდა და აჩვენეს რეალური სურათი — იქ გამოცდილი 150 კმ-ზე მსროლელი რაკეტები ამერიკას ნამდვილად ვერ დაემუქრებოდა.

თუკი რომელიმე ამერიკელმა მაღალჩინოსანმა პანკისის ხეობა ტერორისტების ბუდედ მოიხსენია, ჩვენები მაშინვე ვაცივით უქნევენ თავს და დამფრთხალნი ვაშინგტონში თხოვნას თხოვნაზე გზავნიან — ერაყთან ომში გვერდით გიდგავართ და თუ გინდათ, წინა ხაზზეც გაგვიშვითო!

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ასეთი ლაქუცი შეიძლება ესიამოვნოთ კიდეც ოკეანისგაღმელებს (ყველას — არა!), მაგრამ მსოფლიო ხომ მარტო ამერიკა არ არის. დასავლეთ ევროპის ქვეყნები — საფრანგეთი, გერმანია და სხვები, სულაც არ უჭერენ მხარს ერაყში ომის დაწყებას. ამიტომაც ოფიციალური თბილისის უადგილო ინიციატივებმა არა მგონია, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს სიკეთე მოუტანოს.

14 თებერვალს მსოფლიო გაეროს სამხედრო ინსპექტორთა ახალ დასკვნას ელოდება ერაყთან დაკავშირებით, მაგრამ შეიძლება პენტაგონმა ვალენტინობის დღემდეც დაარტყას ბაღდადს, თუმცა საფიქრებელია, რომ თეთრი სახლი დაელოდოს მუსლიმანთა ჰაჯის დამთავრებას.

თებერვლის მეორე ნახევარში ერაყის ახლოს ხუთი ამერიკული საავიამზიდო დაჯგუფება მოიყრის თავს. მის შემადგენლობაში იქნება 70 საზღვაო ხომალდი, რომელთა შეიარაღებაში 430-მდე ფრთოსანი რაკეტა და 160 გემბანის თვითმფრინავი იქნება, 350 საბრძოლო თვითმფრინავი კი სახმელეთო აეროდრომებზე განთავსდება. ერაყელები ხვდებიან, რომ ამერიკელთა უპირატესობა კოლოსალურია და ცდილობენ, ამ „ნავთობის ომში“ ვაშინგტონი პირში ჩალაგამოვლებული დატოვონ — მათ 1.500-მდე ნავთობის მოსაპოვებელი ჭაბურღილი დანაღმეს პრინციპით — „არც ჩვენ და არც თქვენ“.

ომი ნავთობისთვის ჯერ კიდევ წინაა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

***იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით ქვეყნის ყველაზე დიდ პენიტენციარულ დაწესებულებაში მასშტაბური სადამსჯელო ღონისძიება პრეზიდენტის 75-ე წლისთავზე, 25 იანვარს მოეწყო და სისხლიანი შეტაკებით დასრულდა. დაიჭრა 35 პატიმარი და 12 წესრიგის დამცველი. ამოღებული იარაღის რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. მათ შორის ავტომატიც იყო.***

# როგორ ცვდება ციხე შიგნიდან



## თბილისი. მეხუთე იზოლატორი, 2003 წელი

პირველი კითხვა, რომლითაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავკაცს, ბატონ **პაატა მხეიძეს** მივმართეთ, ასეთი გახლდათ:

— *ცეცხლსასროლი, თანაც ავტომატური იარაღი ციხეში ამ არეულ დროშიც კი საგანგაშოდ ჟღერს. რაშია საქმე?*

— როცა 2000 წელს ქსნის კოლონიაში პისტოლეტით მოკლეს ე. წ. კანონიერი ქურდი ფუტკარაძე, ქურდები მიხვდნენ, რომ მათი ტრადიციული იარაღი — „ქურდის სიტყვა" ვეღარ ჭრიდა და პირველობის შესანარჩუნებლად არატრადიციული სქემა შეიმუშავეს: ქურდის ავტორიტეტს პლუს ცეცხლსასროლი იარაღი. ჩემი ვარაუდით, სწორედ იქიდან დაიწყო ციხეებსა და კოლონიებში იარაღის შედინება, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია პენიტენციარულ სისტემაში.

მაგრამ პროკურატურას, რომელმაც ამასთან დაკავშირებით აღძრა სისხლის სამართლის საქმე, ვფიქრობ, გაუჭირდება იმის დადგენა, როდის შევიდა იარაღი ციხეში. თუმცა ვაღიარებ, რომ არსებულ არასასურველ ვითარებაში სავსებით შესაძლებელი იყო იარაღის ციხეში შეტანა.

— *რას გულისხმობთ?*

— ჩვენი თანამშრომლების მნიშვნელოვან ნაწილს დამნაშავეთა სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ნახევრად ქურდული მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა. თავად განსაჯეთ: ჩვენი თანამშრომელი გვიმტკიცებს, პატიმარმა ოჯახიდან მიღებული არასასიამოვნო შინაარსის წერილის კითხვის დროს სამჯერ ჩაირტყა დანა მკერდში, რის შედეგადაც გარდაიცვალაო. ამავე დროს, სამედიცინო ექსპერტიზა იძლევა დასკვნას, რომლის თანახმად, დანის ერთი დარტყმის შემდეგ პატიმარი მეორედ იმავეს ვეღარ გააკეთებდა. აქედან გამომდინარე, აღარ იკრიბება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საჭიროა სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, ანუ ვითარდება დაუსჯელობის სინდრომი. და რაკი ერთს შერჩა დანაშაული, ამით მეორე თამამდება. მთლიანობაში კი....

ცნობილია, რომ მეციხოვნის მომზადებას ხუთი-შვიდი წელი სჭირდება. ამასთან, რესპუბლიკაში არ არსებობს სასწავლებელი და ამიტომ ძალიან გვიჭირს გამოცდილი კადრების გაშვება. მიუხედავად ამისა, შარშან 300 კაცი დავითხოვეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის გამოსავალი.

— *ცნობილია რომ, იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა უსაფრთხოების სამსახური, რომელიც შემდეგ გააუქმეს. ასეთ პირობებში ვინ უწევს კოორდინაციას ოპერატიულ მუშაობას, რომლის დეფიციტი შეუიარაღებელი თვალითაც შეინიშნება თქვენს სისტემაში?*

— ასეთი სამსახური ახლაც ფუნქციონირებს სერიოზული საშტატო განრიგით, თუმცა ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას: პრევენციასა და რესოციალიზაციას. მხოლოდ იმაზე ვართ გადართული, დანაშაული აღვკვეთოთ ან ვინმე არ გაგვექცეს.

— *თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს დანაშაულიც, რომელიც მასობრივი არეულობითა და სისხლის ღვრით დამთავრდა, დაუსჯელი დარჩება. სადაა გამოსავალი?*

— მე ასე არ ვიტყოდი. შეიძლება ვერ დავადგინოთ, ვინ თავკაცობდა არეულობას, ვის ეკუთვნის ამოღებული იარაღი, თორემ ისინი, რომლებმაც ჩვენი ხალხი დააზიანა, უკვე ცნობილია და მოწმეებიც არსებობს. ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა გადაგვარებული იყოს ჩვენ შორის. დღესაც ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში ჩვენი 7 თანამშრომელი წევს ინსულტის დიაგნოზით. თუმცა, ვიმეორებ — 70 ლარად ყველას ვერ მოსთხოვ გმირობას...

მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, პენიტენციარულ სისტემაზე საქართველოში არასდროს ყოფილა პოზიტიური საზოგადოებრივი აზრი. ამ სისტემაში გათვითცნობიერების მიუხედავად, სტატიის ავტორი თავს იკავებს შეფასებებისგან და სიტყვას გადასცემს ამ საქმის პროფესიონალს, ექსპერტს, ბატონ **გრიგოლ შალამბერიძეს**:

— ქურდობას, ძალადობას ბოლო უნდა მოეღოს. მათ დაიჯერეს, რომ ყველაფრის მართვა შეუძლიათ, განსაკუთრებით კი ციხეებისა და კოლონიების. ასეთი შემთხვევა, როცა მათ ისეთ დარტყმას აყენებენ, რაც ამ მითის საფუძველს სპობს — მისასალმებელია. სხვა საქმეა, რომ ღონისძიება პროფესიულ დონეზე არ ჩატარებულა და ამიტომ გაჭირდება ამოღებული იარაღის მეპატრონის დადგენა. მით უმეტეს, რომ დამნაშავეთა სამყარო ამის საშუალებას ძნელად იძლევა. თუმცა არსებობს სხვა გზები და საშუალებებიც. საჭირო იყო ლეგენდის საფუძველზე, თუნდაც სასეირნოდ მსჯავრდადებულების გაყვანა და შემდეგ მოწმეთა თანხლებით თითოეული ნარის გაჩხრეკა. მაგრამ ჯერ ის უნდა იცოდნენ, ვის სძინავს იმ ნარზე, ვისია ესა თუ ის ტუმბო და სხვ. ვეჭვობ, ეს იცოდნენ. ეს პრიმიტიული მეთოდია, მაგრამ ამასაც მოფიქრება უნდა.

— *ვიცით, რომ არსებობს პატიმრების გეგმური და მოულოდნელი ჩხრეკის განრიგები. საჭიროების შემთხვევაში, პატიმრის გაჩხრეკა ყოველდღე შეიძლება. აუცილებელი იყო იქ მთელი არსენალი შეგროვილიყო?*

— ამაზე იუსტიციის სამინისტრომ უნდა იმსჯელოს. თუკი ამტკიცებ, რომ იარაღი მართლაც შეტანილია, ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ან თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან ან დანაშაულებრივ დაუდევრობასთან. ეს ხომ იქაური თანამშრომლების გარეშე არ მოხდებოდა.

— *ახლა ლაპარაკია თანამშრომლების მასობრივ დათხოვნაზე.*

— ეს საკითხი, როგორც უკვე ვთქვი, მინიმუმ დანაშაულებრივი დაუდევრობის რანგით უნდა იქნეს განხილული, რასაც ალბათ გააკეთებენ კიდეც. ამასთან, აუცილებლად უნდა წამოიჭრას პროფესიონალიზმის საკითხი. ციხეში არ არსებობს აგენტურა, ანუ არ ტარდება არც პრევენციული, არც გამაფრთხილებელი ღონისძიებები. ხომ აშკარაა, რომ არ ჰქონიათ ინფორმაცია და ამიტომ დაგროვდა იარაღი. თუმცა რა პროფესიონალიზმსა და ოპერატიულ საქმიანობაზეა ლაპარაკი, როცა ციხეებსა და კოლონიებს ხელმოცარული მზარეულები, უადგილოდ დარჩენილი მექისეები და უდახლო ვაჭრები იცავენ... იარაღით ხელში. არადა, ამ დაწესებულებებს ადრე საბჭოთა, მერე კი შინაგანი ჯარი, ანუ გაწვრთნილი ხალხი იცავდა. საჭიროა კადრების საკონკურსო წესით შერჩევა და სპეციალიზებულ სკოლებში აღზრდა, მაგრამ სკოლებიც შესაქმნელია...

და კიდევ: ოპერაცია ისე დასრულდა, პატიმრებმა ისე ჩააბარეს იარაღი, რომ ერთი ტყვიაც არ უსვრიათ. თუ ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევ, თუ ამბოხებას აწყობ, იარაღს რატომ არ იყენებ? ეს ძალზე დამაფიქრებელია.

— *ამასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მსჯავრდადებულებს არ ჰქონდათ დაგეგმილი წინააღმდეგობის გაწევა. ორი საათის მანძილზე ჩხრეკა უხმაუროდ მიმდინარეობდა, მაგრამ ამის შემდეგ მიიღეს განკარგულება და ბუნტიც წამოიწყეს...*

ბატონმა გრიგოლმა ამ კითხვას თავი აარიდა, ამიტომ მკითხველის ცნობისმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილოთ, სტატიის ავტორი თავს მოვალედ თვლის, გაიმეოროს ის ვარაუდი, რომელიც ამ დღეებში არაერთგზის გამოითქვა მასმედიაში. ესაა პატიმრების განცხადება იმის შესახებ, თითქოს ამბოხება იმ მიზეზით წამოიწყეს, რომ გასაჩხრეკად მისულმა სპეცნაწილის წარმომადგენლებმა იარაღის ამოღების შემდეგ „ობშიაკის" ფული მოითხოვეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, მანამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ამჟამად კი იურიდიული ფირმის ხელმძღვანელს, **მერაბ რაფავას:**

— ციხეში „ობშიაკი" გარედან შემოდის და დიდი-დიდი ათასი ლარი იყოს მასში. ამასთან, ქურდები არასოდეს ინახავენ „ობშიაკს". ფულს ყოველთვის რანგით დაბალს, „ხარაშნიაკს" აბარებენ და თუ თავისი საქმე იცის თანამშრომელმა, მას უნდა მიაგნოს და თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ისე, რომ სხვებმა არ გაუგონ. ეს ოპერატიული საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დღეს ეს სამსახური აღარ არსებობს, — ვიღაც-ვიღაცებს დამამცირებლად მიაჩნდათ აგენტურული ქსელის არსებობა. არადა, რა სახელმწიფოა ის, რომელსაც ეს ინსტიტუტი არა აქვს?! ძველ საქართველოში მსტოვრების ძლიერი ინსტიტუტი მოქმედებდა — ამიტომაც იყო დიდი მეფე დავითი, ამიტომაც გააძლიერა სახელმწიფო. წინასწარ ინფორმაციას ჩვენს საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ციხის თანამშრომლები გამომყვნენ, ჩავედით პირველ სართულზე, რამდენიმე საკანი ღია იყო, მაშინვე მძევლებად აგვიყვანეს, ჩემს გამცილებლებს გასაღების აცმა წაართვეს და კორიდორიდან გაცვივდნენ.**

— *როდის მოიშალა ეს სამსახური?*

— როდესაც უპატრონოდ დარჩა. დღეს პენიტენციარულ სისტემაში ფორმალურად არსებობს ამგვარი რამ, მაგრამ არ არსებობს მისი მამოძრავებელი ძალა. იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ეს სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბრუნდეს, მაგრამ იმისთვის, რომ ფეხზე დადგეს, უნდა მოიძებნოს ხალხი, რომლებიც კარგად იცნობენ პატიმრის ფსიქოლოგიას. ეს უწყება უნდა ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც დაფინანსდება ბიუჯეტიდან, თორემ საცაა გაკომერციულდება. წარმოგიდგენიათ, ზუგდიდის ციხეში პურს ქუთაისიდან ეზიდებოდნენ.



მაყვალა კევლიშვილი

— *ვთქვათ და დაბრუნდა გამოცდილი კადრი, იმუშავებს ის ხალხი 70 ლარად?*

— როცა დამოუკიდებელი იქნება, საქმე სხვაგვარად წავა. რუსთავის კოლონიაში ძრავის გარდა, „ჟიგულის" თითქმის ყველა დეტალს ვამზადებდით, ავჭალაში — შუქნიშნებსა და ელექტროავტომატიკას; ქსნის კოლონიაში ჩამოსხმული რკინაბეტონის კონსტრუქციითაა აშენებული დიდი დილომი. პენიტენციარული სისტემის ფულს მინისტრიც კი ვერ ახლებდა ხელს. ახლა ეს სისტემა ტვირთად დააწვა სახელმწიფო ბიუჯეტს.

— *მაგრამ ამბოხება და შეხლა-შემოხლა იმ დროსაც იყო ციხეებში. იქნებ ისიც გაიხსენოთ, რა მოხდა 1991 წლის 25 ოქტომბერს, როცა თქვენ პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელი იყავით?*

— მსოფლიოს საუკეთესო ციხეებიდანაც გარბიან და რაღა ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი. იმ წელს კი, აი, რა მოხდა:

პრეზიდენტმა გამსახურდიამ მოითხოვა, საქართველოში დაგვებრუნებინა ყველა ის პატიმარი, რომლებიც სასჯელს ქვეყნის გარეთ იხდიდნენ. ლაპარაკი იყო ჩვენს მოქალაქეებზე, განურჩევლად ეროვნებისა. თუ გახსოვთ, კომუნისტების დროს საქართველოდან ციმბირის ბანაკებში აგზავნიდნენ იმ განსასჯელებს, რომელთაც განსაკუთრებული რეჟიმი ჰქონდათ შეფარდებული. ეს იყო რეციდივისტებისა და პროფესიონალი სამართალდამრღვევების დიდი არმია.

იმის გამო, რომ საქართველოში არ გვქონდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიები, ეს ხალხი საპყრობილეში მოვათავსეთ. რაკი თავი სამშობლოში დაიგულეს, ჩათვალეს, რომ ჩვენი საპყრობილიდან უფრო იოლი იქნებოდა გაქცევა და სამზადისს შეუდგნენ. მით უმეტეს, რუსი „კოლეგებისგანაც" მიიღეს დავალება, მოეწყოთ არეულობა, რაც იგეგმებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. სსრ კავშირი ამ დროისთვის დაშლილი არ იყო. ჩვენ ამის შესახებ შევიტყვეთ აგენტურის მეშვეობით და ვცდილობდით მაქსიმალური წესრიგი დაგვემყარებინა საპყრობილეში. მიმდინარეობდა სისტემატური ჩხრეკები და იწმინდებოდა საკნები. ვაკონტროლებდით ჩვენს თანამშრომლებსაც, მაქსიმალურად ვამოწმებდით პატიმრების ნაცნობ-მეგობრებთან გასაგზავნ წერილებს (ახლა ყოველ მეხუთე-მეექვსე პატიმარს მობილური აქვს და თავისუფლად უკავშირდება გარე სამყაროს. — ვ.გ.). ასე რომ, სიტუაციას ვფლობდით... ეს მოხდა 1991 წლის 5 ოქტომბერს.

ასმეერთე საკანში მსჯავრდადებული მილიციის ყოფილი თანამშრომლები ისხდნენ. მოატყუეს ჩვენი კონტროლიორები და კოლეგიალობის ხათრით მათაც კარი გაუღეს. საკნიდან გამოსულებმა კი თავიანთი კეთილისმყოფელები საკანში შერეკეს და მერე სხვა საკნების გაღებასაც შეეცადნენ, მაგრამ იმდღევანდელმა მორიგემ, ლავრენტი ჩართოლანმა ინსტრუქციის შესაბამისად რამდენჯერმე გაისროლა და ამბოხებულები უკანვე, საკანში შეცვივდნენ. ასე რომ, ინციდენტი სწრაფად ჩავაცხრეთ. მას შემდეგ, მაინც ვიღებდით ინფორმაციებს, რომ კავშირის მასშტაბით მზადდებოდა დიდი არეულობა, თუმცა ვერც ჩვენ და ვერც რუსებმა ვერ დავადგინეთ, საიდან იმართებოდა იგი. 25 ოქტომბერს დასახვრეტთა საკანში სასწრაფო დახმარებისთვის მედპერსონალი გამოიძახეს, მერე კი მძევლად აიყვანეს ექთანი და მისი ორი გამცილებელი.

## თბილისი. საპყრობილე. 1991 წლის 25 ოქტომბერი

**მაყვალა კევლიშვილი,** ციხის ექთანი:

— ღამის სამის ნახევარი იყო, ატყდა ყვირილი. დასახვრეტთა საკანში თამაზ ნამგალაური არისო ცუდად (თამაზ ნამგალაური, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ძიდაობაში. — ვ.გ.). როგორც ინსტრუქცია მოითხოვდა, ციხის თანამშრომლები გამომყვნენ, ჩავედით პირველ სართულზე, რამდენიმე საკანი ღია იყო, მაშინვე მძევლებად აგვიყვანეს, ჩემს გამცილებლებს გასაღების აცმა წაართვეს და კორიდორიდან გაცვივდნენ.

გვესმოდა, როგორ ამსხვრევდნენ ზემო სართულებზე საკნების საკეტებს. შევშინდი და ვთხოვე, ხელი არ დამაკაროთ-მეთქი. სიკვდილმისჯილმა ლომთათიძემ, მეტსახელად ნაპოლეონმა, თავისიანებს უბრძანა, მაყვალას ხელი არ დააკაროთო, მაგრამ სიკვდილმისჯილი რუსი იგორა წვერწამახული მავთულით მჩხვლეტდა გვერდებში.

**მოგვიანებით წინ გაგვიგდეს და გზადაგზა აყვანილ ციხის სხვა თანამშრომლებთან ერთად (სულ თექვსმეტი კაცი შეგვაგროვეს) ეზოში გამოგვიყვანეს, წინ დაგვაყენეს, თქვენ არ გესვრიანო და ალაყაფის კარის გახსნას შეეცადნენ.**

მოგვიანებით წინ გაგვიგდეს და გზადაგზა აყვანილ ციხის სხვა თანამშრომლებთან ერთად (სულ თექვსმეტი კაცი შეგვაგროვეს) ეზოში გამოგვიყვანეს, წინ დაგვაყენეს, თქვენ არ გესვრიანო და ალაყაფის კარის გახსნას შეეცადნენ. მაგრამ ატყდა სროლა, ბევრი დაიჭრა და სამი თუ ოთხი კაცი მოკვდა კიდეც. ჩვენებიდან ერთის გარდა, ყველა გადავრჩით, ასხლეტილი ტყვია მოხვდა. იმ ცეცხლიდან ქურდმა, ვოვა ოგანეზოვმა გამომიყვანა. იმ დროს იქ იყვნენ გიორგი ჭანტურია და გიორგი ხაინდრავა. კარგად მახსოვს, პატიმრებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. შუადღისას ცოტა დაწყნარდა იქაურობა. დახოცილების გვერდით სისხლში ცურავდნენ დაჭრილები. ყვირილის თავიც არავის ჰქონდა. მერე ვიღაცამ მოიფიქრა და დაჭრილების ნაწილი ზემოთ, ქალთა კორპუსში გადავიყვანეთ.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „გაგრა მთლიანად ყარაბაღელი სომხების ხელშია“

## „ქართველებს ერთმანეთის ღალატს ვერავინ გვასწრებს“

*„კოდორის ხეობის პრობლემებს აფხაზეთის საშინაო საქმედ განვიხილავთ და მზად ვართ, ნებისმიერი ფორმით ვითანამშრომლოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან და არა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსულ მოქალაქეებთან, რომლებიც საქართველოს სასაზღვრო ჯარებში თუ თავდაცვის სამინისტროს შენაერთებში მსახურობენ“ — განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, რომელმაც შეიტყო კოდორის ხეობის გუბერნატორის, ემზარ კვიციანის ინიციატივის შესახებ. ინიციატივა გულისხმობს ხეობის ზედა ზონიდან რუსი სამშვიდობოების საგუშაგოების ქართულ-აფხაზური საგუშაგოებით ჩანაცვლებას. შამბა თითქმის დათანხმდა ამ ინიციატივას. ამას კი კოდორში პრეზიდენტის რწმუნებულის ოპონენტთა მხრიდან ირონიული რეპლიკები მოჰყვა. ისინი შამბას და კვიციანს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ერთობლივ ქმედებაში სდებენ ბრალს. კვიციანს კოდორში საკუთარი ინტერესები აქვს და აფხაზებთან ერთად იბრძვის მისი განმტკიცებისათვისო — გაისმის კულუარულ ბრალდებებში. ბრალმდებლებს არგუმენტად მოაქვთ ამგვარი თვალსაზრისი: რწმუნებული წინააღმდეგია, კოდორში შევიდნენ თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები.*



რუსეთის აგენტი ქართველები აფხაზებს აშინებენ, აი, კოდორიდან თქვენზე თავდასხმა მზადდებაო და აფხაზებიც კონტაქტზე არ მოდიან. ჩვენ ამ პრობლემის მოხსნა გვინდა. რუსებს განვდევნით, ქართველებს და აფხაზებს ერთად დავაყენებთ და ასე, თანდათან დაახლოებით ისინი მიხვდებიან, რომ ჩვენ მათი მტრები არ ვართ.

*კომენტარისთვის „ბრალდებულ“* ***ემზარ კვიციანს*** *დავუკავშირდით:*

— აფხაზებისა და ქართველების ერთმანეთთან დაახლოების პროცესი თუ არ დაიწყო, აფხაზეთის პრობლემა დიდი ხნით დარჩება გადაუჭრელი. ამიტომ პირადი ინიციატივით დავაყენე საკითხი, რომ კოდორის ხეობის 106-ე და 107-ე საგუშაგო პოსტებიდან გაყვანილ იქნან რუსები და მათი ადგილი დაიკავონ ქართველებმა და აფხაზებმა, რა თქმა უნდა, ერთობლივად. ამის შესახებ ვესაუბრე პრეზიდენტ შევარდნაძესაც, რომელმაც ხელისუფლების წარმომადგენელთა მსგავსად, მოიწონა ჩემი ინიციატივა. აფხაზებმაც მოიწონეს ეს აზრი.

**— ვის გულისხმობთ, სერგეი შამბას ხომ არა, რომელიც კოდორის ხეობას საქართველოს მიერ მიტაცებულ აფხაზეთის მიწას ეძახის, ხოლო ქართველ მესაზღვრეებსა და ჯარისკაცებს კი, ოკუპანტებს?**

— სერგეი შამბას აზრს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ეგ რუსების აგენტია.

**— ვინც არ უნდა იყოს, მან თვითმარქვია აფხაზური ხელისუფლების სახელით განაცხადა, რომ თქვენს ინიციატივას მხოლოდ მაშინ დაუჭერს მხარს, თუ ხეობას აფხაზებთან ერთად მხოლოდ კოდორელები დაიცავენ.**

— ამაში არავითარი პრობლემა არ არის.

**— თქვენი ოპონენტები ბრალს გდებენ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ქმედებაში, ამბობენ, რომ კვიციანს, შამბას მსგავსად, არ სურს ხეობაში იყვნენ სასაზღვრო ჯარების და თავდაცვის სამინისტროს შენაერთები.**

— მართალს ამბობენ. საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ემზარ კვიციანი არასდროს წავა. რაც შეეხება არაკოდორელ სამხედრო პირებს, მათი ხეობაში შემოსვლა იმდენს ვერაფერს გააკეთებს, რამდენსაც წაახდენს. თუ კოდორს ვიცავთ, დამცველების სახელი უნდა გვერქვას, მოწინააღმდეგის ნაკარნახევი თამაშის წესებით არ უნდა ვიმოქმედოთ. რუსეთის აგენტი ქართველები აფხაზებს აშინებენ, აი, კოდორიდან თქვენზე თავდასხმა მზადდებაო და აფხაზებიც კონტაქტზე არ მოდიან. ჩვენ ამ პრობლემის მოხსნა გვინდა. რუსებს განვდევნით, ქართველებს და აფხაზებს ერთად დავაყენებთ და ასე, თანდათან დაახლოებით ისინი მიხვდებიან, რომ ჩვენ მათი მტრები არ ვართ.

**— ძალიან გულუბრყვილოდ ხომ არ ფიქრობთ? არაერთხელ უღალატიათ აფხაზებს ჩვენთვის და ზურგში ღრმად შემოსულებმა კიდევ ერთხელ რომ დაგვარტყან?**

— საუბედუროდ, ქართველებს ღალატს და მით უფრო, ერთმანეთის ღალატს ვერავინ გვასწრებს.

**— თქვენც ძველ „სიმღერას“ აგრძელებთ, რატომღაც ყველა მიანიშნებს მოღალატე ინკოგნიტო ქართველებზე.**

— რაღა მინიშნება უნდა, აფხაზეთში რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მაშინდელი თავდაცვის მინისტრი კიტოვანი დღეს მოსკოვში ზის თბილად. ახლახან გავიგე — კიდევ ერთი ქართველი ძალოვანი ექსმინისტრი „გერეუში“ საპატიო თანამდებობაზე დაუნიშნავთ (როგორც შევიტყვეთ, ლაპარაკი კვირაიაზეა. — ე. ლ.). რამდენი მოღალატე აფარებს რუსეთს თავს...

**— თქვენ ყოველთვის საკუთარ ინფორმაციას ფლობთ აფხაზეთში არსებულ სიტუაციაზე. რა ხდება სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალზე?**

— რაც მანდ ხდება, უარესი გაგრაში ვითარდება. რუსებმა გაგრა ყარაბაღელ სომხებს ჩააბარეს. არძინბას სიკვდილის შემდეგ კი, აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე სომხის მოყვანას აპირებენ. აფხაზები ხვდებიან, რომ რუსები სომხებით უპირებენ ამოხრჩობას. ამიტომაცაა ახლა საჭირო აფხაზებთან არა მათი საწინააღმდეგო გამოსვლები, არამედ დიპლომატიური ურთიერთობა, რათა არ დაფრთხნენ და მივაღწიოთ კონსენსუსს, თორემ რუსისა და სომხის ხელში ჩავარდნილი აფხაზეთის დაბრუნებაზე ფიქრი სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც გადაიდება. აფხაზების 80% რუსული პასპორტიზაციის მოწინააღმდეგეა და იცის, რომ რუსეთი შთანთქმას უპირებს. მოსკოვში ახლახან მოკლული სალიბეი არძინბაც (ვლადისლავ არძინბას ნათესავი) ანტირუსულად იყო განწყობილი. მას უამრავი თანამოაზრე დარჩა. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო და უნდა ვიმოქმედოთ.

***ეკა ლომიძე***

## იძებნება!

2001 წლის 19 დეკემბერს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა ქ. ზუგდიდში, 26 კომისრის ქ. №30-ში მცხოვრები დავით ანზორის ძე ლომაია. თუ ვინმეს გაქვთ ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ, გთხოვთ, შეგვატყობინოთ ტელეფონებზე:

**25-16-06; 8(99) 39-39-89**
**8(99) 17-76-45; 8(215) 2-46-62**
**8(93) 33-07-54; 8(215) 2-14-55**





# ათიოდ წელიწადში რომელიმე ქალაქ-სახელმწიფოს დავემსგავსებით...

## საგანგაშო დემოგრაფია

2003 წლის დადგომას საქართველო არც-თუ სასიხარულო აღმოჩენით შეხვდა — თურმე, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ კატასტროფულად იკლო. ჯერ კიდევ 1989 წლის აღრიცხვით 5 მლნ 401 ათასი ვიყავით, ახლა კი, წინასწარი გამოკითხვა-აღწერით — არც მეტი, არც ნაკლები 4 მლნ ვყოფილვართ. იმის მაგივრად, რომ 14 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგებულიყო, მილიონ-ნახევრით შევმცირებულვართ. თუ ასე გაგრძელდა, ათიოდ წელიწადში რომელიმე ქალაქ-სახელმწიფოს დავემსგავსებით. მით უმეტეს, რომ ტერიტორიების უიმედოდ დაკარგვაც მშვენივრად გვეხერხება.



საქართველო სისხლისაგან იცლება, იარა კი თითქოს არ ჩანს. არც ერთი ომის დროს საქართველოს ასეთი რაოდენობრივი დანაკლისი არ განუცდია. არავის სურს აღიაროს, რომ მიგრაციის დღევანდელმა ტემპებმა ყველანაირ ნორმას გადააჭარბა. ფეხის ხმას აყოლილი ქართველი და „მაგალითს“ დახარბებული ახალგაზრდობა მიდის... თუმცა ის ყბადაღებული სიამენი — ბარები, კაბარეები, დისკოთეკები, თუ სხვა ანალოგიური პროფილისა და უფრო ფართო მოხმარების დაწესებულებები ჩვენშიც წარმატებით ფუნქციონირებს.

დიახ, მიდიან და არავის სურს თუნდაც საკუთარ თავს გამოუტყდეს, რომ ასეთ წასვლას გაქცევა, მეტიც — ღალატი ჰქვია!!!

„... დავწანწალებ პროვინციიდან პროვინციაში, მაცვია მუხლებზე გადახეული ჯინსები, დაგლეჯილლანჩებიანი ფეხსაცმელები... მაჯაზე ვინაობის მაუწყებელი ფირფიტა გავიკეთე, თუ რამე დამემართება, ალბათ ვინმე მადლიანი გაცნობებთ!“

ეს საზღვარგარეთული ფაქსის ფრაგმენტი გასული საუკუნით როდი თარიღდება. მისი ავტორი ისტორიკოსი გახლავთ, საკმაოდ პერსპექტიულ და ნიჭიერ ახალგაზრდად ითვლებოდა. მისი ოჯახი სიმდიდრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ არც არაფერი აკლდა — ბინა, აგარაკი, მსუბუქი ავტომანქანა, მამა — უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი, მშვენიერი მეუღლე და ორი პატარა ვაჟიშვილი. მოდას, პოლიტიკურ მოსაზრებებს თუ უფრო მეტის წყურვილს შეეწირა უძრავ-მოძრავი ქონება. ოჯახი საზღვარგარეთ გადასახლდა. უცხოობის სუსხს ქალბატონი ბავშვებიანად მალევე გამოერიდა... მერე — ფრაგმენტული შეხვედრა, კვლავ განშორება — ის იქით, ესენი აქეთ — უარაფროდ!

საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი კაცი, თუნდაც გენიოსი, ქერის ორმოში რომ ჩააგდონ, მაინც ხიზანია და „ქვევიდან“ შეჰყურებს მფარველს.

საქართველოს სიყვარულს სიმღერებით გვიმტკიცებენ, „ქართული კულტურის პროპაგანდის“ მიზნით უცხოეთში გამოიძნელბედებენ, მერე, როცა საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს საზღვარგარეთულ გასტროლებში გაფლანგავენ და ფიზიკურ-მორალურად გაკოტრდებიან, ხოლო ასაკობრივად „დამრგვალდებიან“, მიაპყრობენ მიწის ყივილს ყურს და საკუთარ მამულიშვილურ ვალს ფერფლად დაბრუნების სურვილით მოიხდიან...

ერს მე, შენ, ის წარმოვადგენთ და თუ „ჩვენ“, საზღვარგარეთულ ტალღას სტიქიურად ავემგზავრეთ, ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანია და ეგ არის! განა უპრიანი არ იქნებოდა, ქართველი მუსიკოსების კონცერტებზე დასასწრებად მსოფლიოს კულტურული საზოგადოება თბილისს ჩამოდიოდეს, ვიდრე უცხოური ტურნეები ქართველების სამუდამო გაუცხოელებით მთავრდებოდეს?

ეროვნული უბედურება მხოლოდ 9 აპრილი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა როდია, ყოველი ახალი სამგზავრო „ჩემოდანი“ ეროვნული ტრაგედიაა.

ტკივილი არახალია, „ძველია! იმდენად ძველი, რომ უკვე „შეჩვეულად“ გვტკივა და განგაშის ატეხა საჭიროდ არ მიგვაჩნია. თითქოს ვიღაცას უნდა კიდეც ერის ინტელექტუალური პოტენციალის საზღვარგარეთულ ბაზარზე გადადინება. ოღონდაც! უნიჭოთა, უინტელექტოთა მართვა გაცილებით ნაკლებ პრობლემას ქმნის.

P.S. ის, ვინც წავიდა და რაიმე მოსაზრების გამო, ჯერაც არ დაბრუნებულა; ის, ვინც წასასვლელად ემზადება და ამ გამგზავრების იქით ოქროს მთებს, ან პროფესიულ აღზევებას ხედავს; ის, ვინც დენის, ხელფასის, უფრო სწორად, — უხელფასობის, დაუფასებლობის, ან სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზეზით გარბის, კარგს იზამს, თუ რამდენადმე წინ გაუსწრებს მოვლენებს და მომავალში გადაინაცვლებს, როცა საბოლოო „გამგზავრების“ დრო დაუდგება — ხომ შეიძლება აქ დარჩენილმა „უცხოტომელებმა“ უცერემონიოდ მიახალონ — ეს ჩვენი საქართველო, რა, თქვენი სასაფლაოა?

***ალექსანდრე ბერიძე***

# ჯავახეთით „მოწამლულები“

## სად ვიყავით, რა ვაკეთეთ?..

2003 წლის 10 იანვარი თენდებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიკროავტობუსი დაგვიანებით მოვიდა. ჩავსხედით, ჩავბარგდით, ფანჯრებიდან თბილისს გამოვეთხოვეთ და ახალქალაქისაკენ დავიძარით. სანამ გზაში ვართ, ჩვენ შესახებ გიამბობთ:

ჩვენ რვანი ვართ, აქედან ექვსნი თსუ-ს სტუდენტები — სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობის, სამაგიეროდ, საერთო გვაქვს ინტერესები და საქმე... სტუდენტური საექსპედიციო მოძრაობის წევრები ვართ და რომ იტყვიან, ჯავახეთით ვართ „მოწამლულები“.

ჩემ გვერდით ნინო ლაშხი ზის, დიდად საქმიანი და ემოციური, ძალიან უყვარს მეგობრები და ჯავახეთი. მის უკან ეთერ ცინცაძე მოკალათებულა. ეთო ფსიქოლოგია. მას გვერდს უმშვენებს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული დიანა მისირიანი. ცოტა მოშორებით — პაატა შეთეკაური ზის და სარკმელში იყურება (ეტყობა, განთიადს ეგებება). პაატაც თსუ-ელია, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მაგისტრანტი, მაგრამ განსაკუთრებით უყვარს ფოტოკინოხელოვნება. ეთუნას უკან დიდი მომავლის მქონე ისტორიკოსი და დიპლომატი ალექსანდრე გიორგაძე მიყუჩებულა და ცდილობს, დილის დამფრთხალი ძილი როგორმე შეიბრუნოს. მის წინ შორენა ჯავახიშვილი ზის. სულ ბოლოში ნოდარ მამინაიშვილი თვლემს. ნოდარი ჩვენ შორის ყველაზე უფროსია, განათლებით არქიტექტორიცაა, რეჟისორიც, ჟურნალისტიც.

ვინც არ იცის, ვეტყვი, ხოლო ვინც იცის, შევახსენებ, რომ თსუ 2000 წლიდან აქტიურად ჩაება ჯავახეთის პრობლემატიკის მოგვარებაში. უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და იურიდიულადაც გაფორმდა სტუდენტთა საექსპედიციო მოძრაობა. ეს სტუდენტები ვცდილობთ ჯავახეთში (და არა მარტო იქ) მრავალმხრივი ღონისძიებები ჩავატაროთ, ჰოდა, ჩვენი პროექტიც ამ დიდი პროგრამის ერთ-ერთი მცირე ნაწილია და ეხება ერთკვირიან ზამთრის სკოლას, რომლის მოწყობას სწორედ ეს რვა ახალგაზრდა ვაპირებთ ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამში. ყველაფერი, რასაკვირველია, გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე გამოვემგზავრებოდით, მაგრამ იმის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, მადლიერებით აღვნიშნავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის აქტიურ მორალურ და ფინანსურ დახმარებას. მანამდე ასეთი ერთკვირიანი თუ ათდღიანი სკოლის პროგრამები ჩატარდა ბარალეთში (ორჯერ), კოთელიაში და გოგაშენში.

სამცხე-ჯავახეთის საოლქო განათლების სამმართველოს უფროსი, ბატონი დავით მეტრეველი ახალციხეში დაგვხვდა და გულთბილად გვესაუბრა. ვაგრძელებთ გზას...

ოკამი მშვენიერი ჯავახური სოფელია. თოვლიანი სივრცეების სიქათქათემ თვალი მოგვჭრა. აქ მართლა თავდაჯერებით იტყვი, ცა ქუდად და მიწა ქალამნად მიმაჩნიაო. ერთი სიტყვით, ჩავედით ოკამში და სკოლის დირექტორს, ქალბატონ მაია ნადირაძეს მივაკითხეთ და სკოლაში გავიყოლეთ.

ოკამის სკოლა XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. მოგვიანებით, სკოლის დამლაგებელი დეიდა მაყვალა გვიყვებოდა, როგორ შეუყვარდათ ამ სკოლაში მის ბებიას და ბაბუას ერთმანეთი.

პირველივე დღიდან „დავიპყარით“ სკოლა. კლასებში მხოლოდ სკამები დავტოვეთ, მერხები და მაგიდები ერთ ოთახში შევიტანეთ. იატაკი მოვასუფთავეთ, კედლები და ჭერი ბუშტებით, საახალწლო წვიმებით, ჩვენი გაკეთებული ფიფქებითა და გირლანდებით მოვრთეთ. შემოსასვლელში დიდ ქაღალდზე ფერადი ასოებით დავაწერეთ: „გილოცავთ შობა-ახალ წელს“. მასწავლებლები გაოგნებულნი გვადევნებდნენ თვალს და არ იცოდნენ, რა ექნათ.



მხოლოდ დაბინდებისას გაგვახსენდა, რომ ჩვენს დაბინავებაზეც უნდა გვეფიქრა. სტუმარმასპინძლობაში ჯავახეთი არც ერთ ქართულ მხარეს არ ჩამოუვარდება. ჩვენი რვაკაციანი ჯგუფი სამ ოჯახში გადანაწილდა.

წინ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი კვირა გველოდებოდა.

გათენდა დილა. მოგეხსენებათ, მინუს ოცგრადუსიან ყინვაში, რაც ჯავახეთისთვის ჩვეულებრივი ამბავია, არც ისე სახალისოა დილაადრიან ლოგინიდან წამოდგომა. სკოლაში მისულებმა სამი საათი მოვანდომეთ კლასების მოწყობას, ამასობაში, თორმეტი საათიც გახდა და მთელი სოფლის ახალგაზრდობამაც სკოლის ეზოში მოიყარა თავი.

მისალმებისა და გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ოთხ ასაკობრივ ჯგუფად დავყავით, ჩვენ, სტუდენტებიც, ოთხად გავიყავით და თითოეულ ჯგუფს ორ-ორი ხელმძღვანელის თანხლებით შევუძეხით საკლასო ოთახებში.

მე, როგორც პროექტის ავტორი, ძალიან ვღელავდი. სიცოცხლეში პირველად ვგრძნობდი უდიდეს პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის, სოფლის, ჩვენი ქვეყნის და, რაც მთავარია, ღვთის წინაშე.

ასე დაიწყო ჩვენი ერთკვირიანი სკოლა.

თითოეულ ჯგუფთან ჯერ ხელმძღვანელები ვმუშაობდით, შემდეგ კი საგნების მიხედვით ვცვლიდით ერთმანეთს. სულ ხუთ საგანს ვკითხულობდით: საქართველოს გეოგრაფიას, საქართველოს ისტორიას, ქრისტიანობის ისტორიას, ხელოვნებასა და მეტყველებას. თითოეულმა საგანმა მოსწავლეები ძალიან დააინტერესა. განსაკუთრებული გულმოდგინებით ისმენდნენ ისტორიას — ამბებს ქართველთა წინაპრებზე, ჰაოსსა და ქართლოსზე, ვახტანგ გორგასალსა და დავით აღმაშენებელზე... შეკითხვაზე, თუ რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია, ერთმა მეოთხეკლასელმა განაცხადა: ვაკეთოთ სიკეთე და არ ვაკეთოთ სიგლახეო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ ოკამის მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონე მოსალოდნელზე მაღალი დაგვხვდა. საგნების მიმართ ინტერესიც დიდი იყო, ამიტომ ხშირად მასალის დამატება გვიწევდა, რაც ჩვენ ძალიან გვახარებდა.

თითოეულმა ჯგუფმა სახელი დაირქვა: „ფანტელები“, „წვიმის ლომები“, „მხიარული ჩიტუნები“ და „გვირილა“. პირველი სამი საათი ლექცია-გასაუბრებები იყო, ორ საათზე ვუმასპინძლდებოდით ჩაით, ორცხობილით და შოკოლადით. ეს სწავლის პროცესიდან თამაშობებზე კარგი გადასვლა-დასვენება იყო. ორი საათის განმავლობაში ბავშვები ერთობოდნენ, უსმენდნენ კლასიკურ თუ ხალხურ მუსიკას, ფერადი ქაღალდებისაგან აკეთებდნენ აპლიკაციებს, ძერწავდნენ, გუაშის საღებავებით ხატავდნენ, ცეკვავდნენ...

14 იანვარს, ძველი სტილით ახალ წელთან დაკავშირებით, გაკვეთილები არ ჩავატარეთ. მთელი დილა ეზოში ვთამაშობდით, შემდეგ ხელსაქმე განვაგრძეთ. ცოტა ხანში სტუდენტებმა მოსწავლეებს სახელდახელო კონცერტი გავუმართეთ და დიდი მოწონებაც დავიმსახურეთ. სოფლის ახალგაზრდებმა საღამოს საახალწლო სუფრაზე მიგვიწვიეს.

15 იანვრიდან ისევ ჩვეული რიტმით განვაგრძეთ სწავლება. ვცდილობდით, მოსწავლეებისათვის რაც შეიძლება მრავალფეროვანი და საინტერესო ინფორმაციები მიგვეწოდებინა მათთვის საინტერესო საკითხებზე. გაკვეთილებს იქ მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოსწავლეები ესწრებოდნენ. ამიტომ თითქმის ყოველდღე გვიხდებოდა ერთ გუნდად შეკვრის თამაშების ჩატარება. ბოლო დღეებში ნელ-ნელა შესამჩნევი ხდებოდა ამ მიზნობრივი თამაშობების შედეგი.

სკოლის დახურვის დღეს პატარა ზეიმი გავმართეთ. თითოეულ მოსწავლეს საჩუქრები დავურიგეთ და გადავეცით სიგელები სხვადასხვა სფეროში გამოვლენილი ნიჭისათვის. გავხსენით „მეგობრობის ყუთი“, რომელშიც მთელი კვირის განმავლობაში მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთისთვის განკუთვნილ წერილებს ყრიდნენ. ზეიმი დავასრულეთ შუშხუნებითა და ფერად-ფერადი ფანტელებით. ამ დღეს ხალისთან ერთად განშორების სევდაც იგრძნობოდა, ერთ კვირაში ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს.

ერთი სოფლის მაგალითზე ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პერიფერიებს განსაკუთრებით აკლია ყურადღება, იქ ქალაქელებზე არანაკლებ ნიჭიერი ბავშვები ცხოვრობენ, რომელთაც ელემენტარული პირობები სჭირდებათ, რომ თავიანთი უნარი გამოამჟღავნონ, იქნებ ღირდეს ამაზე სერიოზული დაფიქრება.

***ლელა გიორგაძე***
***თსუ ისტორიის ფაკულტეტის***
***III კურსის სტუდენტი***



# რას გვეტყვი, მამაო?

**— ბავშვობაში დავკარგე ნათლობის ჯვარი. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემს მშობლებს ჯვარი არ ჰქონიათ დაწერილი. არის თუ არა ჩემი ნათლობა ნამდვილი, უკავშირდება თუ არა ჯვრის დაკარგვა ამ ფაქტს და შეიძლება თუ არა მეორედ ჩემი მონათვლა, თუკი ნათლობა ნამდვილი არ იყო?**

— იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა ჯვარდაწერილნი მშობლები ან დაგეკარგათ თუ არა ჯვარი, თქვენი ნათლობა ნამდვილია. ადამიანი სულ ორჯერ იბადება — პირველად — ხორციელად და ვერასოდეს შეიცვლის დედას, ხოლო მეორედ, სულიერად, — ნათლობით — სულისაგან წმიდისა. ეს მეორედ შობაა და როგორც ხორციელი შობა, მხოლოდ ერთხელ აღესრულება. მრწამსში პირდაპირ წერია: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მისატევებლად ცოდვათა“.

**— როგორ უყურებს ქრისტიანობა გვამების გაკვეთის საკითხს?**

— გვამების გამოყენება მეცნიერული ექსპერიმენტისთვის მე-17 საუკუნეში, კათოლიკურ სამყაროში დაიწყო. მედიცინაში გვამების გამოყენების საგანგებო აკრძალვა ეკლესიას არ დაუწესებია, მაგრამ რადგანაც სხეული სულის ჭურჭელია და მეორედ მოსვლის დროს სული სხეულშივე უნდა აღსდგეს, მართლმადიდებლობა გვამებზე ექსპერიმენტს ცოცხალ ადამიანზე ექსპერიმენტს უთანაბრებს, ამიტომ სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს.

**— ვინ არიან ქერუბიმები და სერაბიმები?**

— ესენი არიან უმაღლესნი ანგელოზნი უფლისა, რომელიც ყველაზე ახლოს დგანან ღმერთთან. ხოლო როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ ლოცვაში წარმოვთქვამთ: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“, ეს ნიშნავს იმას, რომ ღვთისმშობელი ყველა ზეციურ ძალაზე მაღლა დგას...

**— რამდენად მართებულია სარგებლობა წიგნის („ახალი აღთქმა და ფსალმუნები“), რომელსაც აწერია: გადამუშავებული რედაქცია. მთარგმნელი რედაქტორები: ზურაბ კიკნაძე და მალხაზ სონღულაშვილი. დაბეჭდილია ზაგრებში, ხორვატია.**

— შეგიძლიათ ეს წიგნი წაიკითხოთ. აქ შინაარსი დარღვეული არ არის, მაგრამ დოგმატიკურ საკითხებზე მსჯელობისას, ან ღვთისმსახურების აღსრულების დროს ამ წიგნს ვერ გამოვიყენებთ. მას არ აქვს შენარჩუნებული ის სიღრმეები და სიზუსტე (მაგალითად, „ძე ღვთისა“ ღმერთის შვილად მოიხსენიება), რაც ძველ ქართულად ნათარგმნ წმინდა მამების ტექსტებშია.

**— როგორ უნდა დაკრძალოს მართლმადიდებელმა გარდაცვლილი, რომელიც ქრისტიანი არ იყო?**

— გაპატიოსნება და დაფვლა ყველა მიცვალებულს სჭირდება. საეკლესიო წესის აგება, ღვთისმსახურება კი მხოლოდ გარდაცვლილი მართლმადიდებლისთვის უნდა შესრულდეს. ღმერთის მსახური მას უფლის სახელით შეუნდობს და შენდობის ლოცვას უკითხავს: „რაოდენი სცოდე სოფელსა ამას, ნებსით თუ უნებლიეთ, მოგიტევოს ღმერთმან ყოველნი შეცოდებანნი შენნი, ნებითა ღვთისმშობლისათა და ყოველთა წმინდათასა მისთა“. ეს ლოცვა გარდაცვლილს იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადასვლაში ეხმარება.

საერო ტრადიციით, მიცვალებულის წინაშე გულში შენდობას ამბობენ ერისკაცნიც. ეს ხდება იმიტომ, რომ აქ დარჩენილი ადამიანი არ დაამძიმოს ცოდვამ, რომელიც გარდაცვლილი ადამიანის მიმართ ანდა ამ უკანასკნელის მხრიდან იყო ჩადენილი.

**— კრძალავს თუ არა ეკლესია „ჰარი პოტერს“?**

— ამ აკრძალვის შესახებ რუსეთისა და საბერძნეთის ეკლესიებმა ოფიციალურად განაცხადეს. ჩვენ ვურჩევთ მართლმადიდებლებს, ფრთხილად მოეკიდონ ამ წიგნს. ჰარი პოტერი ჯადოქარია. წიგნის მიხედვით, ეს ჯადოქარი ბავშვის ცნობიერებაში სიკეთის სიმბოლოდ აღიქმება, ანუ ბავშვი ჯადოქრობის მიმართ კეთილად, დადებითად განეწყობა. ეს კი იწვევს პატარა მკითხველის დაშორებას უფალთან. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ამ წიგნის მასობრივმა გავრცელებამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. ამის ერთ-ერთი მაგალითია აშშ-ში მომხდარი შემთხვევა, სადაც ცოცხზე შემჯდარი ბავშვები სიმაღლიდან გადმოხტნენ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „თბილისი გვეუბნება, ასე გააკეთეთო და ჩვენ რა, სულელები ხომ არ ვართ, ლუკმა პირიდან გამოვიგდოთ“



დღისით ცარიელი ბენზინმზიდები უკან, აფხაზეთში ბრუნდებიან

## რეპორტაჟი მდინარე ენგურის ერთ-ერთი ფონიდან, საიდანაც ღამით აფხაზეთიდან კონტრაბანდული საქონელი შემოდის

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

ძალიან თუ შეაწუხე, პირდაპირ გეტყვიან, კონტრაბანდასთან ბრძოლა მე არ მეხებაო და მართალნიც იქნებიან. არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება. ახლა კი ვითომ ყველანი ვებრძვით და სინამდვილეში არავინ არაფერს აკეთებს.

— **ვინ არიან უშუალოდ ტვირთის გამცილებლები?**

— ის ხალხი, რომლებსაც აქვთ საბრძოლო გამოცდილება, კარგად ერკვევიან ლოკალური ღამის შეტაკებების ტაქტიკასა და ტექნიკაში, აქვთ ღამის ხედვის ხელსაწყოები და შესაბამისი იარაღი.

— **ე. ი. პარტიზანები?**

— თქვენ ყველაფერი კარგად იცით. ისიც ვიცი, რომ ჩემგან გაგონილს სხვა ფასი ექნება, მაგრამ მეტის თქმა ნამდვილად არ შემიძლია... თორემ ინფორმაცია საკმარისზე მეტი მაქვს და სიტუაციის გაკონტროლებაც შემიძლია. სხვათა შორის, უშიშროებას ეს ევალება და არა უშუალოდ აღურიცხავი საქონლის მოძრაობასთან ბრძოლა. ამბობთ, ზუგდიდელი ჩინოვნიკები მფარველობენ კონტრაბანდისტებსო. გინახავთ ზუგდიდში თუნდაც ერთი ისეთი სახლი, უფრო სწორად, ისეთი სასახლე როგორიც თბილისში, მაგალითად, საირმის გორაზეა წამოჭიმული? ვერც ნახავდით. რისი თქმაც მინდა, კარგად მიმიხვდებით...

კონტრაბანდაზე უფრო აღმაშფოთებელი ჩვენი ზუგდიდში სტუმრობის დროს შეშინებული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ნახვა იყო. უეჭველია — ყოველივეს თბილისიდან ვიღაც ძლიერის ხელი მფარველობს, ისეთის, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების თავის ჭკუაზე მართვა და შეშინებაც შეუძლია. შეშინებული კაცი, მით უმეტეს, თანამდებობის პირი კი რა სარგებლობას მოუტანს თავის ქალაქს, რეგიონს ან სახელმწიფოს, იოლი მისახვედრია.

P.S. ზუგდიდიდან გამომგზავრება ისევ ღამით, ავტომობილით მომიწია. ტრასაზე კვლავ შეგვხვდა დატვირთული ტრაილერები, რომლებსაც წინ პოლიციის მანქანა ისე მიუძღოდა, თითქოს საპატიო ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტვირთს აცილებდა. თუ სტატიაში მოყვანილი ფაქტების უარყოფას შეეცდება სამეგრელოს რომელიმე მაღალჩინოსანი პოლიციელი, დიდი სიამოვნებით დავდგები მასთან ერთად ტრასაზე და დარწმუნებული ვარ, კონტრაბანდა „აღარ შემოვა“. ისიც ვიცი, რომ ამის უფლებას არავინ მომცემს, რადგან საქმე დიდ ფულს ეხება.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# როგორ ტყდება ციხე შიგნიდან

*(დასაწყისი იხ. გვ. 10)*

იქ გოგონები დამახმარეს და ჭრილობების გადახვევას შევუდექით, მაგრამ იმდენი დაჭრილი იყო, რომ ველარ ავუდიოდით და ისევ გარედან მოგვეშველნენ.

**მერაბ რაფავა:** — მაშინ ციხეში 1430 პატიმარი იხდიდა სასჯელს, მათ შორის 42 სიკვდილმისჯილი, რომელთაგან თორმეტს უარი ჰქონდა ნათქვამი შეწყალებაზე. პატიმართა შორის 100-მდე მხედრიონელი ერია. სწორედ იმ მხედრიონელებმა აიტანეს სახურავზე ლეიბები და საბნები და ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ შავებმა აუკრძალეს, ციხეს თუ წვავთ, ამ ხალხს რას ერჩით, გარეთ თუ ვერ გავიდნენ, ცოცხლად უნდა დაიწვნენო?! იმწუთასვე ვაცნობე მერვე პოლკის მეთაურს სალავეცკის, რომლის პირდაპირი მოვალეობა იყო ჩვენი დაცვა. მალე მოვიდა მისი ხალხი. მილიციის აკადემიის ხელმძღვანელმა, გივი კვანტალიანმაც დამირეკა და თავისი კურსანტებით დახმარება შემომთავაზა. კიდევ კარგი, უარი არ ვუთხარი. მოგვიანებით, როცა სიტუაცია ძალზე დაიძაბა, ვხედავ, სათვალთვალო კოშკურაზე რუსები აღარ დგანან. ვიყვირე, რა ხდება-მეთქი. რუსმა ოფიცერმა უგულოდ მიპასუხა: ასეთი ბრძანება მივიღეთო. ეს ზურგში დანის ჩარტყმას ნიშნავდა. კვანტალიანის კურსანტები გამახსენდა. ბიჭებს გავძახე, კურსანტებმა, ციხის გასწვრივ რომ დგანან, კოშკურებზე დაიკავონ რუსების ადგილები, ხოლო გენერალ კვანტალიანს უთხარით, „ბეტეერები“ და ტანკები ჯერჯერობით ციხის ტერიტორიაზე არ შემოიყვანოს-მეთქი. სად იყო ტანკები და „ბეტეერები“, მაგრამ ამით კედლის იქით მდგარ პატიმრებს ვაშინებდი. ბედად, კურსანტები მართლა მოსულიყვნენ და ავტომატებითა და ხელის ტყვიამფრქვევებით აცვივდნენ კოშკურებზე.

ამბოხებულებმა გადაწყვიტეს ეზოს შიგნით მდგარი „უაზის“ მარკის მანქანა დაექოქათ და მისი საშუალებით გაენგრიათ ალაყაფის კარი. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და სროლის ბრძანება გავეცი.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ დროს პატიმრებს მძევლად ჩვენი 16 თანამშრომელი ჰყავდათ აყვანილი, მაგრამ ბიჭებმა ისე ისროლეს, არც ერთ მათგანს არ მოხვედრია პირდაპირ ნასროლი ტყვია, მხოლოდ ერთი დაგვეჭრა და ისიც ასხლეტილი ტყვიით. ციხის ეზოში კოშმარი ტრიალებდა. ამბოხებულებმა უკან დაიხიეს და დაჭრილთა ნაწილიც თან გაიყოლეს. სამედიცინო ჩარევის გარეშე დაჭრილები სისხლისგან დაიცლებოდნენ. ჭიშკრიდან გავძახე: თუ უსაფრთხოების გარანტიას მომცემთ, შემოვალ, ეგებ დაჭრილებს ვუშველო-მეთქი. მომცეს თანხმობა და ეზოში შევედი. ციხის უფროსი შოთა კოპაძეც შემომყვა. მოვილაპარაკეთ და დაჭრილები ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში წავიყვანეთ. იმ დღესვე გაკეთდა ურთულესი ოპერაციები, არც ერთი დაჭრილი არ დაღუპულა. სანაცვლოდ, მათ მძევლები დაგვიბრუნეს.

> **ციხის ეზოში კოშმარი ტრიალებდა. ამბოხებულებმა უკან დაიხიეს და დაჭრილთა ნაწილიც თან გაიყოლეს. სამედიცინო ჩარევის გარეშე დაჭრილები სისხლისგან დაიცლებოდნენ. ჭიშკრიდან გავძახე: თუ უსაფრთხოების გარანტიას მომცემთ, შემოვალ, ეგებ დაჭრილებს ვუშველო-მეთქი.**

ჩვენ შევეცადეთ პარალელი გაგვევლო ციხეში მომხდარ ამ ორ ამბოხებას შორის, რომელთაც ერთმანეთისგან თორმეტი წელი და აშკარად თვალში საცემი პროფესიული დაღმასვლა აშორებს. მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რამდენად სრულყოფილად უნდა ფლობდეს იარაღს მისი მსროლელი, მეამბოხეთა წინა რიგებში მდგომი მძევლები რომ არ იმსხვერპლოს. მათ ამისთვის საგანგებოდ წვრთნიდნენ. დაჭრილებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენასაც ასწავლიდნენ და ეს ყველაფერი იმ დღეს დაფასდა.

P.S. იმ დღეს საბჭოთა კავშირის პენიტენციარულ სისტემაში 15-მდე ამბოხება მოხდა და ყველა ციხიდან და კოლონიიდან ასობით მსჯავრდებული გაიქცა. მხოლოდ თბილისის ციხიდან ვერ გაიქცნენ პატიმრები.

***ვაჟა გავაშელი***


DAI Development Alternatives, Inc.

USAID

**წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში**

# მცირე გრანტები

**გრანტები პილოტური პროექტების დასაფინანსებლად მდინარეების – ალაზნისა და ხრამის აუზებში**

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), კორპორაცია განვითარების ალტერნატივებთან (DAI) ერთად ახორციელებს პროექტს "წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში". მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებში ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მიზნით, DAI-მ შეიმუშავა რიგი პილოტური პროექტებისა, რომლებიც გრანტების საფუძველზე განხორციელდება მდინარეების – ალაზნისა და ხრამის აუზებში.

DAI აცხადებს კონკურსს იმ პროექტებზე, რომლებიც მიმართულია მდინარეების – ალაზნისა და ხრამის აუზებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ და ხელს შეუწყობს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას აუზების მართვის საკითხებში. პროექტების მაგალითებია: სასწავლო ვიდეომასალების მომზადება, მასმედიური კამპანიები, ტრეინინგების ჩატარება სკოლებში, მდინარის სეგმენტების სანიტარული გასუფთავება, ტყეების რეაბილიტაცია და სხვა. მიიღება სხვა წინადადებებიც.

პროექტების დაახლოებითი ხანგრძლივობაა ერთიდან ორ თვემდე, ხოლო სავარაუდო დასრულების თარიღია 2003 წლის მაისამდე. გრანტების მოცულობა დაახლოებით შეადგენს 1000 აშშ დოლარს და ისინი გადაეცემა კახეთისა და ქართლის რეგიონების ადგილობრივ არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული პროექტების შერჩევა მოხდება ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანებისა და მათი მოსალოდნელი შედეგების საფუძველზე, ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინებით.

პროექტების განაცხადის ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ DAI-ს ოფისში, შემდეგ მისამართზე:

- ფალიაშვილის ქ. №14, თბილისი, საქართველო 380079
- ფაქსი (ტელ: 294-896)
- ელფოსტა (eka_otarashvili@dai.com)

განაცხადების შედგენასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები გაიმართება:

თელავში: ხუთშაბათს, 2003 წლის 20 თებერვალს, 11:00-დან 14:00 საათამდე კახეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში, დავით აღმაშენებლის I შესახვევი, N7.

ბოლნისში: სამშაბათს, 2003 წლის 18 თებერვალს, 11:00-დან 14:00 საათამდე, ბოლნისის ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურში, დავით აღმაშენებლის N61.

დამატებითი კითხვებისა და კონსულტაციებისთვის დაუკავშირდით თინათინ მუსერიძეს, DAI-ს თბილისის ოფისში (ტელ: 231-077).

# ქარიშხალი ბორჯომის ჭიქაში

## ბერეზოვსკიმ „ბორჯომის" მწარმოებელი კომპანია იყიდა



ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულმა ბანკმა Salford-მა, რომელიც დროდადრო კონსულტაციას უწევს ბერეზოვსკის კომპანიას, თავისი ფონდის New World Value Fund-ის მეშვეობით, 50 მლნ დოლარად შეისყიდა საქართველოს მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიის აქციების 50%.

ეს გარიგება მას შემდეგ მოხდა, რაც კვების პროდუქტების მწარმოებელმა ფრანგულმა ფირმამ „დანონმა" უარი თქვა კონკურსში მონაწილეობაზე, რადგან ინგლისურმა კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმმა" (ბპ) გადაწყვიტა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გატარება.

ფონდმა „ბორჯომის" დასავლელ და ქართველ მენეჯერებთან მოლაპარაკება დაიწყო სპონსორებისგან (კორპორაცია International Finance-ს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკისა და კომპანია Baring Vostok Partners-გან) ამ კომპანიის გამოსასყიდად.

ბორის ბერეზოვსკი მინერალური წყლების წარმოების სხვადასხვა კომპანიის ჰოლდინგის შექმნას აპირებს, სადაც „ბორჯომი" ლიდერი იქნება.

მან აღნიშნა, რომ მისი ინტერესი კომპანია „ბორჯომისადმი" წმინდა კომერციულია, ხოლო ბანკ „სალფორდთან" პირადი ურთიერთობა არ აქვს და მენეჯერების რჩევით, არც უნდა იქონიოს.

კომპანია „ბორჯომის" მენეჯერები ბრძოლას განაგრძობენ „ბრიტიშ პეტროლიუმთან", რომელიც ნავთობსადენის გატარებას ბორჯომის ხეობაზე აპირებს. რასაკვირველია, აშშ-ის ნაკრძალს Vellowstone-ს ან საფრანგეთის მინერალური წყლის Evian-ის საბადოს მფლობელთ მსგავს შეთავაზებას ვერავინ გაუბედავს.

ბპ-ის ოფიციალური წარმომადგენლები ამტკიცებენ, „ბორჯომს" არაფერი ემუქრება, რადგან ნავთობსადენი საბადოსგან 15 კმ-ის დაშორებით გაივლის და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებაო. ბპ ეჭვის თვალით უყურებს იმასაც, რომ გარემოს დამცველთა პროტესტი მაინცდამაინც მაშინ დაიწყო, როცა „ბორჯომის" კომპანიის გაყიდვის საკითხი დაისვა...

***ფაინეშლ ტაიმსი***

თბილისში, კომპანია Georgian Glass and Mineral Water Company-ს პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ კატეგორიულად უარყო ბერეზოვსკის მიერ ბორჯომის კომპანიის აქციების 50%-ის ყიდვის ინფორმაცია და „ფაინენშლ ტაიმსის" პუბლიკაციას დაკვეთილი უწოდა. დამკვეთებად კი მათ მიიჩნევს, ვინც უკმაყოფილოა მისი პრინციპული პოზიციით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარების გამო. ხაზარაძემ განაცხადა, რომ მისი კომპანია აქციების გაყიდვას არ აპირებს, მას მხოლოდ დამატებითი ინვესტორების მოზიდვა უნდა.

ბანკ „სალფორდის" მფლობელი **ევგენი იოფეც** ამტკიცებს, რომ ბორის ბერეზოვსკის არავითარი კავშირი არ აქვს ამ გარიგებასთან:

— საინვესტიციო კომპანიის (რომელსაც ოფისები აქვს მოსკოვში, ლონდონში, ბელგრადსა და თბილისში) ბიზნესის მთავარი მიმართულებაა კომპანიებისა და კერძო პირების საბანკო მომსახურება. ბერეზოვსკი „სალფორდის" არც აქციონერია და არც არავითარი კავშირი არა აქვს ფონდთან.

— **მაგრამ თქვენ ხომ მუშაობთ ბერეზოვსკისთან?**

— მე საინვესტიციო-საბანკო სამსახურს ბევრ კერძო პირსა და კომპანიას ვუწევ, კლიენტებზე კი ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ჩვენი ფონდის ინტერესებში ეს გარიგება შედის, მაგრამ იგი ჯერ არ დასრულებულა და შეიძლება ყოველ წუთს შეწყდეს. ამიტომ წინასწარ არაფრის თქმის უფლება არ მაქვს.

**ბორის ბერეზოვსკი:**

— „სალფორდი" ჩემთვის სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს. ფონდმა ამ პროექტში მხოლოდ გარკვეული თანხის ინვესტირება შემომთავაზა. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, დრო მჭირდება რისკის ხარისხის შესაფასებლად, რასაკვირველია, უპირველესად, ვგულისხმობ პოლიტიკურ რისკს...

— **ხომ არ გგონიათ, რომ ნავთობსადენი მკვეთრად დასცემს მინერალური წყლების ქართველი მწარმოებლის აქტივების ფასს?**

— რასაკვირველია, დასცემს და, მნიშვნელობა არ აქვს, მოხვდება თუ არა ნავთობი მინერალურ წყალში — თავად ფაქტი იმისა, რომ მილსადენი გაივლის ბორჯომის ხეობაში, აუფასურებს კომპანიის კაპიტალიზაციას. ძნელი წარმოსადგენია, რომ მსგავსი ნავთობსადენი გაიყვანონ საფრანგეთის ან ამერიკის მინერალური წყლების მონაკვეთებზე. კონკურენტებმა რომ გაიგონ, ბორჯომის ახლომახლო ნავთობი მიედინებაო, ეს საკმარისი გახდება მის გასაუფასურებლად...

— **მართალია, რომ გარიგების ფასი 50 მლნ დოლარია?**

— არც გარიგების პირობები ვიცი და არც ის, ვინ იყიდა ეს აქციები, არც მინერალური წყლების ჰოლდინგის შექმნას ვაპირებ საქართველოში, არც „ბორჯომის" ინვესტორების სიაში შესვლის ვადებია განსაზღვრული. ასე რომ, ჯერ არ ვჩქარობ...

***კომერსანტი***

# „ალ-ქაიდა" ემუქრება...

**აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში:**



— ერაყის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები რვაჯერ მაინც შეხვდნენ „ალ-ქაიდას" წარმომადგენლებს. „ალ-ქაიდა" მფარველობს „ტერორისტულ ქსელს", რომელიც ერაყიდან ყველგან სწვდება. სწორედ მის მიერ არის მოკლული ამერიკელი დიპლომატი ლოურენს ფოული. ეს ქსელი ავი თვალით უყურებს საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიას, გერმანიას, საქართველოს და რუსეთს.

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი:**

— „ალ-ქაიდას" ფართო ქსელი აქვს ევროპაში, რომელიც სისტემატურ კონტაქტშია როგორც პანკისის ხეობასთან, ასევე ჩეჩნეთთან.

პანკისში მყოფ ტერორისტებს ინსტრუქტაჟს უტარებდნენ აბუ ჰაბაბი და უსამა ბინ ლადენის მარჯვენა ხელი აბუ მუსაბ ალ ზარქავი. „ალ-ქაიდა" აქტიურად მოქმედებს პანკისის ხეობაში — საქართველოს ტერიტორიაზე და ჩეჩნეთში — რუსეთის ტერიტორიაზე. როგორც თავად ამბობენ, მათი მიზანია რუსების საწამლავით ამოხოცვა.

***ინტერნეტ ექსპრესი***

# აფხაზეთის პრეზიდენტის მოგვარისათვის ტყვიები არ დაიშურეს

მოსკოვში ხმა დაირხა, აფხაზეთის პრეზიდენტის ნათესავი მოკლესო, მაგრამ როგორც გაირკვა, დედაქალაქში საკუთარი ბინის კართან 12 ტყვიით დაცხრილული 45 წლის სალიბეი არძინბა აფხაზეთის ლიდერის მხოლოდ მოგვარე ყოფილა. მაგრამ არც მოსკოვში და არც სოხუმში არ უარყოფენ, რომ მოსკოველ ბიზნესმენს, სალიბეი არძინბას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვლადისლავ არძინბასთან და პოლიტიკაშიც ერია ხელი.

სალიბეი არძინბამ სახელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისას, 90-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა, მან შეიარაღებული მოხალისეები შემოიკრიბა, იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ და სწორედ მისმა ბატალიონმა გაათავისუფლა სოხუმი. ომის დამთავრებისთანავე სალიბეი არძინბას აფხაზეთის გმირობა მიანიჭეს. რამდენიმე წლის შემდეგ იგი აფხაზეთის გავლენიანი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების „ამცაჰარის" უფროსად დანიშნეს, რომელშიც გაერთიანდნენ 1992-93 წლების კონფლიქტის მონაწილეები. ეს კავშირი მძლავრი ძალაა — მასში 4-დან 10 ათასამდე რეზერვისტია. მეთაურის მოწოდებაზე ქუდზე კაცი გამოვა. ამიტომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მათთვის, სწორედ ამიტომ შეუქმნა „ამცაჰარას" ხელსაყრელი პირობები კომერციული საქმიანობისთვის. არაოფიციალური ცნობით, რესპუბლიკურ საბაჟოზე კონტროლის უფლება გადასცა, აქედან გამომდინარე ყველა შეღავათებით. სალიბეი არძინბა მშვენივრად სარგებლობდა ამით და ბოლო წლების მანძილზე სოხუმში, ისევე როგორც მოსკოვში, მსხვილი რესტორნები გახსნა, რითაც მცირე საბითუმო მოვაჭრეებს სოხუმისკენ გზა გადაუღობა. ქალაქს პროდუქტებით სხვა აფხაზი ბიზნესმენებიც ამარაგებდნენ, მაგრამ „ამცაჰარა" მათ ჩაგრავდა. რასაკვირველია, ამას ყველა ვერ შეურიგდებოდა. ამიტომ შესაძლებელია, მკვლელობა კომერციული კონფლიქტის გამო მოხდა. გამორიცხული არ არის პოლიტიკური მოტივიც. საქმე ის არის, რომ „ამცაჰარა", რომელიც აფხაზეთის მთავრობისადმი ლოიალურად იყო განწყობილი, ბოლო დროს მის კონტროლს აღარ ემორჩილებოდა. სალიბეი არძინბა პრეზიდენტს ოპოზიციაში ედგა, თუმცა ამას ხმამაღლა არ აცხადებდა. თანაც ვლადისლავ არძინბა და ვეტერანთა კავშირი რესპუბლიკაში მთავარი პოსტების განაწილებაზეც ვერ შეთანხმდნენ. პრეზიდენტი მთავრობაში თავის ხალხს ნიშნავდა, აფხაზეთ-საქართველოს ომის ვეტერანებს კი ნელ-ნელა აძევებდა იქიდან.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება: შეიძლება არძინბას ვილაცამ პირადი ანგარიში გაუსწორა, მაგრამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მკვლელობა პოლიტიკურს დამსგავსებოდა. აფხაზეთის გარშემო გამწვავებული სიტუაციის ფონზე (მატარებელი სოხუმი-სოჭის გაშვება, დავა რუსეთის სამშვიდობოების მანდატის გაგრძელებაზე და რესპუბლიკის მოსახლეობის აღწერა) აფხაზეთის არმიის ცნობილი მეთაურის მკვლელობა სხვანაირად ალბათ არც აღიქმება.

***რუსული პრესის მიხედვით***

# უკრაინის „კოლჩუგები" — აშშ-ის ხარჯზე...




უკრაინის თავდაცვის მინისტრი ვლადიმირ შკიდჩენკო გასულ კვირას აზერბაიჯანს და საქართველოს ეწვია და რამდენიმე სენსაციური ხელშეკრულება დადო, რომელზეც მაინცდამაინც არ ლაპარაკობენ. ერთი კი ცნობილია, რომ აზერბაიჯანმა და უკრაინამ 2003 წლისთვის თავდაცვის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება დადეს. გარდა ამისა, შკიდჩენკომ განაცხადა, უკრაინელი სამშვიდობოები მზად არიან, დაიცვან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე გამავალი ნავთობსადენიო. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბაქოში ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის დოკუმენტს 100 მლნ დოლარის ფარგლებში. სამხედრო ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მთავარი ხელშეკრულებები დაკავშირებულია ქართული არმიისთვის სპეციალისტების მომზადებასა და საქართველოსთვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების, კერძოდ კი რადიოლოკაციური სადგურის „კოლჩუგის" მიწოდებასთანო. მოსკოვს ეს მაინცდამაინც არ გაახარებს. სექტემბრის ბოლოს უკრაინის თავდაცვის მინისტრს მოსკოვმა ურჩია, თავი შეიკავეთ და გაითვალისწინეთ, რა შეიძლება მოჰყვეს „კოლჩუგებით" საქართველოსთან ვაჭრობასო. ამბობენ, რომ ხელშეკრულების დადება რამდენიმე თვით სწორედ ამიტომ შეფერხდა.

უკრაინის პოზიცია გასაგებია: მას არ უნდა სარფიანი სამხედრო-ტექნიკური კონტრაქტების დაკარგვა დსთ-ის ქვეყნებთან, არადა რუსეთი კიევს თავისუფალი მანევრირების საშუალებას არ აძლევს. სარწმუნო წყაროს ცნობით, უკრაინამ მოულოდნელად ძლიერი მხარდაჭერა მიიღო — აშშ მზადაა კონტრაქტის დასაფინანსებლად. როგორც აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმა ზურაბ გუმბერიძემ განაცხადა, აშშ-ს გადაწყვეტილი აქვს, 65-დან 75 მლნ დოლარამდე გაუზარდოს ფინანსური დახმარება საქართველოს ნავთობსადენის დაცვისთვის განსაზღვრული პროგრამის სარეალიზაციოდ.

ამჟამად ამ თემამ უფრო აქტუალური ხასიათი მიიღო. უკრაინის წარმომადგენელი ბაქოსა და თბილისში კოლეგებთან შეხვედრისას არაერთხელ შეეხო საერთო მიზანს — კერძოდ, ნატოში შესვლას, მხარეებმა სეპარატისტებთან ბრძოლის პრობლემებიც განიხილეს.

ბაქოში შკიდჩენკომ დააყენა საკითხი ყარაბაღსის და აფხაზეთის კონფლიქტების დარეგულირებაში საერთაშორისო ძალების მონაწილეობის შესახებ. ბაქომ კი, თავის მხრივ, აფხაზეთში სამშვიდობოების გაგზავნის სურვილი გამოთქვა.

***ნეზავისიმაია №21***

# კაცი, რომელსაც ეძებენ

1990 წლიდან მთელ მსოფლიოში გამალებით ეძებენ 36 წლის პალესტინელ ტერორისტს აბუ მუსაბ ალ ზარქავის. მას იორდანიაში ტერაქტების ორგანიზება ბრალდება. ზარქავი „ალ-ქაიდას" ერთ-ერთი ლიდერი და ბიოლოგიური და ქიმიური იარაღების დამზადების ექსპერტია — ავღანეთში ბეწვზე გადაურჩა ამერიკელებს, გადავიდა ირანში (სადაც, პენტაგონის ცნობით, ირანის უშიშროების ძალები იცავენ), ხოლო იქიდან კი ერაყს მიაშურა, სადაც ავღანეთში მიღებული ჭრილობების გართულების გამო ფეხი მოჰკვეთეს და პროთეზი



მოარგეს. მოგვიანებით ზარქავი ლიბანში ჩავიდა და იქ ტერორისტთა „სამიტი" გამართა, რომელსაც „ალ-ქაიდას" წევრებთან ერთად, ჰეზბოლაჰის ირანის აგენტურის და ლიბანის ისლამური დაჯგუფებების წევრებიც დაესწრნენ. ზოგიერთი მონაცემით, ის ერაყში, პრობინლადენური დაჯგუფების, „ანსარ ალ ისლამის" სტუმარი იყო. ეწვია საქართველოს, პანკისის ხეობას, სადაც „ალ-ქაიდას" წევრები ჩეჩენ მებრძოლებს წვრთნიდნენ. ვაშინგტონში ამტკიცებენ, რომ ეს ტერორისტი დღეს ერაყში იმყოფება და მას სადამ ჰუსეინი მფარველობს. პენტაგონი ცდილობს გაავრცელოს ვერსია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი სადამისა და ბინ ლადენის ერთობლივი ნახელავია.

***ნიუ ზუიქი***


სამედიცინო ცენტრი "მედი"

მუდმივად გლუვი კანი

ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
სახის კანის დაჭიმვა
ბლეფაროპლასტიკა
ოტორინოლარინგოლოგია
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი



ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატურით

ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება

. სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
. ჩხვლეტის გარეშე
. უმტკივნეულოდ
. სწრაფად

ფასდაკლება ექიმებზე და სტუდენტებზე

ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 250 202; 306 307

ლიცენზირებულია


CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიხიობრით

***

**3 წლის ილია მიქაბერიძე** შინ არავის უშვებდა. ერთხელ შეზარხოშებულმა სტუმარმა იფიქრა, ამას როგორ ვერ შევაშინებო და დაუყვირა. ილია კედელს აეკრა, შემდეგ სტუმარს მიუბრუნდა:

— ლო გაგიბელია მაგ ლიპი და გაგიშველია თითები, ჩქალა სენ სახში ნადი!

***

**2 წლის თამარ ძირიას** დეიდამ უთხრა:

— თამო, იცი, ხვალ ბებოს დაბადების დღეა.

თამუნა კი გაკვირვებული ეუბნება:

— ბებო ლომ პატალა ალ ალის?

***

**7 წლის მაგული კაპანაძე** უყურებს დუტას.

მამამ მოსკოვის არხზე გადართო ტელევიზორი, იქაც „ვის უნდა მილიონი?" მიდიოდა. მაგულიმ გაკვირვებულმა წამოიძახა:

— რამდენი დუტებია ამ ტელევიზორში?

***

**2 წლის შოთიკო ჟორჟოლიანს** მამამ ხიდიდან პატარა მდინარე დაანახვა, წყალი ძალიან ნელა მიედინებოდა. შოთა დააკვირდა და მამას უთხრა:

— არ მიდის! გაფუჭებულია? არ მუშაობს?!

## ძვირფასო მშობლებო!

იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუნს!

**I** რა თანამიმდევრობით აქვს მოჭრილი ფურცელს ნაწილები?





გამოიცანი, რომელი ნივთები სჭირდება მეხანძრეს?

**II** აბა, გამოიცანი

**1) რომელ ქართველ მწერალს ეკუთვნის ისტორიული რომანები: „დავით აღმაშენებელი", „დიდოსტატის მარჯვენა"?**

ა) დავით კლდიაშვილს; ბ) კონსტანტინე გამსახურდიას; გ) ნიკო ლორთქიფანიძეს; დ) ლეო ქიაჩელს.

**2) ამათგან, რომელი არ არის მხატვარი?**

ა) ედუარდ მანე; ბ) ედგარ დეგა; გ) თომას მანი; დ) კლოდ მონე.

**3) რა იყო იმპერატორის ტიტული ძველ რომში?**

ა) მეფე; ბ) ფარაონი; გ) ხონთქარი; დ) კეისარი.

**4) ჩამოთვლილთაგან, რომელ მათგანს ეკისრებოდა ძველად დღევანდელი ფინანსთა მინისტრის მოვალეობა?**

ა) მეჭურჭლეთუხუცესს; ბ) სახლთუხუცესს; გ) მანდატურთუხუცესს; დ) მსტოვართუხუცესს.

**5) ვინ არის ავტორი ოპერისა „ჯადოსნური ფლეიტა"?**

ა) ლისტი; ბ) შტრაუსი; გ) მოცარტი; დ) ბეთჰოვენი.

**6) რომელია ერთადერთი ძუძუმწოვარი, რომელსაც ფრენა შეუძლია?**

ა) სირაქლემა; ბ) ღამურა; გ) პელიკანი; დ) ფლამინგო.

**III** რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ გამოტოვებულ სიტყვას შემდეგი გამონათქვამიდან: „თებერვალი დადგაო, ხეში ... ჩადგაო".

**IV**






ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში



**V** იპოვე სურათზე გამოტოვებული ნაწილი ქვემოთ მოცემული ფრაგმენტებიდან



იპოვე განსხვავებული მოცეკვავე

## ჭიაყოხლი

| რამდენი დღე იარა იესომ უდაბნოში მშიერმა? | ... და დედამიწა | უეშმაკო, გულმავიწყი, დაბნეული | თევზის სახეობა | მამალი ცხენი | „ცარიელი" ციფრი |
|---|---|---|---|---|---|

| ამოღრმავებული ადგილი მიწაში | ძალზე დაქანებული ფრიალო კლდე | მონღოლი დამპყრობელი ... ლენგი | ძვირფასბეწვიანი ცხოველი | სიცივისგან გამკვრივებული წყალი |
|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაკა ხუციშვილმა

წერილი 24 წლის ახალგაზრდამ ციხიდან გამოგვიგზავნა. მას ყაჩაღობისთვის (რომლის მსხვერპლი 80-ს მიტანებული მოხუცი აღმოჩნდა) 8 წელი მიუსაჯეს, მაგრამ იგი სულ სხვა რამეზე დარდობს...

*„გამარჯობათ!*

*უნდა მომისმინოთ... 24 წლის ვარ, უკვე ოთხი წელია, ციხეში ვარ და ამდენიც წინ მაქვს, თუმცა ამ წუთში პატიმრობას არც განვიცდი და ციხის ცივ კედლებში ბევრად მშვიდად ვგრძნობ თავს, ვიდრე გარეთ, იმ საზოგადოებაში, სადაც ჩემი ადგილი არ აღმოჩნდა...*

*ერთი შეხედვით ნორმალურ ოჯახში გავიზარდე. მამა — ინჟინერი, ერთ-ერთი ფაბრიკის საამქროს უფროსი იყო, დედა — პედაგოგი, რომელიც მუდამ ხელჩაკიდებულს დამატარებდა ჯერ საბავშვო ბაღში, შემდეგ სკოლაში. არაფრის უფლება არ მქონდა, შეკითხვისაც კი, თორემ პროტესტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!..*

*მამა ნამდვილი დიქტატორი იყო, მას არც დედა ჩამოუვარდებოდა. ოჯახში გამუდმებით პირველობისთვის იყო ბრძოლა: დედა მამას ეძახდა „შტერს“ და „უნიათოს“, პასუხად — მამა გამზრდელს და გამომთხოვებელს უგინებდა...*

*რაც თავი მახსოვს, ხელჩართული ომი იყო გაჩაღებული მშობლებს შორის. დრომ ვერაფერი გამოასწორა. დაახლოებით 1994-95 წლებში მამამ სამსახური დაკარგა და ოჯახი დედის მწირი ხელფასის შემყურე დარჩა. ეტყობა, დაიღალა დედა. თითქოს ალქაჯი ჩაუსახლდა გულ-გვამში, თითოეულ ლუკმას გვაყვედრიდა, გვწყევლიდა (კიდევ კარგი, ჩემ გარდა, სხვა ბავშვი არ იყო ოჯახში), მამამ ვერ მოითმინა და ერთ მშვენიერ დღეს გაიწია დედაზე... 17 წლის ბიჭი ვიყავი უკვე, სისხლმა ამასხა ტვინში, ვეტაკე მამას და... დედის კივილმა გამომაფხიზლა. სასტიკად ნაცემ მამაჩემს დასისხლიანებული ჰქონდა თავ-პირი, უგონოდ ეგდო. ვიფიქრე, მოვკალი-მეთქი და შინიდან გავიქეცი, სოფელში წავედი ბიძასთან, მამაჩემის ძმასთან. არ დამიმალავს მისთვის, რაც მოხდა. იმავე დღეს წავიდა ქალაქში...*

*მამაჩემი გადარჩა. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ მეც დამაბრუნეს შინ... დედაჩემი ზედმეტად ვეღარაფერს მეუბნებოდა, აშკარად ეშინოდა ჩემი. ზოგჯერ ზიზღიც შემინიშნავს თვალებში და ეს მკლავდა.*

*სკოლა როგორღაც დავამთავრე, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოვხვდი. უფასო განყოფილებაზე თუ ჩავაბარებდი, თორემ ფასიანზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო... მუშაობის დაწყება ვცადე და... არავის დავჭირდი, ყველგან უარით მხვდებოდნენ. ზოგი მპირდებოდა სამომავლოდ რაღაცას, ზოგს კი იმედიანი სიტყვაც ენანებოდა. სხვაზე რომ არ ვილაპარაკო, ჩაცმა მჭირდებოდა — 17-18 წლისამ ავიყარე ტანი, დამიმოკლდა მოსწავლეობის დროინდელი ტანსაცმელი, რაც არ გამოჰპარვიათ ჩვენი უბნის „ძველ ბიჭებს“...*

*სხვა გზა არ მქონდა და ისევ მათ შევაფარე თავი... რამდენიმე წვრილმანი ქურდობა ხახვივით შეგვრჩა. ჩავიცვი, დავიხურე, დროს ტარების საშუალებაც გამიჩნდა და ჩემს მშობლებსაც „მივუგდე“ წილი. არც უკითხავთ, საიდანო.*

*...ყაჩაღური თავდასხმის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ... როცა ჭაობში ეფლობი, იქიდან თავის დაღწევა არც ისე იოლია... არასოდეს დამავიწყდება იმ მოხუცი კაცის ვედრება: არაფერი მაქვს, შვილებო, პურის ფულსაც გროშებს მაძლევენო, მაგრამ ვინ დაუჯერა?! — ორი ბიზნესმენი შვილი ჰყავს, შეჭამეს მთელი*



*საქართველო... არადა მამაჩემზე მეტი ახვრები გამოდგნენ. საკუთარი მამა დარაჯად ჰყოლიათ იმ ოთხსართულიან სასახლეში, სამ თვეში რომ ააგეს...*

*რომ დავინახე, კვდებოდა ბებერი, ავტომატი მივუშვირე ბიჭებს: დაანებეთ თავი, თორემ დაგხოცავთ-მეთქი! ეს კი ღალატზე მეტია ჩვენს საქმეში. დანაშაული მათ წინაშე იმით გამოვისყიდე, რომ ყველაფერი მე ვიკისრე, ორი სულ არ ჩამიშვია. დღემდე თავისუფლად დადიან...*

*იმ მოხუცს ინსულტი მოუვიდა შიშით და საავადმყოფოში გარდაიცვალა... მისმა შვილმა რომ მნახა, მოსაკლავად გამოიწია: მამა მომიკალიო. შევაფურთხე: მე კი არა, შენა ხარ მისი მკვლელი-მეთქი! აბა, სასამართლოზე როგორ თქვა მშობელზე — მშენებარე ობიექტზე დარაჯად მყავდა გაფორმებულიო?!*

*ციხეში მეტსახელად „ნემოი“ („მუნჯი“. — ი. ჯ.) შემარქვეს ბიჭებმა, არ მიყვარს ლაპარაკი. ვზივარ და ვფიქრობ გაუთავებლად. ბიჭები დღეებს იმიტომ ითვლიან თითებზე, ციხიდან გასვლა ეჩქარებათ, მე კი, პირიქით, მეშინია — არ ვიცი, როგორ შეიძლება ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, როგორიც ჩვენია?!. რა უნდა ვაკეთო?!. მშობლებთან საცხოვრებლად ვერ დავბრუნდები, არც ყაჩაღობა მინდა... ერთი პირობა, ისიც ვიფიქრე, ეკლესიისთვის შემეფარებინა თავი, მაგრამ... იქაც რომ რაიმე სიყალბე დავინახო, თავს მოვიკლავ, ვერ გადავიტან...*

*თქვენი გაზეთის ყველა ნომერს ვკითხულობ. მაპატიეთ, მაგრამ ზოგჯერ მშურს იმ ადამიანებისა, პრობლემად რომ მიაჩნიათ შეყვარებულის გათხოვება ან უპასუხო სიყვარული... მაშინ ჩემმა მსგავსებმა რაღა ქნან — ზედმეტმა ადამიანებმა... რა ქნან იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც არც მშობლებს სჭირდებათ და, მით უმეტეს, არც ამ გადაგვარებულ საზოგადოებას ენაღვლება მათი საწუხარ-სატკივარი?!.*

*ვინაობას არ გწერთ, რა მნიშვნელობა აქვს? მიმოიხედეთ, ყურადღებით დააკვირდით ქუჩებში უსაქმოდ მოხეტიალე მშიერ, მზერაგაყინულ ახალგაზრდებს და იფიქრეთ იმაზე, რომ თითოეული მათგანი შეიძლება აღმოჩნდეს ჩემს ადგილზე...“*

...წერილი რამდენჯერმე გადავიკითხე...

ეჭვიც არ მეპარება, თქვენც გაგიჩნდებათ მსგავსი სურვილი!

რა გვემართება?!

ცოცხლად გვილპება სხეული და უსულო მოჩვენებების მსგავსად, მოფარფატენი ვეღარაფერს ვამჩნევთ ირგვლივ, არადა, ყველასი, თითოეული ჩვენგანის ბრალია, რაც ხდება...



არა, არც დაიტრაბახოთ ქალაქელებმა, ასეთი რამ ქალაქში ძნელად თუ მოხდებოდა, რადგან სოფელმა უფრო შეიძლო იმ თავმოყვარეობის და გულისხმიერების შენარჩუნება, ჩვენს სისასტიკით გამორჩეულ დროში გამოუსადეგარი ნივთივით რომ დავივიწყეთ (თუ დაგვავიწყებინეს!).

სოფელი თბილია და ბრძენი, ყველაზე კარგად იცის, რომ კაცი ფესვებით და წარსულითაა ძლიერი.

სოფლისთვის არც სხვისი ჭირი არსებობს და არც კარს შეიკეტავს გულგრილად — რა ჩემი საქმეაო!.. აქ თუ ვინმეს შია, ყველას ეწვის კუჭი და თუ ვინმემ ცუდი გააკეთა, ყველას სირცხვილია...

არც ჭორი და თვალის სეირი უყვარს სოფელს. ჭორიკანას ქალსაც ერიდებიან, თორემ კაცს ხომ ახლოს არ გაიკარებენ. სოფელი მადლიანია და ღვთის წყალობაც მეტი აქვთ, ამიტომ, აქ არც უპატრონო მოხუცი არსებობს და არც უპატივცემულოდ დარჩენილი მიცვალებული: ლობიოც დაუნანებლად იყრება საერთო ქვაბში და ღვინოც იხარჯება...

სიხარული კი... სიხარული ნეტავი იყოს და, მის გაყოფა-გაზიარებას რა დიდი ამბავი უნდა!..

გამიგრძელდა საუბარი...

ახლა კი, ერთი ამბავი უნდა გიამბოთ, რამაც სოფლის სიყვარულიც გამიასკეცა და ამ წერილის დაწერის სურვილიც გამიჩინა.

ბარბალობა თენდებოდა. მოხუც ცოლ-ქმარს, ილოს და ვაროს, ლამის თავზე დაათენდათ ლობიანების ცხობასა და ოცნებაში: — ნეტავი, ჩვენი ბიჭები არც საშობაოდ ჩამოვლენ ქალაქიდან, არც ღვინო სჭირდებათ და აღარც კაკალი?.. ეგ ღორები ვილასთვინ დავასუქეთო...

სამი შვილი სხვადასხვა ქალაქში ჰყავდათ მიმოფანტული. შვილიშვილებს, სანამ პატარები იყვნენ, ზაფხულობით მაინც უყვარდათ ბებია-ბაბუასთან სტუმრობა, მერე დაიზარდნენ და... ზამთარში — ბაკურიანი, ზაფხულში — ზღვა ამჯობინეს მოხუცების სიყვარულს. უფროსი შვილიშვილი თინა ისე გათხოვდა და ისე გააჩინა ორი შვილი, რომ არც უნახავთ, შვილებმა მათი ქალაქში წაყვანა ვერ მოახერხეს, მიზეზი არ დაელიათ...

დრო კი გადიოდა და მძიმე ტვირთად აწვებოდა მათ მოხრილ ბეჭებს...

ამ ოთხი წლის წინ კი...

უცნაურმა წკმუტუნმა თუ კნავილმა მოსტაცა სმენა მოხუცებს. ჯერ კატა ეგონათ, მაგრამ... ძაღლი არ უყეფდა. უცნაურად იქცეოდა ბათურა, თავადაც წკმუტუნებდა და ზოგჯერ ისე ფხაჭნიდა კარს, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა.

ილომ ფარანს ხელი წამოავლო. უკან ვარო მიჰყვა პირჯვრის წერით. ბათურამ ბეღლის წინ დაყრილ თივასთან მიიყვანა მოხუცები. ლამის ფარანი გაუვარდა ბერიკაცს ხელიდან, იქვე ჩაჯდა... თივაში ახალშობილი ბავშვი იწვა... შალის თავშალში გახვეული სიცივეს შეეფხიზლებინა და საბრალოდ ტიროდა...

— დიდება, უფალო, შენს სახელს! — ვარომ ბავშვს ხელი წამოავლო და სახლისკენ წატუსტუსდა. უკან ილო მიჰყვა, თან იმეორებდა, — ცოცხალია... ცოცხალიაო.

...ვარომ პატარას სახვევი მოხსნა და წამით ყველაფერი დაავიწყდა, გაიღიმა — ბიჭია, ეს მამაძაღლი, ნახე რა ჯიშიანიაო!.. ილომ თავი მოიქექა — ნეტავ, აქ საიდან გაჩნდა, ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდაო.

...დატრიალდნენ და შეყარეს სოფელი. მტირალ პატარას პირში ძუძუ ჩაუდო მეზობლის რძალმა და გაუღიმა: — ნახეთ, რა ღონიერია, ჩემს ჭაიყელა გოგოს კი არა ჰგავსო!..

ონავარმა ზურიამ იხუმრა: — რა ვქნა, ვარო ბებო, შენი ორსულობა რომ არ გამიგია, როდის მოასწარითო.

გაეცინათ, მაგრამ მალევე დადინჯდნენ, — ბიჭი უცხოპლანეტელს ნამდვილად არ ჰგავდა, კაცის ნაშიერი იყო და დედ-მამაც სადღაც ახლომახლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ... არა, ნაცნობობაში ეჭვი ვერავისზე მიიტანეს.

ვიღაცამ თქვა, — პოლიციას შევატყობინოთო!..

იუარეს: — იქნებ გონს მოვიდეს დედამისი და მოიკითხოს შვილი, საპოლიციოდ ნუ გავუხდით საქმესო..

საქმე გაუჩნდათ ვარას და ილოს.

...ორ ბავშვს აწოვებდა ძუძუს მეზობლის რძალი.

დედა კი არ ჩანდა.

სამაგიეროდ, ილოს ბიჭები გამოჩნდნენ, ვიღაცას ქალაქში ჩაეტანა მათთვის ამბავი — ბავშვი იპოვესო. გაგიჟდნენ — რა იცით, ვინ ოხერია, ვისი ნაშიერია. სანაცვლოდ რა შანტაჟზე წავლენ, რას მოითხოვენ, სასწრაფოდ შეახვიეთ, პოლიციას ჩავაბარებთო!..

სიტყვით რომ ვერაფერი გააგებინა შვილებს, ილომ თოფს წამოავლო ხელი, — ჩემი ეზოდან გადადითო!..

პოლიციაც გონს მოვიდა. ხან ხვეწნა-მუდარით, ხანაც მუქარით ბავშვის დათმობას აძალებდნენ ილოს, — უპატრონოთა სახლში უნდა ჩავაბაროთ, წესია ასეთიო!..

მე თქვენი წესიც და გამზრდელიცო, — არც პოლიციელებს მოერიდა მოხუცი, — სავსე ოჯახი მაქვს და ბალღი უპატრონოების სახლში შიმშილ-სიცივით მოვკლაო?!

ილო პაპას სოფელი დაუდგა გვერდით, და დარჩა პატარა ბიჭი მოხუცებთან. ორი თვის შემდეგ მონათლეს, სახელად ილია დაარქვეს. გვარიც თავისი მისცა ილომ, — იქნება ამისი გაზრდაც დამცალდეს, სოფელს შევაყვარებ და ქალაქისკენ პირს არ ვაქნევინებ, სისხლი რომ არ მოეწამლოს იმ ჩემი უმადური შვილებივითო!..

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ. ღვთის წყალობით, დიდი ილიაც კერკეტი კაკალივით გრძნობს თავს და პატარაც. ბევრს ეხვეწება ილო, — ბაბუა დამიძახეო, მაგრამ გაჯიუტებული ილიკო მამას ეძახის 81 წლის მოხუცს. 78 წლის „დედიკო“ ყველას და ყველაფერს ურჩევნია და ახლავე ეტყობა, მაგარი ბურჯი ეზრდება მარტო ილოს ოჯახს კი არა, მთელ სოფელს...

ამ ამბავის საქვეყნოდ მოყოლას ადრეც ვაპირებდი, მაგრამ ვერ მოვახერხე, თითქოს რაღაცის მოლოდინში ვიყავი, რაც ბოლო შტრიხად იქცეოდა სრულყოფილი სურათის შესაქმნელად... ჰოდა, ეს „შტრიხიც“ გამოჩნდა!..

სოფელს ქველმოქმედი ესტუმრა შარშან ზაფხულს, ოდესღაც ამ მიწაზე დაბადებული და ბედის განჩინებით საზღვარგარეთ გადახვეწილი კაცის შვილი. სიკვდილის წინ დაებარებინა მისთვის მამას: — ჩადი და ჩემს ნაცვლად მოეფერე წინაპართა მიწას და საფლავებს, ფული არ გიჭირს და რამე ისეთი მოიფიქრე, ერთბაშად რომ გადავიხადო ღვთისა და მშობელი მიწის ვალიო.

ჩამოვიდა ქველმოქმედი და როგორც ამ ბოლო ხანებში იქცა მოდად, სოფლელებს შესთავაზა, — ეკლესიას აგიშენებთო!..

ეკლესია თავად აღადგინა რამდენიმე წლის წინ სოფელმა, წირვა-ლოცვაც აღევლინება. არა, მეორე ტაძრის აგებაც შეიძლებოდა, მაგრამ...

— ილოს ძველი სახლი დანგრევის პირსაა, რამდენი ხანია, გვინდა ახალი ოდა ავუშენოთ, ბავშვი ეზრდებათ, მაგრამ ვერ შეიძლო სოფელმა, ფული არავისა აქვს... იქნებ იმისთვის აგვეშენებინა სახლიო, — „წამოსცდა“ ვიღაცას, დანარჩენებიც იმედით მიაჩერდნენ სტუმარს და ნაპოვნი ბიჭის ამბავიც უამბეს...

ცრემლი მოადგა თვალზე კაცს, — მამაჩემისგან ბევრი გამეგონა სოფლის სიკეთეზე, მაგრამ ასეთს მაინც ვერ წარმოვიდგენდიო! — თასი ასწია და დაილოცა, — თანახმა ვარ, ავუშენოთ სახლი პატარა ილიას, სანამ ცოცხალი ვიქნები, არაფერს გავუჭირვებ, ჩემს მესამე შვილად მივილებ და ესეც ტაძრის აშენების ტოლფასი იქნებაო.

რა თქმა უნდა, ასე იქნება და უკვე შენდება ილო-ბიჭისთვის ახალი სახლი (ტაძარი!), საცაა სახურავის ქვეშ მოექცევა, მთელი სოფელი მუშაობს, ვისაც რა შეუძლია, თავს არ იზოგავს.

იმ ქველმოქმედს, როგორც კი თავის ქვეყანაში ჩასულა, ნოტარიუსი დაუბარებია და ანდერძი დაუტოვებია, — ჩემი სოფლის მიწაში დამმარხეთ, რადგან ვიცი, იქიდან გზა პირდაპირ სამოთხეში მიდისო.

სამწუხაროდ, თავისი სახელის გამხელა არ ისურვა, — ეგ უკვე აღარაა ქველმოქმედებაო!..

ილო ბაბუა შემეხვეწა, — ნუ დაწერ ჩვენს გვარს და მისამართს. ჩემი შვილები ქალაქში „დიდი კაცები“ არიან. მამა ვარ, ვერ გავწირავ, თანაც ჩემი ბრალიცაა, კაცებად რომ ვერ დავზარდეო! — ვერ ჰპატიობს, დღემდე რომ უკიჟინებენ მამას „დიდკაცები“ — თავიდან მოიშორე ეს ბავშვიო.

...არცა აქვს ალბათ მნიშვნელობა სოფლის ზუსტ მისამართს და სახელს. მთავარი მაინც ის არის, რომ ეს ქართველთა თვისება და ხასიათია, რასაც სხვაგან ვერსად შეხვდებით და ამის შემდეგ არც ისაა გასაკვირი, რატომ ირჩია ღვთისმშობელმა თავის წილად და ხვედრად ეს უცნაური ქვეყანა და ხალხი...

**გვერდი მოამზადა**
**ინგა ჯაყელმა**

განსხვავებული ჟურნალი!





# „საიდან მოველ, ვინა ვარ“...

*„...არ მოსტყდე, მუხავ, არ მოსტყდე —*
*ქარებს არ დაემორჩილო!...*
*თუ გაგაბეზრონ ხეთქებით,*
*თვალები მოგიწყლიანონ —*
*არ გააცინო ღმერთები,*
*ლოცვად არ დასდგე ტიალო!“*

ეს სტრიქონები ხან „კაი ყმის“ ავტოპორტრეტს მაგონებს, ხან იმ ბედკრული ქვეყნისას, სადაც ამგვარი „მუხები“ აქა-იქ მაინც დგანან და ნირს არ იცვლიან, უფრო კი თავად ავტორის ხასიათს. დგას ისიც ფესვმაგრად თავის მიწაზე და ბობოქრობს: „ცოცხალმკვდრებიივით დაყრილან გონწართმეული ხევები, სასომიხდილი მდინარე ხავსიან ლოდებს ლოკავს. იანვრის ქარი აივლის, შეჭირხულ ხევებს ხვე-ლებით, შეხვდება გზაში მოსისხლეს — დედას უტირებს, მოჰკლავს!“ — ეს მისი სულის ძახილია, რომლის ექო უცილობლად შეძრავს ყველა ქართველს, ვისაც ჯერ კიდევ არა აქვს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი.

**ტარიელ ხარხელაურმა** ქართულ პოეზიაში მოიყოლა ისეთი „ქარი, რომელიც არ ჰგავს სხვა ქარებს“. ის მუდამ წრფელი და მართალია. ფეხს არ იცვლის მამა-პაპის ფუძიდან, მისი სავალიც მხოლოდ წინაპართაგან დაქნილ გზა-ბილიკებზე გადის. გულს უკლავს ლიბომორღვეული ნასახლარები, გაუკაცურებული სოფლები და თავის შინ ყოფნით ავსებს ამ გახუნებულ სიცარიელეს. მამულის ჯავრით ავსებული ზოგჯერ თავის თავს ეკითხება: „საიდან მოველ, ვინა ვარ, ლანდი მიწიდან ამშრალთა, რამ დამამუხლა მგმინავი აქ, ამ გალავნის ნაშალთან“ და დასძენს: „ალბათა, ჩემი მამულის, ერთი უიღბლო მგზავრი ვარ“. ეს „უიღბლო მგზავრი“ დარაჯად დასდგომია საქართველოს შეუვალობას: „სად მიხვალთ, შავნო ღრუბლებო, არ სძინავს არაგვიანელს, ვერ მიხვალთ საქართველომდე, მე თუ არ გადამიარეთ!“

## „კუნწულა“ პაპას სანთელი

*— ტარიელ, ვინ ძერწავდა ასეთ უდრეკ ხასიათს, რომლის სარკმელი სივრცეა, სანთელიც იგია, სალოცავიც და მლოცველიც...*

— 56 წლისა გავხდი და ისევ თვალწინ მიდგას „კუნწულა“ პაპა. გლეხი იყო, მეცხვარე. კულტურა ჰქონდა — უზარმაზარი. საქონელთანაც არ წასცდებოდა აუგი. ხანდახან გამწყრალი თუ შეიკურთხებდა უმისამართოდ — „პირჯვარძაღლოო“. მისამართი ადრესატს უნდა გაეგო. იმან მიმაჩვია ცხვარს. მე თუ კაცი ვარ, იმითა ვარ, იმის ჯიშჯილაგის კვალზე მავალი. ბალღოო, მეტყოდა პაპაჩემი, მტერს დანაღვლიანებული სახე არ აჩვენო, არაო, არ გაგიწყრეს გამჩენი. შენახვა უნდა წინაპართა წმინდა სამარხებს და კიდევ მინდორს — გუთანმა რომ გაავლო კვალი — ესააო შენი კაცური ვალი. რა ვიცი, მეც ასე დავალ ამ ქვეყანაზე, ამ უსწორმასწორო წუთისოფელში და პაპის დანაბარებს არ ვუხვევ. სიკვდილის წინაც ასე დამიბარა: „წყალი — საკალმახე, მთა — საბალახე, მამული — სავენახე კარგად შემინახეო. თავხეში გაჩრილი ბარი, ღობის მორღვეული მხარი, ყველაფერი რაც არი, არი, ჩემს მოსვლამდე კარგად მეყოლოსო“. მოდი და ამ ანდერძს უღალატე! პაპაჩემის აჩრდილი მერე და მერეც სულ თან მდევდა. მისმა ხატებამ ბევრი ლექსი დამაწერინა. როცა მის საფლავთან დავემხობი, თითქოს მისი აჩრდილი მხარში წამავლებს ხელს და ბუბუნებს: „წამოდექ, ბალღო!“ თან რკინის სამკლავეს გამომიწვდის და ზურგზე ტაძარს მადგამს კანკალით. ასე მისტუმრებს ხან შინ, ხან მთაში, ხან ბარად, ჩემს პატარა დედამიწაზე...

ლექსების წერა ბალღობაში დავიწყე. ლამფას რომ ჩააქრობდნენ, მთვარის შუქზე გამოვდიოდი და ვწერდი. პირველად ესეც პაპამ შემამჩნია. ჩემს დამრიგებელთან მისულა და უთქვამს: ამ ბალღს რაღაც ეშმაკი აწვალებს და მიხედეთო. მე მერიდებოდა, ჩემს ნაწერებს არავის ვაკითხებდი. უფროს კლასებში ქართულის არაჩვეულებრივი მასწავლებლები მოვიდნენ: იოსებ აფციაური და ოლია ლევერაშვილი. ისინი გაოგნებულები იყვნენ. მე კი მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. უბრალოდ, ეს ლექსები ვიყავი „მე“ და არც კი მახსოვდა ისინი ზეპირად, როგორც ჩვენს არსებობას ხშირად მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემმა თონე გააახურა, გამოზიდა ძველი საკლასო რვეულები და ცეცხლი იმით აანთო. ჩემი ლექსების ორი საერთო რვეულიც თან მიაყოლა, როცა ყდები ჩაიფერფლა, მაშინღა დამებრიცა თვალები, მაგრამ არ მინაღვლია, არც თან ჩავყოლივარ. იქიდან მხოლოდ ერთი ლექსი მახსოვდა, რომელსაც ახლა თქვენ გეუბნებით პირველად:

*„დავიბინდები, როგორც საბადურები,*
*ვბუბუნებ, ტყესავით ვბუბუნებ,*
*ტირიან კლდეები ქარდაკრულები, —*
*მდინარეც დუდუნებს.*
*ეს ვიცი, ბევრი რამ არ ვიცი —*
*სირცხვილიაო, მეტყვიან ხშირად.*
*სამშობლოს ცხელი მზე*
*მე გულში ჩავიწვი,*
*მათ ხომ არ იციან, მე რა მტკივა.*
*სხვისი ჭირი და ღობეს ჩხირიო, —*
*უთქვამთ ძველებს და მართალია.*
*ბევრი რამ მინახავს გასაკვირი...*
*რა გამაკვირვებს?*
*— შენი სიტურფე, მიწავ ჩემო, სხვა არფერი.*
*დამლოცე ცაო, ჩემო ცაო,*
*გზები მიკურთხე — სხვა არაფერი,*
*ეშმაკი მაწვალებს და მიმიფურთხე—*
*სხვა არაფერი“...*

მერე ჯარში წავედი. სამხედრო სამსახურმა მასწავლა კაცის გატანა. დამანახვა ჩემი სახე. ჩამოველ და პირდაპირ მამაჩემის ცხვარში წაველ ყიზლარში. ხუთი წელი გავატარე ნოღაეთის ველებზე. აბა, იქ სწავლობ, თუ სწავლობ კაცობას, გაძლებას. იქ გავიცანი თედო გიგაური, იორამი, თოლიგე, ღვთისავარი, ჩალხია, ჯუღურა, ბესა, დათა ბურთიკაშვილი, ვანო სიჯანიშვილი, რომელთაც ბალღებივით უხაროდათ მზის ამოსვლა და ულამაზესი გათენება. ისინი მამულის სიყვარულით უძლებდნენ ქარს, წვიმას, ყინვა-ყიამეთს, სიცხესა და ხორშაკს. ისინი ჩემი ლექსების გმირებად იქცნენ...

ჩემს პირველ ლექსებს მთელი გვერდი რომ დაეთმო თიანეთის რაიონულ გაზეთში, კინაღამ გული გამისკდა. სულ მეგონა, რომ ლექსი ჩემთან უნდა ყოფილიყო, ძალიან მაშინებდა, როგორ მიიღებდა მკითხველი. რა ვიცი, მგონი მიიღეს. იაკობ ბობოხიძეს კი ვაკითხებდი. ერთხელაც ჩამავლო ხელი და რევაზ ინანიშვილთან მიმიყვანა. ბატონმა რეზომ ორი ლექსი წაიკითხა. ოჰოჰოო, — ამოიოხრა და ისე მისცა დასაბეჭდად ვიზა, ყველა ლექსი ჯერ წაკითხული არ ჰქონდა. ჯანსულ ჩარკვიანმა ესაც არ იკმარა და ტელევიზიაში თავის ფეხით მიმიყვანა.

## მარინე

ტარიელის ოჯახში მისი პირველი წიგნის ერთი გაცვეთილი ეგზემპლარიღა ინახება. დანარჩენი დაიტაცეს. ამ წიგნზე ტარიელის მეუღლე თითს არავის აკარებინებს. თუმცა ყველა ლექსი ზეპირად იცის არა მარტო მან, უფროსმა ვაჟიშვილმაც. მარინე წიგნის გარეკანზე გაკეთებულ წარწერებს ისე ესათუთება, როგორც საყვარელ არსებას: „სიყვარულისთვის, პატარა ქალო! დიდი სიყვარულით“. „დღეს შენი ჩვენება, პატარა პირიმზევ, სასწაულია!“ „ვწყევლი წვიმიან ამინდებს, ეს რა ნაღველი შემყარა, წაგიყვან! წინ გადამიდგეს მთელი შეშლილი ქვეყანა!“ რასაც ფიქრობს, რასაც გრძნობს და განიცდის ტარიელი, იმას წერს ლექსად, წერს შეულამაზებლად, წერს თავისთვის და ენანება, ვინმემ უბრალოდ არ ალიქვას. რა იცი, როგორი მკითხველი შეხვდება მისი გულიდან ამოსკვნილ აზრებს.

— პირველად ჩვენს ოჯახში დედაჩემმა მოიტანა „ცისკრის“ ის ნომერი, — მეუბნება მარინე, — ერთსა და იმავეს მესადე კითხულობდა და ჩურჩულებდა: ნეტა შენს დედას, შვილოო. უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, იქ უკვე ზეპირად იცოდნენ მისი „ვერკვლის ციხე“, „ხმელი ფოთოლი“, „მარცვალივით გადამაგდეთ ხნულში“, „წყლისპირას სხედან ხევსურნი“... რა თქმა უნდა, მეც ინტერესით ვკითხულობდი და ავტორის დანახვაც ძვირად მიღირდა. ერთხელ უნივერსიტეტის ეზოში ფრენბურთს ვთამაშობდით. ზურგიდან დაჟინებული მზერა ვიგრძენი. ის იყო. მერე ურთიერთობა, სითბო, ხალასი სული და მეტი რა უნდა სიყვარულს? დავოჯახდით და ვაი ჩემს დღეს... მეორე კურსიდან ტარიელი ისევ ცხვარს გაედევნა. თავქუდმოგლეჯილი გავვარდი ვახუშტი კოტეტიშვილთან — გაიქცა, მიშველეთ-მეთქი. მთელი ჯგუფი ავიდა მანქანით მთაში. მოძებნეს, ჩამოიყვანეს. მზექალა შანიძის გამოცდიდან გაქცეულა, ბილეთის არც ერთი საკითხი არ იცოდა თურმე. უთქვამს: რა ვქნა, ქალბატონო მზექალა, ეგენი არ მაინტერესებს და არც ვიციო. მზექალამ სულ გადადო გამოცდა. როცა კურსელებმა ჩამოიყვანეს, უთხრა: — შენი პირდაპირობა მერჩივნა ზოგიერთის მანჭვას — ვიცოდი, პატივცემულო, მაგრამ დამავიწყდაო. დაბრუნდა უნივერსიტეტში და მას შემდეგ ისმენდა მხოლოდ იმ ლექციებს, რომელიც იზიდავდა. ახლა მადლობელია ყველასი — უნივერსიტეტმა ხალხთან დამაახლოვა, ის სამყარო გამაცნო, სადაც პოეზიით სუნთქავენო.



ერთხანს თიანეთის რაიონულ გაზეთში მიიწვიეს პარტიული განყოფილების გამგედ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ერთი სტრიქონი არ დაუწერია. მე სიმონიანთხევის საშუალო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი. ოცდასამი წლის ვიყავი, ორი შვილის დედა, აუარებელი საქმე მქონდა შინ და გარეთ. ახლა ტარიელის მაგიერ მე მიწევდა სტატიების წერა. ეგეთია, რაც არ აინტერესებს, არ აკეთებს და მოკალი თუ გინდა. მესამე ბავშვზე ფეხმძიმედ რომ ვიყავი, უმუშევარი იყო. დაიბარა რაიკომის მდივანმა — ერთ-ერთ მეურნეობაში პარტიული კომიტეტის მდივნად დანიშნა. მაღალ ხელფასსაც აძლევდა. ეგეც მთელი ზაფხული მუშაობდა: თიბავდა, მკიდა, ლეწავდა და როცა მოსავალი დააბინავეს, რაიკომში მივიდა მდივანთან — საქმე აღარაფერი მაქვს, გამათავისუფლეთო. გაკვირვება რომ შეატყო, ალალად უთხრა: მე კრებებისა და ოქმების კაცი არა ვარ, თუ სამუშაო გაქვთ რამე, ხო, თუ არა და, უსაქმურობაში აღებული ფული ჯიბეს მიწვავსო. ისევ ცხვარში წასვლა არჩია. ყაზბეგის შემდეგ აბა, ვის გაუკვირდებოდა მაგის მწყემსობა, თვითონ თვლიდა, რომ მუდამ რაღაც უნდა ეკეთებინა, ეშრომა, ჯაფა დასდგომოდა. მე და ჩემი შვილები თვეობით გავცქეროდით გზას: მოვიდოდა, მოგვიალერსებდა, მოგვიტანდა „იქ, მიღმა“ დაწერილ სტრიქონებს, უსათაუროს, მიჯღაბნილ-მოჯღაბნილს. მე კაი ტექსტოლოგივით ვშიფრავდი და ლამაზად გადაწერილს მივარბენინებდი რედაქციაში. მისი სტრიქონები — ეს თვითონ არის, თუ არ შეხედე, თვალში არ შეგეჩხირება. მთა, ტყე, მდინარე, ბუნება, ჭიამაია, გვირილა ადამიანივით ძვირფასია მისთვის. უიმათოდ ვერ ძლებს.

## შირაქში ერთმა მეცხვარემ...

რატომ გამოიქეცი უნივერსიტეტიდან-მეთქი, ვკითხე ტარიელს. ქალაქს ვერ ვიტანო, — მითხრა. რას უწუნებ-მეთქი ქალაქს? არაფერს, რას უნდა ვუწუნებდე, ასფალტზე რომ დავდივარ, თითქოს ყელში რაღაც მიჭერს, მხუთავსო. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს დალოცვილი მიწა იყო მისი ენერგიის წყარო.

1982 წელს შირაქში ქარიშხალმა დაგლიჯა ფარეხები, გაფანტა საკვები, გაწყვიტა დიდძალი ცხვარ-ბატკანი. ვიცოდი, ტარიელიც იქ იყო. მოვიკითხე და ვერსად მიაგნეს. წითელ წყაროში ტყავები წაეღო. ფერმის გამგემ იმის ბინაზე მიგვიყვანა. მოზვრებივით ნაგაზები დაიზლაზნებოდნენ ეზოში. ბინა ღია დაგვხვდა. გაჩორკნილი ფიცრის საწოლებზე ნაბდები ეფინა, მაგიდაც ხისა იდგა, რამდენიმე სამფეხა სკამი და რკინის ჯამ-ჭურჭელი. უცბად ყმაწვილმა უზელო ცხენი შემოაგელვა, გაქაფული ულაყი ხირხლებზე მიაბა და თავაზიანად მოგვეახლა. დაძარღვულ კისერზე შოლტი ჰქონდა გადაკიდებული. თვალებსა და სახეზე მთლად ხორბლისფერი დაჰკრავდა... ტარიელს ნაწერები მოვკითხე. კიო, ახლავეო. გაჩხრიკა ტყაპუჭის ჯიბეები, მერე შარვლები მოქექა, ზოგი დაკეცილი ფურცელი ნაბდის ქვეშიდან ამოალაგა...

მას მერე წელიწადზე მეტი გავიდა. ჩვეული თბილი ღიმილით შემხვდა ტარიელი:

— ვაიმე, ტარიელ, იქ როგორ ძლებ, არც შუქი, არც გათბობა, — შევიცხადე მე. ისევ საყვარლად გაიღიმა:

მეცხვარეს თუ შუქი აუნთე და პარკეტი დაუგე, მწყემსად ვერ ივარგებსო, — მომიგო.

## ათ წელიწადში ერთხელ

სამ ათეულ წელში სამი მომცრო წიგნი გამოსცა ტარიელმა. უფრო სწორად, მარინემ. პირველს არა უშავდა — რაღაცას მაინც ჰგავდა გარეგნულად, მეორე — გეგონებათ, ხელით საბეჭდ მანქანაზე აუწყვიათო, მესამე — ფურცელ-ფურცელ იშლება. არადა გადაშალოს, ვისაც კითხვა უყვარს, ვინც კიდევ გრძნობს თავის ქვეყნის პირველყოფილ სიდიადეს, სინაზეს, ვაჟკაცობას, — ჟრჟოლას მოჰგვრის ტანში, აამაღლებს, სიამაყით აავსებს.

— დაბეჭდილი ლექსი ხანდახან არ მიყვარს, — მეუბნება ტარიელი, — სანამ ლექსი ჩემთან არის, სავსე ვარ. როცა მიდის — მაკრთობს იმაზე ფიქრი, როგორ დამიბრუნდება, როგორც შორს წასული შვილი...

მახსოვს, ნაზი კილასონიამ გამთათხა: — აქამდე დამშვიდებული ვიყავით, ეს რარიგად აგვაფორიაქე, ხან იგინები, ხან იფურთხებიო. მერე დამიყვავა — შენი გზა გიპოვია, წერე, იალალი შენიაო. მე რიტმს ვეძებდი შიგნით. ლექსი არ არის მარტო მუსიკა და სილამაზე. ის აზროვნებაა, ფილოსოფიაა. ახლა ველარაფერს ვკითხულობ, ბიბლიის გარდა. თითქოს ღმერთმა უცბად ჩამოიარა და დამაბერტყა სიკეთე. მეოთხე ათეულში მეოთხე წიგნი გამოვა. ის იქნება ნამდვილი წიგნი. ბოლოდროინდელი ლექსები უფრო სხვანაირად მოდის, გაოცდებით და ისინი თითქმის სიზმარში იბადება. ძილის დროს მყავს დიდი აუდიტორია, თითქოს სუყველას ვიცნობ და მაინც არ ვიცი, ვინ არიან. ვუკითხავ ლექსებს. იქიდან მამახსოვრდება ერთი სტრიქონი, ის არის ჩემი ლექსის ღერძი, მის ირგვლივ ტრიალებს აზრი, კალამი. ხანდახან ლექსი მოდის, როცა სადღაც მივდივარ, ხმამაღლა ვამბობ, რიტმს ავდევ, ხელებს ვიქნევ, ვწერ უმეტესად სიმარტოვეში, ხმაურს ვსპობ ჩემ ირგვლივ, თუკი ლექსი სუსტი გამოვა, იმასაც ვსპობ, ვივიწყებ. ბავშვობაში მომდიოდა ასე. ჩემი სოფლის თავზე ადგილია ერთი — „ჭააჭვილს“ ვეძახით. ერთხელ ტყეში მიმავალი ვიღაცას დავუნახივარ: მივდივარ, მივლაპარაკობ, თან ხელებს და ფეხებს უცნაურად ვიქნევ. შეუჩივლია დედაჩემისთვის: — სონავ, ერთი ბიჭი გყავს და შე ბეჩავო, მგონი, ვერ უნდა იყოს კარგადო. რა ვიცი, ეგეთი ვარ, მთელმა ცხოვრებამ შეიძლება ერთ ღამეში დამღალოს, ერთ ღამეში გავჭაღარავდე ან სულაც ჩავისუნთქო — ცა ჩავხარო, ზღვა თვალში ცრემლად ჩავიცრა. ჩემი სული — აი, ის მზის სხივია — ჩავა და ჩავყვები. ჩემი დღეები — მინდვრის გვირილებია — მოსწყვეტ და დავჭკნები. მწარე ნაღველი — საუკუნით გაბზარულ ხმაში არ გამრევია — საბედნიეროდ. სულ მხრებით დამაქვს ჩემი ცა მოავდრე, მაინც ვევედრები მზეს, ერთი მადლი მე მომაგე, სხვას მიაგე ათი მადლი. რაც შეეხება ჩემს პოეზიას, შემიძლია ვთქვა: „ჩემო სამშობლოვ, პოეტი შენ ხარ, მე შენი ენით მოლაპარაკე“. გარეთ თავსხმაა. ლამის ცა ჩამოიქცეს, ვითომ არაფერი... მესაუბრება დინჯად, ტყიდან ახლახან დაბრუნებული, ხელებდაკოჟრილი, მოშივებული და შეციებული ტარიელი. მინდა ეს დიალოგი ყველამ გაიგოს, სხვასაც მოეძალოს ამგვარი გაძლების ჟინი.

დამშვიდობებისას ვთხოვე ახალდაწერილი ლექსი წაეკითხა. ჯიბიდან ფურცელი ამოიღო, გამომიწოდა, არც კი უთქვამს, დამიბრუნეო.

*„მეტწილად ვტირი — ტკივილებს*
*ვებრძვი, ქვითინით ვბორკავო,*
*გაძნელდა. სოფლის ბაგასა*
*უწადინოდა ვლოკავო“...*

არც ეს ტონი გამკვირვებია.

ადრეც ხომ სულ იმას მოსთქვამდა:

*„ჯავრო, რა ძაან მაჯავრებ, ჯავრო, მამულის ჩემისა, გაძაღლდა და არ მიწყდება ნერვი, ბოროტის თმენისა“.*

რომ გაძლო, იმ ფესვზე უნდა ამოიზარდო, რომელზედაც ტარიელ ხარხელაური ასე გულდაგულ წერს:

*„წყლის პირას სხედან ხევსურნი,*
*ღვთის შუქი ადგათ იღბლიანთ:*
*დღეობა არის — ხევისბერს*
*ბინდისფერ კურატს მიჰგვრიან.*
*— ჩვენ თავად დაგვამწყალობნე, —*
*ცალყბად შეჰღრენენ მინდიას.*
*ზურგით მთას მიეყრდნობიან,*
*მიჰდრეკენ, შიგნით მიჰხრიან.*
*წინ ლუდის უდგათ ჯამები,*
*შინ მთვარის ნატეხთ იყრიან,*
*შვიდი ჰხრავს ლაგამს საფერხე,*
*სანთელიც მხოლოდ შვიდია.*
*რა არის მათი გუმანი,*
*ამ ღამით საით მიდიან?*
*იქ შეჩნდნენ, სადაც ღრუბლები*
*ნაგლეჯ-ნაგლეჯად ჰკიდია.*
*საპირიქითოს გადვიდნენ,*
*წარაფს გადასცდნენ ბინდიანს.*
*— ხელ მოუმართე, გუდანო, —*
*ხატს შეავედრებს მინდია!“*

**ეთერ თარიმანი**

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

თუ უკანონო მშენებლობით
ირღვევა თქვენი უფლებები
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,
სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.
მის: რუსთაველის გამზ. №23, ტელ: 92-05-94

600–750 მმ. დიამეტრის
ნაბურღ-ნატენი
ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0–25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

შპს „გეოკორი“

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

CMYK

# „ძილის წინ“ გრძელდება



ტელესერიალის „ძილის წინ“ შემოქმედებითი ჯგუფი. მარჯვნიდან პირველი: მადონა ვასაძე

*თბილისის, და არა მარტო თბილისის, ქუჩებში შესაძლოა მალე საპროტესტო აქციების მთელი ტალღა აგორდეს და ქვეყნის ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს სერიოზული საზრუნავი შეექმნათ. ეს ექსკლუზიური ინფორმაცია ახლახან მოგვაწოდეს და შესაძლო არეულობის მიზეზიც სასწრაფოდ დავადგინეთ: თურმე მიტინგების გამართვით ტელესერიალის „ძილის წინ“ ურიცხვი მაყურებელი იმუქრება; პირველი არხისა და შემოქმედებითი გაერთიანება „აუდიენციის“ ტელეფონებს წამითაც კი არ ასვენებენ და სერიალის აღდგენას მოითხოვენ. მდგომარეობის დროულად ლოკალიზების მიზნით, პასუხისმგებელმა პირებმა გვთხოვეს, საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია: ტელესერიალი „ძილის წინ“ სულ მალე, 3 მარტს კვლავ გავა პირველი არხის ეთერში. სიტუაციის უფრო კონკრეტულად გასარკვევად ფილმის პროდიუსერსა და ერთ-ერთ რეჟისორს,* ***მადონა ვასაძეს*** *დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ:*

— მართლაც უამრავი მაყურებელი რეკავს ჩვენთან — სერიოზულად იმუქრებიან, თუ სერიალს არ განაახლებთ, პროვოკაციულ აქტებს მივმართავთო.

**— თურმე მარიანას და გოგოლას მოტაცებითაც კი იმუქრებიან...**

— ნუ შეწუხდებიან, — უკვე გადაღებებს ვიწყებთ და სულ მალე ეთერში გავალთ. ტექნიკური მიზეზების გამო, ფილმი 586-ე სერიაზე შეჩერდა. სერიალს ისეთი რეიტინგი ჰქონდა და იმდენი მაყურებელი გვეხმაურებოდა, რომ მას თუნდაც კომერციული მოსაზრებით არ შეწყვეტდა არავინ.

**— რა სიახლეს შესთავაზებთ მაყურებელს განახლებული სერიალით?**

— ცერცვაძეების ოჯახი ახალ, ძალიან ლამაზ ბინაში გადადის. რამდენიმე თვეში მას ისევ შევუცვლით ინტერიერს. მსახიობების ძირითადი შემადგენლობა იგივე დარჩება. თუმცა ახალი პერსონაჟების გამოჩენაც არის გათვალისწინებული. იგივე ითქმის სცენარისტთა ჯგუფზეც. ფილმის საეთერო დრო შეიცვლება. ვფიქრობთ, ახალი დრო უფრო მისაღები იქნება მაყურებლისთვის.

**— თქვენ ამბობთ, რომ ფილმს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, არადა, ბევრს არ მოსწონდა იგი. უკმაყოფილებას ზოგჯერ მსახიობებიც ვერ ფარავდნენ.**

— ლათინურამერიკული ტელესერიალებისგან განსხვავებით, ჩვენს სერიალში არ არის სერიოზული ოჯახური ინტრიგები, დედმამიშვილები ერთმანეთს სამარეს არ უთხრიან, ერთადერთი ინტრიგანი, ვერსაჩე დიდია, ამავე დროს, საოცრად იუმორისტული პერსონაჟია. „ძილის წინ“ ცოცხალი ანეკდოტიაო, ხშირად უთქვამს ჩვენთვის მაყურებელს, ეს სერიალი არავის უმძიმებს არც სულს და არც გულსო. რაც შეეხება მსახიობებს, ზოგჯერ სცენარი მართლაც უინტერესო იყო, ბუნებრივია, რომ ეს არ მოსწონებოდათ.

**— იმასაც ამბობენ, აბუნტებული მაყურებლის უკან თვითონ მსახიობები დგანანო.**

— ეგ პროვოკაციაა (იცინის). ისე, ძალიან უყვართ ერთმანეთი ჩვენს მსახიობებს. ამიტომაც არ გამოსდით ალბათ ფილმში „ბოროტ“ პერსონაჟებს არაფერი. სიმართლე გითხრათ, ხშირად გამიგონია მსახიობების წუწუნი, გადაღებები შეწყდა და ერთმანეთი გვენატრებაო, მაგრამ ხალხის აბუნტებას ეგენი ვერ შეძლებდნენ.

**— გადაღებების დროს რომელიმე მსახიობმა დაგამახსოვრათ თავი?**

— რა თქმა უნდა, ყველა მათგანმა, განსაკუთრებით კი მალხაზ ქვრივიშვილმა. სულ აგვიანებდა და მიზეზად დაუჯერებელი რამ მოჰქონდა. საცობში ვიყავი გაჩხერილიო. არადა, მისი სახლიდან ტელევიზიამდე საცობი არასდროს არ არის. რეჟისორი ოთარ შამათავა ბრაზობდა — უთხარით მალხაზს, სხვა, უფრო დამაჯერებელი მიზეზი მოიგონოსო. იცით, ხშირად გადაღების პროცესი ბევრად უფრო მხიარული და საინტერესოა, ვიდრე მზა ფილმი. იმდენს ვიცინით ხოლმე კურიოზების გამო, ზერე გვავიწყდება კიდეც და ვერ ვიხსენებთ, რა და როგორ მოხდა.

**— ხშირად ფილმში სტუმრად იწვევდით პოპულარულ ქართველებს... რომელიმეს თუ გაიხსენებთ?**

— როგორ არა. ელენე თევდორაძე, საოცარი ქალია. ისე იოლად ჩაერთო სამუშაო პროცესში, რომ აღფრთოვანებას ვერ ვფარავდით. ახლა ახალ გადაცემაში, „ლელას შოუში“ უნდა მოვიწვიოთ.

**— „ლელას შოუ“ მაგარი გამოგონებაა, ვისი იდეა იყო?**

— ეკა კახიანს დასცდა იდეის სახით და ხელად ავიტაცეთ. „ლელას შოუ“ ტელესერიალთან ერთად განახლდება და ეთერში გავა პარასკეობით.

**— ქალბატონო მადონა, თქვენ, როგორც ბასა ფოცხიშვილის მუდმივი „თანამებრძოლი“, ალბათ ორი სიტყვით ბასას კლიპებისა და „ბერლინალეს“ შესახებაც გვეტყვით.**

— ბასა ამჟერად გერმანიაში იმყოფება, სადაც ჩვენი გადაღებული კლიპი ჩაიტანა. ბერლინის კინოფესტივალის, „ბერლინალეს“ ფარგლებში მოეწყო ახალგაზრდა ტალანტების კონკურსი, სადაც მარიკა თხელიძისათვის შექმნილი კლიპი მონაწილეობდა და გაიმარჯვა კიდეც. ამჟერად კლიპს „ბერლინალეს“ ფესტივალზე წარადგენენ.

**— ერთი ახალი კლიპიც გადაგიღიათ თემურ მღებრიშვილის მონაწილეობით.**

— არყის, „სარაჯიშვილის“ რეკლამაში ისევ გადავიღეთ თემური და მისი რაზმი. მათ ერთგულ „შემოქმედებით კოლექტივს“ ვეძახით ხუმრობით. კლიპში მონაწილეობს მერაბ ნინიძე — შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მისი ამ ამპლუაში გამოჩენა პირველი პრეცედენტია.

*ეკა ლომიძე*

ორშაბათი 10 თებერვალი

სამშაბათი 11 თებერვალი

ოთხშაბათი 12 თებერვალი

ხუთშაბათი 13 თებერვალი

პარასკევი 14 თებერვალი

შაბათი 15 თებერვალი

კვირა 16 თებერვალი



# ბუბუ — საქართველოს საბავშვო არტისტი



*ამას წინათ მეგობრის ათი წლის გოგონამ მისაყვედურა, — რა არის, „ტელევიზიის გვერდში“ ყველაზე რომ წერ და ბასტიზე და ბუბუზე არაფერს ამბობ. ძალიან მიყვარს „კვირის პალიტრა“, ბუბუც ძალიან მიყვარს და იქნება შეგვახვედროთ საყვარელ პერსონაჟსო. გადავწყვიტეთ, გოგონასთვის სურვილი აგვესრულებინა და სასწრაფოდ დავუკავშირდით ბუბუს —* ***თემო კალანდაძეს,*** *რომელსაც დიდი ხანია უკან დარჩა თავისი ბავშვობა, მაგრამ მაინც სხვა ბავშვების ცხოვრებით ცხოვრობს და, შესაბამისად, თავის თავს წოდებაც კი გამოუძებნა. თუმცა, ამაზე მოგვიანებით თავად გვიამბობს.*

**— როგორც ვიცი, თეატრალურ ინსტიტუტში არ მიგიღეს, რა იყო ამის მიზეზი?**

— ნამდვილად არ ვიცი, რატომ არ მიმიღეს. მაშინ გავლექსე კიდეც ჩემი მდგომარეობა „ღრმადა ვარ დარწმუნებული, ტყუილად ვარ დაწუნებული“. თუმცა, ამ ამბავმა ხელი ვერ შემიშალა სამსახიობო „კარიერის“ გაგრძელებაში. ჯერ რუსთავის თოჯინების თეატრში მიმიწვიეს, მერე თბილისში მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში. მერე მოზარდთა რუსული და ქართული თეატრები გაერთიანდნენ და ახლა რუსულ და ქართულ სპექტაკლებში ვთამაშობ.

**— თქვენი „ნაცარქექია“ თურმე ზოგჯერ პატარა მაყურებელთა რისხვასაც კი იწვევდა.**

— იცით, რატომ? „დევს“ სპექტაკლზე თავისი ძმისშვილები მოჰყავდა ხოლმე და როგორც კი სპექტაკლში მდინარეზე გასასვლელად დევს კისერზე მოვაჯდებოდი, პატარები მაშინვე აყვირდებოდნენ — დაანებე, ბოროტო ნაცარქექია, ბიძაჩვენს თავიო და სცენისკენ მობობღავდნენ. ნაცარქექია ძალიან უყვართ ბავშვებს. ერთხელ ქუჩაში ვიდექი და პატარა გოგონა ყვირილით გამოვარდა — ნაცარქექია, ნაცარქექია, დევი სადა გყავსო. ბავშვი ძლივს დააკავეს მშობლებმა, თან დატუქსეს — უფროსებს როგორ მიმართავო.

**— ბატონო თემო, თქვენ ჯერ კიდევ „ბასტი-ბუბუმდე“ იყავით „ტელეთოჯინა“, ხომ არ გაიხსენებთ მანძილს ლუდუდან ბუბუმდე?**

— გახსოვთ, არა, დედა დუ და მამა დუ? მათი ოჯახის წევრი ვიყავი — ძმა ლუდუ, რომელიც წარსულს ჩაბარდა. მას შემდეგ მხოლოდ სცენაზე ვმოღვაწეობდი, ვიდრე შესანიშნავი „ბასტი-ბუბუ“ არ შეიქმნა. პირველსავე სინჯზე დამამტკიცეს ბუბუს როლზე. მას შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ასე რთულ ყოფაში გვიწევს ცხოვრება, სამყარო მაინც მშვენიერი და ულამაზესი ფერებითაა სავსე. სხვათა შორის, დიდხანს ბევრმა არ იცოდა, რომ მე ვიყავი ბუბუ. ფილმის, „ორმაგი სახის“ პრემიერაზე რეზო ჩხეიძემ რომ გაიგო ნამდვილი ბუბუს ვინაობა, ისეთი თვალებგაბრწყინებული მომეხვია, რომ გული ამიჩუყდა. თურმე დიდებიც უყურებენ „ბასტი-ბუბუს“.

**— ბასტიზე რას იტყვით?**

— ანი სხვიტარიძე შესანიშნავი პიროვნებაა, შესანიშნავი დედა. მეორე შვილი რომ შეეძინა, სასცენო მოღვაწეობა დროებით შეწყვიტა, მაგრამ ბასტის გახმოვანებაზე უარი არ გაუვიდა, არადა, ბავშვს ვერავის უტოვებდა და პატარა ლევანიკო „კენგურუთი“ ჩამოკიდებული მოჰყავდა სტუდიაში. ლევანიკოს ტკბილად ეძინა და ანი ასე ახმოვანებდა ბასტის. ერთხელ ოპერატორი გაოცებული კითხულობს, გამაგებინეთ ერთი, რა უცნაური ხმები შემოდის ეთერში, მანდ რა ხდებაო. გაოცებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ, მე და ანიმ და უცებ სიცილი აგვიტყდა, დედის მკერდზე მიკრული ლევანიკო გულიანად ხვრინავდა.

**— როცა ბასტი-ბუბუს კონცერტებზე დიდი თოჯინები გამოდიან, მაშინაც თქვენ თამაშობთ? თქვენ დახტიხართ სცენაზე?**

— არა. მაშინ სხვა ფუნქცია გვაქვს. მაგალითად, საახალწლო კონცერტებზე მე თოვლის ბაბუა ვიყავი და გოგიჩასთან ერთად მიმყავდა კონცერტი. ისე, სულ ვამბობ, ყველაზე უცნობი ცნობილი მსახიობი ვარ-მეთქი და საკუთარ თავს წოდებაც კი შევურჩიე — საქართველოს საბავშვო არტისტი.

**— ეს წოდება ალბათ, ზედგამოჭრილი იქნებოდა თქვენთვის, რომ არა თქვენი ეკრანული სახეები, სადაც თითქმის სულ ჩხუბობთ.**

— „ორმაგი სახის“ გადაღების დროს მეც ვამბობდი. რა უბედურებაა ჩემს თავს, ტელევიზორში ბუბუს ჩაწერის დროს ვდნები და ვტკბები, ფილმის გადასაღებ მოედანზე კი ვჩხუბობ და ვიგინები-მეთქი. ისე, კაი რამე იყო, გიო გურგულია ჯერ გამეტებით მცემდა, მერე კი ბოდიშებს მიხდიდა, მაპატიეთ, ბატონო თემოო. ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ მიშა ანთაძის ფილმს „30 სმ ზღვის დონიდან“, სადაც ავადმყოფ კაცს მაგნიტურ სილაში ვაწვენ გამოსაჯანმრთელებლად. დაიჯერებთ? მაშინ ძია სანდროს (მსახიობი სანდრო თედიაშვილი) მოძრაობა მართლა უჭირდა სახსრების ტკივილის გამო, გადაცემების შემდეგ კი თავს შესანიშნავად გრძნობდა. მართლა მოუხდა მაგნიტური სილა.

**— ახლახან ქართულ-ფრანგულ ფილმშიც გადაგიღეს თურმე...**

— დიახ, რეჟისორი მშვენიერი ფრანგი-იტალიელი ჟული ბერტოლუჩია, ქართველი რეჟისორის, ოთარ იოსელიანის მოწაფე. ფილმს ჰქვია „რაც ოთარი წავიდა“. ვინმე ოთარი (გივის მსგავსი პერსონაჟია „ცისფერ მთებში“) მიდის პარიზში, იქ მოღვაწეობს, გარდაიცვლება. მოქმედება ხდება საქართველოში, მის ოჯახში, თბილისში. მალე პრემიერა იქნება, რა თქმა უნდა, ჯერ საფრანგეთში და მერე საქართველოში. გული მწყდება, რომ საფრანგეთში აღარ მომიხდა გადაღებებზე წასვლა. თუმცა, ყველაფერი ძალიან კარგი იყო აქაც.

*ეკა ლომიძე*




# თქვენთვის

უამრავი რამ უჭირს ქართველ კაცს და აბა, სიმძიმის დამატება რაღად სჭირდება, მაგრამ... ხომ არის ისეთი რამ, რასაც გვერდს ვერ აუვლი, რაზეც აუცილებლად უნდა ითქვას ხმამაღლა თუნდაც იმიტომ, რომ სხვათა შეცდომები გავითვალისწინოთ და საკუთარი ავიცილოთ თავიდან; ესეც არ იყოს, როცა სხვისი თანაგრძნობის უნარი შეგვრჩება, როცა ისევ შეგვეძლება ტირილი და სულაც არ იქნება „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი", ე.ი. ვცოცხლობთ, ადამიანობა შეგვრჩენია. როცა სხვას ვაპატიებთ, ჩვენც შეგვინდობს უფალი...

ბატონი გიორგი დიდი ფიქრის შემდეგ მოვიდა „კვირის პალიტრაში" — სხვა ტაქტი და სითბო გაქვთ... ტკივილს სენსაციად კი არ

## მონანიე ცოდვილის ცრემლი



აქცევთ, ისე დაწერთ, კაცს თანაგრძნობის სურვილს გაუჩენთო!..

მოუსმინეთ ბატონ გიორგი შ-ძეს. იმედი მაქვს, მკაცრად არ განსჯით და არც ჩასაქოლად გაიმეტებთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი... მკვლელია!..

— შვილო, სისხლში მაქვს ხელი გასვრილი. 14 წელი მოვიხადე, მშისთვის თვალი არ გამისწორებია და ღმერთმანი, სიკვდილს ვნატრობდი. მე რომ გამასამართლეს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული სიკვდილით დასჯა. იმედი მქონდა, დამხვრეტდნენ, მაგრამ... სიკვდილი შვება იყო იმ წუთში ჩემთვის...

რძალი მოვკალი, 16 წლის გოგო. 14 წლისა შემოვიდა ჩემს ოჯახში, არც ჩემი შვილი იყო სრულწლოვანი, მაგრამ მაინც გვარბენინეს სასამართლოში, ფულიც კი გადავიხადე, ოღონდ არ დაეჭირათ, თანაც არც გოგოს მშობლები ჩიოდნენ. ან კი სად ჰყავდა პატრონი?! მამა ციხიდან გამოსვლას ვერ ასწრებდა, რომ ისევ იჭერდნენ... დედა კი... დედას შვილისთვის არ ეცალა, ხელიდან ხელში გადადიოდა...

არ მინდოდა ასეთი ოჯახის შვილი, მაგრამ მოვერიე თავს და არ მიკადრებია აუგი. იმედი მქონდა, რომ ჯერ კიდევ ბავშვს, გავზრდიდი, გულს გავუთბობდი, მაგრამ... არ შეეძლო სიყვარული იმ უბედურის შვილს. არ გაგვიკარა სიახლოვეს არც მე და არც ჩემი ცოლი, საჭმელსაც არ ჭამდა ჩვენს ნახელავს — ბინძურები ხართო! არც ამისთვის გვისაყვედურია. ესლა უთხრა აცრემლებულმა ჩემმა ცოლმა — უკეთესი თავად გააკეთე და ჩვენც გვესიამოვნებაო! მან კი — ეგღა მაკლია, მოსამსახურედ დაგიდგეთო. ქმარს აიძულებდა, ყოველდღე კაფე-სასადილოებში ევლოთ.

ძალიან ლამაზი გოგო იყო გვანცა. 17 წლის ქმარს ემაყებოდა მის გვერდით ყოფნა და ხალხში ტრიალი. ის კი ემუქრებოდა თურმე, — მიგატოვებო და, დაიმორჩილა, თავის ჭკუაზე გადაიყვანა. ჩაცმაზე გიჟდებოდა. მოიტანდა ნისიად ჭრელაჭრულა სამოსს, მერე მევალეები ჩვენ გვაკითხავდნენ. ვერც ამ ვაჭრების შემოტევას ვაუმკლავდით და გვანცა მკაცრად გავაფრთხილეთ, ნისიად არაფერი შემოიტანო შინ. სულ ღორები და ბებერი იდიოტები გვეძახა...

შევამჩნიეთ, როცა ფული შემოაკლდებოდათ, ნივთები გაჰქონდათ შინიდან: ოქროც გაყიდეს, ბროლიც, უხმარი თეთრეულიც კი...

გვანცასთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო და ჩემი შვილი გავაფრთხილე, — თუ გონს არ მოხვალთ, ორთავეს გაგყრით-მეთქი. ასეც მოვიქცეოდი, რომ არა გვანცას ფეხმძიმობა.

1982 წლის თებერვალში იმშობიარა, გოგონა შეეძინა, თეა. ლევანი აპრილში ჯარში გაიწვიეს. გაგვიხარდა კიდეც — ჯარი დააკაცებს და ცხოვრებას სხვაგვარად შეხედავსო.

ლევანის წასვლის შემდეგ თვალის დასანახავად შეგვიძულა რძალმა. ჩვილი მოგვიგდო და როცა უნდოდა, მაშინ მოდიოდა და მიდიოდა...

ბავშვს მე და ჩემი ცოლი ვზრდიდით, გათხოვილი ქალიშვილიც გვეხმარებოდა, როგორც შეეძლო. ნეტავი სულ წასულიყო გვანცა. ფულის მეტი არაფერი აინტერესებდა და მივცემდით კიდეც, რამდენიც უნდოდა, ოღონდ გაგვცლოდა. დედამისი აქეზებდა: სავსე ოჯახია, რას ჰქვია, მიატოვებო?! ჩვენი ოჯახი კი ნამდვილად აღარ იყო სავსე და აღარც გარეთ გასატანი დაგვრჩენია რამე, სწორედ ამიტომაც დაიწყო ახალი უბედურება: ჯერ ერთი მეზობელი მოგვადგა კარს, მერე მეორე და მესამე: ზოგს ოქრო დაეკარგა, ზოგსაც სხვა ღირებული ნივთი და ყველა გვანცას ადებდა ხელს, რადგან ნივთები მეზობლებთან გვანცას სტუმრობის მერე ქრებოდა. ჩემმა ცოლმა მკაცრად მოსთხოვა გვანცას, ჩვენი სახლიდან წასულიყო. სამზარეულოში ვიყავით, ჩაის ვსვამდით, ეს რომ მოხდა. დედამთილს ჯერ გაოცებით შეხედა — არ იყო ნაჩვევი მისგან ასეთ ტონს, მერე შეტრიალდა, გაზქურიდან ცხელი ტაფა აიტაცა და... თავში ჩაარტყა ქალს, რომელიც გულწასული იატაკზე გაგორდა. გონება დამიბნელდა, პურის საჭრელ დანას წამოვავლე ხელი და არც კი ვიცი, რამდენჯერ დავარტყი...

ციხიდან გამოსულს 15 წლის შვილიშვილი დამხვდა შინ, დედამისივით ლამაზი და მოხდენილი... მითხრა ბავშვმა: ბებიასაგან ყველაფერი ვიცი, არ გამტყუნებო! მაგრამ მაინც გაგვიჭირდა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ჭკვიანი გოგო იყო და მამამისს დაურეკა, რომელიც საქართველოში აღარ დაბრუნებულა იმ უბედურების მერე — ბელორუსიაში ცხოვრობს, ოჯახიც იქ შექმნა. წაიყვანა მამამ. ახლა სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, ნიჭიერი გოგოა და საქართველოში აპირებს დაბრუნებას. ახლა ამისიც მეშინია... ჩემი ცოლი იტანჯება: თეა მისი გაზრდილია. მის სურათებს და პატარაობის ტანსაცმელს ეფერება ხოლმე... აღარ ვიცი, რა ვქნა... თავის მოკვლისაც მეშინია, მორწმუნე ვარ, თანაც... გვანცას სულს იქ რა პასუხი უნდა გავცე?!.

მიშველეთ, მირჩიეთ რამე, თქვენ შემოგევლეთ, ნუ გამწირავთ, ნუ მკრავთ ხელს! — დაამთავრა ნაცრონმა გიორგიმ და აქვითდა...

ნუგეშიც ვცადე, უფლის იგავიც შევახსენე, რომლის მიხედვითაც ღმერთმა თავისი ანგელოზები გამოგზავნა დედამიწაზე, რათა მიერთმიათ მისთვის, თუკი რამ ძვირფასს იპოვიდნენ. მიართვეს კიდეც ოქრო და ვერცხლი, დიბა და ატლასი, მაგრამ უფალმა ყველაფერი გვერდზე გადადო და ყურადღებით დააცქერდა ერთ-ერთი ანგელოზის ხელისგულზე მბრწყინავ წვეთს — ეს მონანიე ცოდვილის ცრემლი იყო. „იდგა და ტიროდა, ცოდვას შეეშფოთებინა მისი სული!" — უთხრა ანგელოზმა. ღმერთმა ზე ასწია საჩუქარი და თქვა: „აი, უდიდესი განძი!"

*ინგა ჯაყელი*

## როგორ იცინის მამაკაცი?



მეცნიერთა დასკვნით, დაკვირვებულმა მანდილოსანმა შეიძლება განსაზღვროს მეგობარი მამაკაცის ხასიათი სიცილის მანერით.

**თუ მამაკაცი თვალდახუჭული და თავგადაწეული იცინის,** ცხოვრებით ტკბობას ეტანება. მას მეგობარი ქალი სჭირდება მხოლოდ მაშინ, როცა უნდა, ვინმეს გაუზიაროს მარცხის სიმწარე.

**მამაკაცი ცდილობს სიცილის შეკავებას, პირზე ხელს იფარებს,** თუმცა შინაგანად სიცილისგან თრთის. ძნელია ასეთი ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანა. თუ ვინმე შეიყვარა, კუბოს კარამდე უერთგულებს. მას გვერდზე ასევე ერთგული მეგობარი სჭირდება.

**მამაკაცი ჰიღლია გულიანად ხარხარებს.** ე.ი. ცხოვრება მას მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებს. შესანიშნავი თანამგზავრია დასვენების დროს, მაგრამ საკმაოდ პრიმიტიულია და სერიოზული დისკუსიები მალე ბეზრდება. ხანდახან უხეშიც კი ხდება.

**მამაკაცი საიდუმლოდ იღიმება.** ასეთი ადამიანი მომხიბვლელია და... ცივსისხლიანი. განსაკუთრებით საშიშია, თუ ტუჩის მარჯვენა კუთხით იღიმება — თვალის დაუხამხამებლად მოგატყუებთ.

**მამაკაცი მიმზიდველად იღიმება ტუჩის მარცხენა კუთხით.** ამ ტიპის მამაკაცი პატიოსანი და მომთმენია. მისი იმედი შეგიძლიათ ყველაფერში იქონიოთ.

**მამაკაცი ძალიან ხმამაღლა იცინის, გვერდზე მყოფს მხარზე ან ფეხზე ურტყამს ხელს.** ის ეგოისტია. მხოლოდ ლამაზ ქალებს ეტანება, ვინაიდან მათთან ურთიერთობა მის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებს. ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფნა სურს და ძალიან ბრაზობს, თუ ამას ვერ ახერხებს...



### სამსახური

მოირგეთ კინოსა და რომანების სუპერგმირის თავგადასავლები... თუ ფიზიკურადაც წააგავხართ რომელიმეს, სანუკვარ ქალიშვილს თამამად უთხარით, რომ იბრძოდით „ცხელ" წერტილებში: ავღანეთში, ჩეჩნეთში, ანგოლაში... შეეცადეთ, მოხერხებულად იცრუოთ, რათა ქალიშვილმა ვერ შეძლოს მისი შემოწმება...

## სუპერგმირად ქცევის ცხრა პირობა

**ნათქვამია, ქალებს ძლიერი მამაკაცები უყვართო და მართალიც არის. სუსტი სქესის წარმომადგენელთა სანუკვარ სუპერგმირად რომ იქცეთ, გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:**

### საიდუმლოება

ნამდვილი გმირი საიდუმლო სპეცდანაყოფში მსახურობს, ამიტომ ზედმეტი არაფერი უნდა დაგცდეთ თქვენს საქმიანობაზე. მთავარია, მონათხრობს იდუმალების ელფერი დაჰკრავდეს. საკმარისია ქალიშვილს უთხრათ, რომ „ეს სამხედრო საიდუმლოა", რომ მსახურობდით „იქ, სადაც საჭირო იყავით". დაე, თვითონ მიხვდეს, სად მსახურობდით.

### უნარი

გმირი ოსტატურად ხმარობს ყველა იარაღს, კარგი სპორტსმენია, მართავს ტრანსპორტის ყველა სახეობას... არის ბრწყინვალე სანტექნიკოსი, მზარეული, კრიმინალისტი, ელექტრიკოსი, გეოლოგი, პროგრამისტი, დიზაინერი, მხატვარი, ეკონომისტი, ავტოზეინკალი და ა.შ. მაგრამ თუ ქალიშვილმა გთხოვათ, ონკანი შემიკეთეთო, უნდა შეგეძლოთ სიტუაციიდან თავის დაძვრენა. რაც შეეხება გეოლოგიას, შეგიძლიათ თამამად მოჰყვეთ „თავგადასავლები", მაგრამ ფრთხილად, გოგონა გეოლოგი არ აღმოჩნდეს...

### მეტსახელი

გმირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მეტსახელი. ქალიშვილთან საუბრისას მოხერხებულად ჩაურთეთ, რომ მეგობრებმა, სიმარდისა და სიმარჯვის გამო, შეგარქვეს ფოცხვერი (ან ავაზა, მგელი...). შეეცადეთ, ამ თემაზე დიდხანს არ ილაპარაკოთ, რადგან შეიძლება იფიქროს, ტრაბახობსო.

### გადაწყვეტილება

გმირი სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას და ახორციელებს კიდეც. თუ მას არ სურს, განზრახვას ვერავინ შეაცვლევინებს. ამიტომ, როდესაც შეყვარებულს ურეკავთ, პაემანზე ვიგვიანებ, რადგან თევზის საყიდლად გამგზავნესო, ეს თქვენს სუპერმენობას ჩრდილს მიაყენებს, ხოლო თუ ეტყვით, დედაჩემს უნდა ვუყიდო წამალიო, მის თვალში ზერაინდად იქცევით — ქალებს უყვართ მზრუნველი გმირები.

### გულისხმიერება

ნამდვილი გმირი ეხმარება განურჩევლად ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება, ამიტომ შეეცადეთ, დაანახვოთ შეყვარებულს, რომ დახმარება თქვენი მოთხოვნილებაა: დაეხმარეთ მოხუცს ავტობუსიდან ჩასვლაში, გულუხვად განიკითხეთ მათხოვარი, მოუყევით, როგორ გადაარჩინეთ ქალი დახრჩობას (თუკი ცურვა იცით!) და ა.შ.

და კიდევ: არ უთხრათ, რომ ცხოვრობთ მშობლებთან, არამედ პირიქით, ისინი ცხოვრობენ თქვენთან და ზრუნავთ მათზე...

### იუმორის გრძნობა

გმირი ენამახვილია, მძიმე სიტუაციაშიც კი არ ტოვებს იუმორის გრძნობა. იხუმრეთ... მოყევით ახალი ანეკდოტი და არა — ტელევიზორში მოსმენილი... თუ არაფერი გაქვთ მოსაყოლი, სჯობს, ირონიულად გაიღიმოთ, მაგრამ ყოველთვის არა, რათა ბრიყვის შთაბეჭდილება არ დატოვოთ.

### ჭრილობები

სუპერმენს ორი იარა უნდა ამშვენებდეს: ლოყასა და მარცხენა ხელზე, რაც უფლებას აძლევს, გულზე მიიკრას საყვარელი გოგონა, მაგრამ გაითვალისწინეთ, ჩამტვრეული კბილები ან ყბა გმირს არ ალამაზებს... კონფლიქტის დროს, რომელსაც თქვენი გულის სწორიც ესწრება, კარგად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობანი და თუ ხედავთ, რომ მოწინააღმდეგე ბევრად ძლიერია, იუმორი მოიშველიეთ — უფრო ამაღლდებით შეყვარებულის თვალში...

### პატიოსნება

ჭეშმარიტი გმირი პატიოსანი, პირდაპირი და კეთილია. რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ეს ყველაფერი მართლაც უნდა გახასიათებდეთ... სინამდვილეში სუპერმენი ბევრად უფრო კარგია, ვიდრე კინოსუპერმენი, რომელსაც გსურთ დაემსგავსოთ. ნამდვილმა სუპერმენმა კარგად იცის, როგორი უნდა იყოს და რა უნდა თქვას...

## ჩხუბი ჩხუბია, მაგრამ ქალის გულისთვის...

*ამ ორიოდე დღის წინ ქუჩაში 12-13 წლის ბიჭების ძიძგილაობას შევესწარი, რომელთა გაშველებასაც თუმცა ამაოდ, მაგრამ დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ერთი ბებო და თანაც გაჰკიოდა, არიქ, მიშველეთ, დახოცეს ბავშვებმა ერთმანეთიო. ბებოს ხვეწნა-მუდარას როგორც იქნა ერთმა ჭარმაგმა მამაკაცმა მიაქცია ყურადღება და „კვიჩილებიც" უმალ გააშველა. მერე ბებო დაამშვიდა კაცმა. იჩხუბებენ ბიჭები და მერე შერიგდებიან, თანაც ასე ცხოვრებას ისწავლიანო და გზას გაუყვა. ბებომ მხრები აიჩეჩა და ჩაილაპარაკა — ერთმანეთს თავ-პირს თუ დაამტვრევენ, მაგია კაცობაო? ჩემს რესპონდენტებს სწორედ ჩხუბის თემაზე შევეხმიანე — რატომ ჩხუბობენ კაცები და საერთოდ აუცილებლად უნდა იჩხუბონ, თუნდაც ერთხელ მაინც?*

**გურამი (58 წლის):** — კაცმა თუ არ იჩხუბა, რა კაცია? იმის თქმა კი არ მინდა, ყოველდღე „თაქებაზე" იყოს გადასული და მისი მიკარებისა ვინმეს ეშინოდეს. არა, ერთი-ორჯერ მაინც უნდა იყოს ნაჩხუბარი ცხოვრებაში. ისე კაი ბიჭი ვერ იქნები. თუ არ იჩხუბებს, ცემა და დამცირება არ ასცდება. ჩხუბობ, ე.ი. პროტესტს გამოხატავ, კაცი ხარ! რაზე უნდა იჩხუბო? სიმართლისთვის, სუსტის დასაცავად, თუ მართალი ხარ, შენი სიმართლის გასატანად და სხვა რომ არაფერი, ქალისთვის უნდა იჩხუბო... დავიჯერო, ბიჭობაში, ორს ერთი გოგო არ ჰყვარებია და მერე ერთმანეთი არ გაუსილაქებიათ?

**რეზიკო (32 წლის):** — რაც აკვნიდან ფეხი გადმოვდგი, მას მერე ვჩხუბობ — ხან რისთვის, ხან რისთვის. ჩხუბი ჩხუბია, მაგრამ ქალისთვის ჩხუბი სხვაა, ძაან მაგარია. მხეცებს აქვს უცნაური წესი: თუ „ბიჭები" „გოგოს" გულისთვის არ იჩხუბებენ, ძუ ზედაც არ შეხედავს არც ერთ მათგანს, მერე აუცილებლად გამარჯვებულს ნებდება, მაგრამ დამარცხებულსაც პატივს სცემს, რადგან იცის, რომ ის „ბიჭი" ვაჟკაცია, რომ მისი გულისთვის იჩხუბა. ფაქტია, ქალებსაც მაგარი კაცები მოსწონთ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გოგოს გულისთვის ვინმეს დანა უნდა გაუყარო, ან ტყვია ესროლო. ეგ არაკაცობაა.

**მიშა (28 წლის):** — კაცისას რას გაიგებ, ისე აქვს ტვინი მოწყობილი, „შარიკი" გადაუბრუნდება და ჩხუბობს... ორი წლის წინანდელ ამბავს მოგიყვებით. ერთ ღამეს, ჩემი მეგობარი ნასვამი მიდიოდა ქუჩაში. ორი კაცის ჩხუბს შეესწრო. მოეჩვენა, რომ ერთი მისი ახლობელი იყო. გამოექომაგა და „მოძალადე" ლამის მიასიკვდილა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოჩხუბრებში მისი ახლობელი მართლა ყოფილა, მაგრამ არა ის, ვისაც გამოექომაგა...

**ჯემალი (60 წლის):** — ზოგჯერ ვფიქრობ, რომ კაცები მართლა პატარა ბიჭებივით არიან და სრულიად გაუმართლებელ, ან სულაც ბავშვური მიზეზის გამო ჩხუბობენ. ჩემი ერთი მეზობლის ძაღლმა „ჯონიმ" უკბინა მეორე მეზობლის ძაღლს „მერლინს". მიზეზი საკმაოდ „სერიოზული" გახლდათ — ეს „მერლინი" მეტად ქარაფშუტა „ქალბატონი" გახლავთ, „ჯონი" კიდევ ჭკუადამჯდარი „კაცია". „გოგომ" „ბიჭის" აღგზნება მოინდომა, რასაც ვერ მიაღწია. გაბრაზებულმა „მამაკაცმა" კბილებით ასწავლა ჭკუა „მოძალადეს". უნდა გენახათ მათი პატრონების გაწიწმატება — იქ ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა...

**გოგა (22 წლის):** — ერთი სვანი მეზობელი მყავს. არ მოგეშვება, ტვინს გაგიბურღავს, გაგალიზიანებს და აუცილებლად წაგაჩხუბებს. ერთხელ ერთ ახლობელს უკირკიტა. სვანებზე ანეკდოტები მომიყევიო. იმანაც გაუტია. სვანი გაბრაზდა. ჯერ წაკამათდნენ, მერე ჩხუბი დაიწყეს და იმ ამბავს ცალი თვალი შესწირა. მერე მეორეს გადაეკიდა, გინდა თუ არა, დამეჭიდეო. ისიც დაეჭიდა და იმ უბედურს ფეხი მოსტეხა. ჰოდა, დადის ახლა ჩემი შარიანი ცალთვალა მეზობელი კოჭლობით, ახალი ფათერაკის ძიებაში.

**P.S.** *გამოკითხულ რესპონდენტთაგან უმრავლესობამ ქალისთვის ჩხუბი მიიჩნია გმირობად და ვაჟკაცობად. თანაც პასუხის გაცემას ყველა ერთნაირად იწყებდა — რისთვის უნდა იჩხუბო? ქალისთვის, ქალისთვის და ისევ ქალისთვის. რა გითხრათ. იჩხუბეთ, ძვირფასო მამაკაცებო, ჩვენი გულისთვის თუ, რა თქმა უნდა, ძალიან გსურთ ჩხუბი. ჩვენ კი მანდილი მუდამ მზად გვექნება...*

*ეკა ლომიძე*

ამას წინათ, ახლობლებთან, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი გავიცანი. არ ვიყავი მზად ინტერვიუსთვის, მაგრამ ქალბატონმა მარიმ ჩემთან გულახდილი საუბრის სურვილი გამოთქვა. ჩვენ-ჩვენი ბუტერბროდიანი თეფშებითა და ყავის ფინჯნებით განვმარტოვდით. მარიმ მართლაც შესაშური უშუალობით მიამბო თავისი თავგადასავალი.

— „საპნის ოპერა" შეიძლება ეწოდოს ჩემს ამბავს, მაგრამ უკვე დამღალა ამ „ოპერამ". დღესაც არ მჯერა, თუ ეს ყველაფერი მე გადამხდა თავს. იმდენად დათრგუნვილი ვიყავი, რომ ფსიქოლოგს მივაკითხე. ვიფიქრე, რაიმეს მირჩევს-მეთქი. თითქმის სამი საათი ველაპარაკე და იცით, რა მითხრა? მგონი, შტეფან ცვაიგის სამყაროში მოვხვდიო. არ ვიცი, იქნებ თქვენც ასე იფიქროთ, მაგრამ მჯერა, რაღაც გამოსავალს თქვენ თუ არა, მკითხველი მაინც შემომთავაზებს...

ოცი წლის ვიყავი, როცა მომიტაცეს. ჩემს ქმარს ეგონა, შემიყვარდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა... იქნებ შემყვარებოდა კიდეც, მეტი სითბო და ყურადღება რომ გამოეჩინა ჩემ მიმართ, მაგრამ როგორც კი შვილი შეგვეძინა, იფიქრა, რომ ცოლი მისი სახლის (და არა ოჯახის!) განუყოფელი ნაწილი იყო, ის ცოცხალი ნივთი, რომელიც ისევე ესაჭიროება სახლის ინტერიერს, როგორც სკამი ან მაგიდა.

ბუნებით ძალიან მგრძნობიარე ვარ. პირველი დღიდანვე მაკლდა ის გრძნობა, რომელსაც მე ნამდვილ სიყვარულს ვეძახი. ჩემი ქმრისთვის რომ გეკითხათ, — მარი გიყვარს თუ არაო, გაიკვირვებდა, — აბა, სულელი ხომ არ ვიყავი, რომ მოვიტაცეო. ხშირად უთქვამს კიდეც: მარის გაცნობიდან ერთი თვე გიჟს ვგავდი, ვიცოდი, სხვასაც მოსწონდა და იმას რომ არ დაესწრო, მოვიტაცეო.

იმ „სხვას" მოვწონდი და მეტიც... ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ იმ ხანებში ოჯახის შენახვის საშუალება არ ჰქონდა, მამა ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი. მოტაცების მერე ხელი ჩაიქნია ჩემზე და ერთხელაც აღარ ვუკითხივარ; არადა იცოდა, რომ მე მხოლოდ ის მიყვარდა. ახლაც მიკვირს, როგორ არ იბრძოლა ჩემი გულისთვის, იქნებ როგორ მიჭირდა, როგორ მჭირდებოდა მისი გვერდში დადგომა? საშინლად იმედგაცრუებული დავრჩი.

იმ ხანებში ძალიან ვგავდი მარიონეტს, რომელსაც სხვა ამოძრავებს, სხვა ალაპარაკებს...

დამემსხვრა ოცნებები...

ბავშვის გაჩენის მერე სულერთი გახდა ყველაფერი. ვერც დიდ სიხარულს და ვერც დიდ ტკივილს სათანადოდ ვერ გამოვხატავდი, არადა ადრე მხიარულებით ყველგან ხალისი შემქონდა. ერთხელ ჩემს ქმარს საყვედურივით წამოსცდა: — როგორი ცოცხალი გოგო იყავი და რა ფლეგმატური გახდიო. ისეთი მიუხვედრელი იყო, ვერც ატყობდა ჩემი ხასიათის ცვლილების მთავარ მიზეზს... რამდენჯერმე, როცა გვიჩხუბია, არ მოვერიდებივარ და მითქვამს: გულს რომ მტკენ, ისეთი შორებელი, უცხო ხდები ჩემთვის, არ მიყვარხარ-მეთქი. იმ წუთებში ხმას არ გამცემდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი მეტყოდა: გეტყობა, უკვე გაგიარა სიბრაზემ, ახლა ხომ გიყვარვარო. აბა, რაღა უნდა მეთქვა? თავს ვიწყველიდი, რადგან არ შემეძლო საკუთარი ცხოვრების შეცვლა. შინ რომ მივბრუნებულიყავი, დედაჩემი ამას ვერ გადაიტანდა, მას მიაჩნდა, რომ მე „კარგ ბედში" ჩავვარდი. მამაჩემი გამომცდელად მომაშტერდებოდა ხოლმე თვალებში. მე კი, მშობლებს რომ არაფერი შეემჩნიათ, გულიანად ვკისკისებდი და მათაც ვაცინებდი.

ერთხელ მამამ დამიბარა და მკითხა: მარი, იცინი, მაგრამ თვალები ნაღველით სავსე გაქვს. თუკი ქმართან კარგად ვერ გრძნობ თავს, იზრუნე შენს ბედნიერებისთვის. მაშინ არაფერი მითქვამს, მაგრამ მისი დამოძღვრა ჭკუაში დამიჯდა. ხშირად ვფიქრობდი ცალკე

## მამა მიხვდა — იცინი, მაგრამ თვალები ნაღველით გაქვს სავსეო

ყოფნაზე, ვოცნებობდი კარგ სამსახურზე, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას მომცემდა, რათა მერჩინა შვილი და საკუთარი თავი. კარგა ხანს, თითქმის ხუთი წელი, ვიმტვრიე თავი იმაზე, როგორ გავშორებოდი ქმარს. ბოლოს, სამსახური გამოვნახე, მაგრამ მივხვდი, ქმარს უკვე ძალიან ვიყავი მიჯაჭვული. ეს ალბათ ცოტათი უკვე სიყვარულიც იყო... შევეგუე — ამ ნელ-თბილი ურთიერთობით უნდა გამეტარებინა მთელი სიცოცხლე, მაგრამ არავინ თქვას, ბედისწერა არ არსებობსო.

სტუდენტობის მეგობრების თავყრილობაზე დიდი ხნის უნახავი ჩემი ერთ-ერთი ძველი თაყვანისმცემელიც მოვიდა. ერთი საათის მერე, ამ კაცმა გული გადამიშალა — თურმე ვუყვარდი, ძალიან განიცდიდა უჩემობას, იტანჯებოდა, როცა შეყვარებულთან ერთად მხედავდა; მერე მომიტაცეს. მას თავის მოკვლაც განუზრახავს, მაგრამ... გადარჩა და რახან გადარჩა, ახლობლების თხოვნით ცოლიც მოიყვანა, შვილიც შეეძინა, მაგრამ ბედნიერი არ იყო. გაშორდა ცოლს. რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ დაქორწინდა, ისევ უსიყვარულოდ. როცა ვკითხე, თუკი მეორედაც არ მოვიდა სიყვარული, ვინღა გაძალებდა, ან იმ ქალს რაღას ერჩოდი-მეთქი, მიპასუხა: შენზე გამუდმებით ვფიქრობდი, მაგრამ მოსვლას და თქმას ვერ ვბედავდი. ასე რომ, მეორედ „განბედნიერება" შემთხვევით მოხდა: ნათლობაში გავიცანი, გარეგნულად ცუდი არ იყო. ძმაკაცები მეტიჩრობდნენ: შენც, ბიჭო, მწყემსივით გოგოა, რაღას უცდი, ხელი მოკიდე და ნათესავი... მეც ხელი მოვკიდე და... ორი ბავშვი მყავს, მაგრამ თუ ბედი იქნება, მივატოვებ ოჯახსო...

მართალი გითხრათ, ისე დავიბენი, უარის თქმაც კი ვერ მოვახერხე. რამდენიმე დღეში ის თავისი ძველი დღიური მომიტანა, სადაც ჩემდამი სიყვარულით ბოლო გვერდებამდე ჩემზე წერდა... ცრემლები მომადგა...

ბედნიერი ვიყავი. ისლა მიკვირდა, აქამდე როგორ დამალა თავისი გრძნობა-მეთქი.

ჩემმა თაყვანისმცემელმა მოკლე ხანში იმდენი ქნა, რომ დამარწმუნა სიყვარულის განუმეორებელ ძალაში... სხვა „არგუმენტი" რაღა საჭირო იყო, როცა თავად იგი მარწმუნებდა, რომ მე ვიყავი მისთვის ერთადერთი საოცნებო ქალი, რომლისთვისაც ახლაც კი მზად იყო ყველაფერი გაეწირა.

ეტყობა, გაყინული გული ნელ-ნელა გამითბა; ის, რაზედაც აღარც ვოცნებობდი, მოულოდნელად მესტუმრა... გავშორდი ქმარს, მანაც დატოვა ოჯახი. პირველი თვეები მართლაც ბედნიერი იყო. ხალხი ყაყანებდა, ჭორაობდა. თავდაპირველად განვიცდიდი, მაგრამ ჩემი მეორე ქმარი ყურადღებას არავის აქცევდა და მეც იმავეს მირჩევდა.

ერთი წელი თვალის დახამხამებაში გავი-



და. ბიჭი შეგვეძინა. ქმარს მართლაც ძალიან ვუყვარდი, მაგრამ მერე და მერე ისეთი ეჭვიანი გახდა, რომ თვითონაც იტანჯებოდა და მეც მაწამებდა. პირველი ქმარი შვილს ხშირად აკითხავდა. ერთხელ, სასეირნოდ გამოვაწყვე გოგონა და ეზოში ჩავიყვანე. მამამისი უნდა მოსულიყო და წაეყვანა. ჩემი ქმარი იმ დროს მოვიდა, როცა ქმარყოფილს ვარიგებდი, — ცივი წყალი არ დაალევინო, ყელი არ ეტკინოს, არ ირბინოს, არ გაოფლიანდეს-მეთქი. ერთად რომ დაგვინახა, სახე შეეშალა, არაფერი მითხრა, შინ კი ისეთი დღე დამაყარა, კინაღამ გავგიჟდი. ერთიანად ამოფეთქა მისმა ეჭვებმა. მეკითხებოდა, — როგორ მეფერებოდა პირველი ქმარი, როგორ საალერსო სიტყვებს ჩამჩურჩულებდა.

ამას როგორღაც ვიტანდი, მაგრამ როცა ჩემს პირველ შეყვარებულსაც გადასწვდა და მასზეც იგივე მკითხა, ავკივლდი... მთელი უბედურება კი ის იყო, რომ ჩემს ვაჟბატონს „საოცნებო" ქალის პარალელურად თურმე საყვარელიც ჰყოლია. თავად მოღალატეს, ეჩვენებოდა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვღალატობდი... ვინც კი ოდესმე შემომხედა და ჩემზე თქვა, — მომწონსო, ყველაზე ეჭვიანობდა. ერთხელ, მორიგი სცენის შემდეგ ვუთხარი, შენ ჩემს წარსულს ვერ ივიწყებ, მე კი შენს ღალატზე თვალი რატომ უნდა დავხუჭო. არც მე მსიამოვნებს აქეთ-იქით რომ დაძვრები. თუ არ მოიშლი, გაგშორდები-მეთქი.

გადაირია, — ისედაც გამიმწარე სიცოცხლე, შენი თავის მეტი არავინ გიყვარს, სადაც წახვალ, ყველგან მოგაგნებ, იცოდე, არ გაცოცხლებო...

კვლავ დამემსხვრა ოცნება. ამასაც საკუთრებად მივაჩნდი თურმე...

ასე მითხრა, — შენ ჩემი ლუკმა ხარ და ვერსად წამიხვალ. ლამაზ ქალს კი, იმდენს გავეარშიყები, რამდენსაც მოვისურვებო.

ეს სიტყვები ვერ ავიტანე. მაპატიეთ და, ამ უტვინო მამაკაცებს ჰგონიათ, თუ ლოგინში ჩაიწვინეს ქალი და ბავშვებიც გააჩენინეს, მასზე ყველაფრის უფლება აქვთ. ბოლო ჩხუბის დროს მივახალე: ცხრა შვილიც რომ მეყოლოს, თუკი საკუთრებად, ცოცხალ ნივთად ჩამთვლი და ეჭვიანობას თავს არ დაანებებ, მაინც არ გაგიჩერდები-მეთქი და... წამოვედი.

ახლა მშობლებთან ვცხოვრობ.

რამდენჯერმე მთხოვა, დავბრუნებოდი, მაგრამ მივხვდი, ვერასდროს ვაპატიებდი ძლივძლივობით აღდგენილი რწმენის ხელმეორედ დაკარგვას.

მივხვდი, რომ ჩემნაირი ქალი ნელ-თბილ ურთიერთობას ვერ აიტანს. მე ორი უკიდურესობა მჭირს: ან ძალიან მიყვარს, ან ძალიან მძულს. ალბათ ოჯახური იდილიისთვის „ოქროს შუალედი" სჯობს, მაგრამ მე ამისთვის არ ვარ გაჩენილი. მირჩევნია, მარტო ვიყო, ვიდრე ქმარმა „დამატეროროს". ეტყობა, „თეთრმა რაშმა" ისე ჩამიქროლა, ფაფარშიც ვერ მოვავლე ხელი... ახლაც, ერთ სიმპათიურ მამაკაცს მოვწონვარ, ერთად ვმუშაობთ, მაგრამ იმდენად დამაშინეს ჩემმა ქმრებმა, რომ თავი შორს მიჭირავს. ბოლოს და ბოლოს, ბედნიერების ძიებაში, რამდენსაც მოვეწონები, ყველას ხომ არ გავყვები ცოლად და ყველასგან ბავშვს ხომ არ გავაჩენ? აღარც ასაკი მიწყობს ხელს, უფროსი გოგონა უკვე 14 წლისაა, ვაჟი კი 5-ის.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ხან ერთის მამა მირეკავს, ხან — მეორისა. ორივე შერიგებას მთხოვს, არც ერთი არ კარგავს იმედს, ჩემი თანამშრომელიც თვალებში შემომცქცინებს, რომ თავი შემაყვაროს. მე კი არც ერთი არ მინდა...

იცით, ხანდახან რას ვნატრობ? რა მოხდება, „მან", იმ პირველმა, დამირეკოს და შეხვედრა მთხოვოს? მე ხომ დიდი სიყვარულით მხოლოდ „ის" მიყვარდა, სხვა დანარჩენი კი მხოლოდ მისი ულიმღამო ანარეკლი იყო...

ასეთია ჩემი ამბავი, რომელმაც ფსიქოლოგს ცვაიგი გაახსენა.

ნეტავ, რას იტყვის თქვენი მკითხველი?

*მარინა ბაბუნაშვილი*

**გამოხმაურება**

## „მე მისთვის დაქალი უფრო ვარ, ვიდრე ცოლი"...



— აღმაშფოთა თქვენი რესპონდენტის მიმტევებლობამ, — გვწერს თბილისელი ქალბატონი თამარ ხიდეშელი, თავის პირად ცხოვრებაზეც გვესაუბრება და მოსაზრებას გვიზიარებს, — რა თქმა უნდა, პატიება დიდი ნიჭია, მაგრამ მიმტევებლობასაც და „ჭირთა თმენასაც" საზღვარი აქვს... როდესაც მეუღლეს გავშორდი (თუმცა მას არასდროს გაუწევია „უღელი"), ყველა გაკვირვებული დარჩა — რაღა დროს მათი განქორწინება იყო, არ იცოდა, რა „ხვითოც" ჰყავდა? თუკი აქამდე ითმენდა, ბოლომდე აეტანა ქმრის ხუშტურები. დაბერდებოდა, დაწყნარდებოდა და ოჯახიც არ დაინგრეოდაო...

ქმარი მართლაც ძალიან მიყვარდა და საკმაოდ დიდხანს თვალს ვხუჭავდი მის საქციელზე. თავს ვინუგეშებდი — ყველა კაცი ერთნაირია, გაწყდა მათი სინსილა, ლამაზ ქალს რომ დაინახავენ, აცუნცრუკდებიან და ცოლი ავიწყდებათ-მეთქი. ეტყობა, თავიდანვე არ უნდა აპატიო შეცდომა, მერე ჰგონიათ, სულ ეპატიებათ მიქარვა, რადგან „კაცები არიან". არადა თუკი ქალისთვის მიუღებელია ქმრის ღალატი, კაცისთვის რატომ არის ეს დასაშვები, ვერ გამიგია?! რამდენჯერმე გავაფრთხილე კიდეც ქმარი: მოეშვი აქეთ-იქით ძრომას, თორემ გაგშორდები-მეთქი. იცინოდა, რადგან არ სჯეროდა... მოთმინების ფიალა ამევსო და არავინ რომ არ ელოდა, მაშინ გადავწყვიტე გაყრა — უკვე დიდი შვილები გვყავდა...

ისე არ გამიგოთ, თითქოს ქალებს ვმოძღვრავდე — არაფერი აპატიოთ ქმრებს და გაშორდით-მეთქი. უბრალოდ, მინდა მეტი ღირსება შემატონ საკუთარ თავს, რათა სხვებმაც მეტად დააფასონ. თუკი ოჯახი შეეგუა იმ აზრს, რომ ქალს სწყინს ან ბევრ რამეზე სტკივა გული, მაგრამ მაინც ითმენს, ნელ-ნელა დაკარგავს ქმარ-შვილის პატივისცემას. ამიტომაც, აუცილებელია თავიდანვე აგრძნობინოთ ახლობლებს, რომ ღალატს და უღირს საქციელს არავის აპატიებთ...

მარინა, თქვენი რესპონდენტი თავისებურად შესაბრალისია, რადგან ვერ ხვდება, რისი პატიება შეიძლება და რისი — არა. გასაგებია, რომ მას უყვარს მეუღლე, მაგრამ მეტს გეტყვით: შეიძლება გიყვარდეს და ამიტომაც ვერ (ან არ) აპატიო. მეც მიყვარდა ქმარი... დღეს, როცა წარსულზე ვფიქრობ, ვერ ვამტყუნებ საკუთარ თავს. მე მასთან მაინც არ ვიქნებოდი ბედნიერი... როგორია, აიტანო კაცი, რომელიც ეს-ესაა, სხვა ქალს ეალერსებოდა და ოჯახში (როგორც სავალდებულო ადგილზე) დაბრუნდა.

შვილებმა გამიგეს. უფროსმა ისიც კი მითხრა: დედა, თუ გინდა, გათხოვდიო... მე ის ქალი არა ვარ, ახალი სიყვარული ვეძებო. ერთხელ უკვე მიყვარდა და მან გული მატკინა. აწი შვილების ბედნიერებით ვიცხოვრებ...

შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს და იკითხოს: კი, მაგრამ, განა მიტოვებულ ქალს არა აქვს უფლება, იბრძოლოს საკუთარი ბედნიერებისთვისო?

მე 18 წელი ვიბრძოლე ბედნიერებისთვის, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამიტომაც ვარჩიე მარტო ყოფნა...

თუმცა, სიყვარულს მართლაც რას გაუგებ?!

## ქალი და ღვინო, ღვინო და ქალი...

**სულაც არ მიფიქრია, ცნობილი სატრფიალო სიმღერის თემაზე საუბარი. კაცებს რომ ქალი და ღვინო ძალიან უყვართ, ამაზე ტომები დაწერილა და ახალს ვერაფერს გეტყვით, თუმცა, ამჯერად მაინც მინდა გესაუბროთ იმაზე, თუ როგორ ეწყობიან ერთმანეთს მამაკაცის მომაჯადოებელი ღვინო და ქალი. კაცებს თუ დავუჯერებთ — ქალს ცოტაოდენი ალკოჰოლი უხდება, მაგრამ მთვრალი ქალი — მტრისას (ისე, მთვრალი კაციც რომ არ არის ანგელოზი, არც ამას უარყოფენ). ვეცადე, მათი ამგვარი შეხედულების მიზეზებიც დამედგინა და მამაკაცების დიალოგში გამოწვევაც ვცადე, მაგრამ ამაოდ — ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა „დიდსულოვანი" დუმილი ამჯობინეს. ისევ ერთგულ რესპონდენტ ქალბატონებს მივმართე:**

**ინგა (32 წლის):** — ჩემს მეუღლეს ძალიან გაუვიდა თავს, სულ მთვრალი მოდიოდა შინ. ჩაესვენებოდა სავარძელში და იქიდან საწოლამდე მისატანი ხდებოდა. ერთხელაც ყელში ამომივიდა და გადავწყვიტე, ჭკუა მესწავლებინა. საღამოს დარეკა — დამაგვიანდებაო. მივხვდი, რატომაც. მე შენ გიჩვენებ სეირს-მეთქი, დავკივლე. დავურეკე მეგობრებს, წავედით, მაგრად მოვილხინეთ, მე ჩემი ქმრის ჯიბრზე დავთვერი. მივედი შინ, ჩავჯექი სავარძელში და მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს. დილით ორივეს თავები გვისკდებოდა, მაგრამ მას არც უცდია ჩემი თავის ტკივილის მიზეზის გაგება. მოკლედ, გადაება ერთი კვირა, ყოველ საღამოს ქმრის ჯიბრზე ვთვრებოდი. დაიწყო მეორე კვირაც, მესამეც... ერთი თვის თავზე დილით ვიღვიძებ. მეუღლე თავს მადგას და საოცრად მშვიდი, სევდიანი თვალებით მიყურებს. ხომ მშვიდობაა-მეთქი. რაღა მშვიდობაა, ჩემო ინგა, მე კი გადამარჩინე, მაგრამ თვითონ მიდიხარ ხელიდან. მაპატიე ყველაფერი და გთხოვ, შეეშვა ამ ბოროტებასო... ისეთი საცოდავი იყო, კარგა ხანს გულიანად ვხარხარებდი. ახლა თვეში ერთხელ ან ორჯერ სიამოვნებით ვქეიფობთ ერთად.



**თაკო (27 წლის):** — ერთ-ერთ პოპულარულ ღამის კლუბში შემოვიდა ორი თოფმოდელივით ლამაზი გოგო. დასხდნენ, შეუკვეთეს სასმელი, საჭმელი და ერთ საათში ისე გამოთვრნენ, რომ ჩანთიდან იარაღი დააძრეს და სროლა დაიწყეს, თანაც ერთმანეთს ეხიპიშებოდნენ. მაგარი გულის ამრევები იყვნენ. სხვათა შორის, იმ კლუბში იმ ამბის შემდეგ, კაცსაც და ქალსაც, ერთნაირად უჩხრეკენ ჩანთებს — იარაღის შეტანის ნებას არ აძლევენ.

**ქეთი (48 წლის):** — გინახავთ სატრფოს ფანჯრებთან ანთებული ფიალებითა და სანთლებით მომღერალი ლამაზმანი? მე მინახავს. ჩემს მეგობარს და მის შეყვარებულს საოცრად უყვარდათ ერთმანეთი. ერთი ბოროტი ადამიანის ენით ერთმანეთს დაშორდნენ. ჭორიკანა ვაჟს სდებდა ბრალს, გოგონამაც დაიჯერა. ბიჭი ბევრს ეცადა გოგოს დარწმუნებას, მაგრამ ამაოდ. მერე ქალიშვილმა როგორღაც სიმართლე გაიგო. კინაღამ გაგიჟდა. როგორ დავიჯერე, როგორ მოვუკალი გულიო. იმ საღამოს დარდი და ცრემლი ღვინოში ჩავახრჩვეთ. ღამის ორი საათი იქნებოდა, კაი შეზარხოშებულებს აზრად მოგვივიდა, წავსულიყავით და ბიჭისთვის გოგო შეგვერიგებინა. ოთხნი ვიყავით „ჯულიეტასთან" ერთად, ყველანი მშვენივრად ვმღეროდით. მამაჩემს მანქანა მოვპარეთ და „რომეოს" სარკმელთან ზუსტად ის სცენა გავიმეორეთ, რომელიც ბევრს მოსწონს ფილმში „რაჭა, ჩემი სიყვარული". უნდა გენახათ, რაც მოხდა, „გონდაკარგული" „რომეო" პირდაპირ აივნიდან გადმოძვრა...

*ეკა ლომიძე*











**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. პარნასი; 2. — დიოდი; 3. — ოდა; 4. — მოდა; 5. — ნიგოზი; 6. — იოდი; 7. — ბილი; 8. — ენოთეკა; 9. — დასი; 10. — კონიაკი; 11. — სინდისი; 12. — საგა; 13. — გაუსი; 14. — ბადრო; 15. — დიაგნოზი; 16. — ფი; 17. — ფრაკი; 18. — კონუსი; 19. — აგა; 20. — თონე; 21. — კაბუკი; 22. — ომი; 23. — ბესიკი; 24. — რემ; 25. — ლხინი; 26. — ბეზე; 27. — დეკა; 28. — მზე; 29. — ხუნტა; 30. — პირიმზე; 31. — მოემი; 32. — მათარა; 33. — რაინი; 34. — „მი“; 35. — რეზა; 36. — მგოსანი; 37. — სიო; 38. — ტრავმა; 39. — ცაიში; 40. — ცა; 41. — პადრე; 43. — ფიქრი; 43. — იომენი; 44. — ინი; 45. — ტარანი; 46. — მედეა; 47. — დიადემა; 48. — მორზე; 49. — ემა; 50. — „ბოში“; 51. — ქაჯი; 52. — საბო; 53. — ვეჩე; 54. — ღამე; 55. — სპარტა; 56. — ჩე; 57. — დუბლიკატი; 58. — კონტროლი; 59. — ნალები.

1. მე და დედა ვვარჯიშობთ; 2. კლონი; 3. ჩაკრები; 4. აკუპუნქტურა; 5. დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. — ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

## ნინი ბადურაშვილის არჩევანი

**— ვარ ნინი ბადურაშვილის თაყვანისმცემელი. ვკითხულობ ყველაფერს, რაც კი იბეჭდება მის შესახებ. ამჯერად თქვენი დახმარებით მსურს შევიტყო, რამდენად იმოქმედა ოჯახმა მისი პროფესიის არჩევაში. ასევე მინდა გავიგო, რას გეგმავს ნინი სამომავლოდ.**

***გიორგი ბიწაძე***



კითხვაზე უპასუხებს **ნინი ბადურაშვილი**.

— ბავშვობაში მართლაც ვოცნებობდი მსახიობობაზე, თუმცა მას შემდეგ არა ერთხელ შევიცვალე აზრი. ჩემი სურვილი იყო (და ამჟამადაც ასეა), გავხდე პროფესიონალი მომღერალი. თუმცა, არ უარვყოფ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება მაინც ოჯახის წევრთა რჩევით გადავწყვიტე. მათ დამარწმუნეს, რომ ტრადიციულად ჩვენს ოჯახში ყველა ხელოვანი იყო და რახან მღერი, იქნებ სამსახიობოც დაამთავრო, ხელოვნების სფეროში იტრიალოო და მეც მომწონს ეს იდეა. მაგრამ ჯერჯერობით რაიმეს წინასწარ განჭვრეტა მიჭირს. ჯერ მისაღები გამოცდები უნდა ჩავაბარო... ვეცდები, ორივე პროფესიას (მსახიობის და მომღერლის) გავართვა თავი, მაგრამ თუ არჩევანის წინაშე მომიწია დადგომა, ალბათ სიმღერას ავირჩევ. ასეთია ჩემი სამომავლო გეგმები, ხოლო რაც შეეხება უცნობი თაყვანისმცემლების ინტერესს, ეს მართლაც სასიამოვნოა. ჩემი მხრიდან მე მათ ვუსურვებ გამართლებოდეთ ცხოვრებაში და ყოფილიყვნენ ბედნიერები.

## სამხედრო უნიფორმა სანადიროდ და... პარლამენტში

**— ამბობენ, რომ კობა ამირხანაშვილი კამუფლაჟით დადის პარლამენტის სხდომებზე. რას უნდა ნიშნავდეს ეს? უკავშირდება თუ არა აფხაზეთის პრობლემურ საკითხებს მისი ჩაცმულობა თუ იმიჯის შეცვლა განიზრახა?**

***მირიან ბანძელაძე***

კითხვაზე უპასუხებს **კობა ამირხანაშვილი**.



— იმიჯის შეცვლა არც მიფიქრია, — არც სქესისა და არც სხვა რამესი! ეს არის უბრალოდ, ჩემი შინაგანი პროტესტი ქვეყანაში მიმდინარე საკითხებისადმი და მით უფრო, აფხაზეთის პრობლემისადმი. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ჩემი სუბიექტური აზრით, მოლაპარაკებები, რომლებიც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას ემსახურება, არაფრისმომტანია და პირდაპირ გეტყვით, ფარსია. 10 წლის წინ ამ ფორმით დავიწყე ჩემი საქმიანობა და 2 წელი გაუხდელად მეცვა. რა შეიცვალა დღეს? იქნებ ჩემი კოლეგები მეტად სერიოზულად დაფიქრდნენ ქვეყანაში მიმდინარე საკითხებზე. ჩემი კამუფლაჟი არის პროტესტი იმისა, რომ ჩვენ ვერაფერი გავაკეთეთ აფხაზეთის დაბრუნებისათვის. გარდა ამისა, რაც უფრო ხანგრძლივი დრო გადის, მით უფრო ვშორდებით საკითხის მოგვარების რეალურ გზებს. ჩემი ჩაცმულობით კი ვცდილობ, რომ შევახსენო პრობლემის სიმძაფრე როგორც ჩემს კოლეგებს, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას თუ საზოგადოების რიგით წევრებს — ნუ შევეგუებით სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვას!!! *(როდესაც ბატონ კობას მივმართე კითხვით, თუ რა უფლებით ატარებს იგი სამხედრო უნიფორმას, მან მიპასუხა, რომ ამაში ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავს. — რ.ჟ.).*






## უმდიდრესი მოდელები

**— მაინტერესებს ვინ არის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მოდელი. რა შემოსავალი აქვს მას და თუ შეგიძლიათ მოგვითხროთ ასევე სხვა მოდელების შესახებ.**

***მაიკო ხომასურიძე***



ძნელია დაასახელო მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მოდელი, ისე, რომ მის პოპულარობაში შემოსავალი არ იგულისხმებოდეს. გთავაზობთ Forbes-ის რეიტინგის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელების ხუთეულს:

შემოსავლებით პირველ ადგილზეა 22 წლის ბრაზილიელი — **ავი ჟიზელი ბიუნდჰენი** (ფოტოზე). მისი ყოველწლიური ანაზღაურება 12,5 მილიონი დოლარია. მეორე ადგილზეა 33 წლის **კრისტი ტარლინგტონი** — 6,2 მილიონი დოლარი. ამ თანხის თითქმის ნახევარი მან Maybiline-თან კონტრაქტის შემდეგ მიიღო. მესამე ადგილს იკავებს კოსმეტიკური კომპანია Estee Lauder-ის სახე **კაროლინ მერეფი** (5,8 მილიონი დოლარი). მეოთხე პოზიციაზეა გერმანელი **ჰაიდი კლუმი** (4,5 მილიონი დოლარი, მისი სამუშაო დღე 50 ათასი დოლარი ღირს). მეხუთე პოზიცია კი **მილა იოვოვიჩს** უკავია, რომელმაც 2002 წელს 4,3 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ამ თანხის დიდი ნაწილი მან Revlon-ისა და L'oreal-ის რეკლამებში მონაწილეობისთვის მიიღო.

## სად თამაშობენ ქართველი ლეგიონერები?

**— იქნებ თქვენ მაინც გამოაქვეყნოთ მონაცემები იმის შესახებ, თუ საზღვარგარეთის რომელ კლუბებში თამაშობენ ქართველი ფეხბურთელები.**

***სამსონ ჯიქია***

კითხვაზე უპასუხებს **რევაზ შენგელია**, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის თანაშემწე.

— დღეისათვის 400-ზე მეტი ქართველი ფეხბურთელი იმყოფება უცხოეთის სხვადასხვა კლუბში. ამრიგად, ყველა მათგანის მოძიება და მით უფრო, „კვირის პალიტრის" ფურცლებზე გამოქვეყნება შეუძლებელია. გარდა ამისა, სატრანსფერო სეზონი ბევრ ქვეყანაში ჯერაც არ დასრულებულა და რომელი ფეხბურთელი სად აღმოჩნდება, წინასწარ ამის განჭვრეტა რთულია. ქვემოთ გთავაზობთ მონაცემებს ცნობილი ქართველი ლეგიონერების ერთი ნაწილის შესახებ:

**კახი კალაძე** — „მილანი", იტალია;
**შოთა არველაძე** — „რეინჯერსი", შოტლანდია;
**გიორგი ნემსაძე**, **ზურაბ ხიზანიშვილი** — „დანდი", შოტლანდია;
**ლევან კობიაშვილი**, **ალექსანდრე იაშვილი**, **ლევან ცქიტიშვილი**, **ზაზა ზამთარაძე** — „ფრაიბურგი", გერმანია;
**თემურ ქეცბაია** — „ანორთოსისი" კვიპროსი;
**ალეკო რეხვიაშვილი** — „ტორპედო-ზილი" მოსკოვი, რუსეთი;
**გოგა გახოკიძე** — „ეინდჰოვენი", ჰოლანდია;
**გიორგი ქინქლაძე** — „დერბი ქაუნთი" ინგლისი;
**აჩიკო არველაძე** — „კიოლნი", გერმანია;
**ნიკოლოზ ტოგონიძე**, **ვასილ გიგაძე** — „ტავრია", უკრაინა;
**გიორგი დემეტრაძე**, **გოჩა ჯამარაული** — „მეტალურგი" დონეცკი, უკრაინა.
**მიხეილ ყაველაშვილი** — „ლუცერნი", შვეიცარია;
**გივი დიდავა**, **რევაზ ქემოკლიძე**, **გრიგოლ იმედაძე** — „ქოჯაელი" თურქეთი.
**ოთარ ხიზანიშვილი** — „დინამო" მოსკოვი, რუსეთი (თუმცა შესაძლებელია იგი თბილისის „დინამოში" გადმოიყვანონ);
**ვალერი აბრამიძე** — „სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი;
**მიხეილ აშვეთია** — „ალანია", რუსეთი.

## ვინ მონაწილეობს «წვრთნისა და აღჭურვის» პროგრამაში

**— ვცხოვრობ რაიონში. ვარ აფხაზეთის ომის მონაწილე. მსურს მონაწილეობა მივიღო „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში" (ვიმსახურებ კონტრაქტით). არის თუ არა მიღება კიდევ და თუ არის, ვის მივმართო?**

***ბადრი ხადარია***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ალადაშვილი,** „კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველი.



— სასიამოვნოა, რომ ჩვენი მკითხველი (და მით უმეტეს, ომგამოვლილი) ინტერესდება „წვრთნისა და აღჭურვის" იმ პროგრამით, რომლისაც თავიდან ბევრს არ სჯეროდა. რედაქციაში წერილის მოსვლის დღეს იაღლუჯის პოლიგონზე მეორედ დაიწყო ქართული ბატალიონის მომზადება ამ პროგრამით. სულ არანაკლებ ხუთი ბატალიონი მომზადდება წლის ბოლომდე. ყველამ, ვისაც სურს ჩაერთოს „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში და ყოველთვიურად მიიღოს მინიმუმ 380-400 ლარი, საჭიროა გაითვალისწინოს შემდეგი პროცედურა:

„წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილეობისათვის და თავდაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელია, რომ მსურველს მოხდილი ჰქონდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური და იყოს რეზერვში. ამის შემდეგ იგი უკავშირდება თავისი რაიონის საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილებას, სადაც იხილება მისი პირადი საქმე და გადის პირველად სამედიცინო შემოწმებას. თუკი მსურველი დააკმაყოფილებს სამედიცინო კომისიის მოთხოვნებს, მას უტარდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ტესტირება.

ამ ჩამონათვლის წარმატებით თავის გართმევის შემდეგ 600-მდე მსურველს ერთი თვის განმავლობაში საველე პირობებში ავარჯიშებენ და ცდიან, რომლის შემდეგ აირჩევა 400 ახალგაზრდა, რომლებთანაც გაფორმდება არანაკლებ 3-წლიანი კონტრაქტი. ერთთვიანი შერჩევის შემდეგ კი იწყება 100-დღიანი საველე წვრთნის პროგრამა ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მეთვალყურეობის ქვეშ. „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა საკმაოდ მომთხოვნია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს სამხედრო ძლიერების მსურველებმა უკან დაიხიონ.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 14 წლის გოგონა, რომელსაც რაღაც უცნაურობებს ვატყობ. სულ უგუნებოდაა, ტირის, ეჩვენება, რომ გული აწუხებს, ზოგჯერ ამბობს, სიმსივნე მაქვსო. როგორ დავეხმარო მას?**

***ნ. ლ., ერთგული მკითხველი***

მოზარდებს გარდატეხის ასაკში აქვთ ხოლმე ჰორმონულ ძვრებთან დაკავშირებული იპოქონდრიული დეპრესიები. უჩნდებათ ეჭვი საკუთარი ჯანმრთელობის გამო და ავადმყოფურად ეშინიათ. თუმცა, სწორედ ამავე ასაკში იჩენს ხოლმე თავს ე.წ. ენდოგენური (შინაგანი მიზეზებით გამოწვეული) დეპრესიებიც. ამიტომ გირჩევთ, ბავშვი ფსიქონევროლოგს აჩვენოთ. მანამდე კი, ასვით ვარდკაჭაჭას ფესვების ნაყენი (20გ ფესვი და 200მლ წყალი), თითო ს/კ 5-6-ჯერ დღეში. იგი იპოქონდრიული მდგომარეობის დროს კარგ შედეგს იძლევა.

**ბავშვის ძუძუთი კვების დროს მკერდში გამიჩნდა გამაგრებული ადგილები, რომლებიც არც მტკიოდა და არც მაწუხებდა. ახლა უკვე რძე აღარ მაქვს, მაგრამ გამაგრებები დამრჩა. ვის მივმართო?**

***პატივისცემით, მუდმივი მკითხველი***

თქვენი მონაცემების მიხედვით, ონკოლოგიურ დაავადებასთან საქმე არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, აუცილებლად გესაჭიროებათ გამოკვლევა: ჩაიტარეთ მამოგრაფია (მკერდის ჯირკვლის ექოსკოპია) და შემდეგ მიმართეთ ექიმ-მამოლოგს ან გინეკოლოგს, რომელიც დაადგენს, ეს წარმონაქმნები ანთებითია თუ სხვა ხასიათისა. ასეთივე გამოკვლევა დაგჭირდებათ 6 თვის შემდეგ დინამიკური დაკვირვებისათვის. საერთოდ კი, ყველა ქალბატონს ვურჩევდით, მკერდის პროფილაქტიკური გამოკვლევა ჩაიტარონ წელიწადში ერთხელ მაინც.

**18 წლის გოგონა ძილში კბილებს აკრაჭუნებს. ჭიები არ აღმოაჩნდა, მაგრამ მაინც ვუმკურნალეთ. გვყავდა ნევროპათოლოგთანაც, შედეგი ამანაც არ გამოიღო. რით ვუშველოთ ან ვის მივმართოთ კიდევ?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

ძილში კბილების კრაჭუნი მართლაც ახასიათებს ჭიებით ინვაზიას. თქვენ აღნიშნავთ, რომ გოგონას ანალიზში ჭიები არ აღმოაჩნდა, მაგრამ მაინც ვუმკურნალეთო. სავსებით შესაძლებელია, მკურნალობის კურსი არასრულყოფილად ჩატარდა, მით უმეტეს, რომ რეინვაზიის (დასნებოვნების ახალი ტალღის) განვითარება შესაბამისი წესების დაცვის გარეშე ადვილად ხდება.

ჭიის საკმაოდ ბევრი სახეობა არსებობს და ერთი და იმავე პრეპარატით მათი განადგურება შეუძლებელია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ლამბლიოზის მკურნალობა ვერმოქსით არ ხდება. ამასთან ჭიების განვითარების პროცესს სხვადასხვა ფაზა ახასიათებს. სწორედ ამით აიხსნება ხშირად ჭიებზე განავლის ანალიზის უარყოფითი პასუხი მაშინ, როცა ადამიანი სინამდვილეში ინვაზირებულია. აღნიშნულ ფაზათა უცოდინარობაა მიზეზი აგრეთვე ჩატარებული მკურნალობის არაეფექტიანობისა. ასე რომ, გირჩევთ, რჩევა ჰკითხეთ ექიმ-პარაზიტოლოგს და ჭიის საწინააღმდეგო პრეპარატები ზუსტად იმ დოზებითა და პერიოდულობით მიიღეთ, როგორც ის დაგარიგებთ. გარდა ამისა, გაათმაგებულად უნდა დაიცვათ ჰიგიენური ნორმები, რაც განკურნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შესაძლოა ამ თემაზე საუბარი გარკვეულ უხერხულობასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ევროპის არაერთ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების გაცნობის შემდგომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ, თითქოსდა ყველასთვის ნაცნობ და უმნიშვნელო დეტალზე ყურადღების გამახვილება. აღმოჩნდა, რომ ევროპელთა 70% ტუალეტიდან გამოსვლისას ხელს ან საერთოდ არ იბანს, ან იბანს უსაპნოდ. ჭიებით დაავადებული ადამიანის განავალი შეიცავს ჭიის კვერცხებს, ისინი განლაგებულია აგრეთვე ანუსის (უკანა გასავლის) შორისის არეში და ტუალეტში ჰიგიენური ქმედების ჩატარებისას ხელზე ყოველთვის რჩება მილიონობით კვერცხი. მათი განადგურება კი, საპნის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, როდესაც ადამიანი ხელს ჰკიდებს საკვებ პროდუქტებს და ასეთი პროდუქტებით იკვებება, მას ქრონიკული ინვაზია გარანტირებული აქვს.

**თაფლი უდავოდ უამრავ ვიტამინს შეიცავს, მაგრამ კერძოდ, რისთვის არის სასარგებლო ნატურალური თაფლი ან თაფლიანი წყლის მიღება?**

***ფარნა***

თაფლი მდიდარია არა მხოლოდ ვიტამინებით, არამედ, სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. მას აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული თვისებები, რის გამოც იგი ეფექტიანია ყოველგვარი ანთებითი პროცესის დროს. თაფლის უმთავრესი სიკეთეა იმუნომოდულატორული მოქმედების უნარი — დაქვეითებულ რეაქციას ამაღლებს, ჰიპერრეაქციას აქვეითებს, ხოლო ნორმალურ იმუნიტეტზე არ მოქმედებს. ეს თვისება მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. ცნობილია, რომ თაფლში შენახული ხორცის ნაჭერი ათასწლეულების განმავლობაში არ ფუჭდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ თაფლი აჩერებს ლპობას ორგანიზმში, ეს კი აფერხებს დაბერების პროცესს, სწორედ ამიტომაა, რომ ვინც რეგულარულად იღებს თაფლს, საკუთარ დღეგრძელობას უწყობს ხელს. ქიმიური პრეპარატებისგან განსხვავებით, თაფლი თანდათანობით, ნაზად ზემოქმედებს ორგანიზმზე. ამიტომ, ერთი კოვზის მიღებისას მისგან სასწაულებს ნუ დაელოდებით. სტაბილურ შედეგს მიიღებს ის, ვინც რეგულარულად, ყოველდღიურად შეიტანს კვების რაციონში თაფლს. „სიცოცხლის ელექსირად“ წოდებული ეს უნიკალური პროდუქტი სასარგებლოა ყოველგვარი დაავადების დროს, თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის მიღებას სხვადასხვა წესი აქვს. მაგალითად, კუჭის მაღალი მჟავიანობის დროს თაფლი უნდა მიიღოთ ჭამამდე 1-2 საათით ადრე, ხოლო დაბალი მჟავიანობისას — ჭამის წინ ან მის შემდეგ. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ამ თემაზე ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომრებში მოგაწვდით. მანამდე კი ყველას გირჩევთ, ყოველდღიურად მიიღოთ დღეში 2 სუფრის კოვზი ნამდვილი თაფლი, რათა ჯანმრთელნი და დღეგრძელნი იყოთ.

**ვარ 18 წლის, ფეხები მიოფლიანდება. არ მშველის საღამოობით დაბანა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.**

***გ. კიკვაძე, თბილისი***

ფეხის ოფლიანობა საოფლე ჯირკვლების ფუნქციის გაძლიერებასთანაა დაკავშირებული. ამ ჯირკვლების მუშაობას სიმპათიკური ნერვული სისტემა განაგებს და სწორედ მისი ჭარბად აღგზნების შედეგია საოფლე ჯირკვლების მიერ ოფლის დიდი რაოდენობით გამოყოფა. ამიტომ უპირველესად, მოიწესრიგეთ ემოციური სფერო, შეცვალეთ ცხოვრების რიტმი, ეცადეთ, დამშვიდდეთ, მიიღეთ მცენარეული დამამშვიდებელი საშუალებები (კატაბალახა, შავბალახა, ბარამბო). ოფლი რომ არ იყოს სუნიანი, რაც საკმაოდ დიდი დისკომფორტისა და უხერხულობის მიზეზი ხდება ხოლმე, საჭიროა ფეხი დაიბანოთ საპნით რეგულარულად (საპონი ხოცავს ბაქტერიებს, რომელთა ლპობის შედეგად წარმოიქმნება ოფლის სუნი), საღამოობით გაიკეთეთ ძმრიანი წყალხსნარის აბაზანები, ტერფები დაიმუშავეთ ფორმიდრონით. ძილის წინ კი, კანში შეიზილეთ თუთიის მალამო, რომელიც ამცირებს ოფლის გამოყოფას.

## მკითხველი — მკითხველს

## ქარაპაპადინი

საკმაოდ ინტენსიურად ვეწეოდი სიგარეტს — დღეში ერთ კოლოფამდე, ხანდახან მეტსაც. დამეწყო ხველა, სუნთქვა მიჭირდა, ნახველი მემატებოდა, ამოხველება მიჭირდა, ზოგჯერ ხველის შეტევა ისე მიხანგრძლივდებოდა, მეგონა, დავიხრჩობოდი. მივედი ექიმთან და დამისვა „ასთმური ბრონქიტის“ დიაგნოზი. სიგარეტს თავი დავანებე, ექიმის დანიშნულებაც შევასრულე, მაგრამ შემაწუხებელი ხველა და ჰაერის უკმარისობა მაინც ვეღარაფრით მოვიშორე. ახლა წამლებზე უარს ვამბობ და მხოლოდ ხალხურ რეცეპტებს ვიყენებ. იქნებ მირჩიოთ რამე?

***პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი ამირან სურგულაძე***

**იმედია, მკითხველი გულგრილი არ დარჩება ბატონი ამირანის შეკითხვისადმი და კვლავაც მოგვაწვდის მრავალნაცად რეცეპტებს, რომლებსაც ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში ექიმის კომენტარის თანხლებით გამოვაქვეყნებთ.**

***მოამზადა თამაზ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.*

## საკმარისია 10 გრამი მარგარინი!

მარგარინის მავნე ზემოქმედებაზე, პირველად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში ალაპარაკდნენ კანადელი მეცნიერები. მართლაც, მარგარინი შეიცავს უჯერი ცხიმების მჟავების ტრანს-იზომერებს, რომლებიც იწვევენ პათოლოგიურ პროცესებს — ორგანიზმის უჯრედების დაშლას. სხვათა შორის, უჯერი ცხიმების მჟავები, ცის-იზომერები აუცილებელია ორგანიზმისთვის, როგორც უჯრედების საშენი მასალა. მაგრამ თხევადი მცენარეული ზეთის მარგარინად გარდაქმნის ტექნოლოგიური პროცესის დროს ცის-იზომერები გარდაიქმნება მავნე ტრანს-იზომერებად.



40გ მარგარინი (ორ ნაჭერ პურზე უხვად წასმული) შეიცავს 5გ ტრანს-იზომერებს და თუ ამ ულუფას ყოველდღე ღებულობთ (ამასთან: მარგარინს შეიცავს სხვადასხვა ნამცხვარი, სადილი) — სისხლში მკვეთრად მატულობს ქოლესტერინის დონე და — 50%-ით ინფარქტის რისკიც.

უვნებელია დღე-ღამეში 10გ მარგარინის მიღება — შეეცადეთ, დაიცვათ ეს ნორმა, — გვირჩევენ ექიმი-დიეტოლოგები.

***ჟენსკიე დელა***



## თაგვის საკვერცხეები — უშვილობის წამალი

აღმოჩენილია უშვილობის სამკურნალო აბსოლუტურად უვნებელი და ეფექტური საშუალება. ეს გახლავთ თაგვის საკვერცხეები — ყველაზე მოდური ტაივანური კერძი. დიდი ხანია ცნობილია, რომ ტაივანზე ყველაზე ნაკლებადაა უშვილო წყვილი და მეცნიერები მრავალი წლის მანძილზე შეისწავლიდნენ ამ ფენომენს. მიზეზი სრულიად უბრალო აღმოჩნდა ამ კუნძულის ბინადარნი ბავშვობიდან დიდი რაოდენობით მიირთმევენ მღრღნელების სასქესო ორგანოებს. ამჟამად დასავლეთის მედიკოსები უშვილო ევროპელებს ურჩევენ ამ კერძის მირთმევას. თუმცა, არსებობს მცირე პრობლემაც: ევროპაში თაგვების ნაკლებობა არ იგრძნობა, მაგრამ ამ წამლის კონვეიერული სისტემით წარმოება მაინც რთულია.

***ვერსია №4***

## ისუნთქეთ ღრმად!



დიდი ხანია ცნობილია, რომ სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი ზედაპირულად სუნთქავს. რაც უფრო ძლიერია განცდა, მით მეტად წყვეტილია სუნთქვა. ეს კიდევ უფრო აძლიერებს სტრესს. ზედაპირული სუნთქვა ორგანიზმსა და ტვინში ჟანგბადის ნაკლებობას იწვევს. ამის გამო ურჩევენ აღელვებულ ადამიანს დაჯდეს, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქოს — რომ ორგანოებისა და ქსოვილებისკენ ჟანგბადის მიწოდება გააქტიურდეს და სტრესიც მოეხსნება. ღრმა სუნთქვა, რომელიც ორგანიზმს ჟანგბადით ამდიდრებს, არა მარტო გამშვიდებთ და სიმტკიცეს გმატებთ, იმუნიტეტსაც აგიმაღლებთ, სხეულს განმუხტავს, დაასვენებს ტვინს. ამიტომაცაა საჭირო აქტიური მოძრაობა: ამ დროს იძულებულნი ვართ უფრო ღრმად ვისუნთქოთ. იმოძრავეთ — ზედმეტ წონასაც მოიშორებთ, სიმშვიდისა და ბედნიერების შეგრძნებასაც მოიპოვებთ.

***ორაკული №3***



## მიენდე ბუნებას...

ამერიკელ ექიმებს აშფოთებთ ფეხმძიმე ქალების უმეტესობის დიდი გატაცება — ნაყოფის ულტრაბგერით გამოკვლევა. სპეციალისტების აზრით, თუ ფეხმძიმობა გაურთულებლად მიმდინარეობს, სასურველია დავკმაყოფილდეთ ფეხმძიმობის მთელ პერიოდში 1-2 ულტრაბგერითი გამოკვლევით. ექიმები აფრთხილებენ მომავალ დედებს, რომ ზოგჯერ მსგავს პროცედურას შეუძლია საგრძნობლად ავნოს დედასაც და ბავშვსაც.

ლონდონის სამეფო კოლეჯის თანამშრომლებმა შეისწავლეს ადამიანის ემბრიონზე პარაცეტამოლის ზემოქმედება. ეს წამალი მეტ-ნაკლებად ერთ-ერთი უვნებელი ანალგეტიკია ფეხმძიმეებისათვის, თუმცა მის ზოგიერთ შემადგენელს შეუძლია გამოიწვიოს ბავშვებში ხუთვა და ასთმა.

9000 ორსულის გამოკვლევის შემდეგ მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ სასურველია (უფრო სწორად, უმჯობესია) ქალებმა ფეხმძიმობის მეორე პერიოდში (ბოლო თვეებში) თავი შეიკავონ ამ წამლისგან...

***მედიცინა №2***



# ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲗ?



...დილით და დღისით კარგად ჭამეთ, რადგან გამოტოვებული სადილი ან საუზმე გაიძულებთ, გვიან ღამით მიუჯდეთ სუფრას;

...სტუმრად წასვლის წინ, შინ წაიხემსეთ;

...ჭამეთ ყოველთვის მშვიდად და სუფრასთან;

...ისადილეთ, როცა მარტო იქნებით, რადგან კომპანიაში უფრო მეტს მიირთმევთ;

...კვირაში ერთი დღე მაინც იშიმშილეთ;

...ბაზარში დანაყრებული წადით — სავსე კუჭი ზედმეტ პროდუქტს არ გაყიდვინებთ;

...მინიმუმამდე შეამცირეთ ალკოჰოლი, რადგან ის ხელს უშლის ცხიმის წვას;

...შაქრის შემცველი დაგიცავთ ზედმეტი კალორიებისგან;

...შინ ყოველთვის იქონიეთ დიეტური პროდუქტი;

...მოატყუეთ კუჭი დაბალკალორიული პროდუქტებით (ბოსტნეული, ხილი, დაღერღილი ხორბლის პური და სხვ);

...კერძის მომზადებისას გემო გაასინჯეთ სხვას;

...სუფრას მიუჯექით ნაკლებად განათებულ ოთახში, რადგან განათებულ ოთახში მადა მძაფრდება;

...სუფრას ნუ გააწყობთ ლამაზი ჭურჭლით — ლამაზი ფერები მადას აღვიძებს;

...სიბრაზე დაიოკეთ არა გემრიელი კერძებით, არამედ სხვა რამით, მაგალითად, ჩაწექით აბაზანაში, გაისეირნეთ;

...ნუ დაგავიწყდებათ ფიზიკური დატვირთვა. იარეთ რაც შეიძლება ბევრი, ნუ ისარგებლებთ ლიფტით, ფეხზე მდგომმა აკეთეთ საქმე და ა.შ;

...შეეცადეთ, ნაკლებად იჯდეთ სკამზე;

...დაიცავით არჩეული დიეტა (თუ ის ძალიან მკაცრი არ არის) არანაკლებ ნახევარი წელი. მხოლოდ ეს დრო მოგცემთ შედეგს;

...თუ ეს დიეტა გიმძიმთ, ან უშედეგოა, შეარჩიეთ ახალი;

...იშიმშილეთ ვინმესთან ერთად, ეს უფრო შედეგიანია, ვიდრე მარტო შიმშილობა;

...თუ მარტო ვერ უმკლავდებით სიმსუქნეს, მიმართეთ სპეციალისტ-დიეტოლოგს.

***ჟენსკიე დელა №12***

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲛᲙᲐᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲡ

ზამთარში ყველაზე ხშირად გვერევა ავადმყოფობა, არა სიცივის, არამედ დახურულ შენობაში ყოფნის გამო, სადაც ძალზე ადვილად მრავლდება მიკრობები. ამიტომ, აუცილებელია მაქსიმალურად ხშირად განიავდეს ოთახები, ხოლო დეზინფექციისათვის — ოთახებში დალაგდეს დაჭრილი ნივრის კბილები.

ტემპერატურის ცვლის გამო, რომელიც ძალიან ხშირი მოვლენაა ზამთრის განმავლობაში, ბევრს მაღლა უწევს წნევა. საუკეთესო საშუალებაა — კატაბალახას ფესვების ნაყენი, რომელიც თერმოსში უნდა მოამზადოთ. მიირთვით პატარ-პატარა დოზებით დღის მანძილზე.

თუ ქუჩაში გაიყინეთ, შინ მისვლისთანავე ცხელ აბაზანაში გახსენით 2-3 წვეთი ჩაის ხის ზეთი და ჩაწექით 30-40 წუთით. თუ გაყინული სამსახურში მიხვედით 10-15 წუთით ცხელ წყალს შეუშვირეთ ხელები, თანდათან გაზარდეთ წყლის ტემპერატურა, სანამდეც გაუძლებთ. შემდეგ კარგად შეიმშრალეთ ხელები და ხელთათმანები ჩაიცვით.

***ტვ პარკი №2***


**ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ**

**100Ც. ᲢᲔᲡᲢ-ᲩᲮᲘᲠᲘᲗ – 170Ლ.**

**ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓᲘ ᲜᲔᲛᲡᲔᲑᲘ 50Ც. — 3 Ლ.**

**ᲨᲞᲡ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ“**

**ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ Ქ. 4**

☎ 35-44-05;

899-19-60-55







**4 წელია მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ გვყავს. რა შეიძლება იყოს უნაყოფობის მიზეზი. იქნებ გვიამბოთ ხელოვნურ განაყოფიერებაზე?**

***ქ. გალდავა, თბილისი***

ადრე უშვილობის „მიზეზად“ მხოლოდ ქალი მიიჩნეოდა, თუმცა, დღეს დამტკიცებულია, რომ მამაკაცებს არანაკლები ბრალი მიუძღვით. უნაყოფობის შემთხვევათა 30% განპირობებულია ქალის მიზეზით, 30% — მამაკაცის, 30% — ორივეს პრობლემით, ხოლო 10% — გაურკვეველია.

უნაყოფობას დღეს ყველაზე ეფექტიანად ებრძვიან ე.წ. ექსტრაკორპორალური განაყოფიერებით, ანუ „სინჯარის ბავშვით“. თანაც ბავშვი ნამდვილი დედ-მამის გენეტიკური შვილია.

**მამაკაცის უშვილობის მიზეზებია:**

1. გენეტიკური დარღვევა;
2. ჰორმონალური დისფუნქცია;
3. ვარკოცელე;
4. ინფექციური დაავადებები;
5. სათესლეების ტრავმა, ანთებითი პროცესები სათესლეებში (ორქიტი) — განსაკუთრებით, ყბაყურის შემდეგ;
6. კრიპტორქიზმი ან მონორქიზმი — სათესლეების არასრული დაშვება სათესლე პარკში;
7. შეხორცებითი ცვლილებები თესლგამომტან მილებში;
8. რეტროგრადული ეაკულაცია (სპერმის უკან, შარდის ბუშტში გადასროლა);
9. აუტოიმუნური რეაქცია საკუთარ სპერმაზე — საკუთარი სპერმატოზოიდების საწინააღმდეგო ანტისხეულის გამომუშავება.

**ქალის უნაყოფობის მიზეზები:**

1. ოვულაციის არარსებობა;
2. საკვერცხეების დისფუნქცია;
3. ჰორმონალური დარღვევები — მათ შორის, ფარისებრი ჯირკვლის, კუჭქვეშა ჯირკვლის და სხვა;
4. ადრეული კლიმაქსი;
5. საკვერცხეების პათოლოგიური განლევა;
6. გენეტიკური დარღვევები;
7. საკვერცხეების პოლიკისტოზი;
8. საშვილოსნოს ყელის ეროზია, პოლიპები;
9. მთლიანი ან ნაწილობრივი გაუვალობა კვერცხსავალი მილებისა;
10. თანდაყოლილი ანომალია საშვილოსნოს ან კვერცხსავალი მილებისა;
11. გაუხეთქავი ფოლიკულის სინდრომი;
12. ენდომეტრიოზი;
13. ფსიქოლოგიური ფაქტორები.

**დიაგნოსტიკა:** უნაყოფობის დიაგნოზი — 2 წლის თანაცხოვრების მერე ისმება. გამოკვლევების პირველ ეტაპზე კეთდება შემდეგი:

## სინჯარის ბაია



1. ბაზალური (უკანა ტანის) ტემპერატურის გაზომვა — 3-6 ციკლი;
2. სისხლის ჰორმონებზე გამოკვლევა — მალუთეინიზებელი, ფოლიკულმასტიმულირებელი და სხვ.;
3. ჰისტეროსალპინგოგრაფია — რენტგენით გამოკვლევა საშვილოსნოს მდგომარეობის და მილების გამავლობისა;
4. მამაკაცის სპერმოგრამა;
5. სინჯი სპერმისა და საშვილოსნოს ყელის ლორწოს შეთავსებაზე;
6. ულტრაბგერითი გამოკვლევა;
7. ლაპარასკოპია — ამ დროს მუცლის ღრუში შეჰყავთ წვრილი ზონდი, რომლის საშუალებითაც ათვალიერებენ საკვერცხეებს, მილებსა და საშვილოსნოს;
8. თავის ქალის და ე.წ. თურქული კეხის რენტგენოგრაფიული გამოკვლევა — როცა საეჭვოა ჰიპოფიზის სიმსივნის არსებობა ან ჰორმონ პროლაქტინის მაღალი კონცენტრაცია.

**ექსტრაკორპორალური განაყოფიერება**: პროცედურას ატარებენ მაშინ, როდესაც ქალს დარღვეული აქვს ციკლი, არის მილების გაუვალობა, ან საერთოდ არ არსებობს მილი, ოპერაციული გზით იღებენ კვერცხუჯრედს და ანაყოფიერებენ სინჯარაში ქმრის ან სხვა დონორის სპერმით, შემდეგ „წამოზრდილ“ კვერცხუჯრედს ნერგავენ საშვილოსნოში, რათა შემდგომში განვითარება გაგრძელდეს.

**სუროგატი დედა:** ასე უწოდებენ ქალს, რომლის საშვილოსნოში ნერგავენ განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს, რომელიც მისი არ არის. ქალი, რომელსაც ამოკვეთილი აქვს საშვილოსნო, შესაძლოა დედა გახდეს, თუ მის კვერცხუჯრედს ქმრის სპერმატოზოიდით გაანაყოფიერებენ (სინჯარაში) და შემდეგ სუროგატის საშვილოსნოში ჩანერგავენ.

ექსტრაკორპორალური განაყოფიერება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც მამაკაცის სპერმაში სპერმატოზოიდები ძალზე მცირეა. ამგვარი განაყოფიერების დადებითი შედეგით დასრულებისთვის გასათვალისწინებელია ქალის ასაკი: მის მატებასთან ერთად მცირდება რაოდენობა და ხარისხი კვერცხუჯრედისა, იზრდება საშვილოსნოს ანომალიები.

**გვერდითი ეფექტი, გართულებები:**

— საშვილოსნოსგარე ორსულობა — ასეც ხდება მიუხედავად იმისა, რომ განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს საშვილოსნოში ნერგავენ;

— მრავალნაყოფიანი ორსულობა — ეს დადებითია თუ უარყოფითი, პიროვნების გადასაწყვეტია;

— საკვერცხეების ჰიპერსტიმულაცია — ეს არის შედეგი ჰორმონებით სტიმულირებისა. როდესაც ქალის ორგანიზმი ძალიან მგრძნობიარეა;

— ინფიცირების რისკი — რაც ძალზე იშვიათია.

დაბოლოს: მცდარია აზრი, რომ თითქოს ხელოვნური განაყოფიერებით „მიღებულ“ ბავშვებს გენეტიკური დეფექტი ან სხვა რაიმე პათოლოგია აღენიშნებათ. არც მომავალ დედას ემუქრება განსაკუთრებული საფრთხე. ხელოვნური განაყოფიერება არ განაპირობებს პათოლოგიური ბავშვების დაბადებას, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი აბსოლუტურად ჯანმრთელი იქნება.

ნუ დაივიწყებთ, რომ ექსტრაკორპორალური განაყოფიერება უკვე 20 წელს ითვლის. ამ გზით დაბადებული ბავშვები კი კარგა ხნის წინ გამოკვლეულნი და ჯანმრთელები არიან.

***მაია მუხიგული***

# ᲕᲔᲠᲮᲕᲘ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘᲐ

**ვერხვით დამზადებულ წამლებს ახასიათებს მიკრობსაწინააღმდეგო, ანთებსაწინააღმდეგო, ჭიების გამომდევნი, ოფლმდენი, კუჭში შემკვრელი, ტკივილგამაყუჩებელი და ჭრილობების შემხორცებელი თვისებები.**



**პანკრეატიტის დროს:** 3 ს/კ დაფქულ ვერხვის ქერქს დაასხით 0,5 ლ ცივი წყალი და 10 წთ ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 10-15 წთ-ით ადრე.

**ნეფრიტის, კოლიტისა და გასტრიტის დროს:** 1ს/კ დაქუცმაცებულ ვერხვის ქერქს დაასხით 2 ჩ/ჭ წყალი, 15 წთ ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააჩერეთ 1 სთ და გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნაყენი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წთ-ით ადრე.

**შარდის ბუშტის მწვავე ანთების, გაძნელებული და ტკივილიანი მოშარდვის დროს:** 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ ვერხვის კვირტებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15-20 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში (დაამატეთ თაფლი გემოვნებით).

**შარდის ბუშტის ქრონიკული დაავადებისა და წინამდებარე ჯირკვლების ჰიპერტროფიის დროს:** 5 ს/კ დაქუცმაცებულ ვერხვის ქერქს დაასხით 0,5 ლ არაყი, გააჩერეთ 2 კვირა და პერიოდულად ანჯღრიეთ. შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 10 წთ-ით ადრე.

**ბრონქიტისა და გასტრიტის დროს:** 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ ვერხვის კვირტებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 სთ და გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 10-15 წთ-ით ადრე.

**წინამდებარე ჯირკვლების სიმსივნის დროს:** 2 ს/კ დაქუცმაცებულ ვერხვის ყლორტების ქერქს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 15 წთ-ით ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გააჩერეთ 1 სთ და გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წთ-ით ადრე.

**რადიკულიტისა და მიოზიტის (კუნთების ანთების) დროს:** ერთ მუჭა ვერხვის ფოთოლს დაასხით ქაფქაფა, მდუღარე წყალი და ფოთოლი თბილადვე დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე, შეიხვიეთ და დაიტოვეთ მთელი ღამე.

***ცელებნიკი***


**ISKRA INDUSTRY Co., LTD. JAPAN**

**ისკრა ინდუსტრი კო., ლ.ტ.დ**

იაპონური სავაჭრო კომპანია „ისკრა ინდუსტრი კო., ლ.ტ.დ“ გახლავთ მსოფლიოში ცნობილი სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელი ფირმების – **„ALOKA“, „PENTAX“, „NIHON KOHDEN“**, და **„ATOM“**-ის ოფიციალური და სრულუფლებიანი დისტრიბუტორი, რომელიც

**ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲓᲐᲜ**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ „ისკრა“-ს საქართველოს წარმომადგენლობას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. 18, II სად, III სართ. ტელ/ფაქსი: (995 32) 22 01 95; 877 404 055; 899 909 949

e-mail: iskra@caucasus.net http://www.iskra.caucasus.net

## ბელგია

# ახალი სახალიფო

ევროპაში მალე შეიძლება ახალი არაბული სახელმწიფო გაჩნდეს. იგი დღევანდელი ბელგიის სამეფოს ტერიტორიაზე შეიქმნება. მისი ოფიციალური ენა არაბული იქნება, რელიგია — ისლამი. ჩანს, ბელგიაში უწერია ახდენა ევროპელთა ყველაზე კოშმარულ სიზმრებს. ევროპის არაბული ლიგა, რომელსაც სათავეში ვინმე აბუ ჯიჰადი უდგას, ითხოვს, რომ არაბები ბელგიაში სხვების ბარდაბარ, დამოუკიდებელ ეთნოსად აღიარონ. არაბთა ყველაზე დიდი, ღარიბი და თავხედი სათვისტომო ანტვერპენშია.

ანტვერპენს სოციალისტები მართავენ. ისინი ათობით წლის მანძილზე მანიაკური სიჯიუტით უწყობდნენ ხელს ანტვერპენში მაროკოელთა გადმოსახლებას. უვიცმა, ზარმაცმა ემიგრანტებმა ვერ დაიმკვიდრეს სამუშაო ადგილები, ძირითადად, სოციალური პროგრამების ხარჯზე არსებობენ. მათ ნელ-ნელა დაუგროვდათ ბოღმა იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც მიიღო ისინი თავის წიაღში.

კრიზისი შარშან შემოდგომაზე დაიწყო, როცა ანტვერპენში ფლამანდიელმა მეზობელი მაროკოელი სცემა. ეს ჩვეულებრივი ჩხუბი არაბული სათვისტომოს წევრთა მასობრივი მანიფესტაციის მიზეზი გახდა. სწორედ მაშინ დააპატიმრეს ევროპის არაბული ლიგის თავკაცი აბუ ჯიჰადი. ცნობილი გახდა ისიც, რომ იგი ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰეზბოლათთან“ არის დაკავშირებული. გათავისუფლების შემდეგ მან ანტვერპენში მუსლიმანთა კერძო მილიცია დააარსა. მილიციელები იმიგრანტთა კვარტალებში პოლიციას უკან დასდევენ პლაკატებით — „პოლიციელებო, ევროპის არაბული ლიგა თვალყურს გადევნებთ!“

ლიგის ოფიციალური საიტები ანტისემიტური ლოზუნგებითაა სავსე. არაბებმა ქალაქში უკვე სცადეს სინაგოგის დაწვა. ანტვერპენის ებრაელთა სათვისტომო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია და ცხადია, არანაირად არ უნდათ, რომ მათ სიცოცხლესა და ქონებას რამე დაემუქროს. ამიტომ შეიქმნა თანამედროვე ევროპული სინამდვილისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ებრაელთა სათვისტომოს უკიდურეს მემარჯვენე ნაციონალისტთა კავშირი. ეს უკანასკნელნი ითხოვენ, ბელგიის ქვეშევრდომობა ჩამოერთვას არაბული სახელმწიფოებიდან ჩამოსულ იმ იმიგრანტებს, რომლებიც აშკარად არაფრად აგდებენ ქვეყნის კანონებსა და კულტურას.

***იზვესტია №17***

## გერმანია

# შრედერი დამარცხდა

ბუნდესტაგში, ფედერალურ არჩევნებზე მიღწეული გამარჯვების 4 თვის თავზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დამარცხება იწვნია ჰესენისა და ქვემო საქ-



სონიის საპარლამენტო არჩევნებში. ორივეგან გამარჯვება ქრისტიან-დემოკრატებმა მოიპოვეს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო დარტყმა ქვემო საქსონიაში, საიდანაც დაიწყო გერჰარდ შრედერის პოლიტიკური კარიერა. ახლა კი სოციალ-დემოკრატები იძულებულნი არიან, მმართველობის სადავეები ამ მიწაზე შრედერის ყოფილ მეტოქეს — ქრისტიან-დემოკრატ ქ. ვულფს ჩააბარონ.

მართალია, კანცლერმა არჩევნების წინა დღეს განაცხადა, — ჰესენსა და ქვემო საქსონიაში (1 მლნ ადამიანი ცხოვრობს) დამარცხების შემთხვევაში არც წითელ-მწვანე კოალიცია, არც ფედერალური პოლიტიკა და არც პირადად მე არ დავზარალდებითო, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის: ფედერალურ საკრებულოში იცვლება ძალთა თანაფარდობა, რაც უთუოდ შეაფერხებს მეორე ვადით სოციალ-დემოკრატთა ცნობილი ფიგურის, ფედერალური პრეზიდენტის, იოჰანეს რაუს არჩევას.

***ნოიეს დოიჩლანდი***



# დაფერფლილი ვარსკვლავები

ტეხასის შტატის თავზე მომხდარმა ტრაგედიამ მსოფლიო შეძრა. „კოლუმბიის“ ბორტზე მხოლოდ ამერიკელები არ იყვნენ, ეკიპაჟი საერთაშორისო იყო. ჩვენ ჯერ არ ვიცით კოსმოსური ხომალდის დაღუპვის მიზეზი, სამაგიეროდ, კარგად ვიცით მიზეზები, რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო დიდი კოსმოსური ხომალდი — პლანეტა დედამიწა დაღუპოს: ეს არის საერთაშორისო ტერორიზმი, მსოფლიო ჰეგემონიის სურვილი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი... დიახ, მიზეზი ბევრია. და თუ „იფეთქეს“, აღარავინ დარჩება იმის გამრკვევი, რამ დაღუპა კაცობრიობა.

ახლა, როდესაც „კოლუმბიის“ დაღუპვასთან დაკავშირებით „NASA“-მ გარკვეული დროით დაამიწა დანარჩენი შატლები. კოსმოსური ესტაფეტა კოსმოსის რუს დამპყრობთა ხელში გადავიდა.

ამ ტრაგედიამ თვალსაჩინო გახადა ერთი ჭეშმარიტება — კაცობრიობა, ისევე როგორც თითოეული ადამიანი, არ შეიძლება იყოს კუნძული, რომელსაც გარს სიძულვილის ოკეანე არტყია. შორს ვართ იმათგან, ვინც დღეს ამბობს, — ღმერთმა ამერიკა მედიდურობისათვის დასაჯა, ისრაელს კი შეურიგებლობისთვის სჯისო. „კოლუმბია“ სწორედ იმ შტატის ცაში დაიღუპა, სადაც 8 წელი გუბერნატორობდა აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიო. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ სახიფათო სისულელე, რადგან მასაც სიძულვილი ასაზრდოებს. სიძულვილიდან ახალ ტრაგედიამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

***მელორ სტურუა***
***მოსკოვსკი კომსომოლეცი №24***

# იუგოსლავიას სიკვდილის მოწმობა გამოუწერეს

იუგოსლავია 1918 წელს შეიქმნა, მაგრამ მაშინ სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფო ერქვა, იუგოსლავია კი მხოლოდ 11 წლის შემდეგ ეწოდა. 1945 წელს, მონარქიის დამხობის და ხელისუფლების სათავეში კომუნისტ იოსიფ ბროზ ტიტოს მოსვლის შემდეგ, ახალი სახელი მიიღო — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა, 1963 წლიდან კი მას იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკად იხსენიებენ. მან 1991 წლამდე იარსება. სწორედ მაშინ გადაწყვიტა სერბთა ლიდერმა სლობოდან მილოშევიჩმა იარაღით მოერჯულებინა სლოვენია და ხორვატია, რომლებიც დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. საქმე ომით დამთავრდა. ამას მოჰყვა არა მარტო იუგოსლავიის ორი რესპუბლიკის, არამედ ბოსნიისა და მაკედონიის გამოყოფაც. დარჩენილმა სერბეთმა და ჩერნოგორიამ სასწრაფოდ შეაკოწიწეს ახალი კავშირი და 1992 წელს გამოაცხადეს იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკის შექმნა. მაგრამ ისიც დღემოკლე აღმოჩნდა.

ახლა კონსტიტუციური ქარტიის თანახმად, მოკავშირე იუგოსლავიის ნაცვლად გაჩნდება ახალი სახელმწიფო — სერბეთი და ჩერნოგორია. ყოველ მათგანს ექნება დამოუკიდებელი ეკონომიკური, სავალუტო და საბაჟო სისტემა, საერთო კი — საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა. ახალწვეულები სამხედრო სამსახურს თავ-თავიანთ რესპუბლიკაში გაივლიან, გაეროში ერთი ადგილი ექნებათ, რომელსაც მორიგეობით დაიკავებენ.

ახალი სახელმწიფოს პარლამენტი ერთპალატიანი იქნება, მასში 126 დეპუტატი შევა: 91 — სერბეთიდან, 35 — ჩერნოგორიიდან. მისი თავკაცი კი იუგოსლავიის პარლამენტის ახლანდელი სპიკერი დ. მიჩუნოვიჩი გახდება. პარლამენტი აირჩევს პრეზიდენტს, რომელიც, იმავდროულად, მინისტრთა საბჭოს ჩაუდგება სათავეში. თუ სერბეთსა და ჩერნოგორიას ერთად ცხოვრება არ მოეწონებათ, სამი წლის შემდეგ დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ჩაატარებენ.

***ნიუ ზუიქი***

*ქართველი ქრისტიან-დემოკრატები ევროპარლამენტში*

# ვაჟა ლორთქიფანიძე აფხაზეთში ომის დაწყებას არ გამორიცხავს

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე 29-31 იანვარს ბრიუსელში, ევროპარლამენტში იმყოფებოდა. ჩვენ მას ვიზიტის შედეგებზე გავესაუბრეთ:

— ჩვენი მასპინძელი ბრიუსელში ქრისტიან-დემოკრატიული პარტია იყო. ეს პოლიტიკური ჯგუფი ევროპარლამენტის თითქმის 40%-ს აკონტროლებს და შესაბამისად, დიდ მონაწილეობას იღებს ევროპარლამენტის მუშაობაში, ევროპული ინტეგრაციის პროცესებში. ჩვენ შევხვდით ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის ლიდერებს. ეს ორგანიზაცია 75 ქვეყანას აერთიანებს, მისი პრეზიდენტი ესპანეთის პრემიერ-მინისტრი აზნარია. სამწუხაროდ, ის ბრიუსელში არ იმყოფებოდა და ჩვენ პარტიის გენმდივანს, ლოპეს ისტურიცს შევხვდით. ჩვენ შეხვედრები გვქონდა ასევე ევროპის (ქრისტიან-დემოკრატთა) სახალხო პარტიის ლიდერებთან. ეს პარტია ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის განუყოფელი ნაწილია, მათ ერთი გენმდივანი ჰყავთ. სწორედ ამ პარტიის ფრაქციაა ევროკავშირში უმრავლესობაში. ჩვენ ბრიუსელში მონაწილეობა მივიღეთ და გავწევრდით ქრისტიან-დემოკრატთა გავლენიანი ბიზნესჯგუფის ასამბლეის და ბიუროს მუშაობაში, რომელიც ევროპარლამენტში გაიმართა. ისინი დაგვპირდნენ, რომ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი 2003 წლის განმავლობაში აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და ადგილზე გაეცნობა საინვესტიციო კლიმატს. შეხვედრები გვქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კომიტეტის ლიდერთან, მათ შორის ბატონ ბროკთან, რომელიც საგარეო ურთიერთობების, თავდაცვა-უშიშროების და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეა. ჩვენ მასთან საფუძვლიანი საუბრები გვქონდა, როგორც გლობალური უსაფრთხოების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთის, რუსეთის ბაზების საკითხებზე. ბატონმა ბროკმა სრულიად გაიზიარა ის აღშფოთება, რომლითაც ამდენი ხანია ყველა ჩვენგანი ვცხოვრობთ აფხაზეთის, სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. აფხაზეთის თემაზე 3-4-საათიანი საუბარი გვქონდა ურსულა შლეიჰერთან, რომელიც ევროპარლამენტში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების დელეგაციის ხელმძღვანელია. თებერვლის ბოლოს ევროპარლამენტის დელეგაცია ქალბატონი ურსულას ხელმძღვანელობით საქართველოს ეწვევა, სპეციალურად აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. ის გაემგზავრება ცხინვალის რეგიონშიც. დარწმუნებული ვარ, ის ძალიან პრინციპულ პოზიციებს დაიკავებს ამ საკითხებთან მიმართებაში.

— ევროპარლამენტი საკმაოდ გავლენიანი



ორგანიზაციაა. რა საკითხების გადაჭრაში შეიძლება დაგვეხმაროს ის?

— ჩვენ ევროკავშირთან ინტეგრაციის დაჩქარების საკითხი რადიკალურად გავამწვავეთ. ამ ეტაპზე ევროკავშირთან ვურთიერთობთ 1996 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით. მიმაჩნია, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სტატუსი დღევანდელი დღისთვის უსუსურია. აუცილებელია გაჩნდეს ახალი მძლავრი იმპულსი ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისთვის. ეს მნიშვნელოვანი იქნება როგორც კონფლიქტის მოგვარებისთვის, ისე ეკონომიკისთვის, რეფორმების ხელახალი ძალით განახლებისთვის. ერთი სიტყვით, უნდა დაიწყოს ევროკავშირთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი, რომელიც გულისხმობს საქართველოსთან საგანგებო ხელშეკრულების გაფორმებას. ამ იდეას მხარი დაუჭირეს ევროპარლამენტის წარმმართველი კომიტეტის თავმჯდომარეებმა, ასევე პარტიულმა ლიდერებმა. სხვათა შორის, ევროკავშირის 15 წევრი ქვეყნიდან 8 ხელმძღვანელი ქრისტიან-დემოკრატია და შესაბამისად, მათ ლობირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

ამ ინიციატივით გამოსვლას მე საქართველოს პარლამენტშიც ვაპირებ.

— ბატონო ვაჟა, როგორ მოჩანს ევროპარლამენტიდან საქართველოს ხელისუფლების როლი აფხაზეთში დღეს შექმნილი კრიზისის დაძლევაში?

— ეს პრობლემა ამერიკიდან, ევროპიდან, საქართველოდან ნებისმიერი ობიექტური ადამიანისთვის ჩანს ერთნაირად — აფხაზეთთან მოლაპარაკებები შესულია ჩიხში, მდგომარეობა გაუსაძლისია და თუ ხელისუფლებამ რადიკალურად არ შეცვალა პოლიტიკა, არ გამოვრიცხავ, ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას, თვით ომის დაწყებასაც კი.

R

# საგოლოო განაჩენი

„თამაში დამთავრდა, სადამ ჰუსეინმა ბოლო შანსი ხელიდან გაუშვა“ — განუცხადა თეთრ სახლში შეკრებილ ჟურნალისტებს ჯორჯ ბუშმა. თავისი ყოველი ფრაზით ბუში თითქოს ლურსმანს აჭედებდა ერაყის რეჟიმის კუბოს სახურავს — „ლურსმნები“ კი საკმაოდ ჰქონდა. ბუშის წინა გამოსვლები ერაყის რეჟიმის წინააღმდეგ არასოდეს ყოფილა ასეთი მასშტაბური. პრეზიდენტს გვერდით უჩუმრის პირით ეჯდა სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რომელმაც სათქმელი წინა დღეებში თქვა. ორივენი აშშ-ის 26-ე პრეზიდენტის, თეოდორ რუზველტის პორტრეტქვეშ ისხდნენ, იმ პრეზიდენტის, რომელიც 1898 წელს თავის ქვეყანას ესპანეთთან საბრძოლველად წარუძღვა.

***იზვესტია რუ***

# ვისაც მოვწონდი, ან არ მოვწონდი...

დამთავრდა ვაცლავ ჰაველის ხანგრძლივი (ათ წელზე მეტი) პრეზიდენტობა. ჩეხეთის კანონები კრძალავს პრეზიდენტად მესამე ვადით არჩევას, ამიტომაც ცნობილმა დრამატურგმა-დისიდენტმა ქვეყნის პირველი პირის სავარძელი დატოვა. ტელემიმართვაში უკვე



ყოფილმა პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ენდობოდა და მხარს უჭერდა. ვაცლავ ჰაველმა პატიება სთხოვა მათაც, ვისაც იმედი ვერ გაუმართლა, ან არ მოსწონდა მისი პრეზიდენტობა. მისი წასვლის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურის პოსტი ვაკანტური დარჩა. საქმე ის არის, რომ ჩეხეთის პარლამენტი ორჯერ შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო ახალი პრეზიდენტის არჩევა, რადგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა საჭირო ხმები. ახალ პრეზიდენტს აირჩევენ ამ პოსტიდან ჰაველის წასვლიდან 30 დღის შემდეგ.

***რია ნოვოსტი***

# რუსეთი თავად ასაზრდოებს ჩეჩენ ბოევიკებს

ჩეჩნეთის საფინანსო სისტემა ისეა აგებული, რომ „ბოევიკები“, ფაქტობრივად, ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე არიან. ჩეჩნეთს „შავ ორმოს“ ეძახიან, იგი ყოველწლიურად ნთქავს აუარება ფულს. სად მიდის ჩეჩნეთის ეკონომიკის აღსადგენად გამოყოფილი თანხა, არავინ იცის. წლეულს 3,5 მლრდ რუბლი გამოიყო, მაგრამ დაგეგმილის ნახევარიც კი ვერ აღწევს ჩეჩნეთში. ზოგიერთი დამკვირვებლის ვარაუდით, მისი დიდი ნაწილი მოსკოვშივე რჩება. ნაწილი ჩეჩნეთში ჩადის, თუმცა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს აღდგენას მეოთხედიღა ხმარდება. ამიტომაც, ობიექტი, ვთქვათ, სკოლა, 5-6 თვის ნაცვლად, 3-4 წელს შენდება, აღსადგენ ობიექტთა რიცხვს კი არაფერი აკლდება. ეს ობიექტები ძირითადად, მიუვალ, მთიან ადგილებშია განლაგებული და შემმოწმებელი კომისია იქამდე ვერ აღწევს.

ჩეჩნეთში იშვიათად ხოცავენ ხელისუფლების წარმომადგენლებს პოლიტიკური მოტივით. ძირითადად, ეს ხდება მაშინ, როცა ფულს ვერ იყოფენ. ბასაევი და მისი ხალხი სხვადასხვა გზით თითოეულ მოქალაქეს ფულს ცინცლავენ, მაგრამ არც ისინი უწევენ დიდ წინააღმდეგობას, რადგან სხვანაირად ხელისუფლების სისტემა ჩეჩნეთში ვერ იმუშავებს. ასე რომ, აღსადგენად გამოყოფილი ფული საველე მეთაურთა ხელში იყრის თავს. არც „ალ-ქაიდასა“ და არც არავითარ ბინ ლადენს არ მიუცია ბოევიკებისათვის იმდენი, რამდენსაც მათ რუსეთის ხაზინა აძლევს. დღეს კრემლი მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგას — ან უნდა დაიბრუნოს ჩეჩნეთის ფინანსური ბერკეტები, ან სამუდამოდ შეეგუოს „შავ ორმოს“.

***ლენტა რუ***

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# ფეხი ფეხზე თუ გადაიდე, მიღწეულს ვერ შეინარჩუნებ...

## ბაკურიანში ოჯახური სასტუმროების ბუმია



### ბიზნესი და ოჯახი

ბაკურიანში სეზონი დეკემბრის ბოლოს იწყება და აპრილამდე გასტანს.

წელს ხან თოვლმა დაიგვიანა და დამსვენებლებმაც დააყოვნეს, ხანაც „ჯიბრით“ თოვლი თბილისშიც მოვიდა, თანაც მაინცდამაინც სწორედ არდადეგების წინ. შემდეგ ყინვამ „დაარტყა“ — გაყინა და დახეთქა მილები და კომუნიკაციები. შემდეგ უარესიც მოხდა — მთელ საქართველოს გაზი გადაუკეტეს...

ტაოტში ამოგანგლული კაცები დილამდე საქვაბეებს დასტრიალებდნენ, დიზელის საწვავზე გადაჰყავდათ ღუმელები.

წლების განმავლობაში ათასნაირი კრიზისის შემდეგ მოდის უკვე შეუპოვრობა, სიჯიუტე, საკუთარი თავის იმედი...

მომსახურების სფეროა ტურიზმი. მაგრამ გამრჯე კაცი, რომელსაც საქმე აწყობილი აქვს, აღარ გამოდგება მსახურის როლისთვის, იგი მთელი ოჯახით ტურიზმის ბიზნესში კი ებმება, მაგრამ თავისი ნაშრომით თავმომწონე მასპინძელი ხდება... ასეთ ოჯახებში მხოლოდ ძლიერ, თანამედროვე და თავისუფალ პიროვნებებს შეხვდებით.

მეუღლეებმა — ვალიკო აბრამაშვილმა და ლია ხუციშვილმა ტურიზმის ბიზნესი მაშინ წამოიწყეს, როცა ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო... და, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ გამდიდრდნენ, მყარი და დამოუკიდებელი ოჯახი ხომ მაინც შექმნეს, რომელსაც ჩხირიც არ აბადია, საკუთარი მარჯვენით რომ არ ჰქონდეთ მოპოვებული.

### სა-ფე-ხუ-რე-ბი...

**ლია:** იმ პერიოდში ჩემი მამამთილი გარდაიცვალა და ოჯახიდან თითქოს ბარაქა გაქრა. ცოტაოდენი ფული გვქონდა შემორჩენილი და სახლი მოვაწესრიგეთ. იმ ზამთარს სასტუმროში ადგილები აღარ ჰქონდათ. ის იყო, დავამთავრეთ შპალერის გაკვრა, რომ კარზე სტუმარიც მოგვადგა. — ჩემს სახლს თუ იკადრებთო, — მეუღლემ შესთავაზა. გამთენიამდე იატაკს ვხეხავდი, გაჯი რომ მომეშორებინა... ფარდების დაკიდებაშიც პირველი „კლიენტი“ მეხმარებოდა. ეს იყო პირველი ცდა და ბიძგი... შემოდგომაზე უკვე ვალი ავიღეთ და კედლები „გადავხსენით“... 9-ჯერ მაინც მოგვიწია სახლის გადაკეთ-გადმოკეთება... ბაკურიანში ახლა სველი წერტილების ბუმია! ამის დედა ვატირეო, — მეუღლე იტყვის ხოლმე, — 5 ოთახი მაქვს და 8... სველი წერტილი! — რაც მაგაში ფული ჩავყარეთ!.. რას იზამ? ბიზნესმა მოითხოვა: წინათ 3 სასტუმრო ეცილებოდა ერთმანეთს, ახლა სოკოებივით მრავლდებიან და სულ უფრო აუმჯობესებენ პირობებს... გაექცევი და ჩიხში მოხვდები.

პრაქტიკა, ცხოვრებისეული სიტუაციები გვკარნახობს მომდევნო ნაბიჯს...

**ვალიკო:**

— რისკით დავიწყეთ.

*— რაც ბიზნესს მოახმარეთ, საკუთარ ოჯახშივე არ აბანდებდით? რა უნდა დაგეკარგათ, ბოლოს და ბოლოს, რისკით...*

— რომ არ გაემართლებინა? სინდის-ნამუსს, კაცობას გავექცეოდი? ვალს რა, გადახდა არ უნდა, ანდა პირობას შესრულება? ამიტომაც ვალის აღება მხოლოდ პირველ ეტაპზე გავბედეთ, რადგან მაშინ სხვა გზა არ გვქონდა. თორემ, შემდეგ პროცენტიან ვალებს ყოველთვის ის გვერჩივნა, რასაც ჩვენივე დანაზოგით ვწვდებოდით და მხოლოდ იმდენს ვგეგმავდით, რამდენსაც „გვაწვდიდა“ ჩვენივე ბიზნესი.

ჩვენმა მაგალითმა თანდათან სხვასაც დაანახვა, რომ ამ საქმით ოჯახის რჩენა შეიძლებოდა. საბერძნეთსა და თურქეთში დადიოდნენ საშოვარზე. ახლა იქით გახედვაც აღარ უნდათ. ამ საქმემ ადგილზე ბევრი დაამაგრა. ზოგ ოჯახში ნაცნობთა და ნათესავთა წრიდან 3-4 დამხმარეც მუშაობს. ასე ცოტ-ცოტაობით რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა! რაც იშოვეს, ისევ აქვე ჩაატრიალეს. ოჯახებს მიხედეს, პირობები გაიუმჯობესეს. პატარა ოჯახური სასტუმრო ბევრმა გამართა. დღეს მცირე ბიზნესი უფრო ამართლებს. რუსეთის ბაზარი 90 წლიდან გადაიკეტა, ამიტომ, დიდ კომპლექსებს ვერ ვტვირთავთ, თანაც, სადაც რამდენიმე „თავი წყვეტს“ და „ჯიბეშიც“ ბევრი ხელია ჩაყოფილი, გადაწყვეტილების მიღება და მუშაობა უფრო ძნელია. საკუთარ, თუნდაც პატარა საქმეს, არაფერი სჯობს: დირექტორიც შენა ხარ, მომმარაგებელიც და შეშის დამპობიც... შემოსულ 10 ლარსაც როგორც გინდა, ისე აბრუნებ.

### „დერეფანი“

**ლია:** შემთხვევით კლიენტს ახლა თითქმის ვეღარ „იპოვი“. თუმცა მწვავე კონკურენციაა, „დერეფანი“, რომელსაც „შენი“ დამსვენებელი შენთან მოჰყავს, მაინც ყოველთვის რჩება. შეიძლება კონკურენტმა ფულით „გაგისწროს“, მაგრამ თუ შენი პირობებიც მისაღებია და ამას თან ერთვის მონატრებაც, ძველ დამსვენებელს გული მაინც შენკენ გამოუწევს. გვყავს ოჯახები, რომელთაც 8 წელია ვმასპინძლობთ. საოცარი ურთიერთობებია ჩვენ შორის, მაგრამ მხოლოდ ეს საქმეს არ ეყოფოდა. კომფორტი და, უწინდელზე უკეთესი პირობები რომ არ ეგულებოდეთ ჩვენთან..



ლია ხუციშვილი შვილებთან ერთად

ოჯახურ ბიზნესში ქალის როლია წარმმართველი, იმიტომ, რომ სტუმრის დახვედრა დიასახლისმა კაცზე უკეთ იცის. მაგალითად, ოჯახის გარეთ, გამორიცხულია, რომ მეუღლის გადაწყვეტილებას „წინ გადავუხტე“. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვიცი, რომ შეიძლება ამან დაგვაზარალოს კიდეც. მატრაკვეცა ცოლი ჰყავსო, ვინმეს როგორ ვათქმევინებ! სამაგიეროდ, ოჯახში „მთავარი როლი“ ნამდვილად მე მეკუთვნის.

მოვალეობის და სიამაყის გრძნობას გიჩენს, რომ მთაში, სოფელში, ისეთი პირობების შექმნა შეძელი, ზოგს ქალაქში რომ ენატრება... ბევრი ჯაფა დასჭირდა თითოეული დამსვენებლის შეძენას და შენარჩუნებას... ფული სუფთა სინდისით უნდა აიღო. მაქსიმუმი უნდა გააკეთო. — მეორედ თუ აღარ მოხვალ, სულ არ მედარდება! — ეს თუ აგრძნობინე, არაფერი გამოგივა.

**ვალიკო:** — ძველი რამდენიც გინდა შელებე, ახალი ვერ გახდება და ჟანგი ცოტა ხანში ისევ დააჩნდება. თუ შენც ფეხს არ აუბამ საერთო პროცესს, ჩრდილში მოექცევი და ყველა დაგჩაგრავს. ფულიანი პარტნიორი თან გჭირდება და თანაც სიფრთხილე გმართებს. აუქციონზე ულამაზესი ტერიტორიები ვიყიდე, ხვალვე შემიძლია ინვესტორის შემოყვანა, მაგრამ ვერ ვბედავ. შეიძლება იწვალო, არ გაგიმართლოს და მაშინ შენი წილი და ნაშრომიც სხვას უნდა დაუთმო. კრედიტის აღებითაც ბევრს კარგავ (თუნდაც თვეში 2%-ის სარგებლით). თავნიც რომ დააბრუნო და პროცენტიც არ „გაგექცეს“, მთელი წელი უნდა იშიშმილო. ხოლო თუ ვადას გადააცილებ, ისეთი საურავები იწყება, რომ ყოველი 2 თვე უკვე მთელი წლის შემოსავლებს „გართმევს“. თანაც, არასტაბილური ვითარებაა და პატარა შეცდომაც კი „გძირავს“. ჩვენი ბიზნესი ათას ფაქტორზეა დამოკიდებული: ხომ შეიძლება მაგალითად, თოვლი არ მოვიდეს, ანდა წყალი აიმღვრეს, ან ვინმემ წამოიძახოს, რაღაცამ მაწყინაო და აღარავინ მოგეკარება...

ვინც აჩქარდა, ყველამ წააგო. ბაზარი მაინც არ იძლევა დიდი სიმძლავრეების დატვირთვის საშუალებას. ამიტომ, მირჩევნია, წელს მხოლოდ საძირკველი ჩავყარო, ხვალ ავაშენო, ზეგ კი გადავხურო და „ჩემი“ დაერქვას, ვიდრე ერთ დღეში წამოვჭიმო „საზიარო“, ვეღარ ვუპატრონო და სხვას გადავულოცო.

შრომა გამიზნული უნდა იყოს. საცერი წყალს უაზროდ არ უნდა მიუშვირო...

### რომელია „მაგარი“?

**ლია:** ბიზნესი ათასნაირ ადამიანს გახვედრებს. ზოგჯერ რომელიმე მდიდარი ქალბატონი ზემოდან დაგყურებს. განებივრებულია და თავი მოაქვს: ქმრის ნაშოვნი ფულით გიმტკიცებს, რომ „მაგარია“... გულში დამიცინია ასეთებისთვის... რას გაგიგებს ასეთი ქალი, რას ნიშნავს, როცა შენით ხარ „მაგარი“ და საკუთარ პიროვნებას თვითონ ქმნი.

ბიზნესი ფულიანი ურთიერთობაა. კლიენტი ფულს მიხდის, ამდენად, მომთხოვნი და კრიტიკულად განწყობილია, ნებისმიერ უარყოფით ნიუანსს ამჩნევს. რატომ დავანახვო ნაკლი, ანდა უკმაყოფილების საბაბი რატომ მივცე? საქმეს უყურადღებობით არ გავაფუჭებ და რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ. სულ მეშინია, თავდაჯერებულობამ უკან არ დამხიოს. ამიტომაცაა, რომ ოჯახს ორი დღითაც ვერ ვტოვებ. ჩემებურად საქმეს ვერავინ გაუძღვება. აუცილებელს როგორ არ გააკეთებენ, მაგრამ ის მარილი დააკლდება, რომელსაც მხოლოდ შენ დებ. ჩემი ცხოვრების გრაფიკიდან ამოვარდნილია დასვენება. ჯერ ისე არ მილხინს, რომ შემოსავლებს ხელი ავუქნიო...

7 წელია გერმანულ ტურისტულ ფირმასთან ვთანამშრომლობთ. მთელ საქართველოში მოგზაურობენ, მაგრამ შთაბეჭდილებების წიგნში ბაკურიანი თურმე ყველაზე მეტ „ხმებს აგროვებს“. წინათ არც კომფორტული სველი წერტილები მქონია და არც ძვირფასი რემონტი, მაგრამ, ეტყობა, სხვებს სტუმარმასპინძლობით ვჯობდით. უნდა შეგეძლოს უცხო ხალხის დატყვევება. აოცებდათ ჩვენი სითბო და ურთიერთობები. თუკი რაიმე სუვენირი ჰქონდათ სამშობლოდან წამოღებული, მგონი, სულ ჩვენს ოჯახში ტოვებდნენ...

საკუთარი მეურნეობაც გვაქვს და დამსვენებლებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით ვუმასპინძლდებით. ერთხელ, მანქანიდან რომ გადმოვედი, ერთმა თბილისელმა შეიცხადა: — ეს გოგო თუ ძროხას წველის, თავს მოვიკლავო. თქვენ ბაკურიანელები რა გგონიათ-მეთქი? რადგან ბოსელს ვახსენებთ, ყრუ და ველურები კი არა ვართ... გამოპრანჭვა და თავის მოვლაც ვიცით...

### შვილები

14 წლის იასონი საქართველოს სამთო-მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის წევრი, იმედის მომცემი სპორტსმენია. იგი ამჟამად თვეების განმავლობაში საზღვარგარეთ ვარჯიშობს და ასპარეზობს.

13 წლის ანუკიც საუკეთესო სპორტული მონაცემებითაა დაჯილდოებული, მაგრამ მას დიდი სპორტისთვის ვერ „იმეტებენ“, ამიტომ, მხოლოდ შიდატურნირებში მონაწილეობს. მშობლები ცდილობენ, რომ გოგონას უფრო ლიტერატურისა და ენების სიყვარული გაუღრმავონ, რაც საოჯახო ბიზნესსაც გამოადგება მომავალში.

**ლია:** რამდენიმე წელია, იასონი თავისი მწვრთნელის გერა აბრამაშვილის „გრაფიკით“ ცხოვრობს. რასაც გერა იტყვის, მისთვის კანონია. მიუხედავად იმისა, რომ თანასოფლელი ბავშვებისგან განსხვავებული ცხოვრება აქვს, ევროპა შემოიარა და მათზე მეტიც ნახა, არ გაყოყოჩებულა. თავმდაბალი, დამყოლი და თბილი ბავშვია. შარშან მთელი ზაფხული შლანგი ეჭირა და ყვავილნარს თვითონ უვლიდა. 10 წლის იყო, ავსტრიიდან ჩამოსულმა რომ მითხრა, — დედიკო, იმ კაცს, ვის სასტუმროშიც ვცხოვრობდით, კიდევ 5 სხვა სასტუმროც ჰქონდა, მათ შორის, ერთი ხუთვარსკვლავიანიც და ჰქონდა ბოსელიც, სადაც 45 ძროხას თვითონ უვლიდაო. გამიხარდა, ეს რომ შეამჩნია სრულიად პატარამ. კი, ავსტრიელი მდიდარი კაცის ბოსელი უახლესი ტექნიკით იქნება აღჭურვილი და გასაგებია, რომ ხელით არ წველის, მაგრამ დილის 6 საათზე ფეხზე ხომ დგება და ებმება შრომის ფერხულში?

შარშან, გუდაურში, საქართველოს პირველობა მიმდინარეობდა:

— ეგაა იკა აბრამაშვილი!.. რა ბავშვია! როგორ მოქრისო! — ჩემ გვერდით მაყურებლებმა წამოიძახეს. ხომ არ ვიტყოდი, მე ვარ იკას დედა-მეთქი, მაგრამ 1 მეტრი და 60 ვარ და 10 მეტრი მომემატა სიმაღლეში. იკამ ისიც თქვა სატელევიზიო ინტერვიუში — სირცხვილი იყო, რომ არ გამემარჯვაო...

ანუკიმ გუდაურში თავისზე უფროს ბიჭებსაც მოუგო. ერთი კარგი მწვრთნელია — გაბრიჩიძე, შეჯიბრების შემდეგ ბავშვისკენ რომ დაიხარა, ყურადღება გავამახვილე, რამე ხომ არ დააშავა-მეთქი, ის კი მიეფერა: — გოგო, ტრასაზე რომ გამოჩნდი, „ჩაიდანი“ მეგონე, შენ კი თურმე რა კარგად სრიალებო...

ვალიკო აბრამაშვილი დაბა ბაკურიანის ახალარჩეული საკრებულოს წევრიცაა:

— დროა სამთო-სათხილამურო სპორტში მასობრივად ჩაბმის სისტემა შეიქმნას. საამისო შესაძლებლობები და რეზერვები გვაქვს. მაგრამ ახლა სასრიალო ფერდობებზე აუტანელი ქაოსი და განუკითხაობაა. საუკეთესო პროფესიონალები, სპორტის ოსტატები, ჩემპიონები განზე დგანან, შემთხვევით პირებს კი თოკით ჩამოუბამთ მოზარდები და „წვრთნიან“. საათში 15 ლარს ღლეტენ მშობლებს, თანაც ბავშვს ხიფათში აგდებენ. ამიტომაცაა, რომ ასე გახშირდა სერიოზული ტრავმები, მოტეხილობები. ვისაც ცენზი და კატეგორია არა აქვს, მოზარდებს საერთოდ არ უნდა მივაკაროთ. უნდა შეიქმნას მწვრთნელთა კლუბიც, რათა მშობლებმა იცოდნენ, ვის მიმართონ.

### წვრილმანები და აქვე მთავარი...

**ლია:** — წარმატებამ არ უნდა გაგათამამოს. არ მიჭირსო — ფეხი ფეხზე თუ გადაიდე, მიღწეულს მალე დაემშვიდობები. საქმეს ფხიზლად უნდა უძღვებოდე, ყველა დეტალს მნიშვნელობა აქვს. ჩემს თანამშრომელ გოგოებს საშაქრეში მსხვილი შაქარი ჩაეყარათ და შენიშვნა მივეცი. სარდაფში ერთი ტომარა გიდევთ და სტუმარს როგორ უნდა ვათქმევინოთ, რომ იმდენი კულტურა არა გვაქვს, სუფრაზე რა მივართვათ არ ვიცით-მეთქი. „თვალი ჭამს და თვალი სვამს“: ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ეზოში ულამაზესი ყვავილნარია. დამსვენებელთა უმრავლესობას ქუჩის მეორე მხარეს გადასვლაც არ უნდება, იმდენად სიამოვნებს ეზოს სიმყუდროვეში ყოფნა, ოჯახური მიკროკლიმატი... ზოგი სამზარეულოდან ვერ „გაგვიგდია“. დაგვანებეთ-თქო, თავი — ვეხუმრებით. სითბოსკენ, მოფერებისკენ ისწრაფვიან და ეს ეგულებათ ჩვენს ოჯახში.

კომფორტის გარკვეული დონე უკვე თითქმის ყველამ შექმნა. ბორჯომის გამგებელი ზაზა ჯოხაძე ბაკურიანს ხუმრობით კუვეიტს უწოდებს.

ქალაქიდან, ან თუნდაც უცხოეთიდან რომ ჩამოვა სტუმარი და ასეთ ურთულეს პირობებში ყოველგვარ კომფორტს შეუქმნი, შენი სახლით, შენი საქმით ამაყი, ღირსეულად რომ დახვდები, ეს მასთან გათანაბრებს. ესენიც ხალხი ყოფილანო, რომ გააფიქრებინებ... რამდენჯერ დავკვირვებივარ, უცხოელი გაწკრიალებულ სახლში ჭუჭყიანი „ბათინკებით“ არ შემოდის, კართან იხდის...

### და ბოლოს: კონკია...

ჩვენებური კრიზისის პირობებში ვინმეს ადვილი ხომ არ ჰგონია ხეობაში „კუვეიტის“ შექმნა?

ბაკურიანიდან ჟანგიანი ჯიხურების გატანის დრო დადგა.

როგორც ნაწვიმარზე სოკოები, თითქოს ერთ ღამეში ამოდიან ულამაზესი ვილები აქაურ ფერდობებზე...

რუსეთის ბაზარიც დაგვიბრუნდება და ევროპის გადაჭედილი კურორტებიდანაც გამოჭრის გზას ტურისტთა ნაკადები.

ბაკურიანი... ჩვენი კონკია მართლა ემზადება დედოფლობისთვის...

**მზია ნოზაძე**

„ტრანსტრონსი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Bilijardai“ ექსკლუზიური წარმომადგენელი
Zeus
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
Bilijardai
Master
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
8 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1950 |
| ევრო | 2,3706 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5765 |
| რუსული რუბლი | 0,0689 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3409 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „რკინიგზის ვირთხა"



ელიზბარ სხილაძე რამდენიმე ათეული წელია სადეზინფექციო განყოფილებას თავკაცობს და „უკომპრომისო ბრძოლა" აქვს გამოცხადებული ყველა ჯურის მღრღნელებთან.

წარმატება წარმატებად, მაგრამ ერთმა კურიოზულმა შემთხვევამ კინაღამ იმსხვერპლა ელიზბარის თანამდებობა: მამუკა ასლანიკაშვილის მდივნობის დროს ბიუროს სხდომაზე მღრღნელებთან ბრძოლის საკითხი განიხილებოდა.

— ამხანაგო ელიზბარ, — ეუბნებიან სადეზინფექციო განყოფილების ხელმძღვანელს, — ვერ მუშაობთ. ლამის ვირთაგვებმა დაგვჭამოს ყველა... ამას წინათ რკინიგზის სადგურთან მივდიოდი და ვირთაგვამ პირდაპირ ჩემ წინ გადაირბინა ქუჩა... დავიჯეროთ ამის შემდეგ, რომ თქვენ მღრღნელებს ებრძვით?

როგორც მოგეხსენებათ, რკინიგზას მაშინ (ალბათ ახლაც ასეა) უწოდებდნენ „სახელმწიფოს სახელმწიფოში" და მასაც, — ისე როგორც ქალაქს, — საკუთარი, მღრღნელებთან ბრძოლის სამსახური გააჩნდა. ელიზბარმა სწრაფად მოიაზრა ეს და რაიკომის მდივანს შეეპასუხა:

— ამხანაგო მდივანო. ის ვირთხა ალბათ რკინიგზელი იყო. რადგან შემთხვევა სადგურთან მოხდა, იქიდან გადმოვიდოდაო.

ელიზბარის ვერსია „რკინიგზელი ვირთხის" თაობაზე, საყოველთაო სიცილისა და სხდომის გამხიარულების საბაბი გახდა. რაიკომის მდივანმაც ვერ შეიკავა თავი სიცილისაგან, თუმცა ელიზბარი კი გააფრთხილა, — სანამ „რკინიგზელი ვირთხები" ქალაქში რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი დაიწყებდნენ სირბილს, მანამდე ეზრუნა მათი ლიკვიდაციისათვის.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## — ჩვენი იმედი ნუ გექნებათ!..



ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაილეთში ერთი საინტერესო კაცი ცხოვრობდა, რომელსაც რატომღაც საკვირველია, მაგრამ ერევანა ერქვა. იგი გაურკვეველი პროფესიის, მაგრამ საკმაოდ საქმიანი კაცი იყო. ამ პერიოდში სოფლად, ნებაყოფილობით სახანძრო რაზმებს აყალიბებდნენ, რომლებსაც სახანძრო მანქანა და სათანადო აღჭურვილობა გააჩნდათ. სწორედ ასეთი რაზმის უფროსად დანიშნეს სოფელში ერევანა.

მოხდა ისე, რომ სოფელში 3 წლის განმავლობაში ხანძრის გაჩენის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ერევანა მეხანძრეთა რაიონულ შეკრებაზე მიიწვიეს გამოცდილების გასაზიარებლად. როცა მას სიტყვა მისცეს, ამაყად წავიდა ტრიბუნისკენ და ყოველგვარი „შპარგალკის" გარეშე რიხიანად დაიწყო: — ამხანაგებო, ჩემს გამოცდილებას კი გაგიზიარებთ, მაგრამ არ ვიცი, თუ გამოგადგებათ: ერთხელ, როცა საერთო კრებას თითქმის მთელი სოფელი ესწრებოდა, გამოვედი და მათ გულწრფელად ვუთხარი — მეზობლებო, ყველამ თქვენს ოჯახებს მოუარეთ, ხანძარი არ გააჩინოთ, თორემ თუ მაინც გაჩნდა, ჩვენი იმედი ნუ გექნებათ, ცეცხლის ჩამქრობი არა ვართ და თქვენც დაიღუპებით და ჩვენც-მეთქი. ჰოდა, ამის შემდეგ სოფელში სახანძრო აღარც დასჭირვებიათ!

***ოზურგეთელი იუმორისტი***

## „თემური და მისი რაზმი"



ეს ამბავი თბილისში მოხდა, რიყეზე. თბილისობის მეორე დღე იწურებოდა. შებინდდა და წვიმაც წამოვიდა. ჩემი ახლობელი ზაურ კეკელია მორჩა თავისი „ბიზნესის ტრიალს" (მთელი დღე მწვადებს წვავდა) და შინ წასასვლელად ვემზადებოდით. ამ დროს ქალის კივილმა იქაურობა შეძრა. ახალგაზრდა მშობლებს ამ ალიაქოთში ოთხი წლის ბიჭუნა დაჰკარგვოდათ და გაგიჟებულ ქალს ველარ აჩერებდნენ.

ამ დროს მოვარდა „თემური (მღებრიშვილი) და მისი რაზმი". თემურმა მოვაჭრეები გააფრთხილა, ჩქარა ტერიტორია დაცალეთო.

— ვინაა ეს გიჟი ნეტავი? — იკითხა გალიდან ლტოლვილმა ქალბატონმა, რომელიც კახეთში ყოფილა გათხოვილი.

თემური შვილდაკარგულ დედას მივარდა, გულში ჩაიხუტა და დამშვიდება დაუწყო, ბიჭუნას მალე მოგიძებნითო, თან თავისი რაზმის წევრებს სასწრაფო დავალება მისცა.

— დედა, რანაირი თვალები ქონდა, რანაირად უსვამდა ხელს საწყალ ქალს, დედა, დედა, ხო მოხდებოდა ახლა აქ მკვლელობა!.. — არ ცხრება ლტოლვილი ქალბატონი.

— რა მკვლელობა, ქალბატონო? — ვეკითხები.

— ჩემი ქმარი მოკლავდა იმ გიჟს, აბა, რას იზამდა, ასე რო მეეკიდა ჩემთვის ხელი!..

მივიხედ-მოვიხედე, მისი ქმარი ხომ არ მოდის-მეთქი.

— ბეწვზეა თემურ მღებრიშვილი გადარჩენილი! — წამოვიძახე.

ამასობაში „თემურმა და მისმა რაზმმა" მშობლებს ატირებული ბიჭუნა მიუყვანეს.

***გუჯა ლელაძე, ჩხოროწყუ***

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## რომელ სართულზე ცხოვრობთ? ტესტი

**პაროდიის კუთხე**



**1. შინ დაბრუნებისას შეხვედით სადარბაზოში, თქვენ:**

ა) ახვალთ კიბით (1-ელი სართული).

ბ) დაელოდებით ლიფტს (მე-5 სართული).

გ) დაელოდებით, იქნებ რომელიმე მეზობელმა გამოიაროს (მე-9 სართული).

**2. შინიდან გამოხვედით და აღმოაჩინეთ, რომ დაგრჩათ მნიშვნელოვანი რაღაც, თქვენ:**

ა) აირბენთ სწრაფად კიბეს (1).

ბ) დაელოდებით ლიფტს (5).

გ) ახედავთ ბინას და გაიფიქრებთ: „აუ, რა ავა ახლა იქ?!" (9).

**3. ბინაში შეგიწყდათ წყალი, თქვენ:**

ა) აიტანთ წყალს ვედროებით (1).

ბ) აიტანთ წყალს ყველანაირი ჭურჭლით (5).

გ) აიტანთ 5 ბოთლ „კოკა-კოლას" ან ერთ ყუთ ლიმონათს (9).

**4. შინ ხართ და ქვემოდან გეძახიან მეგობრები, თქვენ:**

ა) გაიგონებთ და ზემოდან გადასძახებთ: „ამოდით, შინ ვარ" (1).

ბ) გაიგონებთ და ჩაირბენთ ქვემოთ მათ შესახვედრად (5).

გ) ვერ გაიგონებთ, რადგან ძალიან მაღალ სართულზე ცხოვრობთ (9).

**5. შეიძინეთ როიალი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ეტევა ლიფტში, თქვენ:**

ა) აიტანთ როიალს მეგობრების დახმარებით (1).

ბ) აიტანთ როიალს მეზობლების დახმარებით (5).

გ) ვერ აიტანთ როიალს და უკან დააბრუნებთ (9).

**6. შემთხვევით ტელეფონით გაიცანით საწინააღმდეგო სქესის პიროვნება, თქვენ:**

ა) ეკითხებით: „რამდენი წლისა ხართ?" (1).

ბ) ეკითხებით: „რა ფერის თვალები გაქვთ?" (5).

გ) ეკითხებით: „რომელ სართულზე ცხოვრობთ?" (9).

### დაითვალეთ სართ(ქ)ულები:

**თუ თქვენ დააგროვეთ 18-მდე სართული, მაშინ ქვემო სართულზე ცხოვრობთ, ან მაღალ სართულზე ცხოვრობთ და ტესტის შევსებისას რაღაცები მოიტყუეთ. ხო, მართლა, თქვენ მეზობლად ვინმე ბინას ხომ არ ყიდის?**

**თუ თქვენ დააგროვეთ 18-დან 24-მდე სართული, მაშინ დაახლოებით შუა სართულზე ცხოვრობთ და არ უნდა იყოთ ამით უკმაყოფილო. როგორც ჩანს, მშვენივრად შეეგუეთ ახალ ბინას. ისე, საინტერესოა, თქვენ გვერდით ვინმე ბინას ხომ არ აქირავებს?**

**ხოლო თუ 24-ზე მეტი სართული დააგროვეთ, მაშინ თქვენ საკმაოდ მაღალ სართულზე ცხოვრობთ. ალბათ ლიფტი მუშაობს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ტესტის შევსების ხასიათზე არ იქნებოდით. ხო, მართლა, თქვენ გვერდით ვინმე ბინას ხომ არ აგირავებს?**

***ტესტი თქვენთვის პირდაპირ მე-15 სართულიდან გადმოისროლა ზაქრო ინწკირველმა***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკია სვანს ეჩხუბება:

— ბიჭო, რას ერჩოდი იმ მუნჯს? რატომ გალახე?

— აბა, დამიწყო ხელებით ლაპარაკი და!..



— მაინც ჩემი გევიტანე, სიმონ! აპა, მაგენს გავატანიებდი თავისას! — იქაჩება ჭიჭიკიე.

— რა ქენი ამისთანა? — ეკითხებიან.

— რა, ბიჯო და წუხელ კიდევ გოგო შემეძინა. დეიწყენ ცოლმა და სიდედრმა — ქეთინო დავარქვათ, ქეთინო დავარქვათო! მარა, არ გავატანიე და ბუხუტიე დავარქვი!

***ნ. გ., ხაშური***



სვანი იყიდის ახალ მაგნიტოფონს, მაშინვე გატეხავს და მიაქვს ხელოსანთან. გაოცებული გამვლელი ეკითხება:

— კი მარა, რატომ გატეხე ძალით?

— აბა რა მექნა, მესტიაში რომ გამიფუჭდეს, რა ჩამომიყვანს ქუთაისში ამის გასარემონტებლად! — იყო პასუხი.

***გოგიტა ჯიმშელეიშვილი, წყალტუბო***



## „სასაცილო გოგონას“ კოცნა

კარიერის დასაწყისში ბარბრა სტრაიზანდი ფილმის „სასაცილო გოგონას“ სინჯებზე გამოცხადდა. მთავარი როლის შესრულების პრეტენდენტებს ომარ შარიფისთვის უნდა ეკოცნათ. როცა სტრაიზანდის ჯერი დადგა, წინასწარ, თავის გასამხნევებლად ცოტაოდენი გადაკრა, შარიფს მივარდა და ტუჩებზე დააცხრა... მსახიობი გველნაკბენივით შეხტა.

— გაგიჟდი, როგორ შეიძლება ასე კოცნა, სისხლი დამადინე...

ბარბრა, რომელმაც მაშინ ხეირიანი კოცნა არ იცოდა და შემთხვევით პარტნიორს ტუჩზე უკბინა, არ დაიბნა:

— ძალიან მიყვარს სისხლიანი ბიფშტექსი!

მაშინვე დაამტკიცეს მთავარი როლის შემსრულებლად. მას შემდეგ სისხლიანი ბიფშტექსი ბარბრა სტრაიზანდის საყვარელი კერძია. თავის ყველა მამაკაცს, რომლებიც კი ოდესმე ჰყოლია, ამით უმასპინძლდება და თითქოს მიანიშნებს, შემიძლია, შეგჭამოო.

*ოკნა №3*

## მსახიობი ფიდელი



„ფიდელ კასტრო ნამდვილი კინოვარსკვლავია“, — განაცხადა რეჟისორმა ოლივერ სტოუნმა, როდესაც თავისი ახალი, 43-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „კომანდანტე“, დაასრულა. სტოუნმა კუბის დიქტატორთან 30 საათი გაატარა 3-დღიანი გადაღებების დროს. რეჟისორი ფიდელს „არ მორიდებია“ და ხშირად მკვახე კითხვებსაც კი უსვამდა, თუმცა ფიდელს ასევე მკვახე პასუხი არ გაუცია. სტოუნმა ჰკითხა, — ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ ფსიქიატრთან ხართ მისასვლელი? ფიდელმა მიუგო, — ასეთი რამ თავში არასდროს მომსვლიაო. კუბის ლიდერი ფილმში ძალზე ამაყობს თავისი ქვეყნის წარმატებებით — განსაკუთრებით კუბელთა განსწავლულობით ხარობს — ჩვენთან მეძავებსაც კი უნივერსიტეტის დიპლომები აქვთო! კუბის ლიდერი ჰყვება, მხოლოდ ერთი ცოლი მყავდა, ქორწინება დიდი სიყვარულის უმაღლესი გამოვლინებაა, დიდი სიყვარული კი მხოლოდ ერთხელ მოდისო.

სტოუნი სცენარის წერისას თავს იმტვრევდა, როგორი უნდა ყოფილიყო ფილმის ფინალი. და აი, აქ მშველელად ისევ ფიდელი მოევლინა, რომელმაც რეჟისორთან ერთ-ერთი საუბრისას სიგარა გააბოლა და იდუმალი ხმით თქვა, — როცა უცხოურ პრესას ვკითხულობ, ხშირად ვფიქრობ ხოლმე — მართლაც არც ისე ცუდია, იყო დიქტატორი.

*ნიუ ზუიქი*

## მარადიული სიყვარული



ბრიტანეთის ქალაქ დაგენჰემში უჩვეულო ჯვრისწერა მოხდა. პატარძალს თეთრი კაბა ეცვა, ხელში ყვავილები ეჭირა და იგი ეკლესიაში შევიდა არა მენდელსონის მარშის თანხლებით, არამედ რონან კიტინგის სიმღერით „არასოდეს დადგება ხვალ“. სტუმრებს კი, სახეზე მხიარულების ნაცვლად სევდა აღბეჭდვოდათ. არც საქმრო უმშვენებდა დედოფალს გვერდს... ეკლესიის სიღრმეში იდგა კუბო, რომელშიც თეთრ, ლამაზ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი იწვა...

ჯოან უილიამსი და რობერტ კოლნი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ, ერთ კლასში სწავლობდნენ და უერთმანეთოდ ყოფნა ვერც კი წარმოედგინათ. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში ისინი ერთად, ცოლ-ქმარივით ცხოვრობდნენ.

სამი წლის წინ მათ ბიჭუნა შეეძინათ. ბედნიერი მშობლები ზრდიდნენ პატარა ჯიმს და ქორწილზე ოცნებობდნენ. ვინაიდან ქორწინება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, რობერტი ბევრს მუშაობდა და ზაფხულისთვის ფული დააგროვა. ის თითქოს რაღაცას გრძნობდა და ჯოანს აჩქარებდა, ვიქორწინოთო.

როგორც იქნა, დათქვეს ჯვრისწერის დღე. ერთი კვირით ადრე კი, რობერტმა გადაწყვიტა ცოლ-შვილით სწვეოდა მეგობარს, რომელიც მეზობელ ქალაქში ცხოვრობდა. გამგზავრების დღეს პატარა ჯიმი ავად გახდა და მიუხედავად ცოლის მუდარისა, რობერტი მარტო გაემგზავრა. ორიოდე საათის შემდეგ ჯოანს პოლიციიდან თავზარდამცემი ამბავი შეატყობინეს — რობერტი ავტოკატასტროფაში დაღუპულიყო.

ჯოანმა, დეიდის რჩევით, გადაწყვიტა რობერტთან, თუნდაც მიცვალებულთან, ჯვარი მაინც დაეწერა. ისინი ხომ ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ...

ქორწინების მეორე დღეს კი, უკვე ძაძებიანი ქვრივი, გუშინდელი პატარძალი, უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა მეუღლეს, რომელსაც საკურთხეველთან მარადიული ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა...

*ინტერპოლ-ექსპრესი №2*

## ყველაზე „ლოთი“ უნივერსიტეტი

აშშ-ში 2002 წლის ყველაზე შფოთისთავი უნივერსიტეტების სია გამოაქვეყნეს. აქამდე მსგავსი ჰიტ-პარადი მხოლოდ ერთხელ, 1987 წელს ჩატარდა — მაშინ გამარჯვება კალიფორნიის უნივერსიტეტს ერგო. მას შემდეგ კონკურსის ორგანიზატორებთან უამრავი წერილი მიდიოდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. მაგალითად, როცა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან წერილების დასტა მოვიდა იქაური სტუდენტების შფოთისთავობის შესახებ, ორგანიზატორებმა უპასუხეს, პროფესიონალებს რეიტინგში არ ვრთავთო.

ახლანდელ რეიტინგს აშშ-ის ყველაზე „ლოთი“ — არიზონის უნივერსიტეტი მეთაურობს, მეორეზე რეიტინგის „ვეტერანი“, კალიფორნიის უმაღლესი სასწავლებელია.

*ვოკრუგ სვეტა*

## კაციჭამია პარტიზანები ტყვე პიგმეებს სანსლავენ...



კონგოში ოთხი წელია გრძელდება სამოქალაქო ომი სამთავრობო ჯარებსა და მეამბოხეებს შორის, რომლებიც ხშირად ერთმანეთსაც ებრძვიან. ამ კონფლიქტის მსხვერპლნი ხდებიან ჯუნგლებში მცხოვრები პიგმეები, სადაც წინანდელი კოლონიური ადმინისტრაციის ლიკვიდაციის შემდეგ ფართოდ გავრცელდა კაციჭამიობა.

კონგოში გაგზავნეს გაეროს სპეციალური კომისია. „ადგილობრივ მეამბოხეთა დაჯგუფება ატყვევებს პიგმეებს და იყენებს მონადირეებად და სასარგებლო მინერალების მოსაძიებლად, — განაცხადა გაეროს წარმომადგენელმა, — მას კი, ვინც ხელცარიელი ბრუნდება, კლავენ და ჭამენ“. მეთაურები მიირთმევენ პიგმეების სასქესო ორგანოებს და ჰგონიათ, რომ ეს მათ ძალას შემატებს. პიგმეებს ასევე აიძულებენ, შეჭამონ თავიანთი თანატომელების ნარჩენები“.

*ინტერპოლ-ექსპრესი №2*

## გულმავიწყი ქირურგები

ყოველწლიურად ამერიკელი ქირურგები ოპერირებული პაციენტების სხეულებში 1500-ზე მეტ ქირურგიულ ინსტრუმენტს ტოვებენ, — ასეთი დასკვნა გააკეთა გამოკვლევის შედეგად ბოსტონის ჯანმრთელობის დაცვისა და ჰოსპიტალების ცენტრმა. მეტიც, ექსპერტები ირწმუნებიან, რომ რეალური სტატისტიკა გაცილებით მაღალია, რადგან კლინიკები ვალდებულნი არ არიან გაახმაურონ ნაპოვნი ინსტრუმენტების ზუსტი რაოდენობა. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირად მძიმეწონიანი პაციენტების ოპერირებისას ხდება. როგორც წესი, ავიწყდებათ ტამპონები, ინსტრუმენტების ბუნიკები, საჭრები. მასაჩუსეტის შტატში 16 წლის მანძილზე სადაზღვევო კომპანიებმა 54 დაზარალებულს, რომელთაც ჩარჩენილი ქირურგიული ინსტრუმენტები უპოვეს, 3 მლნ დოლარი გადაუხადეს.

*ტაიმსი*

## დაქტოჩიპი — ტერორისტების მტერი

1992 წელს პეტერბურგელმა მეცნიერებმა გააკეთეს მიმღები, რომელსაც შეეძლო დაქტილოსკოპიური ინფორმაციის წაკითხვა. მისი საშუალებით იოლად ადგენდნენ პიროვნების ვინაობას. ჩიპი ადამიანის თითის ანაბეჭდს იღებს, ადარებს მონაცემთა ბაზას და რამდენიმე წამში პასუხიც მზადაა. ამ მიმღების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას დაქტილოსკოპიური პასპორტებიც. პლასტიკური ბარათი არ იწვის, არც წყლის ეშინია. მასზე აღბეჭდილი თითის ანაბეჭდით სწრაფად დაადგენენ და მოძებნიან საჭირო პირს.

ამის გარდა, მეცნიერებმა დაამუშავეს კიდევ ერთი სისტემა, რომელიც მომავალში ადამიანის ფიქრსაც კი წაიკითხავს.

ცნობილია, რომ შეშინებული ადამიანი კანკალებს. ვიბროგამოსახულების მეთოდის წყალობით იზომება ამ რხევის ინტენსივობა და სიხშირე. შედეგი ეკრანზე ფერადად მოჩანს და დანამდვილებით შეიძლება თქმა, რას ფიქრობს ესა თუ ის ადამიანი. განსაკუთრებით სასარგებლოა ამ მეთოდის გამოყენება ქვეყნის საზღვრის საკონტროლო პუნქტებზე.

*ექსპრეს-გაზეტა №4*

## დრამა ნადირობისას



შვედეთში კურდღლებზე ნადირობისას მშიერმა არწივმა მაძებარი ტაქსა შესანსლა. ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე ექსპერტებმა მონადირეები გააფრთხილეს, სასტიკი ყინვების გამო ევროპაში გარეული ცხოველებისა და ფრინველების ქცევები შეცვლილია. შესაძლოა, საკვების მოსაპოვებლად ქალაქებს ან სოფლებს მიაწყდნენო. მაგრამ იმას კი არავინ ელოდა, თუ დამშეული არწივი მაძებარ ძაღლს დაესხმოდა თავს — ტაქსაც დაბნეულა და უბრძოლველად დანებებია არწივს. იქნებ არწივს ტაქსა სულაც კურდღელი ეგონა? ასე იყო თუ ისე, ტაქსას პატრონმა ხელისუფლებისგან მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსაცია მიიღო. შვედური კანონმდებლობით ხელისუფლება ვალდებულია, პატრონებს შინაური ცხოველების დანაკარგი აუნაზღაუროს იმ შემთხვევაში, თუ მათ მგელი, დათვი ან არწივი დაესხმის თავს.

*ვესტი*

## მერილინისეული შამპანური



როკ-ვარსკვლავი მერილინ მენსონი მერილინ მონროს დიდი თაყვანისმცემელია. გრძელ ფრჩხილებსაც მისი პატივისცემით ატარებს. მართალია, საკუთარი ფრჩხილების გაზრდას ვერაფრით ახერხებდა, მაგრამ დასაკრავებს ხმარობდა მანამდე, სანამ ერთ წვეულებაზე ერთი ცალი არ მოსძვრა და პამელა ანდერსონის შამპანურიან ბოკალში არ მოადინა ტყაპანი. გაცოფებულმა სექსვარსკვლავმა შამპანური სახეში შეასხა მენსონს. სწორედ მას შემდეგ გადაწყვიტა როკ-მომღერალმა ფრჩხილების გაზრდა და თვალისჩინივით უფრთხილდება კიდეც მათ.

*პარი მატჩი*

## ლუდისთვის საბავშვო ეტლით

ინგლისის ერთ-ერთ საგრაფოში ძალზე პოპულარულია საბავშვო ეტლებით რბოლა. მოასპარეზეებმა ისე უნდა გადალახონ 5 მილი, რომ ერთხელაც არ გადააბრუნონ ეტლი. შეჯიბრში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. ტურნირის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ შეჯიბრი მამაკაცებს ბავშვების მოვლა-პატრონობას აჩვევს და დროის დაზოგვასაც სწავლობენო. ბოლო ტურნირზე შეჯიბრის წესებში სიახლე დანერგეს — თითოეულ სპორტსმენს 5 მილის მანძილზე განლაგებულ 14 პაბში თითო კათხა ლუდი უნდა შეესვა.

გამარჯვება 37 წლის ჯონ როტს ერგო — ფინიშთან ყველაზე ადრეც მივიდა და თითო კათხის ნაცვლად, ორ-ორი გამოცალა. მერე კი, ფინიშთან უსულოდ გაიშხლართა საასპარეზო ეტლში. მის ნაცვლად პრიზი გადაეცა ცოლს, რომელმაც ჩემპიონი საბავშვო ეტლით მიაბრძანა შინ.

*ქენსკიე დელა*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში რომენ როლანის სიტყვებს ამოიკითხავთ.

ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ ა რ ა ს ო დ ე ს ი წ ყ ე ნ ე ნ

ე ო კ ო ე ნ ე ი ა ი ო ო ი რ ა ი უ ო ა ი უ ი ლ ი ი

**ჩ**. რუსეთის გადაუჭრელი პრობლემა; **ვ**. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე**. ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **ნ**. კენიის დედაქალაქი; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა**. მექანიკური მუსიკალური საკრავი. წარმოადგენს ყუთს, რომელსაც მხარზე ღვედით იკიდებენ და უკრავენ ტარის ტრიალით; **ნ**. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **ე**. სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია ბაღდადი; **რ**. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **თ**. თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა**. ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ**. ზღაპრული ურჩხული; **ა**. პომიდვრის სამშობლო; **რ**. პატაკი; **ა**. ფეთქებადი ნივთიერება; **ს**. ღონე, ილაჯი, არაქათი; **ო**. ომის ცალთვალა ღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში; **დ**. საჯარო კამათი; **ე**. რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ს**. კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **ი**. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში; **წ**. ის, რისიც ცოფით დაავადებულებს ეშინიათ; **ყ**. შეიარაღებული მცველი, დარაჯი; **ე**. სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ**. დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე**. აქილევსის ქუსლი, არიადნეს ძაფი, მურმანის ...?; **ნ**. მსუბუქი ქარი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** დ. დახაუ; ა. აშური; ი. იუმორი; ს. სურა; ვ. ვიოლინო; ე. ელბა; ნ. ნიაგარა; ე. ელცინი; კ. კიმონო; ვ. ვუალი; ი. იურტა; რ. რეიგანი; ი. იალალი; ს. სვიფტი; პ. პავლე; ა. ათინათი; ლ. ლუთერი; ი. იაზონი; ტ. ტროსი; რ. რუმბი; ი. იტალია; ს. სეზანი; ფ. ფრესკა; ე. ემისია; რ. რახი; ე. ეშმაკი; ბ. ბრასი; შ. შერი; ი. იმედი;

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ხუმრობაც მარილივით ზომაზე იხმარე.**

## მილოცვა

**ქალბატონ ლიანა ბერიძეს!**



[illegible] დაბადების დღეს — 70 [illegible]

*შვილები: [illegible]*

**2 წლის მარიამ ორჯონიკიძეს!**



[illegible]

**ტატიანა ცომაია-მინდიაშვილს!**

გილოცავთ 80 წლის იუბილეს [illegible]

## მადლობა

[illegible]

## ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი [illegible] $15, $20, $50 [illegible] 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86. [illegible]

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს [illegible] AU-PAIR [illegible] ტ: 95-64-18; 7-74-79 [illegible]

[illegible] 25 [illegible] 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

## მოგზაურობა

[illegible] №25

[illegible] 899 91-57-60; 899 10-24-63 [illegible]

[illegible] 57-50-49; 899 91-46-36. [illegible]

[illegible] 77-86-27

[illegible] 95-72-98

## მკურნალობა

[illegible] 899 55-05-75

[illegible] ტ: 96-62-58; 899 14-64-95

[illegible] №25, II სართ. [illegible] 34-04-06; 34-62-51 [illegible] 13-16 სთ.

[illegible] 899 107-109; 38-67-56

[illegible] №12, II სართ. ტ: 92-39-44; 99-36-89

[illegible] №18 [illegible] 877 468-253; 38-27-52

[illegible] №76 [illegible] №49 [illegible] №19 [illegible] ტ: 95-50-12; 61-75-27; 897 38-29-18

ნაწიბურის, კლოიდის, ართრიტის, ართროზის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა უახლესი მეთოდებით და ლაზერის აპარატით, დაბალ ფასებში, მაღალი შედეგებით. მის: №3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი (დიღმის მასივი, VI კვარტალი, ყოფილი მოზრდ. 21-ე პოლიკლინიკა). ექიმი თამარ ხარაშვილი. ტელ: 69-98-88; 893 28-71-08

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია — „დავა“ კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიონალი მომზადების კურსებზე სპეციალობით: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოვანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, ნიღბები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამ); 96-22-89 (ბინა)

## იყიდება

გამოსაბერი ავტომატი „ხოდოსი“. ამზადებს პლასტმასის ბოთლებსა და კანისტრებს 5 ლიტრამდე. ტ: 893 26-41-20. გოგი; 899 28-71-88. ნუგზარი

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. ავრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

Notebook: Gateway 400SD4 2GHZ Pentium4, 128MB 20GBHDD, DVD-ROM, 14'TFT, modem. External 24X10X40 USB-2 CDRW. LabTec 64-X480 USB WebCam. ფასი $1.700. ტელ: 79-02-73. თამუნა; 70-70-87. თომა

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება სს „მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ ქონებაზე. გაკოტრების მმართველად დაინიშნა ზვიად გადელია (*ტელ: 899 96-90-17*). ყველა კრედიტორი ვალდებულია თავისი მოთხოვნების თაობაზე განაცხადოს გაკოტრების მმართველთან ან მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე *მ. პაპუნაშვილი*). დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით გაკოტრების მმართველს.

გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება ს.ს „მუხრანი-98“-ის ქონებაზე. გაკოტრების მმართველად დაინიშნა ზვიად გადელია (*ტელ: 899 96-90-17*). ყველა კრედიტორი ვალდებულია თავისი მოთხოვნების თაობაზე განაცხადოს გაკოტრების მმართველთან ან მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე *მ. პაპუნაშვილი*). დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით გაკოტრების მმართველს.

გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება სს „ქსნის პური-96“-ის ქონებაზე გაკოტრების მმართველად დაინიშნა ზვიად გადელია (*ტელ: 899 96-90-17*). ყველა კრედიტორი ვალდებულია თავისი მოთხოვნების თაობაზე განაცხადოს გაკოტრების მმართველთან ან მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე *მ. პაპუნაშვილი*). დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით გაკოტრების მმართველს.

გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება სს „ქართული ფეტკარი“-ს ქონებაზე (მცხეთის რ-ნი, ზაჰესი). გაკოტრების მმართველად დაინიშნა ზვიად გადელია (*ტელ: 899 96-90-17*). ყველა კრედიტორი ვალდებულია თავისი მოთხოვნების თაობაზე განაცხადოს გაკოტრების მმართველთან ან მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე *მ. პაპუნაშვილი*). დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით გაკოტრების მმართველს.

## ხსოვნა

**გიორგი გიუაშვილის მონატრება**



მამა! ძნელია იმის შეგრძნება, რომ ეს დღე უშენოდ გაივლის — დღე, რომელსაც შენი დაბადების დღეს ჰქვია. მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა. მოგილოცავთ სანთლებით, ყვავილებით. მეტი რა შეგვიძლია...

გვახსოვხარ და გვენატრები.

*შვილები*

**ფატი ხაჯალიას მონატრება**



35 წელი შეგისრულდებოდა 14 თებერვალს, მაგრამ შენ ჩვენთან აღარ ხარ. შენზე ფიქრი და ცრემლი დაუტოვე შენს გულმოკლულ მშობლებს, შვილებს, ჩვენ, და-ძმას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

*მამიდა, მამიდაშვილები*

**მურთაზ ტარიელის ძე გაბუნიას გახსენება**

მურთაზ, ორმოცი თვალცრემლიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, რომელიც ასე მოულოდნელი იყო ყველა შენი მეგობრისათვის. მოგვაკლდა შენი ჩუმი იუმორიანი, მოღიმარი სახე. ამ ქვეყნიდან წახვედი მართლაც კაცური კაცის სახელით და დაგვიტოვე მწარედ გასახსენებელი პირველი იანვარი, ახალი წლის ღამე დაუსაწყული ტრაგედიად გადაგვიქციე. მურთაზ, გვიყვარდი, გვახსოვხარ და ვერასოდეს დავივიწყებთ ერთად გატარებულ 20 წელიწადს, რომლისგანაც მარტო მოგონებები დაგვრჩა.

*შენი მეგობრები „ს/ს საქმშენელექტროდან“*

**ნათელა ბოხუას მოგონება**



ორმოცი ტკივილიანი დღე გვაშორებს შენგან. ყველაფერი შენს თავს გვაგონებს და სევდას გვიმძაფრებს. არც ისე იოლი ყოფილა ცხოვრება შენ გარეშე, მით უფრო, როცა ამ დიდ ტკივილს არაფერი გვიმსუბუქებს, ჩვენო ლამაზო, საყვარელო, უკვე საოცრად სანატრელო დედა.

*შენი ოჯახი*

**კოხტა (რამაზ) მამუკაშვილის გახსენება**



1 წელი გავიდა — უშენობით დამძიმებული, ტკივილიანი, ცრემლიანი, საშინლად გრძელი და უსასრულო ერთი წელი.

საოცრად მძიმე ყოფილა უშენოდ სიცოცხლე. ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები. შენ დააკლდი არა მარტო შენს ოჯახს, არამედ მეგობრებსა და ნათესავებს. არ დაგვიტოვე სხვა სათქმელი, გარდა ერთისა: ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა.

*შენი ოჯახი*

**გოჩა და გური მამალაძეების ხსოვნას!**





გოჩა და გური, ჩვენო ტკივილო და მონატრებავ! ოთხი წელია, რაც აღარ ხართ და მაინც თქვენი სახელი ლამაზად აგრძელებს სიცოცხლეს. თავდაპირველად მოგვეჩვენა, თითქოს ზამთრის ცივ ბურანში ვიმყოფებოდით, მაგრამ დღემდე უთქვენობაა. ჩვენი შეხვედრების ადგილი ახლა უკვე სასაფლაო და სიზმარია. თქვენი სიკვდილი ბევრის სიცოცხლეს სჯობია. სიყვარული, რომელიც დაგვიტოვეთ, ამოუწურავია, სევდა კი — გაუნელებელი.

*„და ყვავილნი სადღაც წვიმები*
*მორჩილ ლოცვის სანაპიროდან;*
*კუბოსთან იდგნენ სერაფიმები*
*და ღვთისმშობელი თქვენზე ტიროდა“*

*ბელა მამალაძე*

**ლადო ცირეკიძის ხსოვნას!**

ჩვენო ლადო! 8 თებერვალს 23 წელი შეგისრულდებოდა. ცელქო, კეთილო, ლამაზო ბიჭო, სიცოცხლით სავსე და დაუდგრომელო ლადო, დაგვიტოვე უსასრულო, მტანჯველი კითხვა — „რატომ?“. შენი წასვლით უსაზღვრო სევდამ დაისადგურა, დარჩა მონატრება, ტკივილით გაჯერებული.

ნათელში გამყოფოს უფალმა. ვლოცულობთ შენთვის.

*მარინა დეიდა, გიზო ბიძია*

**ფაცია (იულია) ლორიას მონატრება**



ჩემო დაიკო, გავიდა ტკივილითა და მონატრებით სავსე ხუთი წელი. შენ ფასდაუდებელი ამაგი დასდე შენს დასა და შვილიშვილებად აღიარებულ ნატასა და ზაზას. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

*შენი შვილად აღიარებული დოდო ლორია*

**თინა ნადარეიშვილი-ესიავას მონატრება**



ჩვენო საყვარელო დედავ, ბებიავ, უკვე 40 დღე მიილია, რაც ჩვენგან წახვედი. გულსატკენია, რომ 12 თებერვალს — შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით. მოულოდნელი იყო შენი ასეთი უეცარი სიკვდილი. შენი საყვარელი შვილის — რევაზის გარდაცვალებიდან 7 თვეც ვერ გაძელი, სულ ცრემლიანი თვალებით გხედავდით. უსაზღვროდ გვენატრები ყველას. შენი შვილიშვილები სიყვარულით გიგონებენ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, შენს რევაზთან ერთად.

*შვილი თემური; რძლები: დალი, იზა; შვილიშვილები: ბაჩანა ოჯახით, ლადო, დიტო, კოკა ესიავები*

**ემელიანე (ემელო) კობახიძის ხსოვნას!**



გაუსაძლისი დარდით, სევდითა და ფიქრით სავსე ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა ჩვენი განშორებიდან — სამი დის ერთადერთო, საყვარელო ძმაო, დისშვილების იმედო და სიამაყევ!

კაცურ კაცზე ამბობენ: სანთელივით სამბარიაო, — მართლაც ასეთი პიროვნება იყავი. ძმებისათვის გულის სისხლის გაცემაც დაუნანებლად, ჩვენო ჭირისუფალო და დიდო იმედო — ეს არაერთხელ დაგიმტკიცებია ჩვენთვის... ათი წლის წინათაც, როცა შენი სიძის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, შენ თავი არ დაგიზოგავს, ვაჟკაცურად გვედექი მხარში დასა და დისშვილებს და ღვთისა და შენი წყალობით სიცოცხლემ სძლია სიკვდილს. დღეს კი მთელ სანათესაოს თავზარი დაგვცა შენმა უეცარმა ავადმყოფობამ. თუმცა იმედი არ დაგვიკარგავს — რაიონში მკურნალობის შემდეგ, თბილისში მთელი თვე ვებრძოდით მძიმე სენს. ჩვენი ოცნება — გამოჯანმრთელებული ჩაგვეყვანე საკუთარ ოჯახში, სუფსაში — აუხდენელი დაგვრჩა, სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან... აი, წახვედი და ცხოვრების შუა გზაზე გაწყვეტილი სიცოცხლის ნათელი კვალი დაგვიტოვე ახლობლებს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს. ერთადერთი სურვილის ასრულების ნება რომ მოგვცეს ღმერთმა, შენს სიცოცხლეს ვინატრებდით ყველა.

მუდამ იცოცხლებ ჩვენს გულებში, რადგან ჟამი ვერ ანელებს ტკივილს.

*დები და დისშვილები*

**ფაცია უჩავას გახსენება**



ხუთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. 9 თებერვალი შენი ბოლო ამოსუნთქვის დღე იყო. ძალიან გვენატრები. შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი არ ნელდება. გვენატრება შენი „გენაცვალე“. შენსავით ხომ ვერავინ გვეფერება ამქვეყნად, ჩვენო ტკბილო, ლამაზო და მუდამ ღიმილიანო ბებია.

ისევ ძველებურად ვიკრიბებით შენს სახლში და ვცდილობთ, ისევე ძლიერ შევაყვაროთ ჩვენს შვილებს ერთმანეთი, როგორც ამას შენ გვინერგავდი. ეს ყველაზე დიდი საჩუქარი იქნებოდა შენთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შვილიშვილები*

**გიორგი (გია) დანელიას!**



შენი თვალები, დედ, სიყვარულით შემომცქერიან, შენი თვალები თითქოს მესაუბრებიან. სურათიდან შემოგვცქერი და ჩვენს ყოველდღიურ, გამწარებულ ყოფას ღვთიური მზერით გვიმსუბუქებ. 6 თებერვალს 31 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო ერთადერთო. 5 წელია, რაც უშენოდ ვხვდებით ამ დღეს შენს საფლავთან — იქ, სადაც სიცოცხლის ნახევარზე მეტ დროს ვატარებთ. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვაკლიხარ, მეტად გვენატრები, ყოველი მხრიდან შენს გამოჩენას ველით. ერთი სული გვაქვს, როდის შეგხვდებით. ჩვენი შეხვედრა კი უფლის ნებაა, შვილო, თორემ ან ამდენ ხანს როგორ ვძლებ უშენოდ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული — უფალს მუდამჟამს ამას ვევედრებით.

*მშობლები: ნაილი და გიული დანელიები*

**ირაკლი (კიკილო) არჩუაძის გახსენება**



მამა, 15 თებერვალი ხომ შენი დაბადების დღეა. 76 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ბედისწერამ აღარ გაცალა. უკვე მესამე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, ნატვრად ქცეულო მამა! წახვედი და დაგვიტოვე ცრემლი და უსაზღვრო მონატრება. ვაი, რომ შენი ალერსით გაზრდილ ცოლ-შვილს და შვილიშვილებს ნატვრად გადაგვექეცი. მოაკლდი ყველას: ოჯახს, ახლობლებს და მათ შორის თანასოფლელებსაც (სოფ. ღიცი), რომლებმაც მოფერებით „კიკილო“ შეგარქვეს. მამა! შენ სიკეთით და სიყვარულით გამორჩეული კაცი იყავი და იმედი მაქვს, იმ სასუფეველსაც გაალამაზებ, სადაც წახვედი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული.

*შენი ოჯახი*

**ანტონ (კობა) და გივი ფანცულაიების, ეთერ გახოკიას მოგონება**



ჩემო საყვარელო ძმაო კობა, 6 წელი გავიდა შენი დაღუპვიდან. მამამ უშენობა ვერ გადაიტანა და შენთან ერთად არჩია წასვლა საუკუნო სასუფეველში. უსაზღვრო იყო მონატრება, ის ტკივილი, რაც დაგვიტოვეთ მე და დედას და მანაც ჩემად დიდი ტკივილით და დარდით დამტოვა ცრემლი, დარდი — ეს უდიდესი ტკივილია, რაც დამიტოვეთ და ყოველდღიური სატკივარი. ძნელი ყოფილა უთქვენობა, ჩემო კარგებო. მე თქვენთვის ვლოცულობ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი და კეთილი სულები. და, თქვენთვის ანთებულმა სანთლებმა გაგინათონ სამუდამო სასუფეველი.

*თქვენი ლალი*

**გია გელაშვილის გახსენება**



*„შენ სადა გყავს, საქართველოვ, შვილი დასაკარგავი?“*

40 ტკივილიანი დღე გავიდა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. როგორ შევეგუოთ ჯანლონითა და რწმენით სავსე სიცოცხლეს მოწყურებული 20 წლის ჯარისკაცის სიკვდილს?! I იანვარს ღამით, მეგობრებთან ერთად მიმავალს, გზაზე ვიღაცის უმოწყალო გულმა გაგწირა და სამუდამოდ ჩაგახუტა მიწას. ავტომანქანა დაგაჯახა და სულთმობრძავი მიგატოვა გზაზე. გვერდით ვინც გახლდა, გეძახდა, — არ მოკვდე გიაო, მაგრამ იმ ღამის შემდეგ გაუჩინარდა, დღემდე არ ჩანს, სდუმს. რისთვის?! ვინ დაგღუპა, შვილო?! ვის დავაბრალოთ? რას დავაბრალოთ? სიზმარს? ბედისწერას? უბედურ შემთხვევას? რატომ გახდა ყველასათვის სულერთი სხვისი სიკვდილი?! შემთხვევით რა არ ხდება... არ ვიძიებთ ვინ იყო, რადგან ის ჩვენზე მეტად დაისაჯა, საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა — კაცის მკვლელის სახელით. მას რომ სცოდნოდა შენი გეგმების, სიყვარულის, უანგარო გულის შესახებ და საერთოდ რომ სცოდნოდა, საქართველოს რა ჯანმრთელ მომავალს უკარგავდა — მოგხედავდა. დიდია უფლის რისხვა — ყველას უნდა გვეშინოდეს გულგრილობის. გვიმძიმს უშენობა, საყვარელო გიაჩო, ყველაფერში ძვირფასო, გამორჩეულო. სულ ახალგაზრდამ — 20 წლისამ გადაინაცვლე მარადისობაში. ვინუგეშებთ თავს, რომ სიკვდილი რჩეულთა ხვედრია. გაფრქვევთ მდუღარე სინანულის ცრემლებს. ვლოცულობთ, გაბრწყინდეს ზეციურ სასუფეველში შენი უმანკო სული.

*შენი ოჯახი, მეზობლები*

**ძმები გურაბანიძეების გახსენება**

უდიდესი მონატრება და მოუშუშებელი ტკივილია გურამ გურაბანიძის ოჯახში.

16 თებერვალს, გელა გურაბანიძის ვაჟს — გიორგის, 13 წელი უსრულდება. დიდი ტრავმაა ბავშვისათვის, რომელსაც მამას და ბიძას — ლაშას, თავის დაბადების დღეზე მუხანათურად მოუკლავენ. აი, უკვე 6 წელია, ამ დღეს სანთლებითა და ცხარე ცრემლით აღნიშნავენ.

გელას სიცოცხლის გამგრძელებლები — ირაკლი და გიორგი, მამისა და ბიძების სული სადიდებლად, ბებია-ბაბუის და დედის სანუგეშოდ, პომავალი სასახელო ფეხბურთელები იზრდებიან.

გელას, ლაშას და გიას სახით საქართველოს დააკლდა ვაჟკაცი პატრიოტები. ღმერთმა სამარადისო სასუფეველი დაუმკვიდროს მათ სულებს.

*ოჯახის ახლობელი*

**ნაზიკო ოსიაშვილის გახსენება**



12 თებერვალს 3 წელი შესრულდება, რაც სამუდამო სასუფეველში დაიდე ბინა, ჩემო საყვარელო დეიდა. ამბობენ, დეიდას დედის სუნი აქვსო. ალბათ ამიტომ მენატრები ძალიან, ალბათ ამიტომ მეცხადები ხოლმე სიზმრად. ნაადრევი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა, მაგრამ გაბზარულმა გულმა ველარ გაუძლო სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს და სამუდამოდ დადუმდა.

*წყვდიადი სუფევს ახლა შენ ირგვლივ,*
*დუმილს სიცივე ენაცვლება აუტანელი,*
*ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი*
*სული ამქვეყნად გაუხარელი.*

*ლია*

**გოგა მირიანაშვილის ხსოვნას!**



ორმოცი დღე გავიდა შენი წასვლიდან, გოგა! მძიმე და გაუსაძლისია უშენობა შენი ოჯახისთვის, განსაკუთრებით შენი თამუნასთვის. შენს ხსოვნას მუდამ გულით ვატარებთ, არასოდეს დაგივიწყებთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო გოგა...

*ირმა და თამუნა*

**გოგა მირიანაშვილს!**



ჩვენო საყვარელო გოგა! ორმოცი გაუსაძლისი დღე გავიდა იმ კოშმარული დღიდან, შენ რომ დაგკარგეთ. შავი ახალი წელი გაგვითენდა, თავზარდამცემი და აუტანლად ტკივილიანი. ჩვენო ლამაზო, თბილო, სიკეთითა და სიყვარულით სავსევ, მარად ახალგაზრდად დარჩენილო 39 წლის ვაჟკაცო, რამდენი ოცნება და გეგმა დაგრჩა განუხორციელებელი. გოგა, ჩვენო სიამაყევ და დიდო იმედო! რა ვუთხრათ შენს საყვარელ ცოლ-შვილს?! არ არსებობს ჩვენთვის ნუგეშის სიტყვა. აუტანელია უშენობა. გოგა, უძვირფასესო და განუმეორებელო, უსაზღვროდ გვენატრები. ვცოცხლობთ მხოლოდ ერთი იმედით, რომ სასუფეველში, სადაც შენი სული დამკვიდრდა, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

*გაუბედურებული მშობლები, გულდათუთქული და, სიძე და დისშვილები*

**ხათუნა კოპალეიშვილის გახსენება**



ამბობენ, — დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შეუძლებელია იმ დიდი ტკივილის ჩვენი გულებიდან ამოშლა, რასაც შენი არყოფნა ჰქვია. ორი წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, თუმცა დღესაც ისეთივე მძაფრია უშენობის შეგრძნება, როგორც იმ საბედისწერო წუთებში. ერთხელ მომწერე: შენ რომ არ იყო, ჩვენი სამეგობრო არ იარსებებდაო. თურმე ცდებოდი, ჩვენი სამეგობრო აღარ არსებობს. თუმცა, კვლავ ერთად ვართ, ვიკრიბებით და ვიხსენებთ ათას რამეს, მაგრამ ვგრძნობთ, რომ გვაკლია რაღაც ძალიან დიდი, გვაკლია ის, რასაც შენი სახელი ჰქვია, შენი ომახიანი შეძახილი, სითბო და სიყვარული, რასაც უხვად იმეტებდი ყველა ჩვენგანისათვის. მომიბოდიშებდი და მეტყოდი: „მე შემიძლია დაგვხვდე ყოველთვის, გაცილებით კი ვერ გაგაცილებ“. არ გიყვარდა განშორება, ვერც მე შევძელი შენი გაცილება, ვერ მიგაცილე შენს საუკუნო სამყოფლამდე, რომ არ მენახა როგორ ჩაგიშვებდნენ ცივ სამარეში და დარჩი ასე ჩემს მეხსიერებაში: ტახტზე მიძინებული ნაზი დედოფალი. გამიგონია, ღმერთსაც რჩეულები მიჰყავსო ზეციურ სასუფეველში. შენც სწორედ ასეთი გამორჩეული იყავი. მიკვირს, როგორ მოასწარი ასე პატარამ ამხელა სიყვარულის დათესვა ყველას გულში, შენ ხომ მხოლოდ 23 წლის იყავი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ, რათა ღმერთმა გაანათლოს შენი სპეტაკი და სათუთი სული.

*მეგობრების სახელით ნ. ჭიქინაშვილი*

**ირაკლი ბაზაძის გახსენება**



ის ნაღდი თბილისელი იყო უკვე — თავისი განუმეორებელი რაინდული თვისებებით. თუ შეგხვდებოდა და უგუნებობას შეგამჩნევდა, მიზეზს გკითხავდა. თუ ეტყოდი, რომ დევნილი მწერალი ნაქირავებში ცხოვრობ, წამით შეჟუჟნდებოდა... იფიქრებდა ცოტა ხანს და შემდეგ გთხოვდა იქვე, ლიტერატორთა სახლში წასვლას. როცა მიზანს მიაღწია და კიდევ ერთ მეგობარს გაუწოდა ხელი, ნათელი ღიმილი გადაეფინა სახეზე — ის უბედნიერესი კაცი იყო!

... ერთი ნაომარი პოეტი საზღვარგარეთ უნდა წასულიყო. ჩვენს წრეში ჩაილაპარაკა, რომ შესაფერისი პალტო არ ჰქონდა. იქვე, ყველას თვალწინ სწორედ ირაკლი ბაზაძემ გაიხადა პალტო და გადასცა.

სიყვარულიც იცოდა გასაოცარი. „მარისთვის“ სხვადასხვა დროს ათი ლექსი ჰქონდა მიძღვნილი. მაინც „ცისკრელებს“ უყვარდათ ყველაზე უფრო — ერთი კვირაც რომ არ გამოჩენილიყო, ვინ ეტყოდა რამეს — „კაცს, რომელსაც პოეზია მიჰყავდა...“ ისე უცბად წავიდა, სამი წელი კი არა, მარადის დარჩება ჩვენს გულებში — და მაინც ქუთაისელი პოეტი, იქაური თან რომ დასდევდა მუდმივად. დაუფასა ქალაქმა: ახლახან მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ ქუჩას, სახლს გაუკეთდა მემორიალური დაფა პოეტს, რომელსაც შეეძლო დაეწერა: „თითქო მოვადექ ნაპირს, თითქო ჩერდება დროც და მერე აღარსად მიდის“... ან: „რომ ვერ გავექცე ვერაფრით ვერსად შენს სიკვდილს — ჩემი სიკვდილის ნაწილს“... ან კიდევ: „ფოთლები სცვივა შენს ლამაზ ბაღში თუ ჩემი ჩრდილის ნაფლეთებს ყრიან“...

*ინდიკო კვეკვესკირი, მწერალი-აკადემიკოსი*

დედა თამარი; მეუღლე ლია; შვილები: ასლან, გიორგი, თამრიკო; რძალი ირინა; სიძე გიორგი ვაშაკიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ომარ უგრეხელიძე**

*დაკრძალვა:* 13 თებერვალს, სამტრედიის რ-ნის სოფ. დიდი ჯიხაიში.

**„კვირის პალიტრა“** თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

აბაშის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან განყოფილების ყოფილი უფროსი მედდის



**ზინა ჩიტეიშვილი-კუჭავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მამიდები: ჯულიეტა და მერი ქორჩილავები; ბიძა ვალერიან ზუხბაია; მამიდაშვილები: დავით რურუა, რუსუდან და ვალერი ზუხბაიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლევან ომარის ძე ქორჩილავა**

*დაკრძალვა:* ქ. მოსკოვში

ზღაპრებიდან და ზღაპრებიდან ალბათ გსმენიათ ამბები ტყის მბრძანებელი ულამაზესი გრძნეულის შესახებ. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისთვის სვანების წარმართულ ღვთაებას, ნადირობის ქალღმერთ დალის და მეგრულ ტყაშმაფას — ოქროსფერთმიან ალს შეგახსენებთ.

ამბავი, რომელიც ჩემი ერთი ახლობლის ოჯახში მოვისმინე, სწორედ დალისა თუ ტყაშმაფას წყალობით დატრიალდა და... დავრწმუნდი, რომ რასაც ადამიანის გონება გაიაზრებს ან წარმოიდგენს, რაც ჩვენ ხშირად

## ბებო, სულ შენ გხედავდი და აი, ამასო...



დაუჯერებელი გვგონია, შესაძლოა, ჯერ კიდევ შეუცნობი სინამდვილის ნაწილი იყოს. მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, გთავაზობთ ქალბატონ გულიკოს ნაამბობს:

— 43 წლის წინ, შეყვარებულს გავყევი ცოლად. ბედნიერი ცოლ-ქმარი ვიყავით, სანამ თბილისს დავტოვებდით. რამდენიმე წლის შემდეგ მეუღლე სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში გადაიყვანეს. რა თქმა უნდა, მეც გავყევი. ჩვენს ბედნიერებას იმხანად მხოლოდ ის ამბავი ჩრდილავდა, რომ სრულიად ჯანმრთელ ცოლ-ქმარს რატომღაც შვილი არ გვეძლეოდა. ექიმები გაოცებულნი იჩეჩდნენ მხრებს და შეთქმულებივით ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, — სანამ ღმერთი არ მოგხედავთ, ვერავინ დაგეხმარებათო. ჩვენც, ღვთის იმედად და ერთმანეთის სიყვარულით, თავს მშვიდად ვგრძნობდით, ვიდრე დღემდე აუხსნელი უბედურება არ დაგვატყდა თავს...

ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარდა ნადირობა. ერთ საღამოს, ნადირობიდან დაბრუნებულმა, ნანადირევი მაგიდაზე დაყარა, არც კი შემომხედა, დაწვა და დაიძინა. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ტანჯვა. თითქმის ხმას არ მცემდა, გამირბოდა. ღამით კი თუ მომიალერსებდა, ცოტა ხანში უცნაური, საშინელი ტკივილები ეწყებოდა. მალე სამსახურსაც თავი დაანება და სულ გატყიურდა. მეზობლის მოხუცმა ქალმა შემამჩნია დარდი. გული გადავუშალე. მითხრა, — შენს ქმარს, როგორც ჩანს, ტყის დედოფალი ჰყვარობს, თუ დაარცდენინებ სიმართლეს, ქმარს კი დაიბრუნებ, მაგრამ ავადმყოფობით მალე ამოხდება სული, თუ არა და, უნდა ითმინო ეს ყველაფერიო. ამ ამბავმა სასო წარმიკვეთა. სამი დღე და ღამე ჩემი ქმარი აღარ გამოჩენილა. მეოთხე ღამეს ავდექი, გონდაკარგულივით ტყის ბილიკს დავადექი. მხოლოდ თავის მოკვლაზე ვფიქრობდი. კლდის პირზე დიდხანს ვიდექი, ვერ ვბედავდი ცოდვის ჩადენას. უცებ ქალის ხმა მომესმა, — გულიკო, რას აპირებო. მივბრუნდი. თვალისმომჭრელად მომხიბლავი ქალი იდგა. დედიშობილა მეწამულ გაშლილ თმაში გახვეულიყო. თითქმის ანათებდა. ხმა ვერ ამოვიღე. უკან გამომყევიო, — მანიშნა. უნებურად დავემორჩილე. ჩვენს სახლამდე მიმიყვანა, მერე გვერდზე გადგა და მითხრა, — წადი ახლა შინ და მაგაზე ფიქრი აღარ გაბედო. მარტო არა ხარ, მუცლით შვილს ატარებო. მეორე დღეს ყველაფერი სიზმარი მეგონა, თანაც ჩემი ქმარი გვერდით მეწვა! ვერაფრით ამიხსნია, რა მოხდა მაშინ. ექიმთან გავვარდი — ორი თვის ორსული ვიყავი. მშობიარობამდე ჩემი ქმრის სითბო და ყურადღება არ მომკლებია, სრულიად შეიცვალა. გოგონა გაგვიჩნდა, ორი თვის რომ შესრულდა, ლევანმა ისევ მოინდომა სანადიროდ წასვლა. ვემუდარე, მაგრამ ცოცხალი თავით არ დაიშალა. იმ დღიდან ისევ დავკარგე ქმარი. მერე მთელი სანათესავოს ჩარევით, ისევ თბილისში დავბრუნდით. მაგრამ რა? ორ-სამ ღამეს შინ გაათევდა და ისევ სამეგრელოში გარბოდა. ერთხელ ის ქალი მესიზმრა. იმ კლდის პირას, საიდანაც გადახტომას ვაპირებდი, იჯდა და მოთქვამდა, — ჩვენ, ორივენი, სამუდამოდ დავკარგავთ მას. ყოფილიყავი აქ, რატომ წახვედი, გულიკო, რატომ წახვედიო... მერე შემზარავად იწივლა და გამომეღვიძა კიდეც. დილით საშინელი ამბავი მაცნობეს, ლევანი ავარიაში დაიღუპაო.

მართლაც სამუდამოდ დავკარგე და მას მერე სიზმარშიც კი არ მინახავს. თუმცა, იმ იდუმალი არსებისგან მოსვენება დღემდე არა მაქვს. ჩემი გოგონა ყოველ დილას ერთსა და იმავე სიზმარს მიყვებოდა ხოლმე, — ვიღაც ოქროსთმიანი, ულამაზესი ქალი მეფერება ხოლმეო. მივხვდი, ის წყეული ჩემს შვილს იყო შეჩენილი. ეკლესიაში დავიწყე სიარული. შვილიც სულ გვერდით მყავდა. 17 წლისა გათხოვდა და ბიჭი შეეძინა, ბაბუის სახელი დაარქვეს, იქნებ საბედისწეროდაც. უმცროსი ლევანიც, უფროსის მსგავსად, ნადირობის მოყვარული გამოდგა. ერთ საღამოს 20 წლის ყმაწვილმა დიდის ამბით რომ გამიმცხადა, — ბებო, ბაბუაჩემის საყვარელი სანადირო ადგილები უნდა მოვინახულო, ძმაკაცებთან ერთად სამეგრელოში მივდივარო. გადავირიე, — ბებო, რა დროს სამეგრელოში ნადირობაა ამ არეულ დროში. სხვაგან წადითმეთქი. ისეთი სიზმარი მაქვს ნანახი, უხვ ნადავლს თუ ვერ ჩამოვიტან, კარგ გოგოს აუცილებლად გავიცნობო და მიამბო, ოქროსფერთმიანი ულამაზესი ქალი მეზმანაო. ვერ ვუთხარი სიმართლე, რომელსაც შვილსაც გულმოდგინედ ვუმალავ დღემდე. არ დაიშალეს ბიჭებმა, მაინც წავიდნენ. ბოდბეში წავედი, წმინდა ნინოს შევთხოვე დახმარება, სულ მუხლისჩოქით მოვილოცე წმინდა ადგილები. შინ დაბრუნებულს ამბავი დამახვედრეს... ბიჭები ზუსტად ჩემი მეუღლის დაღუპვის ადგილზე, ავარიაში მოხვედრილან. მანქანა ხრამში გადავარდნილა. დღემდე არ ვიცი, რა სასწაულს მივაწერო ის, რაც მოხდა. ლევანის მეგობრები — ოთხი ბიჭი — საღ-სალამათი გადმოვიდნენ მანქანიდან, ჩემი შვილიშვილი კი უგონოდ გადმოიყვანეს. 3 თვე იყო რეანიმაციაში. დღე და ღამე ვლოცულობდი. ორი კვირაა, ბიჭი გონს მოვიდა. მე რომ დამინახა, მითხრა, — ბებო, სულ შენ გხედავდი და აი, ამასო — და ხელი თაროზე დადებული წმ. ნინოს ხატისკენ გაიშვირა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ ხიტყვებს თან დაატანა — ღვთის წინაშე ვფიცავ, სანადიროდ არასოდეს წავალო. მერე, მოგვიანებით, დედამისისთვის უთქვამს, — ავარიამდე წინ ვიღაც კაცი გადამეღობა. ვიფიქრე, ავაცილებ, არ დავარტყა-მეთქი და ხრამში გადავვარდით. ახლა ვხვდები, ბაბუაჩემი იყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ასე მგონია, რაღაცას მიშლიდაო.

ჩემი უბედურება, მგონი, დასრულდა და ღმერთის და უდიდესი წმინდანების წყალობით, უწმინდური ძალა დავამარცხეთ.

*ეკა ლომიძე*

„კოლუმბია" დაიღუპა. ახლა ისრაელის მტრებს შეუძლიათ, ნიშნის მოგებით გაიხსენონ 1-ელი თებერვლის მოვლენათა უცნაური ჯაჭვი.

სამხედრო მფრინავი ილან რამონი თავის დროზე ერაყისა და ლიბანის ოპერაციებში მონაწილეობდა. „კოლუმბიის" ფრენისას პრეზიდენტი ბუში გამოვიდა სიტყვით და განაცხადა, — მზად ვარ, ომი ერაყში გაეროს სპეციალური კომისიის საბოლოო ვერდიქტამდე დავიწყოო. ამ დროს „კოლუმბია", რომელიც დედამიწისკენ ეშვებოდა, აფეთქდა



## ილან რამონზე შური იძია ბოროტმა ბედისწერამ

და ცეცხლოვან ნამსხვრევებად იქცა. ამასთან, მოყვარულმა ასტრონომმა მოასწრო ფირზე გადაეღო უცნაური, L-ის მსგავსი მჭახე ნარინჯისფერი შენადედი რაკეტის ახლოს. რა იყო ეს — ბურთისებრი ელვა? ამო? შემდეგ ხომალდის ნამსხვრევები ამერიკის პრეზიდენტის მშობლიურ შტატში ჩამოცვივდა. ფიუზელაჟის ერთი ნაწილი კი პალესტინის გარეუბანში ჩამოვარდა. ღვთის ნიშანია?

ისრაელის გაზეთმა „არეტც"-მა გამოაქვეყნა ინტერვიუ რამონის ქვრივთან. რონა რამონი იხსენებს, რომ „კოლუმბიის" დაშვებისას მთელი ოჯახი მოვლენებს სამეთვალყურეო პუნქტიდან ადევნებდა თვალს და სანამ ეკიპაჟთან კავშირის დაკარგვის ცნობა მივიდოდა, კოსმონავტის უმცროსმა ქალიშვილმა, ნოამ, უცებ წამოიძახა. — „მე დავკარგე მამა".

— ამ დროს ხომალდის დაჯდომამდე წამებს ვითვლიდით, მაგრამ... შემდეგ მოვისმინეთ, რომ გაწყდა კავშირი... არ გვითხრეს, რა მოხდა, მაგრამ ჩემმა გოგონამ უკვე ყველაფერი იცოდა, — თქვა ქალბატონმა რამონმა.

ინდოელი ასტროლოგი მადან გუპტა სათპუ დარწმუნებულია, რომ „კოლუმბია" დაღუპა რიცხვებმა: „7" და „16". ჯერ ერთი, „კოლუმბიის" ეკიპაჟში იყო 7 კაცი. იგი 16 იანვარს აფრინდა (ეს კი არის 1+6, რაც უდრის 7-ს), მეორეც — ხომალდი აფეთქდა ადგილობრივი დროით 9:43 სთ-ზე (ამ სამი რიცხვის ჯამიც 16-ია). 7-მა საბედისწერო როლი ითამაშა ასტრონავტ კაპლან ჩავლასის ცხოვრებაშიც. მისი გვარი 7 ასოსგან შედგება. იგი დაიბადა 07.01.1961-ში (თუ ყველა რიცხვს შევკრებთ, მივიღებთ 25-ს, 2-ის და 5-ის მიმატებაც შვიდიანს გვაძლევს).

*კომსომოლსკაია პრავდა №16*

## ქვეწარმავალმა მაწვნიანი ტანი შეიბერტყა და...



1958 წლის მაისში ჭალადიდის ზამთრის საძოვრებზე ძლიერ დაცხა. ფერმებმა თანდათანობით ზაფხულის იალაღებს მიაშურეს. მალე მათ კვალს ჯგალისა და მუხურის მესაქონლეებიც უნდა გაჰყოლოდნენ.

გამგზავრების წინა დღეს მწყემსებმა კარავში მოიყარეს თავი. ტაბლაზე ცხელ ღომს ოხშივარი ასდიოდა. მორიგემ ხის ჯამებით ცივცივი მაწონი ჩამოარიგა... პურობა ჩვეულებისამებრ ჩაივლიდა, რომ არა ერთი ამბავი, რომელმაც მთაში გადაბარგება ერთი თვით გადადო: როგორც ხშირად ხდება, სადილზე რამდენიმე კაცმა განმეორებით მოითხოვა მაწონი. ბოლოს, ხის მოზრდილ ჭურჭელს პაჭულია კვარაცხელია მიადგა და ენერგიულად ამოუსვა ჩაყვა (ხის კოვზი) ქილაში დარჩენილ სითხეს. უეცრად იქიდან თეთრად შეფიფქული ვეებერთელა გველი ამოიმართა, იქვე, მაგიდაზე, მშვიდად შეიბერტყა ტანი, წამით თვალი მოავლო გაოგნებულ მწყემსებს, შემდეგ ქვემოთ ჩამოიზლაზნა, მარდად გასრიალდა კარებში და შორიახლო ჩამდინარე არხის წყალში გაუჩინარდა.

ვერავინ მიხვდა, საიდან შემოიპარა უხსენებელი ქვითკირის ქოხში. ეტყობა, დასიცხული ქვეწარმავალი სიგრილემ მიიზიდა. ზედმეტი ფიქრის დრო არც იყო — შვიდი მწყემსიდან ოთხი იატაკზე გორავდა და განუწყვეტლივ აღებინებდა. სხვა რა გზა იყო — საშველად ექიმებს მიმართეს.

იმ დღეებში ხალხი ფოთის საავადმყოფოს მიაწყდა — ყველას უნდოდა, საკუთარი თვალით ეხილა გველთან მაწონშეზიარებული პაციენტები.

შიშნაჭამი მესაქონლეების ფსიქოთერაპიულმა მკურნალობამ კარგა ხანს გასტანა. იმ ზაფხულს მათ ბორჯომისა და საირმის საგზურებიც ბლომად გამოუყვეს და ას-ასი მანეთით მეტი ხელფასიც გამოუწერეს.

ერთადერთი კაცი, ვისაც უხსენებლის მაწონში ყოფნა აინუნშიაც არ ჩაუგდია, პაჭულია კვარაცხელია გახლდათ. ის კიდეც ოხუნჯობდა — ღმერთი გამიწყრა, ის შეჩვენებული გველი გაულოკავი რომ გავუშვი ხელიდან და ხვავი და ბარაქა თან გავატანეო.

იმ უჩვეულო შემთხვევის მთავარ მოქმედ გმირებს — აბელ კვარაცხელიას, გულიკო საჯაიას, ბოჩოჩია ჭელიძესა და იაშა გაბედავას სამუდამოდ სანანებლად დაურჩათ გველის სტუმრობა — ზოგიერთი მათგანი ისე მიიცვალა, სულგუნს, მაწონსა და რძის სხვა ნაწარმს ახლოს არ გაეკარებია.

*დალი გაბედავა*

„საზღლოლო-სალალო“ გვერდის პასუხები

I. ბ, ა, გ, ე, ზ, ვ, დ.

II. აბა, გამოიცანი

1) — ბ; 2) — გ; 3) — დ;
4) — ა; 5) — გ; 6) — ბ;

III. რებუსი

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

IV. წყალი.

V. მე-4 ფრაგმენტი.




# სტეფანია კრიმინალებმა გააქციეს




უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული კალათბურთი უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მსოფლიო საკალათბურთო ასოციაციაში (FIBA — რედ.) გაწევრების შემდეგ, ძლიერი ეროვნული გუნდის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. ამას ვინლა ჩივის, ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპზე ისეთ „არასაკალათბურთო" ქვეყნებთან მარცხდებოდა, როგორებიც არიან: ირლანდია, კვიპროსი და დანია. ამგვარ გუნდებთან წაგებებმა უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩების ხილვის საშუალება მოგვისპო და ფაქტობრივად, ეს გუნდი ჩვენი გულშემატკივრისთვის არც არსებობს.

არადა, საქართველოში ტალანტები ნამდვილად იზრდებიან. ქვეყნის იუნიორთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე რამდენჯერმე ითამაშა, ორიოდე წლის წინ კი ეს ნაკრები სლოვენიაში ჩემპიონატის აღმოჩენადაც დაასახელეს. NBA-ში ორი ქართველი (ვოვა სტეფანია „მაიამიში" და ნიკა ცქიტიშვილი „დენვერში") თამაშობს. მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ორი წარმომადგენელი ყოფილი საბჭოეთიდან რუსებსაც არ ჰყავთ.

თურქეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, „ულქერის" წევრია 19 წლის ზაზა ფაჩულია, რომელიც ევროლიგაშიც თამაშობს. იტალიური კალათბურთის გრანდის, „ბენეტონის" მაისური თამამად მოირგო 18 წლის მანუჩარ მარკოიშვილმა. პორტუგალიასა და თურქეთში საკმაოდ წარმატებულად თამაშობენ ვატო ნაცვლიშვილი და დათო ბერძენიშვილი. 17 წლის გიორგი მდივანი საფრანგეთის ჩემპიონ „პო ორტეზში" ჩაირიცხა და ისიც დიდ იმედებს იძლევა, თუმცა მას ეროვნული ნაკრების ფორმა ჯერ არ მოურგია. იტალიურ კლუბ „კინდერში" გადასვლას ელის „სლოვანში" მოთამაშე 19 წლის დათო უგრეხელიძე.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილთა უმრავლესობა ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდაა და მათ ეროვნულ ნაკრებში თამაშის საშუალება არც ჰქონიათ. 2005 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრები უნდა გაიმართოს და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა აქედანვე შეუდგა ზრუნვას წინა ციკლის შეცდომების გამოსასწორებლად. ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესო ლიპარტელიანმა მშვენივრად იცის, რომ ნაკრებს პოტენციალი გააჩნია და გადაწყვიტა უცხოელი სპეციალისტი ჩამოიყვანოს. ჯერჯერობით ლიპარტელიანი მწვრთნელის გვარს არ აკონკრეტებს, თუმცა ცნობილი ხდება, რომ განიხილება ორი კანდიდატურა — ერთი ყოფილი საბჭოეთიდან, მეორე — ყოფილი იუგოსლავიიდან.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ორი წლის წინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნას თავად ითხოვდა ცნობილი სლოვენიელი სპეციალისტი ტომ მახორიჩი, ზემოთ ხსენებული „ოლიმპიას" მთავარი მწვრთნელი. განიხილება თუ არა მისი კანდიდატურა, ჯერ უცნობია.

კალათბურთის სამყაროში კიდევ ერთი სიახლეა: ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, მერაბ რატიშვილი, რომელიც მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (34 წლის გახლავთ), კოლეგებსა და სპორტულ წრეებში უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. თავის დროზე იგი დიმა ობოლაძესთან ერთად გახლდათ ქართული საკალათბურთო შოუს, ანუ „ოლ სტარის" ინიციატორი. მერაბ რატიშვილი გარკვეული პერიოდი ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივნად მუშაობდა.

ბატონი მერაბისგან უაღრესად საინტერესო სიახლე შევიტყვეთ. იგი ეხება საქართველოს ნაკრებში არსებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მესამე წელია ამერიკაში გადასული თავდამსხმელი ვოვა სტეფანია საქართველოს ნაკრებში თამაშს, უფრო სწორად, სამშობლოში ჩამოსვლას უარობს, მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ რა ტკივილმა და დამცირებამ ჩამოაშორა იგი ნაკრებს. არსებული ინფორმაციის თანახმად, სტეფანია რამდენჯერმე დააყაჩაღეს კრიმინალურმა დაჯგუფებებმა და ბუნებრივია, კალათბურთელმა არჩია თავი აერიდებინა საფრთხის, ნერვიულობისა და დამცირებისათვის.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესო ლიპარტელიანი თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ცდილობდა, სტეფანია მოებრუნებინა, რადგან საქართველოს ნაკრებს მისი სახით დიდი ძალა შეემატება. მერაბ რატიშვილი ლიპარტელიანი-სტეფანიას მოლაპარაკების უცნობ დეტალებს გვიმხელს...

**— ბატონო მერაბ, როგორც ვიცით, სტეფანია საქართველოში ჩამოსვლას თავს არიდებდა. თუ არის დამაიმედებელი სიახლე, რომლის გამხელაც შეგიძლიათ?**

— ბესო ლიპარტელიანი ერთხელ დაუკავშირდა და ესაუბრა ვოვას, მაგრამ მისგან ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი კითხვაზე, ითამაშებს თუ არა იგი საქართველოს ნაკრებში.

ხომ იცით, ვოვას თბილისში ისეთი რამ შეემთხვა, რაც, სამწუხაროდ, უკვე ძალიან გახშირდა საქართველოში. ამიტომაც მისი გვესმის, ვოვას ჩამოუსვლელობის ობიექტური მიზეზები გააჩნია. მისი დაყაჩაღების შემდეგ ორი წელი გავიდა. სტეფანია თბილისში არც ჩამოსულა.

ყველას კარგად გვახსოვს, ამის გამო ვოვას როგორ ლანძღავდნენ, აბრალებდნენ, პატრიოტი არ ხარო და ათას რამეს, მაგრამ ყველამ წარმოიდგინოს თავი მის მდგომარეობაში და აღარ მოუბრუნდებათ მის საწინააღმდეგოდ ენა.

**— აპირებს თუ არა, კალათბურთის ფედერაცია მისცეს სტეფანიას დაცვის გარანტიები?**

— თუ მივაღწევთ კალათბურთელთან შეთანხმებას და ნაკრებში თამაშს დათანხმდება, ძალოვან სტრუქტურებს ვთხოვთ, გამოუყონ ვოვას დაცვა. მივმართავთ ყველას — უშიშროების სამინისტროთი დაწყებული, სახელმწიფო დაცვის სამსახურით დამთავრებული, ოღონდ ამ ბიჭმა თანხმობა განაცხადოს.

ჯერ კი ვოვასა და ლიპარტელიანს შორის საბოლოოო მოლაპარაკება არ შემდგარა. ალბათ, უახლოეს პერიოდში გაემგზავრება ამერიკაში ლიპარტელიანი საგანგებოდ ვოვასთან მოსალაპარაკებლად.

**— თუ არ ვცდები, სტეფანიას თანხმობის შემთხვევაშიც კი, ნაკრებში მის გამოსვლას დააბრკოლებს NBA-სა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრათა კალენდრის დამთხვევაც.**

— სამწუხაროდ, ასეთი დამთხვევები ხელს შეუშლის ნიკა ცქიტიშვილის ჩამოსვლასაც. თუკი ევროპული კალათბურთის კალენდარი არ შეიცვალა, 41 ევროპელი მოაკლდება თავის ნაკრებს. ახლა განიხილავენ ახალ კალენდარს, რომელიც ამერიკული კალათბურთის შესვენებას უნდა დაემთხვეს, რაც ძალიან გვაიმედებს.

დაბოლოს, მერაბ რატიშვილის თქმით, ეროვნული ნაკრები ივნისის ბოლოს ორკვირიან შეკრებას გაივლის. ამის შემდეგ ქართველები საბერძნეთის ფედერაციის მიწვევით ამ ქვეყანას ესტუმრებიან და ელინთა ნაკრებთან და გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებს გამართავენ. საბერძნეთიდან გუნდი გადაინაცვლებს იტალიაში, სადაც საერთაშორისო ტურნირია დაგეგმილი. თუმცა, ჯერ გაურკვეველია გამგზავრების ზუსტი ვადები. ამიტომ კალათბურთის ფედერაციასაც ადარდებს, ბერძენთა და იტალიელთა მიწვევები ერთმანეთს არ დაემთხვეს. ახლა ხომ ეროვნული გუნდისთვის თითოეულ ტურნირს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

*ზვიად კალანდაძე*

## გარდაიცვალა მიხეილ მესხი



გასულ ხუთშაბათს 41 წლისა გარდაიცვალა მიხეილ მესხი — დიდი ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის ვაჟი, თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი. უმცროსი მიშა მესხი 1982-86 წლებში თამაშობდა „დინამოში", 1987 წელს მოსკოვის „სპარტაკშიც" სცადა ბედი, სულ ბოლოს, 1989 წელს ლანჩხუთის „გურიის" ღირსებას იცავდა. უნიჭიერესი უმცროსი მესხის კარიერა ისე არ აეწყო, როგორც ქართველ გულშემატკივარს სურდა. მაშინ როდესაც დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა, საქართველოში დროც აირია და ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი დაიკარგა, მათ შორის იყო მიშა მესხიც, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ სპორტსკოლა „ავაზას" დირექტორად მუშაობდა.



აქსისი
AXIS

◆ 2 ოთახიანი 75 მ²
◆ 3 ოთახიანი 110 და 130 მ²
◆ 4 ოთახიანი 150-დან 220 მ²-მდე
◆ დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
◆ ჭერის სიმაღლე 3.24მ
◆ ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელ-ფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე - (იპოდრომთან)

◆ აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
◆ ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მიწისქვეშა სადგომი.
◆ შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ექნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com

# სად მოდის კობიაშვილი? — კითხულობენ „შალკეში"



25 წლის ქართველი ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი ივნისიდან თავისუფალი აგენტი გახდება და „ფრაიბურგს" ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დატოვებს. ეს კი საქართველოს ეროვნული გუნდის წევრს „ფრაიბურგზე" გაცილებით ძლიერ გუნდში კარიერის გაგრძელების მშვენიერ პერსპექტივას უქმნის. მართალია, ლევანს ევროპულ მედიაში მისივე დონის სხვა ფეხბურთელების მსგავსი რეკლამა არა აქვს, მაგრამ გერმანულ პრესაში მისი გვარი ხშირად და ამასთან, დადებით კონტექსტში, გაიჟღერებს ხოლმე. ერთი თვის წინ ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული სპორტული გაზეთის — „კიკერის" ფურცლებზე „ფრაიბურგის" მწვრთნელმა, ფინკემ ქართველ ნახევარმცველს „ყველაზე საიმედო" უწოდა. გაზეთის შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით კი ლევანი მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო მოთამაშეთა შორის დაასახელეს. ასეთ ფეხბურთელს კი „ფრაიბურგის" დონის კლუბში გაჩერება დიდხანს არ უწერია.

საბედნიეროდ, ჩაიშალა კობიაშვილის მოსკოვის ცსკა-ში თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი. ახლა ლევანი საჯაროდ აცხადებს, რომ ახალი სეზონიდან ან „შალკეში" ჩაირიცხება, ან დორტმუნდის „ბორუსიაში".

ლევანმა ჩვენთან მოლაპარაკების დეტალებზე ისაუბრა:

*— უფრო სავარაუდოა, რომ „შალკეში" ჩავირიცხები. კონტრაქტი, შესაძლოა, ერთ კვირაში გავაფორმო, შესაძლოა, ერთ თვეში, მაგრამ „ფრაიბურგში" რომ აღარ გავჩერდები, ეს დანამდვილებით ვიცი.*

გერმანული ფეხბურთის გრანდში მეორე ბუნდესლიგაში მოცდენილი ქართველის შესაძლო ტრანსფერს „კიკერიც" გამოეხმაურა:

*„კობიაშვილისა და სიმონის შესაძენად გააქტიურდა „შალკე". კლუბის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, გადაწყვიტა, გადაებირებინა „ბრიუგესა" და ბელგიის ნაკრების წევრი ტიმ სიმონი, რომელიც შარშან ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „შალკეს" სურს, აგრეთვე, 25 წლის კობიაშვილის გადაბირებაც".*

იგივე თემას გამოეხმაურა „შპორტბილდი":

*„ქართველმა ფეხბურთელმა, ლევან კობიაშვილმა შესაძლოა, ამჟამინდელი კლუბი სეზონის ბოლოს დატოვოს. კობიაშვილი მეხუთე წელია, რაც „ფრაიბურგში" თამაშობს, ბუნდესლიგაში 121 ჩატარებულ შეხვედრაში მან 20 ბურთი გაიტანა".*

თუმცა, „შალკეს" მენეჯერმა რუდი ასაუერმა კლუბის ოფიციალურ საიტზე ეს ინფორმაციები უარყო: *„მე არ ვიცი, სად აპირებს მოსვლას კობიაშვილი. ჩვენ მის შესახებ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ".*

როდესაც ლევანს ასაუერის მოულოდნელი განცხადების კომენტარი ვთხოვეთ, გაიოცა: „პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, ასე უტიფრად მოვიტყუო. რადგან ვამბობ, რომ „შალკე" და „დორტმუნდი" მიწვევენ, ე.ი. ამის თქმის რეალური საფუძველი გამაჩნია. ასაუერის უარყოფა ამ შემთხვევაში, ბევრს არაფერს ნიშნავს. ალბათ, გარკვეული მოსაზრებებით ასეც იყო აუცილებელი".

# ჩივაძის სიურპრიზები

თბილისში, 12 თებერვალს, საქართველოს ნაკრები სეზონს გახსნის. „შინდისფერი" ლეგიონი ამხანაგურ შეხვედრას გამართავს მოლდოვას ეროვნულ გუნდთან. ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა უკვე დაასახელა ეროვნული გუნდის კანდიდატთა გვარები, რაც უდიდესი სიურპრიზი აღმოჩნდა ყველასათვის.

**მეკარეები:** ლომაია („ლოკომოტივი"); ნიკურაძე (KPT, ფინეთი).

**მცველები:** შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი (ყველა — „დინამო"); აბრამიძე („ტორპედო").

**ნახევარმცველები:** გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ალექსიძე („დინამო"); მუჯირი („შერიფი"); ჯიქია („ამიდა"); კვარაცხელია („ლოკომოტივი"); მენთეშაშვილი („ალანია").

**თავდამსხმელები:** ჩალადე („რუბინი"); აშვეთია („ალანია"); აფხაზავა („არსენალი", კიევი).



ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ჩივაძე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩებისთვის ძირითადად იმ ფეხბურთელთა გასინჯვას აპირებს, რომლებსაც ეროვნული ნაკრების ფორმა არ მოურგიათ, ან იქ გამოსვლის მეტად მწირი გამოცდილება გააჩნიათ. მაგალითად გამოდგება კიევის „არსენალის" საუკეთესო ბომბარდირი შალვა აფხაზავაც, რომლის მიწვევასაც უკვე ნახევარი წელია, უკრაინული კლუბის მწვრთნელი ჩივაძეს ურჩევს. 22 წლის ფორვარდმა უცხო გარემოში უცებ გამოიჩინა თავი და ახლა მასზე სპეციალისტები ალტაცებით საუბრობენ.

ინტერესს იწვევს მეკარე გიორგი ნიკურაძეც. ეს ახალგაზრდა უკვე ორი წელია ფინეთში თამაშობს და კლუბის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

ერთი სიტყვით, ჩივაძეს ბოლო ერთი წლის მანძილზე დიდი კონკურენციის გამო თავსატეხი გაუჩნდა, რაც თავისთავად ძალიან კარგია. თუმცა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის გადაწყვეტილება, არ მიეწვია გუნდში წამყვანი ლეგიონერები, არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. მართალია, ახლა კლუბები ფეხბურთელთა ნაკრებებში გაშვებას ყველანაირად აბრკოლებენ და „მილანმა" ბრაზილიელებს ჩინეთთან კომერციულ მატჩში მონაწილეობაც კი აუკრძალა, მაგრამ ეს საკითხები უბრძოლველად არ წყდება. რატომღაც, ჩივაძემ ანგარიში გაუწია არა ქვეყნის უმთავრესი გუნდის ინტერესებს, არამედ უცხოეთში მოთამაშე ქართველებსა და მათ კლუბებს.

ამ დროს, 12 თებერვალს ქართველები ოფიციალურ მატჩებამდე ბოლო ამხანაგურ თამაშს ჩაატარებენ. ასეთი შეხვედრების არსი კი ისაა, რომ მოხდეს ძირითად შემადგენლობასთან გამოუცდელთა შეთამაშება და დამუშავდეს გუნდის ტაქტიკური ჩანაფიქრი.

მაშინ, როდესაც ეროვნული ნაკრებისთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს, მისი ინტერესებისადმი ზერელე დამოკიდებულება ფეხბურთელებსაც არ ეკადრებათ.

კითხვები იბადება გიორგი ქინქლაძის გამოც. ჩივაძე აცხადებდა, რომ რუსეთის ნაკრებთან შეხვედრისას გიორგი იმიტომ არ გამოიძახა, რომ იგი ფორმიდან ამოვარდნილი იყო. თუკი ინგლისურ პრესას ვენდობით, „დერბის" ბოლო თამაშებში აშკარად კარგად გამოიყურება ქართველი გამთამაშებელი, ანუ მან ფორმა დაიბრუნა. ასეთ შემთხვევაში, ჩივაძე გიორგის ნაკრებში დაბრუნებას ჰპირდებოდა. თუმცა, მოლდოველებთან სათამაშოდ ჩივაძე ქინქლაძეს არ იძახებს. გამოდის, რომ ნაკრების მწვრთნელმა ან საბოლოოდ დაივიწყა მისი არსებობა, ან ინგლისურ პრესას არასაიმედოდ მიიჩნევს.

ასეა თუ ისე, გაუგებარია, რა მიზანს ისახავს ჩივაძე 12 თებერვალს. იქნებ, არც ამხელს და კიდევ უფრო დიდ სიურპრიზს გვპირდება, ამჯერად სასიამოვნოს.

*ზვიად კალანდაძე*

# მათეუსი „ბაიერნს" დაუპირისპირდა



დიდ გერმანელ ფეხბურთელს ლოთარ მათეუსს, რომელმაც ორიოდე წლის წინ დაანება თავი თამაშს, კარიერის საუკეთესო წლები მიუნხენის „ბაიერნში" აქვს გატარებული. მიუხედავად ამისა, დღეს მათეუსი „ბაიერნს" დაუპირისპირდა და გერმანიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს სასამართლოში უჩივლა. მათეუსის და მისი ყოფილი გუნდის მტრობას გასული წლის შემოდგომაზე ჩაეყარა საფუძველი. ლოთარმა ჩემპიონთა ლიგიდან სამარცხვინოდ გამოვარდნილი „ბაიერნი" პრესაში დასაცინ ობიექტად აქცია, რამაც გააცოფა ბავარიელთა მენეჯერი ული ჰიონესი, თავის მხრივ, არც მან დააკლო ლანძღვა მისივე კლუბის ყოფილ კაპიტანს. ამით თითქოს უნდა დასრულებულიყო ურთიერთობა გუნდსა და ექსფეხბურთელს შორის, თუმცა მათეუსს სხვა ჩანაფიქრი ჰქონია. მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ მის გამოსამშვიდობებელ მატჩში მონაწილეობის მიღებისათვის კლუბმა მას კუთვნილი თანხა დააკლო. დანაკლისი კი დაახლოებით 500.000 მარკაა. მათეუსი ამ თანხის ანაზღაურებას სასამართლოს ძალით ითხოვს და „ბაიერნს" ფინანსურ მაქინაციებში ამხელს. ული ჰიონესი რასაკვირველია, ყოველივეს უარყოფს და ექსფეხბურთელს ურჩევს, სანამ დროა, გამოიტანოს სასამართლოდან სარჩელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა თავად მათეუსს მოსთხოვონ პასუხი ცილისწამებისათვის. სასამართლო პროცესი 13 თებერვალსაა დანიშნული და ტყუილ-მართალიც იქ გაირკვევა.

# ფეხბურთი მშვიდობიანი მსოფლიოსათვის

„სამეფო ტურნირი მშვიდობიანი მსოფლიოსათვის" — ასეთი დასახელების ტურნირის პრეზენტაცია ჩატარდა სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში. ტურნირი ამავე ქალაქში გაიმართება 15-20 ივლისს. 8 გუნდი ორ ქვეჯგუფში განაწილდება. პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები კი ნახევარფინალებში დაწყვილდებიან. საპრიზო ფონდიც საკმაოდ სოლიდური იქნება — გამარჯვებული კლუბი 2 მილიონ დოლარს მიიღებს, მონაწილეობისათვის კი თითოეული გუნდი 500.000 დოლარით შეივსებს სალაროს. ახლა კი იმ გუნდებს გაგაცნობთ, რომლებიც ივლისის შუა რიცხვებში კორეაში ითამაშებენ: **რომა** (იტალია), **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია), **ლევერკუზენი** (გერმანია), **ლიონი** (საფრანგეთი), **სან-პაულუ** (ბრაზილია), **კაიზერ ჩიფსი** (სამხ. აფრიკა), **სეონგამ ილვხა** (კორეა), **ლოს-ანჯელეს გელექსი** (აშშ).

# „ფერარიმ" ახალი ბოლიდი წარადგინა



პარასკევს მარანელოში ახალი ბოლიდის პრეზენტაცია ჩაატარა „ფორმულა-1"-ის მსოფლიო ჩემპიონმა „ფერარიმ". მანქანის კონსტრუქტორთა აზრით, „ფერარის" ახალი მოდელი F-2003GA საუკეთესო ბოლიდია საუკეთესოთა შორის. „ფერარის" შეფებმა GA ინიციალებით ახლახან გარდაცვლილი ჯოვანი ანიელის ხსოვნას მიაგეს პატივი. ანიელი „ფერარის" ყოფილი პრეზიდენტი, „ფიატის" მფლობელი და ტურინის „იუვენტუსის" საფეხბურთო კლუბის მეპატრონეც გახლდათ. ანიელის გარდაცვალების გამო პრეზენტაცია ისეთი პომპეზური არ ყოფილა, როგორიც წინა წლებში. მიხაელ შუმახერთან და რუბენს ბარიკელოსთან ერთად „ფერარიმ" პუბლიკას ტესტ-პილოტებიც წარუდგინა — ლუკა ბადოერი და ფელიპო მასა. F-2003GA „ფერარის" შარშანდელ ბოლიდზე ოდნავ დაბალია, შეცვლილია გადაცემათა კოლოფი, მნიშვნელოვანი სიახლეები ვანიცადა ძრავამაც. სეზონის პირველ სამ რბოლას შუმახერი და ბარიკელო შარშანდელი ბოლიდებით გამართავენ, ახალი მანქანა კი პირველად სან-მარინოს გრან-პრის გათამაშებაში გამოიცდება.

# „ფორმულა-1" ისლამის წინააღმდეგ?

წესით და რიგით, სპარსეთის ყურის კუნძულოვანმა სახელმწიფომ, ბაჰრეინმა, გაისად „ფორმულა-1"-ის ერთ-ერთ რბოლას უნდა უმასპინძლოს. „ფორმულა 1"-ის შეფს, ბერნი ეკლსტოუნს უკვე გაფორმებული აქვს კონტრაქტი ბაჰრეინში გრან-პრის გათამაშების თაობაზე, თუმცა შესაძლოა ეს საკმარისი არ აღმოჩნდეს და რბოლის ჩატარება შეუძლებელი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტისათვის ბაჰრეინის მთავრობამ $500 მილიონი გამოყო, იქაურმა პარლამენტმა პროექტი არ მოიწონა, ვინაიდან „იგი ეწინააღმდეგება ისლამის ფასეულობებს". „ფორმულა 1"-ის შემოსვლა ქვეყანაში ტოტალიზატორების ბიზნესსააყვავებს. გარდა ამისა ტურიზმი განვითარდება, რაც პროსტიტუციის განვითარებასაც გამოიწვევს" — ნათქვამია ბაჰრეინის პარლამენტის ოფიციალურ განცხადებაში. საბოლოო გადაწყვეტილებას ბაჰრეინის მთავრობა უახლოეს თვეებში მიიღებს.

# ხესუს ხილის გეგმები



მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა, სკანდალებით სახელგანთქმულმა ხესუს ხილმა განაცხადა, რომ სერიოზულად ემზადება კლუბის ასი წლის იუბილეს აღსანიშნავად — „ატლეტიკო" დიდი გუნდია და საუკუნოვანი იუბილეც სათანადოდ უნდა აღინიშნოს". მოგეხსენებათ, შარშან მადრიდის „რეალმა" იზეიმა დაარსებიდან ასი წელი და „სამეფო კლუბი" მსოფლიოს ნაკრებს დაუპირისპირდა. ხილს უფრო გრანდიოზული ზეიმის მოწყობა განუზრახავს: იგი მადრიდის „ვისენტე კალდერონის" სტადიონზე (რომელიც „ატლეტიკოს" საკუთრებაა) ოთხთა ტურნირის მოწყობას გეგმავს მიუნხენის „ბაიერნის", „მილანის", არგენტინის „ბოკა ხუნიორსისა" და თავად „ატლეტიკოს" მონაწილეობით.

# სვენ გორან ერიქსონი „ბარსელონაში"?

მსოფლიოს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი ტოვებს ბრიტანეთს და კატალონიის „ბარსელონას" ჩაუდგება სათავეში. ასახელებენ თანხასაც, რომელსაც ვითომდა ინგლისელთა ახლანდელი თავკაცი კატალონიელთაგან ითხოვს — ეს თანხა 9 მილიონ გირვანქას შეადგენს. ერიქსონის პირადმა აგენტმა ყოველივე ჭორად მონათლა და ისიც კი თქვა, რომ კატალონიელთაგან არავითარი წინადადება არ ყოფილა. თავად შვედი სპეციალისტიც აცხადებს, რომ მისი „ბარსელონაში" გადასვლა ჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფია. ამასობაში კი გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა „ბარსას" პრეზიდენტმა ხუან გასპარტმა. დაკავებული თანამდებობიდან იგი ოფიციალურად მარტში გადადგება, როცა „ბარსელონას" დირექტორატი კლუბის ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

# რატომ არ არის ფულიანი ჯამარაული ბედნიერი?

## „17 წლის ბიჭი დაუფიქრებლად ევროპაში გავიქცეოდი“

ოთხშაბათს ალექსანდრე ჩივაძემ მოლდოველებთან რეზერვისტები გამოცადა, წამყვანი ლეგიონერები კი დაასვენა. თუმცა, სამ-ოთხ წელიწადში ეს დასვენებული ლეგიონერები ასაკის გამო ნაკრებს ისედაც დაემშვიდობებიან და თითოეულ მათგანს მეტად ადარდებს რა სახელს დატოვებენ ქართულ ფეხბურთში. 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელები უკვე აანალიზებენ ნაკრებში გატარებულ ათწლიან პერიოდს და თუ გგონიათ, ჩვენზე ნაკლებად რომელიმე განიცდის წარუმატებელ გუნდში თამაშს, შემცდარხართ.

გოჩა ჯამარაული სწორედ სწორედ ამ კატეგორიის ფეხბურთელებს განეკუთვნება. 31 წლის გამთამაშებელმა თბილისის „დინამოს“, „ალანიას“ „ტრაბზონსფორის“, „ციურიხის“, „ლუცერნისა“ და ბოლოს დონეცკის „მეტალურგის“ ფორმა მოირგო. გოჩა უხვსიტყვაობით არ გამოირჩევა, მაგრამ ნაკრების თემაზე ბევრი აქვს სათქმელი...

— **გოჩა, კარიერა თავიდან რომ დაიწყო, რას შეცვლიდი?**

— ეს უკვე შეუძლებელია, მაგრამ მართლა რომ შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება, 17 წლის ბიჭი დაუფიქრებლად ევროპაში გავიქცეოდი, მაგრამ მაშინ კომუნისტები იყვნენ, სად გაგიშვებდნენ? წარმოდგენაც არ მქონდა, რომ წასვლა შეიძლებოდა.

— **გაქცევა რას შეცვლიდა?**

— ბევრ რამეს. თუკი საქართველოში ფეხბურთელებს დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ, ევროპაში მაიძულებდნენ, პოტენციალი მაქსიმალურად გამომეყენებინა.

— **საქართველოში რატომ არ გაიძულებდნენ?**

— რა ვიცი, ასე კი არის. მარტო საქართველოში კი არა, მთელ საბჭოეთში იყო სხვა წყობა და გაგება.

— **რითი გვჯობიან ევროპელები?**

— ვერ ვიტყვი, რომ ადამიანობით. ჩვენთან, უკრაინაში, რუსეთში ბევრად თბილი ხალხი ცხოვრობს, ვიდრე ევროპაში. თუმცა შვეიცარიელებზე, ასე ცალსახად ვერ იტყვი. განსხვავებულები არიან იტალიელები, გერმანელები და ფრანგები, მაგრამ საქმის აწყობა ყველას კარგად შეუძლია. საქმეში ჩემიანი, ნათესავი, ახლობელი — არ იციან.

საქართველოში ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ აეწყო. ომი, გადატრიალება, არეული წლები 20-21 წლის ბიჭების წინსვლას ხელს რომ ვერ შეუწყობდა, ძნელი მისახვედრი არ არის. არ ვიცოდით, რას ნიშნავდა პროფესიონალიზმი, დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბების სისტემა.



— **დღევანდელი ახალგაზრდა ფეხბურთელები ამ თვალსაზრისით თქვენს თაობას თუ სჯობნიან?**

— ახლანდელ ბავშვებს კარგად არც ვიცნობ. საქართველოში იშვიათად მიწევს ჩამოსვლა და არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს. მაინც მგონია, რომ საქართველოში ნებისმიერს გაუჭირდება გაზრდა. შეიძლება რაღაცნაირად 16 წლამდე ბავშვი გაზარდო, ნიჭი მეტ-ნაკლებად გამოავლენინო, მაგრამ საქართველოს პირველობაზე ვარსკვლავი როგორ უნდა გაზარდო? პირობები, მათ გაზრდას ხელს ვერ უწყობს და ასე იკარგება უნიჭიერესი ხალხი. მე ჩემი თაობიდან რამდენიმე ფეხბურთელს გავიხსენებ: ნეფარიძეს, ჩუბინიძეს. ესენი იტალიელად, ესპანელად, ან ფრანგად რომ დაბადებულიყვნენ, დღეს მთელი მსოფლიო მათზე ილაპარაკებდა, სულ არ ვაჭარბებ, მათ კი დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშეს. დამიჯერეთ, მათი პოტენციალის მქონე ახალგაზრდებს ევროპელები ხელის გულზე ატარებენ, საქართველოში კი არ უფრთხილდებიან. ყველაფრის მიზეზი ჩვენი მენტალიტეტია. ამას კიდევ, შეიძლება მოევლოს, მაგრამ გაჭირვებას რა ეშველება? მეც მიჭირდა სკოლის პერიოდში. წარმოიდგინე, ყოველდღე გარდაბნიდან დავდიოდი თბილისში, მაგრამ ჩემს ოჯახს ჰქონდა ამხელა ხარჯის გაღების საშუალება, დღეს იგივეს ბევრი ოჯახი ვერ მოახერხებს. ამიტომაც ვამბობ, სანამ ქვეყანას არ ეშველება, არც ფეხბურთი იქნება უკეთეს დღეში, გაცილებით მეტი ნიჭიერი ბავშვი დაიკარგება, ვიდრე ჩემი თაობიდან.

— **ვითარების შეცვლა რომ შეგეძლოს, უპირველესად რას გააკეთებდი?**

— ჩემი ოცნებაა, ქვეყანაში გაჭირვება არ იყოს, მერე ყველაფერს ეშველება. ასეთ დღეში კი ძლიერი ნაკრები ვერ გვეყოლება. ფეხბურთი კოლექტიური სპორტია და არა ინდივიდუალური, წარმატების მისაღწევად ოცი კაცის კარგად მომზადებაა საჭირო.

— **კოლექტიური სახეობაა რაგბიც, მაგრამ მათ მსოფლიო თასის ფინალში გასვლა მოახერხეს.**

— გამონაკლისებიც არსებობს და თანაც, რაგბი სხვა სპეციფიკისაა. ფეხბურთში გაცილებით რთულია წარმატების მიღწევა, რადგან უფრო განვითარებული სახეობაა და გაცილებით მეტი ფულია საჭირო. შვეიცარიის ნაკრებთან თამაშის წინ ვფიქრობდი, იქნებ, ვინმეს შევაკვდე და ყველას დავუმტკიცებ, რომ საქართველო მართლა მიყვარს-მეთქი. თამაში მაინც არ გამომივიდა, ვერ გავიქეცი, რატომ, დღემდე ვერ ამიხსნია. მე ხომ პატარა ბიჭი არ ვარ, სახელისთვის, ქვეყნისთვის ვთამაშობთ, მაგრამ არ გამოგვდის და რა ვქნათ? უკრაინელმა ჟურნალისტმა მკითხა, ძლიერი ფეხბურთელები კი გყავთ, მაგრამ ასევე ძლიერი ნაკრები რატომ ვერ ჩამოაყალიბეთო? მთელი საქართველო ამის მიზეზს ეძებს და მე როგორ გიპასუხო-მეთქი.

ფეხბურთი სპორტის ისეთი სახეობაა, მხოლოდ ჯიბრით ვერ მოიგებ. მართებული არ არის იმის გახსენება, რომ ათ მტერზე ერთი ქართველი მოდიოდა. მესმის, რომ ასეც იყო, მაგრამ გამიყვანეთ ომში და ყველას ვანახვებ, როგორი ჯიგარი მაქვს. ფეხბურთი მხოლოდ ომი არ არის, ხომ ხედავთ, ტაქტიკას ლამის მეცნიერების დონეზე არჩევენ. აქ უკვე დიდი ცოდნა, გამოცდილება და ფულია საჭირო.

გული მიკვდება, როდესაც ამბობენ, ფეხბურთელებმა ფული იშოვეს და ქვეყანა ფეხებზე დაიკიდესო. შემოსავალი რომ მაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ კარგად ვარ.

— **ეს როგორ გავიგოთ?**

— მე კარგად თავს მხოლოდ იმიტომ ვერ ვიგრძნობ, რომ ქართველი ვარ. მეც მინდა მქონდეს შვეიცარიასავით ლამაზი, სუფთა და მდიდარი სამშობლო, სადაც არავის გაუჭირდება და სანამ არ მექნება, შემოსავალი ვერ გამაბედნიერებს. მყავს ნათესავები, რომლებიც 14 ლარიან პენსიას თვიდან თვემდე ელიან. აბა, მე, მათი ნათესავი შვეიცარიაში ბედნიერი ვიქნები? ჩვენც ძალიან ბევრი სატკივარი გვაქვს. ფული უპრობლემობას არ ნიშნავს.

— **როგორც ვიცი, ბევრ ოჯახს ეხმარები.**

— ამას მნიშვნელობა არ აქვს. შენიანს თუ არ დაეხმარები, რა კაცი უნდა იყო, მაგრამ ქვეყანას ხომ ვერ შევცვლი. შემოსავალი კი მაქვს, მაგრამ სულიერად მაინც მიჭირს. ძნელია ქართველობა, შეიძლება ჩვენთვის უფრო მეტადაც.

— **მწვრთნელთა ხშირი ცვლაც ხელს არ უნდა უწყობდეს ნაკრების პროგრესს.**

— მწრთნელს სთხოვენ შედეგს და თუ ვერ მიაღწევს მიზანს, მას ხსნიან. ეს ლოგიკურია.

— **ძალიან პესიმისტური საუბარი გამოგვივიდა.**

— სხვათა შორის, პესიმისტურად მაინც არ ვარ განწყობილი. ჩვენ გვინდა ხალხს თავი ბოლოს მაინც დავამახსოვროთ კარგად... ეს მართლა გვინდა. და თუ ისევ არაფერი გამოგვივა, გამოდის რომ მეტი არ შეგვძლებია.

— **ნუთუ შეუძლებელი იყო ოდნავ უკეთესი ნაკრების ჩამოყალიბება?**

— შესაძლებელი იყო, როგორ არა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

## ჯანაშიას დიეტის სპონსორი გამოუჩნდა



ზაზა ჯანაშიას კეთილისმსურველი თურქეთშიც გამოუჩნდა. მას შემდეგ, რაც მურთაზ ხურცილავამ და იური სიომინმა უდავოდ ნიჭიერ ქართველ თავდამსხმელს დარდიმანდობის გამო ხაზი გადაუსვეს, „ქოჯაელისპორის“ მწვრთნელმა გუვენჩ კურტანმა გაჭირვების ტალკვესად მიიჩნია და თურქეთის ჩემპიონატის ფსკერზე ჩავარდნილი გუნდის გადარჩენის იმედი მას დაუკავშირა. მიუხედავად ჯანაშიას უზომოდ გასუქებისა, კურტანს სჯერა, რომ ქართველი ფორვარდი ფორმას აღიდგენს და თანაც ამაში ხელიც შეუწყო. ჯერ იყო და დიეტისთვის კლინიკაში გააგზავნა და საგანგებოდ ექიმი დაუქირავა. თუმცა, მწვრთნელი ნელ-ნელა მიხვდა ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ სადამსჯელო ოპერაციებსა და ზაზას კუთხეში დაყენებას პრემიალური სისტემის დახვეწა ამჯობინა. ერთი სიტყვით, კურტანი ქართველის დიეტის სპონსორი გახდა. თურმე, ყოველ დაკლებულ კილოგრამზე ათას დოლარს ჩუქნის საკუთარი ხელფასიდან და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯანაშიას ათი კილო აქვს მომატებული, გამოდის, რომ კურტანი ერთი თვის ხელფასს მას მოახმარს. იმედია, ზაზა ახალ პრემიას ჭამა-სმასა და ქეიფს არ „უძღვნის“.

***გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ***

## ნაკრების მომავალი მომავალია?!



12 თებერვალს ქართული ფეხბურთის მომავალის „ლუსტრაცია“ შედგა. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ხელმძღვანელებმა მოლდოვასთან ძირითადი შემადგენლობის თამაშს უახლოესი რეზერვის გასინჯვა ამჯობინეს. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ექსპერიმეტრმა ცუდი შედეგი მოგვცა. ევროპის საფეხბურთო რეიტინგში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნის გუნდთან შეხვედრა ფრედ დასრულდა. თავის გასამართლებლად არც ის არგუმენტი გამოდგება, რომ ჩვენი გუნდების ლიდერთა უმრავლესობამ ვერ ითამაშა. მოლდოველებიც, ფაქტობრივად, სარეზერვო ნაკრებით გვესტუმრნენ. მათ ახალგაზრდულ და ეროვნულ გუნდებს ხუთ-ხუთი ლიდერი აკლდა.

პირველი მატჩი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ეროვნულ სტადიონზე, დღის თორმეტ საათზე დაიწყო. ძნელი სავარაუდოა, რომ ქართველი მოთამაშეები ძილის შემდეგ ვერ გამოფხიზლდნენ და ამიტომ ვერ აჩვენეს მაღალი კლასი. რაც არ გაქვს, ვერც აჩვენებ. რეზო არველაძის სადებიუტო შეხვედრაში ნაკრებმა იმდენად უფერული ფეხბურთი აჩვენა, რომ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა პერსპექტივა აქვს ამ გუნდს შესარჩევ ციკლში: ნაკრები რეზო არველაძემ კი არა, რინუს მიხელსმაც რომ გაწვრთნას, ფრენას მაინც ვერ დაიწყებს.



არანაკლებ მძიმე სურათი გამოიკვეთა ეროვნული გუნდის შეხვედრისას. ჩივაძემ შეკრებაზე გამოძახებულ ყველა მოთამაშეს თავის გამოჩენის საშუალება მისცა, მაგრამ მხოლოდ ორიოდემ თუ მოახერხა ნორმალურად თამაში.

ჯერ კი ის ვთქვათ, რომ უაღრესად სუსტად გამოიყურება დაცვა. კაცმა რომ თქვას, მართლები არიან მეკარეები, ჩვენს სუსტ თამაშზე სანამ ვინმე სიტყვას დაძრავდეს, გაიხსენეთ, რომ ჩვენამდე თავდამსხმელები არ უნდა მოუშვანო. მოლდოველებს კლასი ოდნავ მაღალი რომ ჰქონოდათ, შეხვედრა ფრედ ნამდვილად არ დასრულდებოდა. „შინდისფერთა“ დაცვა ისე უსუსურად გამოიყურებოდა, უარესის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია. ამ პოზიციაზე ჩივაძეს სარეზერვოებმა ამჯერად ვერ გაუმართლეს იმედები.

ნახევარდაცვაში შედარებით კარგი შთაბეჭდილება დინამოელმა გოგობერიშვილმა დატოვა. არც შეცვლაზე შემოსული მენთეშაშვილი და კვარაცხელია გამოიყურებოდნენ ცუდად, თუმცა, შვეიცარია-ირლანდია-რუსეთთან მათი მომზადებაც არასაკმარისი იქნება.

ჩივაძემ ყველაზე მეტად თავდამსხმელები შეაქო და მართალიც იყო. დაცვისა და ნახევარდაცვის უგერგილო, შეუთანხმებელი თამაშის ფონზე გასაოცარიც იყო, როგორ მოახერხეს ეს ორი ბურთის გატანა? ალბათ, ყველაზე რეალური იქნება, თუკი მათგან ოფიციალურ მატჩებში ეროვნული გუნდის თავკაცი მიხეილ აშვეთიას გამოიძახებს. „ალანიას“ ფორვარდის პროგრესი თვალშისაცემია. არველაძესთან, დემეტრაძესა და იაშვილთან კონკურენცია კი დანარჩენებს გაუჭირდებათ.

მეკარეების მიმართ ამჯერად პრეტენზიები ნაკლებად იყო, თუმცა ეს პოზიციაც არ არის საბოლოოდ მოგვარებული, რაც რამდენიმე ეპიზოდში გამოჩნრდა, უპირველესად სტუმართა გატანილი პირველი გოლის დროს2.

და კიდევ — ნაკრების უმთავრესი პრობლემა მთავარი მწვრთნელია. შესაძლოა, ექსპერიმენტული შეხვედრით ძნელია სწორი და საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა, მაგრამ სტუმართა ასევე ექსპერიმენტულმა ნაკრებმა გაცილებით აზრიანი, თანამედროვე და სწრაფი ფეხბურთი რომ აჩვენა, ეს უდაოა. ალბათ, ქართველები კიდევ დიდხანს ვერ ვიხილავთ ისეთ ნაკრებს, რომელიც მეტოქის საჯარიმოში ბურთს ზოზინისა და „ღეჭვის“ გარეშე, სწრაფად გადაიტანს, უაზროდ არ ირბენს და საერთოდ, შედეგს რომ აჩვენებს. „სახელგანთქმული“ ქართული ტექნიკის მითი კი დიდი ხანია ილუზიურ წარსულს ჩაბარდა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვიოცნებოთ: ამ არასაიმედო რეზერვის ხელში არ აღმოჩნდეს საქართველოს ნაკრები, თორემ წინა, წარუმატებელი თაობაც სანატრელი გაგვიხდება. თუმცა, გვინდა — არ გვინდა, მაინც ასე მოხდება და მერე ნახეთ ცირკი. მოლდოვა კი არა, ანდორაც ფრეებს გაგვიგორებს და აღარ გაგვიკვირდება.

### საქართველო 2:2 მოლდოვა

*საქართველო: ლომაია (46 ნიკურაძე), აბრამიძე (64 ქემოკლიძე), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე, დიდავა (46 მენთეშაშვილი), ჯიქია (46 კვარაცხელია), გოგობერიშვილი, მუჯირი (46 დარასელია), ალექსიძე (46 აშვეთია), აფხაზავა (46 ჩალაძე).*

*1:0 ჩალაძე (61); 1:1 დადუ (73); 2:1 აშვეთია (83); 2:2 დადუ (84).*

ოთხშაბათს მთელს მსოფლიოში ამხანაგური მატჩები გაიმართა. ჩვენთვის საინტერესო უფრო ის მატჩები იყო, საქართველოს ნაკრების ჯგუფურ მეტოქეთა მონაწილეობით რომ გაიმართა. რუსეთის ნაკრებმა კვიპროსში გამართული ოთხთა ტურნირი მოიგო, ჯერ მასპინძლებს აჯობა ხოხლოვის ერთადერთი გოლით, შემდეგ კი ფინალში რუმინეთი დაჯაბნა 4:2. კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით ვალერი გაზაევმა პირველი სანაკრებო ჯილდო მოიგო.

ირლანდიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა ახალ მწვრთნელს, ბრაიან კერის. პირველი გამოცდა კერიმ ჩინებულად ჩააბარა — მისმა გუნდმა სტუმრად 2:0 მოუგო ბერტი ფოგთსის გაწვრთნილ შოტლანდიის ნაკრებს. კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა ჩვენი ნაკრების მესამე მომავალმა მეტოქემ — შვეიცარიამ. კობი კუნის გუნდმა, რომელმაც გასულ ზაფხულს ჩვენებს 4:1 მოუგო, სტუმრად ხუთი გოლი გაუტანა სლოვენიას და მხოლოდ ერთი მიიღო. ოთხშაბათს სენსაციებიც მრავლად იყო. თავად განსაჯეთ: მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები სტუმრად ჩინეთის ეროვნულ გუნდს დაუზავდა, მსოფლიოს ექსჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი, საფრანგეთის „სამფეროვანთა“ გუნდი შინ ჩეხეთთან ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა, კიდევ უფრო საკვირველი გახლდათ ინგლისის ნაკრების სამარცხვინო მარცხი შინ ავსტრალიასთან. სენსაცია სენსაციად და ეს ყველაფერი კიდევ შეიძლება ზემოთ ხსენებული მატჩების ამხანაგურობით აიხსნას, მაგრამ იმ დღეს გამართულ ერთადერთ შესარჩევ შეხვედრაში იუგოსლავია შინ რომ აზერბაიჯანს ვერ მოუგებდა, ამას ვეღარავინ იფიქრებდა.

### 12 თებერვალი. ამხანაგური მატჩები:

| | |
|---|---|
| **შოტლანდია — ირლანდია 0:2** | **თურქეთი — უკრაინა 0:0** |
| **სლოვენია — შვეიცარია 1:5** | **უელსი — ბოსნია 2:2** |
| **ჩინეთი — ბრაზილია 0:0** | **ესპანეთი — გერმანია 3:1** |
| **ხორვატია — პოლონეთი 0:0** | **ლატვია — ლიტვა 2:1** |
| **ეგვიპტე — დანია 1:4** | **ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 0:1** |
| **ინგლისი — ავსტრალია 1:3** | **ისრაელი — სომხეთი 2:0** |
| **საფრანგეთი — ჩეხეთი 0:2** | **ალჟირი — ბელგია 1:3** |
| **საბერძნეთი — ნორვეგია 1:0** | **მალტა — ყაზახეთი 2:2** |
| **ჰოლანდია — არგენტინა 1:0** | **მაროკო — სენეგალი 1:0** |
| **იტალია — პორტუგალია 1:0** | **ლიბია — კანადა 2:4** |
| **რუმინეთი — სლოვაკეთი 2:1** | **ტუნისი — შვედეთი 1:0** |
| **კვიპროსი — რუსეთი 0:1** | |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.

**იუგოსლავია-აზერბაიჯანი 2:2**

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.**

## №5 (331) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 688 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 249 ქალმა და 432-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ უწყებას ჰყავს ყველაზე ძლიერი, პროფესიონალი ლიდერი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა 36,0%-ის აზრით, ყველაზე პროფესიონალი ლიდერი საქართველოს პარლამენტს ჰყავს. ჩვენი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური რეიტინგების ფავორიტს — ნინო ბურჯანაძეს არც ახლა უღალატია ტრადიციისათვის და **6,50** საშუალო ქულით პირველ ადგილზეა. თუმცა, 15-მა მკითხველმა (2,2%) მაინც შეაფასა იგი მინიმალური — ერთი ქულით.

შემდეგ ადგილზე „მარადმწვანე“ ლიდერი — პარტიის, სამინისტროს, საკრებულოს თავკაცობას ჩვეული მიხეილ სააკაშვილია, მაქსიმალური — 8 ქულა მას რესპონდენტთა 35,2%-მა მიაკუთვნა, მინიმალური — 2,4%-მა. საშუალო ქულაა 6,35.

რესპონდენტთა 10% კი თვლის, რომ ყველაზე ძლიერი ლიდერი უზენაეს სასამართლოს ჰყავს ლადო ჭანტურიას სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულით (1,6%) სწორედ ჭანტურია შეფასდა.

მინიმალურ ქულათა სიმრავლით აქ ჩამოთვლილთაგან მნიშვნელოვნად გამოირჩევა ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი კახა უგულავა — მკითხველთა 52,9%-მა შეაფასა იგი 1 ქულით, მაქსიმალური ქულა კი მხოლოდ 10-მა რესპონდენტმა (1,5%) დაუწერა.




საპრიზოს მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 55 წლის ქუთაისელი **გიორგი ლოლომაძეა.**

ვულოცავთ ბატონ გიორგის და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 12 თებერვალს, 17 საათზე.

## №6 (332) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№6 (332) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 12 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 13 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

თემა №6 (332) — დასავლეთის ინტერესები

**თქვენი აზრით, ვინ არის საქართველოში დასავლეთის ინტერესების ყველაზე მეტად დამცველი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№6(332) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ელდარ შენგელაია | |
| 2 | ნინო ბურჯანაძე | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | ლევან ბერძენიშვილი | |
| 5 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 6 | რეზო ადამია | |
| 7 | ავთანდილ ჯორბენაძე | |
| 8 | ზურაბ ჟვანია | |

*მკითხველის რეიტინგი*

დაასახელეთ ყველაზე ურყევი (პრინციპული) ქართველი პოლიტიკოსი

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

*მკითხველის რეიტინგის შედეგები*



**ყველაზე მერყევი ქართველი პოლიტიკოსი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 70,5% |
| 2. | აკაკი ასათიანი | 6,3% |
| 3. | ედუარდ შევარდნაძე | 5,8% |
| 4. | ირაკლი ბათიაშვილი | 3,8% |
| 5. | მიხეილ სააკაშვილი | 2,2% |
| 6. | ჯონდი ბაღათურია | 1,7% |
| 7. | გურამ შარაძე | 1,2% |
| 8. | ზურაბ ჟვანია | 1,0% |
| 9. | შალვა ნათელაშვილი | 0,8% |
| 10-11. | ვიტალი ხაზარაძე | 0,7% |
| 10-11. | ჯუმბერ პატიაშვილი | 0,7% |

მერყევი პოლიტიკოსის დასახელება მხოლოდ 0,3%-ს გაუჭირდა; 0,7% კი აცხადებს, რომ ყველა პოლიტიკოსი მერყევია.

***მკითხველის რეიტინგში 601-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **რუსუდან ხუბულავა** — „მოიკითხეთ თქვენი ბელადები და შეაფურთხეთ“ — 110 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „შენდობას ფულით ვერ იყიდი, ის უნდა გიბოძონ...“ — 98
3. **ზურაბ მჭედლიშვილი** — „გაეროს წინ ასობით ქართველმა „შავლეგო“ დააგუგუნა“ — 77
4. **ეთერ ერაძე** — „ქართული ხმები“ აღარ მღერის“ — 40
5. **ლელა ჯიყაშვილი** — „ცნობილი და უცნობი ამბები“ — 38

თქვენს პრემიას ამჯერად ჟურნალისტი **რუსუდან ხუბულავა** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 512-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

## ფოტოანტიკვარი © • ფოტოპალიტრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

დღესაც ასეთი ბრიალა თვალები მაქვს, აი თმას რაც შეეხება...

**ა.ჯ.** — თურმე ამერიკაში მილიონერები ხდებიან მინისტრები.

**დ.თ.** — ახალი ამბავი, ჩვენთანაც მინისტრები ორ წელიწადში ხდებიან მილიონერები.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**ა.ჯ.** — აფ-ცხი!

**დ.თ.** — თავისებურად-მუნჯურად: „არგადარჩენა!“

***ოთარ კელენჯერიძე, ხაშური***

**დ.თ.** — ორ წელიწადში გვეშველება ყველას, ავთო!

**ა.ჯ.** — ჩუმად, თორემ დაბეჭდავენ ამას „პალიტრაში“ და ორ-ორჯერ გვანანებს გაჩენას ამქვეყნად ის!

***ალიკო ნადირაშვილი, თბილისი***

ჯარისკაცურ სასადილოში:

**ა.ჯ.** — ფუუ, რა სუნია?!

**დ.თ.** — ეგ რა არის, შენ მეორე უნდა გასინჯო, ხორციანია.

**ა.ჯ.** — თუ ძმა ხარ, გარეთ გამიყვანე, შენ მე შრეკი ხომ არ გგონივარ?!

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**დ.თ.** — ავთო, ახლა ზარმაცების სახაშედან მოვდივარ, კარგი „დვაინოი“ ხაში მივირთვი და ზედ ორი „პოლიტრა“ მივაყოლე.

**ა.ჯ.** — მივხვდი, მივხვდი...

***ბადრი კობახიძე, რუსთავი***

**ა.ჯ.** — აფ-ცხი!!!

**დ.თ.** — მილიონი!

**ა.ჯ.** — აფ-ცხიი!!!

**დ.თ.** — 2 მილიონი!

**ა.ჯ.** — (ფიქრობს) მადლობა რომ ვუთხრა, წილს მომთხოვს.

***პაატა ჩიქოვანი, სენაკი***



ავთანდილ ჯორბენაძე, დავით თევზაძე

**დ.თ.** — აი, ასეთი ტარი აქვს. გასკვანჩავ ზედ რეზინს, ჩადებ ქვას და პრიწავ ლიოჩიკს თვალებშუა. 20 ცალს თუ დაგვიმზადებთ, თვითმფრინავს არ გავაჭაჭანებ.

**ა.ჯ.** — ქვებს ალბათ გაგიხერხებ, დანარჩენზე რა მოგახსენო.

***ნინიკო და სოსიკო, დედოფლისწყარო***

C

## ფოტო განწყობისთვის



— აუ, მეც თუ სინჯარიდან ვარ?! (იხ. გვ. 25)

# პირს ბროსნანი და კლაუსტროფობია?



ლეგენდარული სუპერაგენტის როლის შემსრულებელი პირს ბროსნანი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ კლაუსტროფობიით, ანუ დახშული სივრცის შიშით არის დაავადებული და ძალიან ძნელია მისთვის მამაცი აგენტის განსახიერება: „ძნელია უშიშარი აგენტის როლის შესრულება, როცა ასეთი სენით ხარ დაავადებული.“ ფილმის, „დანტეს პიკის“ გადაღებებზე მსახიობმა საშინელი შიში განიცადა, როცა ფილმის შინაარსიდან გამომდინარე, შახტში უნდა გაჭედილიყო. როცა უკვე გასაქცევად ემზადებოდა, გზა კამერამ მოუჭრა... მსახიობმა საკუთარ თავს შესძახა: „ნუ შეგეშინდება, მთავარია, ღრმად და თანაბრად ისუნთქო...“

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



**10/II**

**პირველი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**
**12/II 22-დან 24 საათამდე**
**15/II-ის 24-დან 16/II-ის 01 საათამდე**


**ფირმა „ბერმუხა“**



**ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.**

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




ზანგმა ტაქსი გააჩერა.

— აეროპორტში, ძმაო.

— ძმა მაიმუნებში მოიკითხე!

— ორმოცდაათი დოლარი!..

— დაჯექი, ძმაო!..



**თარაზულად:** 1. პიტერ ფალკის მომაბეზრებელი პერსონაჟი არანაკლებ მომაბეზრებელ სერიალში; 3. უიარაღოს ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება; 5. საჭმლის მცირე ნაწილი; 7. ფართოდ გამოყენებული მცენარე მედიცინაში, კულინარიასა და პარფიუმერიაში; 8. ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი; 9. „შკოდას“ მოდელი; 12. ირმის ტყავით დახურული ჩუქჩების საცხოვრებელი ქოხი; 15. ვალტერ სკოტის რომანი „...როი“; 17. დაბალი წნევის არე; 18. კ/ფ „ველური ...“; 19. ქალის სახელი; 21. „სამკითხაო“ ყვავილი; 23. ფრანგი მწერალი, ავტორი ციკლისა „დაწყევლილი მეფეები“. 25. ჭკუის სწავლება, — იხმარება დარიგებასთან ერთად; 26. დღის პირველი „საქმიანი წამოწყება“; 27. ცნობილი ფინელი არქიტექტორი; 28. საქონელზე დაკრული ფურცელი, რომელზეც აღნიშნულია სახელწოდება, რაოდენობა, ფასი და სხვა. 29. პირობით აღნიშვნათა სისტემა კონვერტზე.

**შვეულად:** 1. ეზო და სახლი ერთად; 2. ძველ საბერძნეთში ოთხწლიანი პერიოდი, წელთაღრიცხვის ერთეული; 3. ძველი ფეოდალური ჩინეთის სახელმწიფო მოხელე ევროპელთა სიტყვათხმარებაში; 4. ნახევარკუნძული აზიის სამხრეთში, უპირატესად, ინდოეთში; 6. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 10. საფეხბურთო მატჩის ნახევარი; 11. სამხრეთ გერმანელ გლეხთა ცეკვა, XIX საუკუნიდან პოპულარული ევროპული საზოგადოების ყველა ფენაში; 13. გემების ღუზით გასაჩერებელი ადგილი ნავსადგურში ან მის მახლობლად; 14. XIX საუკუნის იტალიელი პოეტი, გარიბალდიელი; 15. არევ-დარევა, აურზაური, რია...; 16. ქალის გრძელი და ვიწრო შარფი ბეწვეულისაგან, რომლის ტარებაც არ იყო რეკომენდებული ქალიშვილებისათვის; 20. მსოფლიოს ერთ-ერთი განთქმული მოდელიერი, „შანელის სახლის“ მთავარი სტილისტი. 21. ილია ჭავჭავაძის პოემა; 22. საფრენი აპარატი, ჰაერზე მსუბუქი გაზით სავსე ბურთი; 23. სხვადასხვა სიმაღლის ყველა ბგერის ერთობლიობა, მისაწვდომი ამა თუ იმ საკრავის ან ხმისათვის. 24. მიმდინარეობა ფილოსოფიაში, რომლის მიმდევრებიც იყვნენ პლატონი, ლეიბნიცი, ჰეგელი; **შეადგინა რამაზ ალანიამ**






**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## ⑥ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№6 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 13 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი